



# გზამკვლევი არბიტრაჟში

საქართველოს სააპელაციო სასამართლოების  
მოსამართლეებისათვის







ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
EU4Justice



Empowered lives.  
Resilient nations.

# გზამკვლევი არბიტრაჟში

საქართველოს სააპელაციო სასამართლოების  
მოსამართლეებისათვის



ეს გზამკვლევი შექმნილია ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია „არბიტრაჟის ინიციატივა - საქართველო“ და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) შეხედულებებს.

**ავტორები:**

ლიანა ქარცივაძე (თავი 1)

თეონა ჟუღიაშვილი (თავი 2)

თამარ მორჩილაძე (თავები 3 და 5)

გიორგი კეკენაძე (თავები 4 და 5)

**მკვლევარები:**

ლიკა კაპანაძე

გიორგი წამალაიძე

**მთავარი რედაქტორი:**

სოფიო ტყემალაძე

# წინასიტყვაობა

2017 წელს „არბიტრაჟის ინიციატივა - საქართველო“-მ ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით მოამზადა გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოების მოსამართლეებისათვის (ე.წ. პირველი გზამკვლევი). მისი მიზანია ხელი შეუწყოს საქალაქო (რაიონული) ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებს არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონით მათ დაქვემდებარებაში არსებული საქმეების/განცხადებების განხილვაში; ასევე პასუხი გასცეს იმ კითხვებს, რომლებიც შეიძლება გაუჩნდეთ მოსამართლეებს კანონის გამოყენების სხვადასხვა ეტაპზე.

უკუგებად, რომელიც „არბიტრაჟის ინიციატივა - საქართველო“-მ მიიღო პირველ გზამკვლევაზე როგორც მოსამართლეებისგან, პრაქტიკოსი იურისტებისგან, აკადემიური წრეების წარმომადგენლებისგან, ისე იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან, ავტორთა ჯგუფს მისცა საფუძველი და მოტივაცია გაეგრძელებინა მუშაობა იმ საკითხებზე, რაც არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად უკვე სააპელაციო სასამართლოს განსჯადობას ექვემდებარება. სწორედ ამ უკუგების, ასევე ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერის და ავტორთა გაფართოებული ჯგუფის ძალისხმევით შედეგია წინამდებარე (ე.წ. მეორე) „გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის.“

პირველის მსგავსად, წინამდებარე გზამკვლევიც შეიქმნა ღრმა რწმენით, რომ მოსამართლეები არსებით როლს ასრულებენ არბიტრაჟის, როგორც დავის გადაწყვეტის მექანიზმის, განვითარებაში.

გზამკვლევის განსახილველ საკითხთა შერჩევასაც ავტორებს მხოლოდ პირადი მოსაზრებებით არ უხელმძღვანელიათ. მათ არაერთი შეხვედრა თუ დისკუსია ჰქონდათ საქართველოში მოქმედ იურისტებსა და მოსამართლეებთან, ასევე შეისწავლეს სასამართლო პრაქტიკა საქართველოში. შესაბამისად,

გზამკვლევი ეხმიანება საქართველოში მოსამართლეთა პრაქტიკაში არსებულ გამოწვევებს. ამასთან, ვინაიდან „საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ“ ეფუძნება გაეროს საერთაშორისო სავაჭრო კომისიის (UNCITRAL) მოდელურ კანონს საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ, შედარებისა და ანალიზისთვის, გზამკვლევი მოყვანილია მოდელური კანონის გამოყენების მაგალითები სხვა ქვეყნების სასამართლო პრაქტიკიდან.

ავტორთა ჯგუფი მადლობას უხდის ყველა მოსამართლეს და პრაქტიკოს იურისტს, რომლებმაც გაგვიზიარეს თავიანთი გამოცდილება თუ შეხედულებები საარბიტრაჟო წარმოების სხვადასხვა ასპექტებზე, ისევე როგორც მათ, ვინც გაგვიზიარა პირველი გზამკვლევის გამოყენების გამოცდილება და ამით გაგვიმყარა რწმენა, რომ მეორე გზამკვლევი (სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისთვის) ღირებულ საჭიროებას წარმოადგენდა. განცალკევებული მადლობა ეკუთვნის ბ-ნ გიორგი თითბერიძეს პირველ გზამკვლევზე გამოხატული უკუგებისა და მეორესთვის მონოდებული რეკომენდაციებისათვის. მადლობა ეკუთვნის აგრეთვე ნიუ ვიჟენის უნივერსიტეტს, რომლის კედლებშიც მიმდინარეობდა დისკუსიები და მომზადდა ეს გზამკვლევი.

წინამდებარე გზამკვლევის მომზადება შესაძლებელი გახდა ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, პროექტის ფარგლებში – „გაეროს ერთობლივი პროგრამა: ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში“. ამავე პროექტის ფარგლებში შეიქმნა პირველი გზამკვლევი და ჩატარდა არაერთი ღონისძიება ქართულ სამართლებრივ სივრცეში არბიტრაჟის მეტად დასამკვიდრებლად. წინამდებარე გზამკვლევის შედგენაც ამ მიზანს ემსახურება.

**სოფიო ტყემალაძე**  
მთავარი რედაქტორი

# შინაარსი




















# შემოკლებები და აბრევიატურები

**S**

**გზამკვლევი**

პარაგრაფი

გზამკვლევი არბიტრაჟში, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისათვის

**პირველი გზამკვლევი**

გზამკვლევი არბიტრაჟში, საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის

**გვ**

გვერდი

**ე.წ.**

ეგრეთ წოდებული

**იხ.**

იხილეთ

**კანონი /**

**საქართველოს კანონი**

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი

**მაგ.**

მაგალითად

**მოდელური კანონი**

გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის მოდელური კანონი საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში (UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration)

**სსსკ**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

**შეად.**

შეადარეთ

**Ed.**

გამოცემა (ინგ. Edition)

**Eds.**

რედაქტორები (ინგ. Editors)

**ICCA**

საერთაშორისო არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო (International Council for Commercial Arbitration)

**ICCA-სახელმძღვანელო**

კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭოს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ იორკის კონვენციის განმარტებაზე: ცნობარი მოსამართლეებისათვის

**Is.**

ნომერი, გამოცემა (ინგ. Issue)

**UNCITRAL**

გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია (United Nations Commission on International Trade Law)

**UNCITRAL Digest 2012**

საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის მოდელური კანონზე სასამართლო გადაწყვეტილებების UNCITRAL-ის 2012 წლის დაიჯესტი (UNCITRAL 2012 Digest of Case Law on the Model Law on International Commercial Arbitration)

**Vol.**

კრებული (ინგ. Volume)

**UNCITRAL Secretariat Guide**

UNCITRAL-ის სამდივნოს გზამკვლევი ნიუ იორკის კონვენციაში უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ (UNCITRAL Secretariat Guide on the Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards)

# შესავალი

ეს გზამკვლევი ეხება არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონით (შემდგომში „კანონი“ ან „საქართველოს კანონი“) საქართველოს სააპელაციო სასამართლოებს დაქვემდებარებული ისეთი საკითხების გადაწყვეტას, როგორცაა: სასამართლოს მიერ არბიტრაჟის არაკომპეტენტურად/კომპეტენციის არმქონედ ცნობა (არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 16), არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებათა ცნობა-აღსრულება (კანონის მუხლები 21-22), საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოცემა (კანონის მუხლი 23), საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება (კანონის მუხლები 42-43) და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება (კანონის მუხლები 44-45). რა თქმა უნდა, არბიტრაჟის კანონის დებულებათა პარალელურად, განხილულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებები.

## სააპელაციო სასამართლოს როლი და ჩარევის ფარგლები

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები მოიცავს ყველა იმ შემთხვევას, როდესაც სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არბიტრაჟის გაკონტროლება, ასევე, საარბიტრაჟო პროცესის დახმარება. სასამართლოს შეზღუდული „ჩარევის“ პრინციპი გამყარებულია კანონის 6.2 მუხლში:

„**დაუშვებელია ამ კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთობებში სასამართლოს რაიმე სახით ჩარევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ამ კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული.**“

ამდენად, კანონის ზემოხსენებული მუხლები (რომლებსაც სრულად მოიცავს წინამდებარე გზამკვლევი), ამომწურავად განსაზღვრავს არბიტრაჟთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას სააპელაციო სასამართლოების მიერ.



## კანონით (და არა მხოლოდ საპროცესო კოდექსით) ხელმძღვანელობის მნიშვნელობა

ეს გზამკვლევი მიუყვება საქართველოს კანონის დებულებებს (და არა საპროცესო კოდექსის ნორმებს) და, პირველ რიგში, სწორედ მათზე მიუთითებს. სტრუქტურის ამგვარ გადაწყვეტას არა მხოლოდ ტექნიკური, არამედ სამართლებრივი დატვირთვაც აქვს. სამართლებრივ მნიშვნელობას უშუალოდ სსსკ 356<sup>12</sup>.2 მუხლი განმარტავს:

„**არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს მხოლოდ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.**“

ეს მნიშვნელოვანია, ვინაიდან სსსკ-ის შესაბამისი თავი მხოლოდ ნაწილობრივ (და პროცესუალური დეტალების მიზნებისთვის) შეიცავს ნორმებს, რომლებიც ეხება საარბიტრაჟო განხილვაში სასამართლოს როლს; თუმცა სსსკ არ ქმნის სრულ სურათს, როდის, როგორ და რა შემთხვევაში შეიძლება ამ დებულებების გამოყენება. მაგალითად, 356<sup>16</sup> მუხლი საუბრობს სასამართლოს უფლებამოსილებაზე, მიიღოს გადაწყვეტილება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ. თუ სასამართლო მხოლოდ საპროცესო კოდექსით იხელმძღვანელებს, გაურკვეველი იქნება, რა ეტაპზე/როდის შეუძლია მხარეს, რომ წარადგინოს განცხადება არბიტრაჟის არაკომპეტენტურად ცნობაზე. საქართველოს კანონი კი მიუთითებს, რომ არბიტრაჟის კომპეტენციაზე გადაწყვეტილება (სსსკ 356<sup>16</sup> მუხლის კონტექსტში) სასამართლომ შეიძლება მიიღოს მხოლოდ საქართველოს კანონის 16.5 მუხლის თანახმად, როდესაც, მხარე გაასაჩივრებს არბიტრაჟის ნაწილობრივ დადგენილებას კომპეტენციის შესახებ. ამდენად, როდესაც ვხელმძღვანელობთ სსსკ-ის დებულებებით, მნიშვნელოვანია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დავრწმუნდეთ, რომ სასამართლოს შესაბამისი როლი პირდაპირ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონით. ასევე აუცილებელია, გავითვალისწინოთ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული კანონით განსაზღვრული სრული კონტექსტი.

## სააპელაციო სასამართლოების განსჯადობის საკითხი

ამ გამკვლევით გათვალისწინებული ყველა საკითხი მოიაზრებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც საარბიტრაჟო განხილვის ადგილი არის საქართველო. ერთადერთი გამონაკლისია უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება, როდესაც სასამართლოს შეუძლია, გამოსცეს ან ცნოს და აღასრულოს არბიტრაჟის მიერ გამოცემული უზრუნველყოფის ღონისძიებები, იმის მიუხედავად, სად წარიმართება საარბიტრაჟო განხილვა. ამდენად, ყველა შემთხვევაში ისმის კითხვა: არის თუ არა სასამართლო უფლებამოსილი/ განსჯადი შესაბამისი საკითხის განსახილველად? გამკვლევის სხვადასხვა ნაწილში ერთი და იმავეს რამდენჯერმე გამეორების თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია, საარბიტრაჟო განხილვის ადგილის განსაზღვრისა და სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხი მიმოვიხილოთ შესავალშივე.

საქართველოს სააპელაციო სასამართლოების ტერიტორიული დაყოფის პრინციპის გათვალისწინებით, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების უფლებამოსილება განისაზღვრება მათი განსჯადობის ტერიტორიაზე მიმდინარე საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებით. ამდენად, თუ მხარეთა შეთანხმებაში განხილვის ადგილად პირდაპირ განსაზღვრულია „ბათუმი, საქართველო“, ცხადი ხდება, რომ განსჯადია ქუთაისის სააპელაციო სასამართლო. ხშირია შემთხვევა, როდესაც მხარეთა შეთანხმება საარბიტრაჟო განხილვის ადგილად მიუთითებს მხოლოდ „საქართველოს“. ეს, თავისთავად, არ აყენებს საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობას კითხვის ნიშნის ქვეშ. არბიტრაჟის განხილვის ადგილის განსაზღვრა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მის მიხედვით დგინდება, სხვათა შორის, თუ რომელი სამართალი ან/და რომელი ქვეყნის სასამართლოების კომპეტენცია გავრცელდება კონკრეტული საქმის გარკვეულ ასპექტებზე (სხვადასხვა პროცესუალური საკითხი, გაუქმების მექანიზმი, არბიტრაჟის კომპეტენციის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება

და ა.შ). საქართველოში, მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, ერთი საარბიტრაჟო კანონმდებლობა მოქმედებს; ამდენად, კონკრეტული ქალაქის არჩევას უფრო პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სამართლებრივი.

ამასთან, კანონის 25-ე მუხლის თანახმად, თუ მხარეები განხილვის ადგილზე არ შეთანხმებულან, მას არბიტრაჟი წყვეტს. როგორც წესი, არბიტრაჟი წარმოების ადრეულ ეტაპზევე განსაზღვრავს მისი განხილვის ადგილს. გზამკვლევაში მოცემული საკითხების შემთხვევაში (მაგ.: კომპეტენციაზე გადაწყვეტილების (დადგენილების) გასაჩივრება, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება ან ცნობა-აღსრულება), დიდია ალბათობა, არბიტრაჟს უკვე განსაზღვრული ჰქონდეს განხილვის ადგილი. ამდენად, ნათელი იქნება შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს განსჯადობა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ არბიტრაჟს ამ დროისთვის არ ექნება განსაზღვრული საარბიტრაჟო განხილვის ადგილი, ვერ შეფერხდება მხარის უფლება, მიმართოს სასამართლოს კანონით მინიჭებული უფლების რეალიზებისათვის. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, თავად განმცხადებელზე იყოს დამოკიდებული სასამართლოს შერჩევა და მასვე ეკისრებოდეს მტკიცების ტვირთი, რომ შერჩეულ სასამართლოს აქვს ტერიტორიული განსჯადობა. ასეთ დროს სასამართლოს შეუძლია იხელმძღვანელოს საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ საკუთარ კომპეტენციაზე დადგენილების ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ადგილით, ან ადგილით, სადაც გაიმართა ბოლო ზეპირი განხილვა.<sup>1</sup>

საკულისხმოა, რომ არბიტრაჟის განხილვისა და საარბიტრაჟო სხდომის ჩატარების ადგილები შეიძლება განსხვავდებოდეს. კანონის 25.2 მუხლის მიხედვით, საარბიტრაჟო სხდომების სხვაგან ჩატარება არ მოახდენს გავლენას საარბიტრაჟო განხილვის ადგილზე. ასეთ შემთხვევაში, სასამართლომ, თავისი განსჯადობის განსაზღვრისას, უნდა იხელმძღვანელოს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ან ტრიბუნალის მიერ განსაზღვრული საარბიტრაჟო განხილვის ადგილით.

---

<sup>1</sup> დიუსელდორფის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2000 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №6 Sch 02/99.

თუ განცხადება (შუამდგომლობა) შეტანილია არაგანსჯად სასამართლოში, მან განჩინებით უარი უნდა თქვას განცხადების წარმოებაში მიღებაზე, თუმცა, იქვე უნდა მიუთითოს, რომელი სასამართლოს განსჯადია ეს განცხადება (შუამდგომლობა).<sup>2</sup>

## გზამკვლევის სტრუქტურა

დასასრულ, მოკლედ აღვწერთ, რა პრინციპით განისაზღვრა წინამდებარე გზამკვლევის სტრუქტურა:

ცალკე თავად არის განხილული სასამართლოს მიერ არბიტრაჟის არაკომპეტენტურად/კომპეტენციის არმქონედ ცნობა (თავი 1); მას მოჰყვება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები: სასამართლოს მხრიდან არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობა-აღსრულება და საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოცემა (თავი 2). რაც შეეხება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებასა და ცნობა-აღსრულებას, იქიდან გამომდინარე, რომ ეს ორი დამოუკიდებელი და განსხვავებული პროცესია, თითოეული მათგანის პროცესუალური საკითხები განხილულია ცალკე თავებად: საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების პროცესი (თავი 3) და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების პროცესი (თავი 4). ვინაიდან გაუქმებისა და ცნობა-აღსრულების საფუძვლები ფაქტობრივად იდენტურია, მათზე მსჯელობა მოვაქციეთ ერთ თავში - საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები (თავი 5).

წინამდებარე გზამკვლევის ფარგლებში წარმოდგენილი თემები ხშირად მოითხოვდა ისეთი საკითხების განხილვას, რომლებიც გაერთიანდა პირველ გზამკვლევაში („გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის“).<sup>3</sup> მაგალითად, როგორც

---

<sup>2</sup> სსკ, მუხლი 187.1.


<sup>3</sup> პირველი გზამკვლევი ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/arbitration-guide1>

საარბიტრაჟო ტრიბუნალის არაკომპეტენტურად ცნობის, ისე გადაწყვეტილების გაუქმებისა თუ ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის ერთ-ერთი საფუძველია საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა,<sup>4</sup> ნამდვილობის, ბათილობისა და ძალადაკარგულობის შემთხვევები კი დეტალურად განხილულია პირველ გზამკვლევაში. ამ შემთხვევაშიც, არასაჭირო გამეორებების ასაცილებლად, ასევე, ეკომეგობრულობის შენარჩუნებისა და ახალ საკითხებზე ფოკუსირებისათვის, პირველ გზამკვლევაში მოცემული საკითხები წინამდებარე გამოცემაში მოხსენიებულია მოკლედ და მითითებულია პირველი გზამკვლევის შესაბამისი თავი/ქვეთავი.

მსგავსად, ამ გზამკვლევაში განხილული რიგი საკითხებიც მოითხოვდა გამეორებას მის სხვადასხვა ნაწილში. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებშიც მიწნებულია წინამდებარე გზამკვლევის შესაბამის თავზე/ქვეთავზე.

---

<sup>4</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 42.2.ა(ა) და 45.1.ა(ა).



1.

არბიორაჟის ცნობა  
არაკომპენიენოურად





# 1. არბიტრაჟის ცნობა არაკომპეტენტურად

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის განხილვის მიზნებისათვის, გზამკვლევის წინამდებარე თავში მიმოხილულია:

1.1 კანონის მე-16 მუხლთან დაკავშირებული **ზოგადი საკითხები**

1.2 რა უნდა შეამოწმოს სასამართლომ არბიტრაჟის არაკომპეტენტურად ცნობის თაობაზე განცხადების **წარმოებაში მიღებისთვის?**

1.3 რა უნდა შეამოწმოს სასამართლომ არბიტრაჟის არაკომპეტენტურად ცნობის თაობაზე **განცხადების განხილვისას?**

1.4 რა **სტანდარტს** იყენებს სასამართლო არბიტრაჟის კომპეტენციის შემოწმებისას?

1.5 რა **ვადაში** და **ფორმით** განიხილება განცხადება არბიტრაჟის არაკომპეტენტურად ცნობის თაობაზე?

1.6 როგორია სასამართლოს მიერ არბიტრაჟის კომპეტენციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების **შედეგები?**

## 1.1 მე-16 მუხლთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები

კანონის მე-16 მუხლი ეფუძნება მოდელური კანონის მე-16 მუხლს და მნიშვნელოვანია ორი კუთხით: ერთი მხრივ, ის განამტკიცებს არბიტრაჟში აღიარებულ პრინციპს „კომპეტენცია კომპეტენციისთვის“;<sup>5</sup> მეორე მხრივ კი უშვებს სასამართლოს ჩარევისა და არბიტრაჟის კანონიერების კონტროლის შესაძლებლობას საბოლოო საარბიტრაჟო

<sup>5</sup> ის ასევე განამტკიცებს საარბიტრაჟო შეთანხმების გამოყოფადობის/ავტონომიურობის დოქტრინას. ამ პრინციპზე უფრო დეტალური მსჯელობა იხ. ამ გზამკვლევის



გადაწყვეტილების გამოტანამდე – ეს გამონაკლისია ზოგადი მიდგომიდან, რომლის თანახმადაც, არბიტრაჟის კანონიერებას სასამართლო განიხილავს მხოლოდ საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შემდეგ.<sup>6</sup> მხარის განცხადების საფუძველზე, ამ მუხლით დადგენილ ფარგლებში, სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს, აქვს თუ არა კონკრეტულ საარბიტრაჟო ტრიბუნალს მისთვის გადაცემული საქმის განხილვის იურისდიქცია/კომპეტენცია.<sup>7</sup> ამისათვის დაცული უნდა იყოს მე-16 მუხლითა და სსსკ-ით დადგენილი წინაპირობები.

კანონის მე-16 მუხლის კონტექსტში მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

1.1.1 რა არის პრინციპი „კომპეტენცია კომპეტენციისთვის“?

1.1.2 რა არის საარბიტრაჟო შეთანხმების გამოყოფადობის/ავტონომიურობის დოქტრინა?

1.1.3 როდის იღებს არბიტრაჟი გადაწყვეტილებას საკუთარი კომპეტენციის შესახებ?

1.1.4 რას ნიშნავს კომპეტენციის/იურისდიქციის მიმართ სრული და ნაწილობრივი შედავება?

### 1.1.1 რა არის პრინციპი „კომპეტენცია კომპეტენციისთვის“?

„კომპეტენცია კომპეტენციისთვის“ პრინციპი (*Kompetenz-Kompetenz*) ფართოდ აღიარებულია როგორც მსოფლიოს სხვადასხვა საკანონმდებლო აქტით, ისე საარბიტრაჟო წესებითა და სასამართლო პრაქტიკით. ამ პრინციპის

<sup>6</sup> საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის მოდელურ კანონზე სასამართლო გადაწყვეტილებების UNCITRAL-ის 2012 წლის დოკუმენტი (UNCITRAL 2012 Digest of Case Law on the Model Law on International Commercial Arbitration) (შემდეგში „UNCITRAL Digest 2012“), გვ. 79, § 15.

<sup>7</sup> ამ თავის მიზნებისთვის, ტერმინები „იურისდიქცია“ და „კომპეტენცია“ სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება. როგორც კანონი, ისე სსსკ იყენებს ტერმინს „კომპეტენცია“. თუმცა, საერთაშორისო პრაქტიკასა და ლიტერატურაში „იურისდიქციად“ მოიხსენიებენ არბიტრაჟის უფლებამოსილებას განიხილოს საქმე.

მიხედვით, „საარბიტრაჟო ტრიბუნალს აქვს უფლებამოსილება, თავად დაადგინოს საკუთარი იურისდიქცია [კომპეტენცია] და გადაწყვიტოს თავის იურისდიქციასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.“<sup>8</sup> მე-16 მუხლი ეხება კონკრეტული საარბიტრაჟო ტრიბუნალის უფლებამოსილებას, განიხილოს მისთვის გადაცემული საქმე.

მოდელური კანონის ქვეყნების<sup>9</sup> სასამართლო პრაქტიკაში, ამავე კანონის 16.3 მუხლის<sup>10</sup> საფუძველზე, საარბიტრაჟო ტრიბუნალებს აქვთ უფლებამოსილება, განიხილონ და გადაწყვიტონ შემდეგი საკითხები:

- დადებულია თუ არა მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმება?
- ხომ არ არის საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილი ან ძალადაკარგული?
- არის თუ არა მხარეთა სასარჩელო მოთხოვნები საარბიტრაჟო შეთანხმებით გათვალისწინებულ ფარგლებში?
- კონკრეტული საარბიტრაჟო შეთანხმების შესაბამისი განმარტება?<sup>11</sup>

კანონის ამ მუხლიდან გამომდინარე, სასამართლოს არ აქვს უფლება, წინასწარ იმსჯელოს საარბიტრაჟო ტრიბუნალის იურისდიქციაზე, სანამ თავად ამ არბიტრაჟს (ტრიბუნალს) არ მიეცემა საშუალება, გადაწყვიტოს ეს საკითხი.<sup>12</sup> ამდენად, თავისი იურისდიქციის საკითხს ჯერ არბიტრაჟი განიხილავს. სასამართლო საქმეში შეიძლება ჩაერთოს მხოლოდ არბიტრაჟის მიერ თავისი კომპეტენციის დადგენის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

<sup>8</sup> არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი (ზვიად კორძაძის გამოცემლობა, 2016) გვ. 21, კომპეტენციისთვის“ პრინციპი.

<sup>9</sup> ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობა ეფუძნება UNCITRAL-ის საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის მოდელურ კანონს; დღეის მდგომარეობით, მოდელურ კანონს ეფუძნება 80 ქვეყნის არბიტრაჟის კანონმდებლობა. მათ შორისაა საქართველოც.

<sup>10</sup> მოდელური კანონის 16.3 მუხლს შესაბამება არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 16.1 მუხლი.

<sup>11</sup> საკითხთა ასეთი კლასიფიკაცია განისაზღვრა მოდელური კანონის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაში მე-16 მუხლის გამოყენების შესწავლის საფუძველზე. წყარო: Alan Uzelac, “Jurisdiction Of The Arbitral Tribunal: Current Jurisprudence And Problem Areas Under The Uncitral Model Law”, International Arbitration Law Review, 2005, გვ. 155.

<sup>12</sup> გამონაკლისი შეიძლება იყოს არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა. მეტი ინფორმაციისთვის იხ. პირველი გზამკვლევი, 1 თავი.

სასამართლოს ეს უფლებამოსილება განსხვავებულია კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მისი უფლებამოსილებისგან, შეამოწმოს საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა (რაც გავლენას ახდენს საარბიტრაჟო ტრიბუნალის კომპეტენციაზე). ის ასევე განსხვავდება იმ კონტროლისგან, რომელსაც სასამართლო ახორციელებს საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ (გაუქმება/ცნობა-აღსრულება). კანონის 16.5 მუხლის ფარგლებში, სასამართლოს განხილვის საგანი ხდება არბიტრაჟის გადაწყვეტილება *მხოლოდ* თავისი იურისდიქციის დადგენის შესახებ.<sup>13</sup>

### 1.1.2 რა არის საარბიტრაჟო შეთანხმების გამოყოფადობის/ დამოუკიდებლობის დოქტრინა?<sup>14</sup>

თუ საარბიტრაჟო შეთანხმების არარსებობის ან მისი ბათილობის გამო მხარე სადავოდ ხდის არბიტრაჟის კომპეტენციას, ამ საკითხის განხილვისას საარბიტრაჟო ტრიბუნალმაც და სასამართლომაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ საარბიტრაჟო შეთანხმების გამოყოფადობის/დამოუკიდებლობის დოქტრინა.

*„კომპეტენცია კომპეტენციისთვის“ პრინციპთან ერთად, ეს დოქტრინა კანონმდებლობით არის გამყარებული: „არბიტრაჟი უფლებამოსილია, მიიღოს დადგენილება საკუთარი კომპეტენციის შესახებ, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის თუ ნამდვილობის დადგენის ჩათვლით. ამ მიზნით, საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც ხელშეკრულების ნაწილია, განიხილება საარბიტრაჟო შეთანხმებად, რომელიც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების სხვა პირობებზე. ხელშეკრულების ბათილად ცნობა არ გამოიწვევს საარბიტრაჟო დათქმის ბათილობას.“<sup>15</sup>*

ამ პრინციპიდან გამომდინარე, თუ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება ძირითადი ხელშეკრულების ნამდვილობა, ეს თავისთავად „არ ახდენს გავლენას მასში

<sup>13</sup> პრაქტიკაში ასეთ გადაწყვეტილებას შეიძლება „ნაწილობრივი“ ეწოდოს, ვინაიდან ის საბოლოოდ წყვეტს საარბიტრაჟო დავასთან დაკავშირებულ მხოლოდ ერთ საკითხს – არბიტრაჟის იურისდიქციას – და არ ეხება არსებით დავას მხარეთა შორის.

<sup>14</sup> დოქტრინა პირველად ამერიკის შერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ გამოიყენა თავის 1967 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებაში საქმეზე *Prima Paint Corporation v. Flood & Conklin Manufacturing Co.*, 388 U.S. 395 (1967).

<sup>15</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 16.1.

მოცემული საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობაზე.“<sup>16</sup> საარბიტრაჟო დათქმის ბათილობისათვის, საჭიროა არსებობდეს ბათილობის საფუძველი თავად დათქმის მიმართ.<sup>17</sup>

საარბიტრაჟო შეთანხმების გამოყოფადობის/დამოუკიდებლობის დოქტრინაზე მეტი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ პირველი გზამკვლევის 1.4.6 ქვეთავი.

### 1.1.3 როდის იღებს არბიტრაჟი გადაწყვეტილებას საკუთარი კომპეტენციის შესახებ?

კანონი უფლებას ანიჭებს არბიტრაჟს, თავის კომპეტენციასთან დაკავშირებით „გადაწყვეტილება მიიღოს საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე ან საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან ერთად.“<sup>18</sup> ამდენად, საარბიტრაჟო ტრიბუნალს აქვს შესაძლებლობა, კომპეტენციის საკითხი გადაწყვიტოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებით (დადგენილებით), წინასწარ, სანამ ის დაიწყებს მსჯელობას დავის არსებით საკითხებზე, ან დააყოვნოს მისი განხილვა და ამაზე იმსჯელოს დავის არსებითი საკითხების შესახებ გამოტანილ საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში. პირველ შემთხვევაში, საარბიტრაჟო პროცესი ორ ნაწილად იყოფა – პირველ სტადიაზე განხილვის საგანია მხოლოდ საარბიტრაჟო ტრიბუნალის კომპეტენცია; თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი არ დაეთანხმება მხარის არგუმენტაციას კომპეტენციის არქონის თაობაზე, ის იღებს გადაწყვეტილებას (დადგენილებას) საკუთარი კომპეტენციის შესახებ და ადგენს თავის იურისდიქციას კონკრეტულ საარბიტრაჟო საქმეზე. ამის შემდგომ კი, მეორე სტადიაზე, უკვე დადგენილი იურისდიქციის ფარგლებში, არბიტრაჟი განიხილავს და გადაწყვეტს სხვა საკითხებს და ყველა სადავო საკითხზე გამოიტანს საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას (ან გადაწყვეტილებებს).<sup>19</sup>

<sup>16</sup> არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო, ICCA-ს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ იორკის კონვენციის განმარტებაზე: ცნობარი მოსამართლეებისათვის (შემდგომში „ICCA-ს სახელმძღვანელო“), (2011) გვ. 55.

<sup>17</sup> მაგ: ნიუ საუს უელსის სააპელაციო სასამართლოს (ავსტრალია) 1994 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე *Ferris v Plaister and Stap v Plaister*: იმ შემთხვევაშიც კი, თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი დაადგენს, რომ ძირითადი ხელშეკრულება დადების მომენტიდან ბათილია (თუნდაც რომელიმე ან ორივე მხარის მოტყუების გამო), საარბიტრაჟო დათქმა მაინც „გადარჩება“; ეს დათქმა აგრძელებს არსებობას, როგორც ნამდვილი, და აძლევს არბიტრებს შესაძლებლობას, გადაწყვიტონ ამ ხელშეკრულების ბათილობის საკითხი.

<sup>18</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 16.5.

<sup>19</sup> საარბიტრაჟო წარმოების ორ ნაწილად გაყოფას სხვაგვარად ბიჟურკაციასაც უწოდებენ.

კანონის მუხლის 16.5 „სამიზნე“ გახლავთ სწორედ პირველ სტადიაზე მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება) საარბიტრაჟო ტრიბუნალის კომპეტენციის დადგენის შესახებ.

თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი გადაწყვეტს, რომ ყველა საკითხი ერთად განიხილოს და საერთო საბოლოო გადაწყვეტილებით გადაწყვიტოს როგორც იურისდიქციის, ისე სხვა სასარჩელო მოთხოვნები, მუხლი 16.5 არ მოქმედებს. ამ შემთხვევაში, სახეზეა არბიტრაჟის საბოლოო გადაწყვეტილება, რომელთან მიმართებითაც მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების<sup>20</sup> ან/და ცნობა-აღსრულების<sup>21</sup> პროცედურები.

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონით გაზიარებულია გაერთიანებული სამეფოს არბიტრაჟის აქტის მიდგომა და მე-16 მუხლის მოდელური კანონის ფორმულირებას დაემატა მე-6 ნაწილი. ამ ნაწილის თანახმად, არბიტრაჟი ვალდებულია მიჰყვეს მხარეთა ნება-სურვილს, როდის და რა ფორმით მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი კომპეტენციის შესახებ. ამდენად, თუ მხარეები შეთანხმდებიან, რომ არბიტრაჟმა გადაწყვეტილება კომპეტენციის შესახებ მიიღოს წინასწარ, ნაწილობრივი/შუალედური გადაწყვეტილების<sup>22</sup> სახით, დავის არსებით საკითხზე საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღებამდე, არბიტრაჟი ვალდებულია სწორედ ასე იმოქმედოს. მსგავსად, როცა მხარეები შეთანხმდებიან, რომ კომპეტენციის შესახებ არბიტრაჟმა გადაწყვეტილება გამოიტანოს საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან ერთად, არბიტრაჟი ვალდებულია, განაგრძოს საქმის განხილვა და გადაწყვეტილება კომპეტენციისა და დავის არსებით საკითხებზე მიიღოს ერთდროულად, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სახით.

კომპეტენციის საკითხის გადაწყვეტა საქმის წარმოების ადრეულ ეტაპზე ემსახურება პროცესის ეკონომიურობას. თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი აღნიშნულ საკითხს დასაწყისშივე გადაწყვეტს და კომპეტენციას არ დაადგენს

<sup>20</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 42.

<sup>21</sup> იქვე. მუხლი 45.

<sup>22</sup> ამ თავის მიზნებისთვის ტერმინები „შუალედური“ და „ნაწილობრივი“ გადაწყვეტილება გამოყენებულია სინონიმური მნიშვნელობით, რადგან, როგორც წესი, შუალედური გადაწყვეტილება არ განსხვავდება ნაწილობრივი გადაწყვეტილებისაგან და მან შეიძლება საბოლოოდ გადაჭრას დავის რომელიმე საკითხი. პრაქტიკაში განსხვავებებიც გვხვდება, თუმცა, ამ განსხვავებების განხილვა გამკაცლების შინაარსს სცდება.

თავად არბიტრაჟი ან სასამართლო, მხარეები ზოგავენ სრული საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ დროსა და ხარჯებს; ხოლო თუ ტრიბუნალი დაიდგენს იურისდიქციას და მის ამ გადაწყვეტილებას არ გააუქმებს სასამართლო,<sup>23</sup> მხარეებს ეძლევათ საშუალება, თავიანთი რესურსები (ფინანსური და ინტელექტუალური) თამამად მიმართონ დავის სხვა არსებით საკითხებზე.

თუმცა ზოგიერთ საქმეზე, იურისდიქციასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა მჭიდროდ უკავშირდება საქმის სხვა არსებით საკითხებს (მაგ: როდესაც დავა ეხება ხელშეკრულების ნამდვილობას და მის საფუძველზე მხარეთა უფლება-მოვალეობებს). ასეთ შემთხვევაში, იურისდიქციის საკითხის განსაზღვრამ შეიძლება პირდაპირ ან ირიბად გამოიწვიოს სხვა საკითხების შეფასების საჭიროება. ამიტომ, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ზოგიერთმა საარბიტრაჟო ტრიბუნალმა შეიძლება საკითხების ერთად გადაწყვეტა ამჯობინოს, ან მხარეებმა მხარი დაუჭირონ მათ ამგვარ გადაწყვეტას.

#### 1.1.4 რას ნიშნავს კომპეტენციის/იურისდიქციის მიმართ სრული და ნაწილობრივი შედავება?

არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ შედავებები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: შედავება, რომელიც ეხება (1) არბიტრაჟის ზოგად იურისდიქციას – განიხილოს დავა და (2) არბიტრაჟის მიერ რომელიმე საკითხის განხილვის უფლებამოსილებას. პირველი ჯგუფის შედავებები ზოგადად არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვას შეეხება და მათი დაკმაყოფილების შემთხვევაში, როგორც წესი, არბიტრაჟს არ აქვს საქმის განხილვის უფლება; მეორე ჯგუფის შედავებები კი უკავშირდება მხარეთა ზოგიერთი სასარჩელო მოთხოვნის შინაარსს/მატერიალურ საფუძველს და არბიტრაჟის შემზღვეულ კომპეტენციას – განიხილოს ასეთი მოთხოვნა; ეს თავისთავად არ გამორიცხავს არბიტრაჟის შესაძლებლობას, განიხილოს საარბიტრაჟო სარჩელის სხვა მოთხოვნები, რომლებიც, საარბიტრაჟო შეთანხმებიდან გამომდინარე, ხვდება მისი იურისდიქციის ფარგლებში.

<sup>23</sup> შესაძლოა, მხარე დაეთანხმოს საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებას კომპეტენციის დადგენის შესახებ და არ გაასაჩივროს ის სასამართლოში. არგასაჩივრების შედეგები იხ. ამ გზამკვლევის

## 1.2 რა უნდა შეამოწმოს სასამართლომ არბიტრაჟის არაკომპეტენტურად ცნობის თაობაზე განცხადების წარმოებაში მიღებისთვის?

იმისთვის, რომ მხარეს წარმოეშვას უფლება, კანონის 16.5 მუხლის საფუძველზე მიმართოს სასამართლოს, საჭიროა შემდეგი გარემოებები:

- ✓ მოდავე მხარეებს შორის დაიწყო საარბიტრაჟო განხილვა;
- ✓ დაინიშნოს საქმის განმხილველი არბიტრაჟი (საარბიტრაჟო ტრიბუნალი);
- ✓ საარბიტრაჟო შესაგებელის წარდგენამდე (ან მის წარდგენასთან ერთად), ერთ-ერთმა მხარემ განაცხადოს, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალს არ აქვს კომპეტენცია;
- ✓ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა იმსჯელოს და, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღებამდე, გამოიტანოს დადგენილება (გადაწყვეტილება) საკუთარი კომპეტენციის თაობაზე;
- ✓ მხარემ, რომელიც არ ეთანხმება აღნიშნულ დადგენილებას (გადაწყვეტილებას), დადგენილ ვადაში გაასაჩივროს ის სასამართლოში.

როდესაც სასამართლო წარმოებაში იღებს განცხადებას არბიტრაჟის არაკომპეტენტურად ცნობის შესახებ, ყურადღება უნდა გაამახვილოს შემდეგ საკითხებზე:<sup>24</sup>

1.2.1 არის თუ არა განცხადება სასამართლოს განსჯადი?

1.2.2 გასაჩივრებულია თუ არა არბიტრაჟის დადგენილება (გადაწყვეტილება) კომპეტენციის დადგენის თაობაზე?

1.2.3 რამდენად დაცულია კომპეტენციაზე დადგენილების გასაჩივრებისთვის კანონით დადგენილი ვადა?

<sup>24</sup> არბიტრაჟის კომპეტენციასთან დაკავშირებული განცხადების წარმოებაში მიღებისთვის ასევე მოქმედებს სარჩელის წარმოებაში მიღების სსსკ-ის 178-ე მუხლით დადგენილი ზოგადი წესები ფორმასა და ბაჟთან მიმართებით, რომელიც ამ გზამკვლევაში მიმოხილული არ არის, მაგრამ იგულისხმება.

### 1.2.1 არის თუ არა განცხადება სასამართლოს განსჯადი?

ზოგადად, განცხადებას არბიტრაჟის არაკომპეტენტურად ცნობის შესახებ იხილავს სააპელაციო სასამართლო, თუ საარბიტრაჟო განხილვის ადგილია საქართველო.<sup>25</sup> ეს საკითხი დეტალურად მიმოხილულია ამ გზამკვლევის შესავალში.

### 1.2.2 გასაჩივრებულია თუ არა არბიტრაჟის დადგენილება (გადაწყვეტილება) კომპეტენციის დადგენის თაობაზე?

კანონის ამ მუხლის მიზნებისთვის, გასაჩივრებას ექვემდებარება მხოლოდ საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებამდე მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება) არბიტრაჟის კომპეტენციის დადგენის შესახებ. შინაარსობრივად ეს არის დოკუმენტი, რომლითაც საარბიტრაჟო ტრიბუნალი განიხილავს მხარის/მხარეების პრეტენზიას იურისდიქციასთან დაკავშირებით და გადაწყვეტს, რომ, ამ პრეტენზიების მიუხედავად, მას აქვს კომპეტენცია, განიხილოს საქმე. პრაქტიკაში ეს გადაწყვეტილება შეიძლება სხვადასხვა სახელწოდებით შეგვხვდეს – დადგენილება, გადაწყვეტილება, ნაწილობრივი/შუალედური გადაწყვეტილება, ბრძანება. სასამართლომ უნდა შეაფასოს, შინაარსობრივად აკმაყოფილებს თუ არა გასაჩივრებული დოკუმენტი კანონის მოთხოვნებს, მისი სახელწოდების მიუხედავად.

ჰონგ-კონგის სააპელაციო სასამართლომ განიხილა საქმე, რომელშიც მოპასუხე, მოდელური კანონის 16.3 მუხლის საფუძველზე (რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონის 16.5 მუხლს), ასაჩივრებდა არბიტრაჟის შუალედურ გადაწყვეტილებას იურისდიქციის შესახებ.<sup>26</sup> მონიშნა აღმდგე მხარე მიუთითებდა, რომ მოდელური კანონის ეს მუხლი აქ არ არის გამოსაყენებელი, ვინაიდან ტრიბუნალმა მიიღო შუალედური „გადაწყვეტილება.“<sup>27</sup> შესაბამისად, უნდა გამოყენებულიყო გადაწყვეტილების გაუქმების პროცედურა (მოდელური კანონის 34-ე მუხლი, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონის 42-ე მუხლს). სასამართლომ განმარტა, რომ განცხადების განხილვისას

<sup>25</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 2.1.ა.

<sup>26</sup> ჰონგ-კონგის სააპელაციო სასამართლოს 2005 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *The Incorporated Owners of Tak Tai Building v. Leung Yau Building Ltd.*

<sup>27</sup> ინგლისურად “award”.



მნიშვნელოვანია, შემონმდეს გასაჩივრებული დადგენილების (გადაწყვეტილების) შინაარსი, განურჩევლად იმისა, რა სახელწოდებითაა ეს გადაწყვეტილება მიღებული (შინაარსის უპირატესობა ფორმაზე). ამ შემთხვევაში საარბიტრაჟო ტრიბუნალის შუალედური გადაწყვეტილება ეხებოდა მხოლოდ იურისდიქციის საკითხს; მასში არ იყო არსებით საკითხზე მსჯელობა. ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს გადაწყვეტილება ვერ მიიჩნეოდა არბიტრაჟის საბოლოო გადაწყვეტილებად და მისი გასაჩივრება დასაშვებად ცნო მხოლოდ მოდელური კანონის 16.3 მუხლით დადგენილი წესით.

პრაქტიკაში შეიძლება იყოს შემთხვევა, როდესაც მხარე, მე-16 მუხლის საფუძველზე, ასაჩივრებს არბიტრაჟის კომპეტენციას, მაგრამ ფორმალურად ითხოვს კომპეტენციის დადგენის გადაწყვეტილების გაუქმებას. მსგავსი საქმე განიხილა სინგაპურის სააპელაციო სასამართლომ.<sup>28</sup> განმცხადებელმა გაასაჩივრა არბიტრაჟის კომპეტენცია და მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება.<sup>29</sup> შესაგებელში მოწინააღმდეგე მხარემ მიუთითა, რომ განმცხადებლის ეს მოთხოვნა – გადაწყვეტილების გაუქმება – დაუშვებელია მოდელური კანონის მე-16 მუხლის კონტექსტში. სასამართლომ დაადგინა, რომ შეუძლია განიხილოს ეს განცხადება და გადაწყვიტოს არბიტრაჟის კომპეტენციის საკითხი, მიუხედავად იმისა, როგორ არის ფორმულირებული ენობრივად მხარის მოთხოვნა. ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიყენოს შედეგობრივი ანალიზი: თუ მხარის მოთხოვნა კანონის 16.5 მუხლიდან გამომდინარეობს და ემსახურება არბიტრაჟის არაკომპეტენტურად ცნობას, მაშინ მხარის განცხადების მიმართ გამოიყენება მე-16 მუხლის დებულებები.

აღსანიშნავია, რომ საარბიტრაჟო დაწესებულებების წესები სხვადასხვა პროცედურას ითვალისწინებს ტრიბუნალის კომპეტენციის საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის მე-10 მუხლის საფუძველზე, თუ მხარემ საარბიტრაჟო ტრიბუნალის

<sup>28</sup> სინგაპურის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *International Research Corp PLC v Lufthansa Systems Asia Pacific Pte Ltd and another*; § 69-70.

<sup>29</sup> ინგლისურად “setting aside” – ტერმინი, რომელიც გამოიყენება საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართ, როდესაც მოთხოვნილია მისი გაუქმება არბიტრაჟის ადგილის სასამართლოში (განსხვავებით უცხოური გადაწყვეტილებებისგან, რომელთა მიმართაც გამოიყენება ტერმინი „უარის თქმა ცნობასა და აღსრულებაზე“, რაც ინგლისურად არის “refusing the recognition and enforcement”).

იურისდიქციასთან დაკავშირებით პრეტენზია დააყენა საარბიტრაჟო წარმოების ადრეულ ეტაპზე, ცენტრის ერთ-ერთ ორგანოს – საარბიტრაჟო საბჭოს – აქვს უფლება, გადაწყვიტოს, ერთი შეხედვით (*prima facie*), რამდენად არსებობს კომპეტენცია და, შესაბამისად, უნდა გაგრძელდეს თუ არა პროცესის ადმინისტრირება, რათა დაინიშნონ არბიტრები და მათ გადაწყვიტონ საკუთარი კომპეტენციის საკითხი.<sup>30</sup> თუ, საარბიტრაჟო საბჭო მიიჩნევს, რომ კომპეტენცია ცალსახად არ არსებობს, შესაძლოა განხილვა შეწყდეს; კომპეტენციის არსებობის შემთხვევაში კი ის მიიღებს დადგენილებას საარბიტრაჟო პროცესის გაგრძელების შესახებ. ამ პროცედურას იცნობენ მსოფლიოს წამყვანი საარბიტრაჟო ცენტრები.<sup>31</sup>

ხაზგასასმელია, რომ საარბიტრაჟო დაწესებულების მსგავსი ორგანოს დადგენილება პროცესის ადმინისტრირების გაგრძელების თაობაზე არ წარმოადგენს საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებას კანონის მე-16 მუხლის კონტექსტში. ეს მუხლი ვრცელდება მხოლოდ (და უშუალოდ) საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მიღებულ დადგენილებაზე (გადაწყვეტილებაზე) საკუთარი კომპეტენციის დადგენის შესახებ. საარბიტრაჟო დაწესებულების ამგვარი ორგანოს დადგენილება კი შესაბამისი დაწესებულების შიდა ადმინისტრაციული პროცესის ნაწილია, რაც არ ექვემდებარება გასაჩივრებას მე-16 მუხლის საფუძველზე. მხოლოდ ამგვარი ადმინისტრაციული გადაწყვეტილების შემდგომ დანიშნული ტრიბუნალის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე გავრცელდება მე-16 მუხლი.

პრაქტიკაში შეიძლება იყოს შემთხვევა, როდესაც, მხარე არბიტრაჟის იურისდიქციას ეჭვქვეშ აყენებს რამოდენიმე მოთხოვნასთან მიმართებით. არბიტრაჟი უფლებამოსილია, მიიღოს „შერეული“ გადაწყვეტილება – ანუ საკუთარი იურისდიქცია დაადგინოს მხოლოდ საკითხთა ნაწილზე, დანარჩენზე კი თავი ცნოს არაკომპეტენტურად. ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისას,

<sup>30</sup> მსგავსი პროცედურა აქვს გათვალისწინებული კიდევ ერთ ქართულ საარბიტრაჟო ინსტიტუტს – დავის განმხილველი ცენტრს (DRC), საარბიტრაჟო წარმოების წესების მე-9 მუხლით.

<sup>31</sup> მაგ.: საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის სასამართლო (ICC, პარიზი), სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის არბიტრაჟის ინსტიტუტი (SCC, სტოკჰოლმი), სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი (SIAC, სინგაპური) და სხვა.

თუ არბიტრაჟმა აღნიშნული დასკვნები ერთ დოკუმენტში ასახა, კანონის 16.5 მუხლის საფუძველზე, სასამართლო წესით განხილვას ექვემდებარება გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც არბიტრაჟმა დაიდგინა იურისდიქცია.

რადგანაც კანონის 16.5 მუხლით გასაჩივრებას ექვემდებარება არბიტრაჟის დადგენილება (გადაწყვეტილება), ისმის კითხვა – **რამდენად შეუძლიათ მხარეებს მოითხოვონ არბიტრაჟის არაკომპეტენტურად ცნობა, თუ მათ არბიტრაჟისთვის ჯერ არ მიუმართავთ?**

საქართველოს კანონმდებლობა, ისევე როგორც მოდელური კანონი, არ იძლევა დეკლარაციული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. შედარებისთვის, საინტერესოა გერმანიის მიდგომა. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაც მოდელური კანონის ქვეყანაა, ამ საკითხს განსხვავებულად არეგულირებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1032.2 მუხლით. ის პირდაპირ ითვალისწინებს დეკლარაციული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას: „საარბიტრაჟო ტრიბუნალის შექმნამდე, შესაძლებელია წარდგენილ იქნეს განცხადება საარბიტრაჟო წარმოების დასაშვებობა არ დასაშვებობის დადგენის მიზნით.“<sup>32</sup> ამ მუხლის ფარგლებში, სასამართლოს აქვს უფლება, იმსჯელოს როგორც საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობაზე, ისე ამ დათქმიდან გამომდინარე სამომავლო საარბიტრაჟო ტრიბუნალის კომპეტენციაზე. საქართველო, მოდელური კანონის ქვეყნების უმრავლესობის მსგავსად, არ იზიარებს ამგვარ მიდგომას და სასამართლოს უფლებამოსილებას ანიჭებს, არბიტრაჟზე კონტროლი განახორციელოს მხოლოდ შუალედური ან/და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ (გარდა კანონის მე-9 მუხლის კონტექსტისა). შესაბამისად, ქართული კანონმდებლობით, სასამართლოს არ აქვს უფლება, საარბიტრაჟო ტრიბუნალის შექმნამდე განიხილოს მხარის წინასწარი განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციასთან დაკავშირებით.<sup>33</sup>

<sup>32</sup> გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1032.2 მუხლის ტექსტი: “(2) Bei Gericht kann bis zur Bildung des Schiedsgerichts Antrag auf Feststellung der Zulässigkeit oder Unzulässigkeit eines schiedsrichterlichen Verfahrens gestellt werden.”

<sup>33</sup> მსჯელობა დამყარებულია არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონზე, მუხლი 6.2.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ განიხილა მსგავსი შემთხვევა. საქმე ეხებოდა განცხადებას, რომლითაც განმცხადებელი ითხოვდა არბიტრაჟის კომპეტენციის წინასწარ ცნობას.<sup>34</sup> სასამართლომ, იხელმძღვანელა რა პრინციპით „კომპეტენცია კომპეტენციისთვის“, უარი თქვა ასეთი განცხადების მიღებაზე. მან მიუთითა სსსკ-ის 356<sup>12</sup> მუხლსა და კანონის მე-16 მუხლზე და აღნიშნა, რომ „სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი არ არის, დასაშვებად ცნოს მხარის განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ მანამ, სანამ ამ სახის განცხადებაზე შესაბამის გადაწყვეტილებას არ მიიღებს ის არბიტრაჟი, რომლის კომპეტენციასაც საარბიტრაჟო სამართალწარმოების ერთ-ერთი მხარე არ ეთანხმება. შესაბამისად, მხარე უფლებამოსილი არ არის, აღნიშნულ საკითხზე პირდაპირ სასამართლოს მიმართოს. თავის მხრივ, სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება, ასეთი პროცედურების დაცვის გარეშე, დასაშვებად ცნოს მხარის განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ.“<sup>35</sup>

არბიტრაჟის გადაწყვეტილება, რომლითაც ის არ დაიდგენს კომპეტენციას (ფაქტობრივად, უარს იტყვის მასზე), არ ექვემდებარება გასაჩივრებას კანონის 16.5 მუხლით.<sup>36</sup> მოდელური კანონის მოსამზადებელ მასალებში აღნიშნულია: „გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც საარბიტრაჟო ტრიბუნალი არ იდგენს იურისდიქციას, ითვლება საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებად საქმის წარმოებასთან მიმართებით, რადგან ამის შემდეგ ტრიბუნალის დავალდებულება – გააგრძელოს საქმის წარმოება – აზრს მოკლებულია.“<sup>37</sup>

### 1.2.3 დაცულია თუ არა კომპეტენციაზე დადგენილების გასაჩივრებისთვის კანონით განსაზღვრული ვადა?

მხარეს აქვს უფლება, გაასაჩივროს არბიტრაჟის დადგენილება კომპეტენციის შესახებ, ამ დადგენილებაზე შეტყობინების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.<sup>38</sup>

<sup>34</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 7 მარტის განჩინება საქმეზე №2ბ/1382-17.

<sup>35</sup> ამონარიდი საქმიდან ნანახია CRRC საქართველოს კვლევაში „არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში“ (2018), გვ. 33.

<sup>36</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 5 ივლისის განჩინება საქმეზე №2ბ/275.

<sup>37</sup> გენერალური ასამბლეის ოფიციალური ჩანაწერები, მე-40 სესია, დანამატი №17 (A/40/17), დანართი I, § 163.

<sup>38</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 16.5.

აღნიშნული ვადის გაშვება შეიძლება გახდეს განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის საფუძველი, თუ სასამართლო არ გაიზიარებს მხარის დასაბუთებას, რომ ვადის გაშვება საპატიო იყო. მხარემ, განცხადების წარდგენასთან ერთად, უნდა დაასაბუთოს, რომ ვადის გაშვება საპატიოა, რათა სასამართლოს მიეცეს შესაძლებლობა, განცხადების წარმოებაში მიღების ეტაპზევე განიხილოს ეს საკითხი.<sup>39</sup> სასამართლომ ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე<sup>40</sup> უარი თქვა განცხადების წარმოებაში მიღებაზე იმ მოტივით, რომ მხარემ არ დაიცვა კანონის 16.5 მუხლით დადგენილი 30-დღიანი ვადა და არც მიუთითა ვადის გაშვების შესაძლო საპატიო მიზეზზე. სასამართლოს დასაბუთებიდან ირკვევა, რომ „*მოსარჩელეს აკისრია ფაქტების მითითებისა და ამ ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენის ტვირთი.*“ კერძოდ, მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს, როდის გახდა მისთვის ცნობილი არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ, და რომ ვადის გაშვება იყო საპატიო.

ფრანკფურტის უმაღლესმა რეგიონულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე,<sup>41</sup> რომელიც ეხებოდა არბიტრაჟის კომპეტენციას, დაადგინა, რომ თუ მხარე სასამართლოს მიმართავს 30-დღიანი ვადის განმავლობაში, ეს ვადა ჩაითვლება დაცულად, თუნდაც განმცხადებელმა შეცდომით არასწორ სასამართლოს მიმართოს.

გასაჩივრებისთვის დადგენილი 30-დღიანი ვადის გაშვება, საპატიო მიზეზის გარეშე, მხარეს უკარგავს უფლებას, კანონის 16.5 მუხლის საფუძველზე გაასაჩივროს არბიტრაჟის დადგენილება კომპეტენციის შესახებ. თუმცა, ეს ავტომატურად არ გამორიცხავს საარბიტრაჟო ტრიბუნალის კომპეტენციის

<sup>39</sup> მხარეს აქვს შესაძლებლობა, განიხილოს განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ გაასაჩივროს კერძო საჩივრით.

<sup>40</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 3 სექტემბრის განჩინება (სასამართლოს მიერ მოწოდებულ განჩინებაში არ იკითხება საქმის ნომერი).

<sup>41</sup> ფრანკფურტის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2001 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3 Sch 02/00 ნანახია: Alan Uzela, “Jurisdiction Of The Arbitral Tribunal: Current Jurisprudence And Problem Areas Under The UNCITRAL Model Law”, *International Arbitration Law Review*, (2005), გვ. 156.

საკითხზე შედავებას საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ, მისი გაუქმებისა თუ ცნობა-აღსრულების ეტაპზე. გასათვალისწინებელია უფლებაზე უარის თქმის ზოგადი პრინციპი, რომლის მიხედვითაც, თუ მხარე არ გამოიყენებს მისთვის მინიჭებულ შედავების უფლებას, ის კარგავს მომავალში ამ უფლების გამოყენების შესაძლებლობას (შედავების უფლების გაქარწყლება).<sup>42</sup> აღნიშნულ საკითხზე დამატებით მსჯელობა იხილეთ ამ გზამკვლევის

### **1.3 რა უნდა შეამოწმოს სასამართლომ არბიტრაჟის არაკომპეტენტურად ცნობის თაობაზე განცხადების განხილვისას?**

მას შემდეგ, რაც წარმოებაში მიიღებს კანონის 16.5 მუხლის საფუძველზე წარმოდგენილ განცხადებას, სასამართლომ უნდა იმსჯელოს, არსებობს თუ არა განცხადების დაკმაყოფილების საფუძველი. ამ შეფასებისას სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს შემდეგ გარემოებებზე:

- 1.3.1 დაკმაყოფილებულია თუ არა არბიტრაჟის დადგენილების გასაჩივრებისთვის მე-16 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობა?
- 1.3.2 არსებობს თუ არა მატერიალური საფუძველი არბიტრაჟის არაკომპეტენტურად ცნობისათვის?
- 1.3.3 ვის ეკისრება არბიტრაჟის არაკომპეტენტურობის მტკიცების ტვირთი?

#### **1.3.1 დაკმაყოფილებულია თუ არა არბიტრაჟის დადგენილების გასაჩივრებისთვის მე-16 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობა?**

არბიტრაჟის კომპეტენციის სასამართლოში გასაჩივრების მთავარი წინაპირობაა საარბიტრაჟო წარმოებისას იურისდიქციასთან დაკავშირებული პრეტენზიის დროული წარდგენა მხარის მიერ.

<sup>42</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 31.

## **როდის უნდა წარმოადგინოს მხარემ იურისდიქციასთან დაკავშირებული პრეტენზია საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინაშე?**

მხარემ განცხადება არბიტრაჟის არაკომპეტენურობასთან დაკავშირებით შეიძლება გააკეთოს საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენამდე.<sup>43</sup> კანონის ამ მოთხოვნის მიზანია, საარბიტრაჟო ტრიბუნალის იურისდიქციასთან დაკავშირებული პრეტენზიის გამოკვეთა საქმის განხილვის ადრეულ ეტაპზე. თუმცა, კანონის ამ მოთხოვნის ვიწროდ გაგებამ შეიძლება მიგვიყვანოს იმ დასკვნამდე, რომ იურისდიქციასთან დაკავშირებული პრეტენზია ტრიბუნალს უნდა წარედგინოს ცალკე – შესაგებლის წარდგენამდე. აღნიშნული მუხლის ფორმულირება ხარვეზიანია და მიმდინარეობს მუშაობა საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომლის მიხედვითაც, მხარეს იურისდიქციაზე პრეტენზიის წარდგენა შეეძლება საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენამდე, ან მასთან ერთად. მუხლის ამგვარი ჩამოყალიბება თანხვედრაში იქნება მოდელური კანონის 16.2 მუხლის ტექსტთან, რომლის თანახმადაც, ამგვარი პრეტენზიები მხარემ შეიძლება წარმოადგინოს „არაუგვიანეს საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენისა“.

კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული, რომ მხარის მონაწილეობა არბიტრების დანიშვნაში არ ნიშნავს მის თანხმობას ტრიბუნალის იურისდიქციაზე და მას კვლავ რჩება უფლება, ეს კომპეტენცია სადავო გახადოს.<sup>44</sup> ტრიბუნალის ფორმირება პროცესუალური მოქმედებაა, რომელიც საჭიროა მხარეთა პრეტენზიების, მათ შორის, იურისდიქციასთან დაკავშირებული ნებისმიერი შესაგებლის განხილვისათვის.

თუ არბიტრაჟის არაკომპეტენტურობის გარემოებები მხარისთვის უცნობია საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენის დროისათვის, კანონი ითვალისწინებს გამონაკლისს.<sup>45</sup> ასეთ შემთხვევაში, მხარეს პრეტენზიის წარსადგენად ეძლევა 7-დღიანი ვადა ამ გარემოებების შეტყობიდან.

<sup>43</sup> იქვე. მუხლი 16.2.

<sup>44</sup> იქვე.

<sup>45</sup> იქვე. მუხლი 16.3.

საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ასევე ასახულია კანონის 31-ე მუხლში,<sup>46</sup> რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს, რომ მხარე კარგავს შედეგების უფლებას, თუკი ამგვარი შეპასუხებისთვის დადგენილ ვადაში არ წარადგენს შესაგებელს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და გააგრძელებს მონაწილეობას საარბიტრაჟო წარმოებაში.

მოდელური კანონის მოსამზადებელი მასალების მიხედვით, მხარე კარგავს უფლებას, გაასაჩივროს არბიტრაჟის კომპეტენცია როგორც მე-16, ასევე 34-ე მუხლის (შეესაბამება საქართველოს კანონის 42-ე მუხლს) კონტექსტში, თუ დროულად არ დააყენებს პრეტენზიას საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინაშე.<sup>47</sup>

ეს მიდგომა გამყარებულია საერთაშორისო დონეზე მრავალი ქვეყნის სასამართლოების მიერ.<sup>48</sup> მოსკოვის საქალაქო სასამართლომ განიხილა საქმე,<sup>49</sup> რომელშიც განმცხადებელი ითხოვდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას იმ საფუძველით რომ (1) მხარეთა შორის არ არსებობდა საარბიტრაჟო შეთანხმება, რადგან მოხდა შეთანხმების მხარის ლიკვიდაცია და ის არ წარმოადგენდა მის სამართალმემკვიდრეს; და (2) რომ არსებულ საარბიტრაჟო დათქმაში საქმის განხილვა უნდა წარმოებულყო სსრკ-ის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საარბიტრაჟო სასამართლოში, მაშინ, როდესაც საქმე განიხილა რუსეთის ფედერაციაში საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის ტრიბუნალმა. სასამართლომ განიხილა მოპასუხის მხარის არგუმენტები და გამოარკვია,

---

<sup>46</sup> იქვე. მუხლი 31: „თუ ამ კანონის რომელიმე მოთხოვნა, რომლისგანაც მხარეებს შეუძლიათ გადაუხვიონ, ან/და საარბიტრაჟო შეთანხმების რომელიმე მოთხოვნა არ იქნა დაცული და მხარე აგრძელებს საარბიტრაჟო წარმოებაში მონაწილეობას ისე, რომ ამგვარი დარღვევის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ ან/და, თუ ამ კანონით, მხარეთა შეთანხმებით ან არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულია რაიმე ვადა, ამ ვადის განმავლობაში წერილობით არ წარადგენს თავის შესაგებელს, მაშინ ჩაითვლება, რომ მან უარი თქვა შეპასუხების უფლებაზე.“

<sup>47</sup> მოდელური კანონის სამუშაო ტექსტის ანალიტიკური კომენტარი, დოკუმენტის ნომერი A/CN.9/264, მე-16 მუხლი, § 6; 9. ასევე იხ. UNCITRAL Digest 2012, გვ. 78, § 13.

<sup>48</sup> UNCITRAL Digest 2012, გვ. 79, § 14; ასევე იხ. სელის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2003 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №8 Sch; ინგლისისა და უელსის უმაღლესი სასამართლოს 2018 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Exportadora de Sal S.A. de C.V. v Corretaje Marítimo Sud-Americano Inc [2018] EWHC 224 (Comm)*, (2018) All ER (D) 93.

<sup>49</sup> მოსკოვის საქალაქო სასამართლოს 1995 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება.



რომ მოპასუხეს საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინაშე არ ჰქონდა წარმოდგენილი პრეტენზია იურისდიქციასთან დაკავშირებით. მოპასუხემ საარბიტრაჟო წარმოების ფარგლებში მიუთითა მხოლოდ სამართალმემკვიდრეობის საკითხზე ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების კონტექსტში. სასამართლომ აღნიშული არ მიიჩნია ტრიბუნალის კომპეტენციის პრეტენზიად. დამატებით, მოპასუხეს არც საარბიტრაჟო ინსტიტუტის საკითხი ჰქონდა დაყენებული საარბიტრაჟო წარმოებისას. შესაბამისად, სასამართლომ მოდელური კანონის 16.3 მუხლზე მითითებით, დაადგინა, რომ მხარე, რომელიც საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინაშე არ დააყენებს კომპეტენციის შესახებ პრეტენზიას, კარგავს უფლებას, მოითხოვოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება მოდელური კანონის მე-16 და 34-ე<sup>50</sup> მუხლის საფუძველზე.

ამ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი მსჯელობა იხილეთ ამ გზამკვლევის

### 1.3.2 არსებობს თუ არა მატერიალური საფუძველი არბიტრაჟის არაკომპეტენტურად ცნობისათვის?

მას შემდეგ, რაც სასამართლო დარწმუნდება, რომ მხარემ სათანადოდ დააკმაყოფილა კანონის 16.5 მუხლის წინაპირობა არბიტრაჟის კომპეტენციის ტრიბუნალის წინაშე წარმოდგენასთან დაკავშირებით, ის ამოწმებს, რამდენად არსებობს საფუძველი არბიტრაჟის არაკომპეტენტურად ცნობისათვის.

არბიტრაჟის კომპეტენციასთან დაკავშირებული პრეტენზიების საფუძველი შეიძლება იყოს მრავალი გარემოება, რომელთაგან უმეტესი დაკავშირებულია საარბიტრაჟო დათქმასთან. ამ საფუძვლების უმრავლესობას განიხილავს პირველი გზამკვლევის I თავი, რომელშიც კანონის მე-9 მუხლთან დაკავშირებით, ასახულია საარბიტრაჟო დათქმის ნაკლებობის, ბათილობისა და ნამდვილობის შემთხვევები. შესაბამისად, წინამდებარე გზამკვლევაში მხოლოდ მოკლედაა ნახსენები ეს საფუძვლები.

---

<sup>50</sup> შესაბამისად არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 42-ე მუხლს.

- ✘ არბიტრაჟი არაკომპეტენტურია საარბიტრაჟო დათქმის არარსებობის ან ბათილობის გამო** – ეს ის შემთხვევებია, როდესაც საარბიტრაჟო დათქმა ბათილია მხარეთა ნების გამოვლენის ნაკლის გამო, ან სახეგმა ბათილობის სხვა საფუძვლები (მხარეთა ქმედუნარობა, ფორმასთან დაკავშირებული საკითხები, და ა.შ.).
- ✘ არბიტრაჟი არაკომპეტენტურია საარბიტრაჟო დათქმის შესრულების შეუძლებლობის ან ძალადაკარგულობის გამო** – ასეთ შემთხვევებში, საარბიტრაჟო დათქმის რომელიმე პირობა შეუძლებელს ხდის მის აღსრულებას; ხოლო ძალადაკარგულობის შემთხვევაში, საარბიტრაჟო დათქმა სხვადასხვა გარემოების გამო ძალადაკარგულია, რაც იმთავითვე გამორიცხავს არბიტრაჟის კომპეტენტურობას (მაგ: დათქმის მოქმედებისთვის ვადის განსაზღვრა და მისი ამონურვა).
- ✘ არბიტრაჟი არაკომპეტენტურია საარბიტრაჟო დათქმის პირობების დარღვევის გამო** – საარბიტრაჟო დათქმის დარღვევის გამო, არბიტრაჟის არაკომპეტენტურობა შეიძლება უკავშირდებოდეს ისეთ საკითხებს, როგორცაა: არასწორ საარბიტრაჟო ინსტიტუტში წარმოების დანყება, არბიტრთა დანიშვნის პროცედურის დარღვევა და ა.შ.;
- ✘ მხარეთა საარბიტრაჟო სასარჩელო მოთხოვნები სცდება არბიტრაჟის უფლებამოსილების ფარგლებს** – ასეთ შემთხვევებში, საქმე გვაქვს საარბიტრაჟო სასარჩელო მოთხოვნების სამართლებრივ ბუნებასა (1) და საარბიტრაჟო დათქმის შესაძლო სახელშეკრულებო შეზღუდვებთან (2). პირველი გამომდინარეობს არბიტრაჟის განხილვას დაქვემდებარებული დავების კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვებიდან<sup>51</sup> (არბიტრაჟუნარიანობა). მაგალითად, განსახილველია დავა, რომლის არბიტრაჟის გზით გადანყვეტაც არ შეიძლება, თავისი შინაარსიდან გამომდინარე; მეორე სახის შემთხვევები გამომდინარეობს სახელშეკრულებო შეზღუდვებიდან. მხარეებს აქვთ უფლება, ხელშეკრულებით შეზღუდონ არბიტრაჟს დაქვემდებარებული განხილვის საკითხები.

<sup>51</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8; საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 48.7; ასევე იხ. ამ გზამკვლევის და პირველი გზამკვლევის 1.4.1 ქვეთავი.

მაგალითად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებს გადაწყვეტენ არბიტრაჟით, ხოლო ხელშეკრულების დარღვევის საკითხს დაუქვემდებარებენ სასამართლოს. ამ შემთხვევაში, თუ მხარე წარადგენს საარბიტრაჟო სასარჩელო მოთხოვნას, რომელიც ასევე ეხება ხელშეკრულების დარღვევას, არბიტრაჟი, სახელშეკრულებო შეზღუდვიდან გამომდინარე, არ არის კომპეტენტური ამ კონკრეტული მოთხოვნის განსახილველად.

### 1.3.3 ვის აკისრია არბიტრაჟის არაკომპეტენტურად ცნობის მტკიცების ტვირთი?

არბიტრაჟის არაკომპეტენტურად ცნობის მტკიცების ტვირთი, მათ შორის, როგორც დასაბუთება, რომ განცხადება დადგენილ ვადაშია წარდგენილი, დაცულია წინაპირობები, ისე არაკომპეტენტურად ცნობის მატერიალური საფუძვლების არსებობა, ეკისრება განმცხადებელ მხარეს.<sup>52</sup>

არბიტრაჟის საკითხებს სასამართლო შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით განიხილავს. შესაბამისად, სასამართლოს ინკვიზიციურობის დონე ამგვარ საქმეებზე შეზღუდულია. ამდენად, სასამართლო უნდა დაეყრდნოს იმ მტკიცებულებებსა და სამართლებრივ არგუმენტებს, რომლებიც წარმოდგენილია მხარეების მიერ.

## 1.4 რა სტანდარტს იყენებს სასამართლო არბიტრაჟის კომპეტენციის შემოწმებისას?

არბიტრაჟის კომპეტენციაზე გადაწყვეტილების შემოწმების სტანდარტის განსაზღვრა პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს, განსაკუთრებით, მხარის მიერ ტრიბუნალის წინაშე წარმოდგენილი პრეტენზიების შინაარსიდან გამომდინარე. აქ ისმის კითხვა, შეუძლია თუ არა მხარეს, სასამართლოს წარუდგინოს ისეთი პრეტენზიები, რომლებიც ტრიბუნალის წინაშე არ დაუყენებია? აღნიშნული საკითხის განხილვისას აუცილებელია კანონის 31-ე მუხლით გამყარებული შედავების უფლების გაქარწყლების პრინციპის

<sup>52</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 3 სექტემბრის განჩინება (სასამართლოს მიერ წარმოდგენილ განჩინების ტექსტში არ იკითხება საქმის ნომერი).

გათვალისწინება. ლოგიკურია, რომ თუ მხარეს ტრიბუნალის წინაშე პრეტენზია დადგენილ ვადაში არ წარმოუდგენია, იგი კარგავს უფლებას, დაეყრდნოს მას მომავალში. თუმცა, საერთაშორისო პრაქტიკაშიც არ არის ცალსახა, ეს მხოლოდ ზოგადად პრეტენზიის დაყენებაზე ვრცელდება (როგორც ფაქტზე), თუ მის სამართლებრივ და ფაქტობრივ დასაბუთებაზეც. ამ კითხვაზე პასუხს კი შემონმების სტანდარტი განსაზღვრავს.

საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელებულია არბიტრაჟის კომპეტენციაზე გადაწყვეტილების შემონმების ორი სტანდარტი – შეზღუდული შემონმების სტანდარტი (1.4.1) და არსებითი შემონმების ანუ *de novo* სტანდარტი (1.4.2). ხშირად ეს საკითხი არ არის მოწესრიგებული საკანონმდებლო რეგულაციებით, რის გამოც მსოფლიოში არაერთგვაროვანია მიდგომა მის მართ და პრაქტიკაში რთული განსაჯვრეტია სასამართლოში შედავების მოცულობის დასაშვებობა. საქართველოშიც კანონი არ იძლევა განმარტებას, რომელი სტანდარტი უნდა იყოს გამოყენებული; ამდენად, აღნიშნული საკითხი სასამართლო პრაქტიკით უნდა ჩამოყალიბდეს.

### 1.4.1 რას ნიშნავს შემონმების შეზღუდული სტანდარტი?

შემონმების შეზღუდული სტანდარტი მოიაზრებს ისეთ შემონმებას, როდესაც სასამართლო განიხილავს საარბიტრაჟო ტრიბუნალის დასაბუთებას თავის კომპეტენციასთან დაკავშირებით და შემოიფარგლება გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი არგუმენტაციით, ხოლო განმცხადებელის არგუმენტაციიდან ეყრდნობა მხოლოდ იმ პრეტენზიებს, რომლებიც წარედგინა საარბიტრაჟო ტრიბუნალს. ამგვარი შემონმების სტანდარტის შემთხვევაში, სასამართლო არ დაუშვებს ისეთ პრეტენზიებს და არ გამოიყენებს ისეთ არგუმენტებს, რომლებიც არ იყო წარმოდგენილი საარბიტრაჟო წარმოების ფარგლებში.

ამასთან, ფაქტების და სამართლებრივი დასკვნების შეფასებისას სასამართლო ყველა საკითხს დეტალურად არ შეისწავლის. ამ შემთხვევაში გავრცელდება სასამართლო შემონმების იგივე სტანდარტი, რომელსაც იყენებენ საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შემონმებისას. სასამართლო იმოქმედებს პრეზუმფციით, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა საფუძვლიანად შეისწავლა ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი არგუმენტაცია.

კანადის ერთ-ერთმა სასამართლომ განიხილა საქმე, რომელშიც საარბიტრაჟო ტრიბუნალის კომპეტენციის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო. მოსარჩელე მხარემ საარბიტრაჟო წარმოება დაიწყო კანადის ქალაქ კალგარიში. მოპასუხე მხარემ დააყენა პრეტენზია არბიტრაჟის კომპეტენციასთან დაკავშირებით – იმ საფუძველით, რომ მხარეები საარბიტრაჟო განხილვის ადგილად ლონდონზე შეთანხმდნენ. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მოპასუხის პრეტენზია არ დააკმაყოფილა და საქმეზე თავისი იურისდიქცია დაიდგინა. მოპასუხემ მოდელური კანონის 16.3 მუხლით გასაჩივრა ტრიბუნალის აღნიშნული გადაწყვეტილება და სასამართლოს მისი სრული გადასინჯვა მოსთხოვა. სასამართლომ იმსჯელა შეფასების სტანდარტზე და მიუთითა, რომ, როგორც წესი, სასამართლოები ვერ იძებნიან კომერციული საარბიტრაჟო ტრიბუნალების გადაწყვეტილებათა სიღრმისეულ გადასინჯვას. შესაბამისად, მოდელური კანონის 16.3 მუხლის საფუძველზე გასაჩივრებული გადაწყვეტილებების შემონგებისას, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს „*მინიმუმ, გონივრულობისა და, მაქსიმუმ, თავშეკავებულობისა და პატივისცემის სტანდარტით.*“<sup>53</sup> პრაქტიკაში, ამ გადაწყვეტილებით ჩამოყალიბებული სტანდარტით, სასამართლო სიღრმისეულად არ ამოწმებს არბიტრაჟის გადაწყვეტილებას, რადგან მოქმედებს პრეზუმფციით, რომ საკითხი სრულად და ყოვლისმომცველად თავად არბიტრაჟმა შეისწავლა. ამავე გადაწყვეტილებით, მხარის (საკმაოდ მაღალი) მტკიცების სტანდარტია, რომ ტრიბუნალმა დაუშვა შეცდომა კომპეტენციის საკითხის გადაწყვეტისას. ეს მიდგომა არ არის ფართოდ გავრცელებული.

შემდგომი შეფასების სტანდარტის მაგალითია ზემოთ განხილული მოსკოვის საქალაქო სასამართლოს საქმეც<sup>54</sup> ( ). ამ საქმეში სასამართლომ არ დაუშვა მხარის ისეთი არგუმენტები არბიტრაჟის იურისდიქციის არქონასთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოდგენილი არ იყო საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინაშე.

<sup>53</sup> ალბერტას დედოფლის კარის სასამართლოს 2005 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Ace Bermuda Insurance Ltd. v. Allianz Insurance Company of Canada (Court of Queen's Bench of Alberta, Canada, 21 December 2005, [2005] ABQB 975 (CanLII))*, § 32. კანადის ამ პროვინციის საარბიტრაჟო კანონმდებლობა მოდელურ კანონზეა დაფუძნებული.

<sup>54</sup> მოსკოვის საქალაქო სასამართლოს 1995 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება.

აღნიშნული სტანდარტის გამოყენება თანხვედბა კანონის 31-ე მუხლში გათვალისწინებულ შედავების უფლების გაქარწყლებასთან.

#### 1.4.2 რას ნიშნავს არსებითი (*de novo*) შემონმების სტანდარტი?

საარბიტრაჟო ტრიბუნალის კომპეტენციის საკითხის არსებითი შემონმების სტანდარტის გამოყენებისას სასამართლო შესწავლის მხარის არგუმენტებსა და მტკიცებულებებს, ასევე, საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადანყვეტილებას და უშვებს სხვა არგუმენტებსაც, რომლებიც შესაძლოა არ განხილულა საარბიტრაჟო წარმოების ფარგლებში.

სინგაპურის უმაღლესი სასამართლოს ერთ-ერთ საქმეში, მოდელური კანონის 16.3 მუხლის საფუძველზე, გასაჩივრდა არბიტრაჟის შუალედური გადანყვეტილება კომპეტენციის შესახებ. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უარყო მოპასუხე მხარის არგუმენტაცია, რომლის თანახმადაც, მხარეთა შორის არ იყო დადებული ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმება. მოპასუხემ გაასაჩივრა ეს გადანყვეტილება იმ არგუმენტებზე დაყრდნობით, რომლებიც, მოსარჩელე მხარის აზრით, სცდებოდა მის მიერ საარბიტრაჟო წარმოების ფარგლებში წარმოდგენილ სამართლებრივ საფუძველებს. მოსარჩელე მხარე ამტკიცებდა, რომ ეს არგუმენტები არ არის დასაშვები მოდელური კანონის 16.3 მუხლის კონტექსტში და სასამართლომ კომპეტენციის საკითხი უნდა განიხილოს მხოლოდ საარბიტრაჟო წარმოების ფარგლებში წარმოდგენილ არგუმენტაციაზე დაყრდნობით. სასამართლომ განმარტა, რომ ამ მუხლის საფუძველზე განხორციელებული შემონმება არ არის „გადაწყვეტილების აპელაცია“ კლასიკური გაგებით. შესაბამისად, განმცხადებელ მხარეს ჰქონდა უფლება, წარმოედგინა ახალი სამართლებრივი არგუმენტაცია, მათ შორის ისეთიც, რომელიც არბიტრაჟის მიერ კომპეტენციის საკითხის განხილვისას არ წარუდგენია. თუმცა, მას არ ეძლევა უფლება, ახალი სამართლებრივი არგუმენტაცია წარმოადგინოს ახალ ფაქტებზე დაყრდნობით. დამატებით, სასამართლომ განმარტა: „სასამართლო, რომელიც აფასებს საარბიტრაჟო ტრიბუნალის იურისდიქციაზე გადანყვეტილებას მოდელური კანონის მე-16

მუხლის საფუძველზე, თავისუფალია ამ საკითხის შეფასებაში და არ არის შემლუდული ტრიბუნალის დასკვნებითა და დასაბუთებით.<sup>55</sup>

შემონშების ამ სტანდარტის გამოყენებისას კითხვის ნიშნის ქვეშ დგება კანონის 31-ე მუხლით გათვალისწინებული შედავების უფლების გაქარწყლება. ამდენად, სასამართლომ ამ სტანდარტით გადაწყვეტილების შეფასებისას ყურადღება უნდა გაამახვილოს ამ მუხლის კონტექსტზე.

## **1.5 რა ვადაში და ფორმით განიხილება განცხადება არბიტრაჟის არაკომპეტენტურად ცნობის თაობაზე?**

სასამართლო არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ განცხადებას განიხილავს მისი წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში.<sup>56</sup>

შესწავლილი პრაქტიკიდან ირკვევა, რომ სასამართლო არბიტრაჟის კომპეტენციის საკითხებს უფრო ხშირად განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე.<sup>57</sup> თუმცა, გვხვდება ისეთი საქმეებიც, რომლებშიც ეს საკითხი სასამართლომ ზეპირი მოსმენით განიხილა.<sup>58</sup>

ქართული კანონმდებლობა პირდაპირ არ აწესრიგებს კანონის მე-16 მუხლიდან გამომდინარე განცხადებების განხილვის ფორმას. შესაბამისად, განხილვის ფორმა სასამართლოს ზოგად დისკრეციამზეა დამოკიდებული. შესაძლოა, სასამართლომ იხელმძღვანელოს არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებისთვის დადგენილი წესით. ამ წესის მიხედვით, განცხადება განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე, მაგრამ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ზეპირი განხილვაც, თუკი ამას საჭიროდ მიიჩნევს.<sup>59</sup> საკითხის ამგვარი გადაწყვეტა უზრუნველყოფს საქმის განხილვას კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე.

<sup>55</sup> სინგაპურის უმაღლესი სასამართლოს 2003 წლის 10 სექტემბერის გადაწყვეტილება საქმეზე *PT Tugu Pratama Indonesia v. Magma Nusantara Ltd.*

<sup>56</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 16.5.

<sup>57</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 10 აპრილის განჩინება საქმეზე №2ბ/79-16 და 2017 წლის 20 ივლისის განჩინება საქმეზე №2/4032-17. უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოებიდან გამოთხოვილ რიგ საქმეებზე აღნიშნული საკითხი არ იყო მითითებული განჩინების ტექსტში.

<sup>58</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 6 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2/16444-14.

<sup>59</sup> სსკ, მული 356<sup>21</sup>.2.

განურჩევლად იმისა, რომელ ფორმას განსაზღვრავს სასამართლო ამ განცხადების განხილვისათვის, ორივე მხარეს უნდა მიეცეს საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის შესაძლებლობა. ეს სასამართლოს მისცემს საშუალებას, განსახილველი საკითხის გადანყვეტისას გაითვალისწინოს და სათანადოდ შეაფასოს ორივე მხარის არგუმენტები.

## **1.6 როგორია სასამართლოს მიერ არბიტრაჟის კომპეტენციასთან დაკავშირებით მიღებული გადანყვეტილების შედეგები?**

კომპეტენციასთან დაკავშირებული განცხადების განხილვისას სასამართლომ შეიძლება კომპეტენტურად (1.6.1) ან, პირიქით, არაკომპეტენტურად ცნოს არბიტრაჟი (1.6.2) და, შედეგებიც, შესაბამისად, სხვადასხვანაირი დადგეს.

### **1.6.1 არბიტრაჟის კომპეტენციის მქონედ ცნობის შედეგები**

თუ სასამართლო არბიტრაჟს კომპეტენტურად ცნობს, ის უკვე სასამართლოს მიერ დადგენილი უფლებამოსილის ფარგლებში გააგრძელებს დავის განხილვას.<sup>60</sup> ამ შემთხვევაში არბიტრაჟის კომპეტენცია სასამართლოს მიერ იქნება შემონიშნული და დადასტურებული. სასამართლოს აღნიშნული გადანყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.<sup>61</sup>

ისმის კითხვა, შეუძლია თუ არა მხარეს კომპეტენციაზე კვლავ შედავება გაუქმების ან ცნობა-აღსრულების ეტაპზე? როგორც საქართველოს კანონი, ისე მოდელური კანონი პირდაპირ არ პასუხობს ამ კითხვას. მაგრამ თუ მხარეს გაუქმების ან ცნობა-აღსრულების ეტაპზე მიეცემა შესაძლებლობა, კვლავ იდავოს ამ საკითხზე, უგელებელყოფილი იქნება სასამართლოს მიერ კანონის მე-16 მუხლის კონტექსტში მიღებული საბოლოო გადანყვეტილების პრეიუდიციული ძალა.<sup>62</sup>

<sup>60</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, 16.5 მუხლით არბიტრაჟს შეუძლია დავის განხილვა გააგრძელოს სასამართლოში, ამ მუხლის საფუძველზე წარდგენილი განცხადების მიუხედავად.

<sup>61</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 16.5; სსსკ, მუხლი 356<sup>16</sup>.3

<sup>62</sup> სსსკ, მუხლი 272.ბ: „არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.“



ამასთან, თუ გაუქმების ან ცნობა-აღსრულების ეტაპზე შესაძლებელი იქნება არბიტრაჟის არაკომპეტენტურად ცნობა იმავე საფუძვლებით, რომლებსაც მოიაზრებს კანონის მე-16 მუხლით შედავება, მივიღებდით ერთი დონის სასამართლოს ურთიერთსანიშნავდევო პრაქტიკას. ეს იმიტომ, რომ როგორც არბიტრაჟის კომპეტენციის, ისე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და ცნობა-აღსრულების განცხადებას განიხილავენ სააპელაციო სასამართლოები.

აქედან გამომდინარე, მსგავსი შედავება გადაწყვეტილების გაუქმების ან ცნობა-აღსრულების ეტაპზე არ უნდა იყოს დაშვებული.

## 1.6.2 არბიტრაჟის არაკომპეტენტურად ცნობის შედეგები

არბიტრაჟის არაკომპეტენტურად ცნობა გავლენას ახდენს დავის განმხილველი ორგანოს განსაზღვრასა (1.6.2.1) და არბიტრაჟის პროცესში მიღებულ გადაწყვეტილებათა სამართლებრივ შედეგებზე (1.6.2.2).

### 1.6.2.1 შედეგები, რომლებიც უკავშირდება დავის განმხილველ ორგანოს

თუ სასამართლო არბიტრაჟს ცნობს არაკომპეტენტურად, მან უნდა მიუთითოს მხარეებს დავის განმხილველი კომპეტენტური ორგანო, კანონის 16.5 მუხლისა და სსსკ-ის 356<sup>16</sup>.4 მუხლის საფუძველზე.

არბიტრაჟის არაკომპეტენტურად ცნობის ზემოთ განხილული საფუძვლების შესაბამისად, შედეგები შეიძლება იყოს შემდეგნაირი:

## საფუძველი

## შედეგი

<p>არბიტრაჟი არაკომპეტენტურია საარბიტრაჟო დათქმის ბათილობის გამო (დათქმის ნამდვილობასთან დაკავშირებული საკითხები)</p>	<p>დავის განხილვის უფლებამოსილება აქვს განსჯად სასამართლოს</p>
<p>არბიტრაჟის არაკომპეტენტურია საარბიტრაჟო დათქმის შესრულების შეუძლებლობის ან ძალადაკარგულობის გამო</p>	<p>დავის განხილვის უფლებამოსილება აქვს განსჯად სასამართლოს</p>
<p>არბიტრაჟი არაკომპეტენტურია საარბიტრაჟო დათქმის პირობების დარღვევის გამო</p>	<p><b>ვარიანტი 1:</b> ზოგადი მიდგომა, რომ როცა საარბიტრაჟო დათქმის დარღვეული პირობების გამოსწორება შესაძლებელია ისე, რომ მხარეთა ნება - დავა არბიტრაჟმა განიხილოს - არ დგება ეჭვქვეშ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს არბიტრაჟს. მაგალითად, თუ ტრიბუნალი არაკომპეტენტურად ცნეს იმის გამო, რომ მისი დანიშნვის წესი არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, მხარეებს შეუძლიათ, თავიდან დაიწყონ საარბიტრაჟო წარმოება. ამ წარმოებაში საარბიტრაჟო ტრიბუნალს, რომელიც დანიშნულია შეთანხმების პირობების შესაბამისად, ექნება ამ დავის განხილვის კომპეტენცია.</p> <p><b>ვარიანტი 2:</b> თუ დარღვეულია საარბიტრაჟო დათქმის პირობები, რომელთა გამოსწორებაც შეუძლებელია, დავის განხილვის უფლებამოსილება აქვს შესაბამის სასა-</p>

მართლოს. მაგალითად, მხარეები შეთანხმდნენ საქმის აღმინისტრირებაზე ისეთი საარბიტრაჟო ინსტიტუტის მიერ, რომელიც დავის წარმოშობის მომენტისთვის აღარ არსებობს (მხარეები ვერ თანხმდებიან ახალ საარბიტრაჟო ინსტიტუტზე). ასეთ შემთხვევაში საარბიტრაჟო შეთანხმების პირობების შესრულება შეუძლებელი იქნება. შესაბამისად, საქმეს განიხილავს სასამართლო.

მხარეთა საარბიტრაჟო სასარჩელო მოთხოვნები სცდება არბიტრაჟის უფლებამოსილების ფარგლებს, ან დავა არ არის არბიტრაჟუნარიანი

**ვარიანტი 1:** თუ წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნებიდან ყველა სცდება არბიტრაჟის შეთანხმებით გათვალისწინებულ ფარგლებს, დავის განხილვის უფლებამოსილება აქვს სასამართლოს.

**ვარიანტი 2:** თუ წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნების მხოლოდ ნაწილი სცდება საარბიტრაჟო დათქმის შეთანხმებულ ფარგლებს, არბიტრაჟს ექნება მხოლოდ იმ მოთხოვნების განხილვის კომპეტენცია, რომლებიც შეთანხმების ფარგლებში ექცევა. დანარჩენი სასარჩელო მოთხოვნების განხილვის უფლებამოსილება აქვს სასამართლოს.

**ვარიანტი 3:** თუ დავა არ არის არბიტრაჟუნარიანი საკანონმდებლო შეზღუდვებიდან გამომდინარე, მას განიხილავს განსჯადი სასამართლო

### 1.6.2.2 შედეგები, რომლებიც უკავშირდება საარბიტრაჟო პროცესში მიღებულ გადაწყვეტილებებს

სსსკ-ის 356<sup>16</sup>.5 მუხლის საფუძველზე, არბიტრაჟის მიერ მიღებულ ყველა გადაწყვეტილება ბათილი ხდება, თუ სასამართლო არბიტრაჟს არაკომპეტენტურად ცნობს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონის 16.5 მუხლის საფუძველზე სასამართლოსთვის მიმართვა არ აჩერებს საარბიტრაჟო წარმოებას. ამავე მუხლის თანახმად, „სასამართლოს მიერ [კომპეტენციის] საკითხის გადაწყვეტამდე, საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება დაიწყოს, გავრძელდეს და გამოტანილ იქნეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.“ შესაბამისად, თუ საარბიტრაჟო წარმოება გრძელდება და/ან გამოტანილია შესაბამისი გადაწყვეტილება, არბიტრაჟის არაკომპეტენტურად ცნობის შედეგები ამ გადაწყვეტილებაზეც გავრცელდება.

## მხარე ითხოვს არბიტრაჟის არაკომპეტენტურად ცნობას<sup>1</sup>

### განცხადების წარმომბეჭდვითი ეტაპი<sup>2</sup> [იხ. 1.2 ქვეთავი]

1. არის თუ არა განცხადება შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს განსჯადი? [იხ. შესავალი; 1.2.1 ქვეთავი]

✘ არა (სასამართლო უარს ამბობს განცხადების წარმომბეჭდვითი მიღებაზე) ✓ დიახ (სასამართლო აგრძელებს შეფასებას)

2. არის თუ არა გასაჩივრებული არბიტრაჟის დადგენილება (გადაწყვეტილება) კომპეტენციის დადგენის თაობაზე? [იხ. 1.2.2 ქვეთავი]

✘ არა (სასამართლო უარს ამბობს განცხადების წარმომბეჭდვითი მიღებაზე) ✓ დიახ (სასამართლო აგრძელებს შეფასებას)

3. დაცულია თუ არა კომპეტენციის შესახებ დადგენილების გასაჩივრებისთვის კანონით განსაზღვრული 30-დღიანი ვადა? [იხ. 1.2.3 ქვეთავი]

✘ არა (სასამართლო უარს ამბობს განცხადების წარმომბეჭდვითი მიღებაზე) ✓ დიახ (სასამართლო იღებს განცხადებას წარმომბეჭდვით)

### განცხადების განხილვა<sup>3</sup> [იხ. 1.3 ქვეთავი]

4. დაკმაყოფილებულია თუ არა არბიტრაჟის დადგენილების გასაჩივრებისთვის მე-16 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობა (დროულად წარადგინა თუ არა მხარემ საარბიტრაჟო წარმოებისას იურისდიქციასთან დაკავშირებული პრეტენზია)? [იხ. 1.3.1 ქვეთავი]

✘ არა (სასამართლო უარს ამბობს განცხადების დაკმაყოფილებაზე) ✓ დიახ (სასამართლო აგრძელებს განხილვას)

5. არსებობს თუ არა მატერიალური საფუძველი არბიტრაჟის არაკომპეტენტურად ცნობისათვის? [იხ. 1.3.2 ქვეთავი]

✘ არა (სასამართლო არ დაკმაყოფილებს განცხადებას და არბიტრაჟს კომპეტენტურად ცნობს) ✓ დიახ (სასამართლო დააკმაყოფილებს განცხადებას და არაკომპეტენტურად ცნობს არბიტრაჟს)

### შედეგები [იხ. 1.6.1 ქვეთავი]

- ტრიბუნალი აგრძელებს საქმის განხილვას სასამართლოს მიერ დადასტურებული კომპეტენციის ფარგლებში.
- მხარეს არ შუქდება დაავადების არბიტრაჟის არაკომპეტენტურობის იგივე არგუმენტები გაუქმება/ცნობა-აღსრულების კონტექსტში


### შედეგები [იხ. 1.6.2 ქვეთავი]

- სასამართლო მიუთითებს მხარეებს დავის განხილველ ორგანოზე;
- არაკომპეტენტურად ცნობილი არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ბათილია საქართველოს ტერიტორიაზე

1 წინამდებარე ცხროლში განხილული საკითხები არ არის ამომწურავი საპროცესო-სამართლებრივი კითხი.

2 განცხადების წარმომბეჭდვითი მიღების უზაპისთვის განსაზღვრული სამი საკითხი კმულატურია.

3 განცხადების დაკმაყოფილებისთვის განსაზღვრული ორი საკითხი კმულატურია.



# 2.

საარბიტრაჟო სარჩელის  
უზრუნველყოფის  
ღონისძიებები





## 2. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები

საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები იმით განსხვავდება „ჩვეულებრივი“ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებისაგან, რომ მათი გამოცემა შეუძლია როგორც სასამართლოს, ისე არბიტრაჟს.<sup>63</sup> მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობა გამორიცხავს სასამართლოს კომპეტენციას დავის არსებით განხილვაზე, ეს არ ვრცელდება მის უფლებამოსილებაზე, გადაწყვიტოს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხი. ამის შესახებ პირდაპირ მიუთითებს როგორც მოდელური კანონი,<sup>64</sup> ისე არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი. ორივე ადგენს არბიტრაჟისა და სასამართლოს პარალელურ კომპეტენციებს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.<sup>65</sup> შესაბამისად, მოსარჩელის გადასაწყვეტია, რომელ ორგანოს მიმართავს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნით – არბიტრაჟს თუ სასამართლოს.

არბიტრაჟის მიერ გამოცემულ უზრუნველყოფის ღონისძიებებთან მიმართებით, წინამდებარე გზამკვლევაში ყურადღება გამახვილდება არა მათი გამოცემის წესსა და პირობებზე, არამედ პროცესის მხოლოდ იმ სამართლებრივ ასპექტებზე, რომლებშიც სასამართლო ერთეობა – ამ ღონისძიებათა ცნობა-აღსრულებაზე.

<sup>63</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 17 და 21.

<sup>64</sup> მოდელური კანონი, მუხლი 9: “საარბიტრაჟო შეთანხმებასთან შეუთავსებელი არაა, რომ მხარემ სასამართლოს მოსთხოვოს სარჩელის უზრუნველყოფა საარბიტრაჟო პროცესის დაწყებამდე, ან პროცესის განმავლობაში და სასამართლომ დააკმაყოფილოს აღნიშნული მოთხოვნა.”

<sup>65</sup> Karl-Heinz Böckstiegel, Stefan Michael Kröll, et al. eds., *Arbitration in Germany: The Model Law in Practice*, 2nd ed. (Kluwer Law International, 2015), გვ. 35. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 17 და 23.



შესაბამისად, ამ თავში განხილულია:

- 2.1 სასამართლოს მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები;
- 2.2 არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობა-აღსრულება.

## 2.1 სასამართლოს მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები

საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სასამართლოს მიერ ეფექტიანი ბერკეტია ნებისმიერი საარბიტრაჟო განხილვისას. ეს შესაძლებლობა მნიშვნელოვანია ადგილობრივი დავების კონტექსტში, იმ თვალსაზრისით, რომ თავად არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება (მისი თავისებურებებისა და ცნობა-აღსრულების მოთხოვნის გამო, რაზეც მეტ ინფორმაციას იხილავთ წინამდებარე გზამკვლევის ) შესაძლოა არ იყოს ეფექტიანი მექანიზმი მხარის მთავარი ინტერესის დასაცავად – მოსალოდნელი ზიანის აცილებისა და გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფისათვის.

სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო საარბიტრაჟო დავებში, იმ სპეციფიკური რისკების გამო, რომლებიც უკავშირდება ასეთ დავებს.<sup>66</sup> კერძოდ, შესაძლებელია, ქონება, რომელზეც საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიექცეს აღსასრულებლად, პირმა ისეთ იურისდიქციაში გადაიტანოს, სადაც არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულება პრობლემურია.<sup>67</sup> ასეთ

<sup>66</sup> Lee Anna Tucker, "Interim Measures under Revised UNCITRAL Arbitration Rules: Comparison to Model Law Reflects both Greater Flexibility and Remaining Uncertainty", *International Commercial Arbitration Brief* Vol. 1, Is. 2 (2011), გვ. 16.

<sup>67</sup> შესაძლოა ისეთი ქვეყანა აირჩიოს, რომელიც არ არის ნიუ იორკის კონვენციის ხელმოწერი, ან სადაც სასამართლოები უფრო „მტრულად“ არიან განწყობილნი არბიტრაჟის მიმართ ან/და არ აღასრულებენ ნიუ იორკის კონვენციას მისი პრინციპებისა და სულისკვეთების შესაბამისად, იხ. Gary B. Born, *International Commercial Arbitration: Commentary and Materials* 2nd ed. (Kluwer Law International, 2001), გვ. 920.

დროს, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება იმ ქვეყნის სასამართლოს მიერ, სადაც ქონება მდებარეობს არბიტრაჟის მიმდინარეობისას – და მხარეს სურს, რომ დავის გადაწყვეტამდე იქ დარჩეს – უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს არბიტრაჟის საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობაში.

წინამდებარე ქვეთავში მიმოხილულია შემდეგი საკითხები:

- 2.1.1 არის თუ არა განცხადება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს სასამართლოს **განსჯადი**?
- 2.1.2 **ვის** შეუძლია, მიმართოს სასამართლოს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნით?
- 2.1.3 **როდის** შეუძლია პირს, მიმართოს სასამართლოს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნით?
- 2.1.4 რა უნდა შეამონწმოს სასამართლომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე **განცხადების წარმოებაში მიღებისას**?
- 2.1.5 რა უნდა შეამონწმოს სასამართლომ, როდესაც **განიხილავს** განცხადებას საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე?

### 2.1.1 არის თუ არა განცხადება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს სასამართლოს განსჯადი?

საქართველოს სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობა, მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა.<sup>68</sup> შესაბამისად, საქართველოს სასამართლოს აქვს იურისდიქცია, მიიღოს გადაწყვეტილება როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ მიმდინარე (ან ჯერ არდამწყობულ) საარბიტრაჟო დავაზე საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს სასამართლო კომპეტენტურია, თუ უზრუნველყოფის

<sup>68</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 23.3.

ღონისძიებები აღსასრულებელია საქართველოში, ან საქართველოს სასამართლოებს (მხოლოდ სააპელაციო სასამართლოებს) აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია.<sup>69</sup>

### 2.1.2 ვის შეუძლია, მიმართოს სასამართლოს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნით?

კანონში მითითებულია, რომ „*მხარეს*“ შეუძლია მიმართოს სასამართლოს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების მოთხოვნით.<sup>70</sup> სსსკ კი უთითებს „*მოსარჩელის*“ უფლებაზე, წარადგინოს შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.<sup>71</sup> მიუხედავად იმისა, რომ „*მხარე*“ ფართო ცნებაა და მოიცავს როგორც მოსარჩელეს, ასევე მოპასუხეს, კანონში მითითებული ტერმინი „*მხარე*“ გულისხმობს მხოლოდ საარბიტრაჟო დავის მოსარჩელეს, რადგან, არსობრივად, ასეთი შუამდგომლობის (რომელიც მიმართულია მოპასუხის საწინააღმდეგოდ) გამოყენების შესაძლებლობა და ინტერესი აქვს მხოლოდ მოსარჩელეს.

აღნიშნულ ტერმინებთან დაკავშირებით, საგულისხმოა ის გარემოება, რომ საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრამდე პირს არ აქვს მხარის/საარბიტრაჟო მოსარჩელის სტატუსი. კერძოდ: სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაზე განმცხადებელ პირს სსსკ უწოდებს „*სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შემტან პირს*“.<sup>72</sup> ამასთან, სსსკ-ის 356<sup>14</sup> მუხლი აზუსტებს, რომ არბიტრაჟთან დაკავშირებული საქმეების განხილვის მიზნებისთვის, „*მხარე არის საარბიტრაჟო შეთანხმების მონაწილე პირი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი*.“ შესაბამისად, კანონში დარჩენილი ტერმინი „*მხარე*“ ფართოდ უნდა განიმარტოს და მოიცავდეს არა მხოლოდ პროცესში მონაწილე პირს, არამედ საარბიტრაჟო შეთანხმების მონაწილესაც, რომელსაც ჯერ არ აქვს მხარის სტატუსი და საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრამდე ითხოვს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას.

<sup>69</sup> საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 20. საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის შემთხვევებს ადგენს ამავე კანონის მუხლები 8-10.

<sup>70</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 23.1.

<sup>71</sup> სსსკ, მუხლი 191.1

<sup>72</sup> იქვე. 192.2.

### 2.1.3 როდის შეუძლია პირს, მიმართოს სასამართლოს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნით?

მოდელური კანონი პირდაპირ უთითებს, რომ მხარეს შეუძლია სასამართლოს მიმართოს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნით, როგორც საარბიტრაჟო პროცესის დაწყებამდე, ისე მის განმავლობაში.<sup>73</sup>

2015 წლის ცვლილებებამდე, საქართველოს კანონი გამორიცხავდა საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას.<sup>74</sup> 2015 წლის ცვლილებების შედეგად კი დადგინდა, რომ სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებები, რაც სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, სსკ-ის 192-ე მუხლით დადგენილი უფლებამოსილება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე.<sup>75</sup>

სასამართლოს როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საარბიტრაჟო დავის დაწყებამდე ზიანის აცილების ან/და არბიტრაჟის საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად. თუ საარბიტრაჟო დავისას მხარეს შეუძლია, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს არბიტრაჟს ან სასამართლოს, ტრიბუნალის შექმნამდე სასამართლო ერთ-ერთი (შესაძლოა ერთადერთიც) ორგანოა, რომელსაც შეიძლება მხარემ მიმართოს.<sup>76</sup> მეორე ასეთი საშუალება არის ე.წ. საგანგებო არბიტრი,<sup>77</sup> რომლის უფლებამოსილებაც დადგენილია სხვადასხვა ინსტიტუტის წესებით.<sup>78</sup>

<sup>73</sup> მოდელური კანონი, მუხლი 9.

<sup>74</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 23.3; 2010 წლის 1 იანვრის რედაქცია პირდაპირ მითითებდა 192-ე მუხლის გამორიცხვებზე.

<sup>75</sup> შეად. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 23.3, 2010 წლის 1 იანვრისა და 2015 წლის 26 მარტის რედაქციები. 2015 წლის რედაქციიდან ამოღებულია მითითება 192-ე მუხლის გამონაკლისზე, რისი მიზანიც, განმარტებითი ბარათის თანახმად, იყო საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრამდე სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების დაშვება.

<sup>76</sup> Karl-Heinz Böckstiegel, Stefan Michael Kröll, et al. eds., *Arbitration in Germany: The Model Law in Practice*, 2nd ed. (Kluwer Law International, 2015), გვ. 35.

<sup>77</sup> არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი (ზვიად კორძაძის გამომცემლობა, 2016) გვ. 27, №65 – „საგანგებო არბიტრი“.

<sup>78</sup> იხ. საერთაშორისო კომერციული პალატის (ICC), დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრის (ICDR), სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის (SIAC), ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (LCIA) და სტოკჰოლმის კომერციული პალატის (SCC) საარბიტრაჟო წესები.

საგანგებო არბიტრის დანიშნულებაა, ძირითადი ტრიბუნალის ფორმირებამდე მხარეებს მისცეს საშუალება, რომ გადაუდებელ შემთხვევაში, უზრუნველყოფის ღონისძიების საკითხი სწრაფად გადაწყვიტოს სპეციალურად დანიშნულმა ერთმა არბიტრმა. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ასეთი გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი არ არის ცალსახა და მარტივი,<sup>79</sup> დავის დაწყებამდე სასამართლოსთვის მიმართვა ყველაზე ეფექტიან საშუალებად რჩება მხარისათვის.

გასათვალისწინებელია, რომ სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის ღონისძიების დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირი ვალდებულია, 10 დღის ვადაში აღძრას სარჩელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო თავისი ინიციატივით, ან მონინააღმდეგე მხარის შუამდგომლობით, გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებაზე.<sup>80</sup>

იგივე რეგულირება ვრცელდება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მიმართაც; თუმცა, ამ შემთხვევაში საგულისხმოა ერთი საკითხი: სასამართლოს არ აქვს წვდომა საარბიტრაჟო სარჩელზე, შესაბამისად, მოკლებულია შესაძლებლობას, საკუთარი ინიციატივით შეამონწმოს, შეიტანა თუ არა მხარემ სარჩელი დადგენილ ვადაში. ამ ვითარებიდან პრაქტიკული გამოსავალი იპოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ და საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების დაკმაყოფილების შესახებ განჩინებით დაავალდებულა მხარე, 10 დღის ვადაში წარმოედგინა საარბიტრაჟო სარჩელის ასლი.<sup>81</sup> შესაბამისად, ასეთი სარჩელის დადგენილ ვადაში წარუდგენლობისას, სასამართლო თავისი ინიციატივითაც გააუქმებდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას.

---

<sup>79</sup> Martin Valasek, Anne de Jong, “Enforceability of interim measures and emergency arbitrator decisions”, *International Arbitration Report*, Is. 10, (2018), გვ. 17.

<sup>80</sup> სსსკ, მუხლი 192.2.

<sup>81</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 17 ნოემბრის განჩინება საქმეზე №2/ბ-1277. სავარაუდოდ, საარბიტრაჟო სარჩელის ასლში მოიაზრება მისი ისეთი ფორმით წარდგენა სასამართლოსთვის, რომელიც ადასტურებს საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას (მაგ.: საარბიტრაჟო ინსტიტუტის მიერ სარჩელის რეგისტრაციის შესაბამისი ბეჭდით დამონება).

მსგავსად, ბევრ ქვეყანაში,<sup>82</sup> საარბიტრაჟო დავის დაწყებამდე, სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მხარე ვალდებულია, კონკრეტულ ვადაში შეიტანოს საარბიტრაჟო სარჩელი.<sup>83</sup> დადგენილ ვადაში საარბიტრაჟო სარჩელის შეუთანლობის შემთხვევაში კი, როგორც წესი, უზრუნველყოფის ღონისძიება უქმდება ვადის გასვლის საფუძვლით.<sup>84</sup>

#### 2.1.4 რა უნდა შეამოწმოს სასამართლომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე განცხადების წარმოებაში მიღებისას?

განცხადება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უნდა აკმაყოფილებდეს სსსკ-ით დადგენილ წინაპირობებს.<sup>85</sup> ქართული კანონმდებლობა სასამართლოს მიერ გამოცემული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიმართ აწესებს ზუსტად იმავე წინაპირობებს, რომლებიც დადგენილია „ჩვეულებრივი“ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებისთვის. ამდენად, გზამკვლევი ამ საკითხს დეტალურად შეეხება.

#### 2.1.5 რა უნდა შეამოწმოს სასამართლომ, როდესაც განიხილავს განცხადებას საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე?

სსსკ-ის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია, გამოსცეს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, თუკი არსებობს მხარეთა შორის

---

<sup>82</sup> ბელგია, ფინეთი, შვედეთი, ესპანეთი, ავსტრია, ნიდერლანდები, შვეიცარია (განხილულია: ახალგაზრდა იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის 2015 წლის კონგრესის, საერთაშორისო არბიტრაჟისა და სასამართლოში საქმის წარმოების კომისიები, მე-9 სამუშაო ვკუფის საერთო ანგარიში „ეროვნული სასამართლოს მონაწილეობა არბიტრაჟში - დახმარება თუ ხელის შეშლა“, გვ. 24-25).

<sup>83</sup> მაგ.: ფინეთსა და შვედეთში - სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში; ავსტრიასა და შვეიცარიის საარბიტრაჟო სარჩელის შეტანის ვადას სასამართლო ადგენს თავისივე გადაწყვეტილებაში (განხილულია: ახალგაზრდა იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის 2015 წლის კონგრესის, საერთაშორისო არბიტრაჟისა და სასამართლოში საქმის წარმოების კომისიები, მე-9 სამუშაო ვკუფის საერთო ანგარიში „ეროვნული სასამართლოს მონაწილეობა არბიტრაჟში - დახმარება თუ ხელის შეშლა“, გვ. 24-25).

<sup>84</sup> იქვე.

<sup>85</sup> სსსკ, მუხლი 191.

საარბიტრაჟო შეთანხმება.<sup>86</sup> შესაბამისად, ამ საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ამონმებს მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობას (2.1.5.1) და უზრუნველყოფის ღონისძიების გამოცემის წინაპირობებს (2.1.5.2).

### 2.1.5.1 არსებობს თუ არა მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმება?

იქიდან გამომდინარე, რომ ზოგადად, არსებობს სასამართლოების მიერ საარბიტრაჟო შეთანხმების შემონმების ორი სტანდარტი – ე.წ. „ერთი შეხედვის“ (*prima facie*) და არსებითი შემონმების სტანდარტი,<sup>87</sup> დასადაგენია, ასეთ დროს, რომელი სტანდარტით ამონმებს სასამართლო საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობას.

*Prima facie* შემონმების სტანდარტის გამოყენების მიზანია მხარისთვის პროცესის გაჭიანურების აღკვეთა. სარჩელის უზრუნველყოფის არსიდან და მიზნებიდან გამომდინარე, სასამართლოს უმოკლეს ვადებში, მოთხოვნიდან 24 საათში გამოაქვს გადაწყვეტილება. ამდენად, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობაში სასამართლო უნდა დარწმუნდეს მხოლოდ ერთი შეხედვით. მეტიც, იმ პირობებში, რომ სასამართლო განცხადებას განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე, მხარეებს არ აქვთ შესაძლებლობა, თავიანთი მოსაზრებები წარმოადგინონ საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობაზე. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, სასამართლო მოკლებულია პრაქტიკულ შესაძლებლობას, გამოიყენოს ნებისმიერი სხვა სტანდარტი *prima facie*-ს გარდა.<sup>88</sup> უფრო მეტიც, ტრიბუნალიც კი *prima facie* სტანდარტით ამონმებს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.<sup>89</sup>

ბუნებრივია, ამ სტანდარტის გამოყენება, თავისი არსით, უტყუარად ვერ ამონმებს საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობას. ამდენად, არსებობს

<sup>86</sup> იქვე. მუხლი 356<sup>18</sup>.1.

<sup>87</sup> პირველი გამკვლევი, 1.2 ქვეთავი.

<sup>88</sup> Ali Yesilirmak, *Provisional Measures in International Commercial Arbitration*, (Kluwer Law International, 2005), გვ. 73.

<sup>89</sup> Chartered Institute of Arbitrators, *International Arbitration Guidelines: Applications for Interim Measures*, 2016, გვ. 5-6.

ალბათობა, რომ სასამართლომ გამოიყენოს *prima facie* სტანდარტი, გამოსცეს უზრუნველყოფის ღონისძიება, ხოლო შემდგომ, შესაბამის ეტაპზე,<sup>90</sup> დადგინდეს (როგორც ტრიბუნალის, ისე სასამართლოს მიერ), რომ საარბიტრაჟო შეთანხმება არ იყო ნამდვილი. ასეთი ალბათობის არსებობა განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული წარმოების მთავარი მიზანია, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. შესაბამისად, სასამართლოც სწორედ მისი გამოყენების მიზანშეწონილობას აფასებს. ამ კონტექსტში, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობა/ნამდვილობის შემოწმება მხოლოდ თანმდევი პროცესია და ეს უნდა გაკეთდეს ზედაპირულად.

### 2.1.5.2 არსებობს თუ არა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოცემის წინაპირობები?

სასამართლოს მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოცემის წინაპირობები იგივეა, რაც „ჩვეულებრივი“ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოცემისას. შესაბამისად, სასამართლო ხელმძღვანელობს სსსკ-ით დადგენილი წესებით.<sup>91</sup>

## 2.2 არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობა-აღსრულება

არბიტრაჟის იურისდიქციის ზოგადი აღიარების მიუხედავად, დიდი ხნის განმავლობაში არბიტრაჟს არ ჰქონდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების უფლებამოსილება. 2006 წელს მოდელური კანონის მე-17 მუხლში შევიდა ცვლილებები, რომლითაც განისაზღვრა ტრიბუნალის უფლებამოსილება – მიიღოს გადაწყვეტილება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებზე, და სასამართლოს როლი – აღასრულოს

---

<sup>90</sup> საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობა/ნამდვილობა შეიძლება იყოს არსებითი განხილვის საგანი არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-9, მე-16, 42-ე და 44-ე მუხლების კონტექსტში.

<sup>91</sup> სსსკ, მუხლი 191.



ასეთი გადაწყვეტილებები.<sup>92</sup> გზამკვლევის წინამდებარე ნაწილი შეეხება ცნობა-აღსრულების საკითხებს; თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებებს ახასიათებს თავისებურებები, რელევანტური ცნობა-აღსრულების ჭრილშიც, დასაწყისში მოკლედ მიმოვიხილავთ მათ.

შესაბამისად, წინამდებარე ქვეთავში მიმოხილულია შემდეგი საკითხები:

- 2.2.1 რა **თავისებურებები** ახასიათებს არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს?
- 2.2.2 არის თუ არა განცხადება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების შესახებ სასამართლოს **განსჯადი**?
- 2.2.3 რა **უნდა წარედგინოს** სასამართლოს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობა-აღსრულების შესახებ **განცხადებასთან ერთად**?
- 2.2.4 რა **ვადაში** და **ფორმით** განიხილავს სასამართლო განცხადებას საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობა-აღსრულების შესახებ?
- 2.2.5 საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების **ცნობასა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები**;
- 2.2.6 რა **შედეგი** მოჰყვება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებას ან მასზე უარის თქმას?

---

<sup>92</sup> Howard M. Holtzmann and Joseph E. Neuhaus, *A Guide to the 2006 amendments to the UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration: Legislative History and Commentary* (Kluwer Law International, 2015), გვ. 164; მოდელური კანონი, მუხლი 17, 17H; Lee Anna Tucker, "Interim Measures under Revised UNCITRAL Arbitration Rules: Comparison to Model Law Reflects both Greater Flexibility and Remaining Uncertainty", *International Commercial Arbitration Brief* Vol. 1, Is. 2 (2011), გვ. 15.

## 2.2.1 რა თავისებურებები ახასიათებს არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს?

არბიტრაჟის სპეციფიკიდან გამომდინარე, არბიტრაჟისა და სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოცემის პირობები განსხვავებულია.

ზოგადი სტანდარტით, სასამართლოსგან განსხვავებით, არბიტრაჟი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოცემის შუამდგომლობას განიხილავს მეორე მხარისათვის შეტყობინებით.<sup>93</sup> ეს განპირობებულია არბიტრაჟში მხარეთა მიერ აზრის გამოთქმის უფლებისა და თანასწორობის პრინციპის დაცვის მნიშვნელობით.<sup>94</sup> მოდელური კანონი, ითვალისწინებს რა ამ პრინციპებს, განასხვავებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ორ სახეს: (1) ე.წ. შუალედური ღონისძიებები,<sup>95</sup> რომლებიც მიიღება მეორე მხარისათვის შეტყობინებისა და მისი პოზიციის მოსმენის შემდეგ,<sup>96</sup> და (2) ე.წ. წინასწარი დადგენილებები, რომლებიც „*ex parte*“<sup>97</sup> – ანუ მეორე მხარისათვის შეუტყობინებლად მიიღება.<sup>98</sup> ასეთ წინასწარ დადგენილებას არბიტრაჟი მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც დარწმუნდება, რომ მეორე მხარისათვის შეტყობინება საფრთხეს უქმნის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანს.<sup>99</sup> წინასწარი დადგენილების მოქმედების ვადაა 20 დღე, რომლის განმავლობაშიც ტრიბუნალი წყვეტს შუალედური ღონისძიების გამოყენების საკითხს უკვე მეორე მხარისათვის შეტყობინების შემდეგ.<sup>100</sup> ასეთი წინასწარი დადგენილება არ ექვემდებარება სასამართლოს მიერ აღსრულებას, მაშინ, როდესაც შუალედური ღონისძიება უნდა ცნოს და

<sup>93</sup> Ali Yesilirmak, *Provisional Measures in International Commercial Arbitration*, (Kluwer Law International, 2005), გვ. 220.

<sup>94</sup> იქვე.

<sup>95</sup> არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი (ზვიად კორძაძის გამომცემლობა, 2016) გვ. 39, №100 – „შუალედური ღონისძიებები“.

<sup>96</sup> მოდელური კანონი, მუხლები 17 და 17A.

<sup>97</sup> არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი (ზვიად კორძაძის გამომცემლობა, 2016) გვ. 30, №70 – „ცალმხრივი კომუნიკაცია“.

<sup>98</sup> მოდელური კანონი, მუხლები 17B და 17C.

<sup>99</sup> იქვე. 17B(2).

<sup>100</sup> იქვე. 17C(4).

აღასრულოს სასამართლომ.<sup>101</sup> სხვა მხრივ, წინასწარი დადგენილების გამოცემისადმი გამოიყენება იგივე კრიტერიუმები და წინაპირობები, როგორც შუალედური ღონისძიების მიმართ.

ასეთ შემთხვევაში ჩნდება კითხვა: რამდენად ქმედითია ამგვარი უზრუნველყოფა (წინასწარი დადგენილება), თუკი არბიტრაჟის მიერ გამოცემული დადგენილება არ ექვემდებარება აღსრულებას? ზოგადად, არბიტრაჟისათვის დავის გადაცემით მხარეები ეთანხმებიან და ემორჩილებიან არბიტრაჟის იურისდიქციას, მის მიერ გამოცემულ დადგენილებებს და, როგორც წესი, ნებაყოფლობით ასრულებენ მას.<sup>102</sup> ამასთან, მოდელურ კანონზე მუშაობისას UNCITRAL-ის სამდივნომ მიუთითა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიმართ მხარის დაუმორჩილებლობის გათვალისწინება ტრიბუნალს შეუძლია საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას, კერძოდ, ხარჯების განაწილების, ზიანის ოდენობის შეფასებისასეს თუ დაუმორჩილებელი მხარის სანაპირა დევრა სხვაგვარი დასკვნების გაკეთების კუთხით.<sup>103</sup> შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ არბიტრაჟის მიერ გამოცემულ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას (წინასწარ დადგენილებას) იძულებითი აღსრულების მექანიზმი არ გააჩნია, მისი ნებაყოფლობითი აღსრულება შეიძლება განპირობებული იყოს შეუსრულებლობით გამონკვეული უარყოფითი შედეგების რისკით.

აღსანიშნავია, რომ 2006 წელს მოდელურ კანონში ცვლილებების შეტანისას წინასწარი დადგენილების შესახებ რეგულირება განზრახ დაემატა ცალკე მუხლის სახით განზრახ, რათა ქვეყნებს, რომელთაც არ სურდათ ამ რეჟიმის გაზიარება, მარტივად გამოერიცხათ ეს მუხლი.<sup>104</sup> მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონი ეფუძნება მოდელურ კანონს, იგი ცნობს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მხოლოდ შუალედურ დადგენილებას. ამასთან, კანონი სიტყვა-სიტყვით იმეორებს მოდელური კანონის შესაბამის რეგულაციას.

<sup>101</sup> იქვე. 17C(5).

<sup>102</sup> Ali Yesilirmak, *Provisional Measures in International Commercial Arbitration*, (Kluwer Law International, 2005), გვ. 238.

<sup>103</sup> იქვე.

<sup>104</sup> UNCITRAL-ის მეორე სამუშაო ჯგუფის (არბიტრაჟი) 43-ე სესიის ჩანაწერები, 2005, A/CN.9/WG.II/WP.138, 2.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ კანონი ითვალისწინებს არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოცემას მეორე მხარისათვის შეტყობინებით. რაც შეეხება მეორე მხარისათვის შეტყობინებლობასა და მოულოდნელობის ეფექტს, ასეთი ბერკეტი მხოლოდ სასამართლოს აქვს.

ამ კონტექსტშიც ჩნდება კითხვა: არის თუ არა არბიტრაჟის მიერ გამოცემული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ეფექტიანი, თუკი იკარგება ამ ღონისძიების მთავარი მახასიათებელი – მოულოდნელობის ეფექტი? მხარის გადასაწყვეტია, საქმის გარემოებებიდან და მისი მიზნებიდან გამომდინარე, რომელ ორგანოს მიმართავს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოცემის მოთხოვნით. თუ ის მიიჩნევს, რომ არბიტრაჟის მიერ ასეთი ღონისძიების გამოყენებისას მისი მიზნები ვერ მიიღწევა, ყოველთვის შეუძლია, მიმართოს სასამართლოს. პრაქტიკაში სწორედ ასე ხდება – მხარეები უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოცემის მოთხოვნით უმეტესწილად სასამართლოს მიმართავენ.

### 2.2.2 არის თუ არა განცხადება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების შესახებ სასამართლოს განსჯადი?

თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოები არიან კომპეტენტური, განიხილონ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ არბიტრაჟის მიერ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულების საკითხი.<sup>105</sup> სააპელაციო სასამართლოებს შორის ტერიტორიული განსჯადობის საკითხი კი გადაწყდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ტერიტორიული განსჯადობის კრიტერიუმები უფრო დეტალურად განხილულია ამავე გზამკვლევის შესავალში და ანალოგიურად ვრცელდება განსჯადობაზე ამ თავის მიზნებისთვისაც.

---

<sup>105</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 2.1.ა.

### 2.2.3 რა უნდა წარედგინოს სასამართლოს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობა-აღსრულების შესახებ განცხადებასთან ერთად?

კანონის თანახმად, განცხადება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობისა და აღსრულებისათვის სასამართლოს უნდა წარედგინოს „არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით.“<sup>106</sup> 44-ე მუხლის თანახმად, ცნობა-აღსრულების მოთხოვნისას მხარემ სასამართლოში უნდა წარადგინოს: საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებული დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი; და საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი.<sup>107</sup> თუმცა, უზრუნველყოფის კონტექსტში, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში უნდა მოვიპოვოთ არბიტრაჟის გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოცემაზე და არა საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. აღნიშნული დოკუმენტები მხარემ უნდა წარადგინოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად სხვა სტანდარტულ და აუცილებლად მოთხოვნილ დოკუმენტებთან ერთად.

### 2.2.4 რა ვადაში და ფორმით განიხილავს სასამართლო განცხადებას საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობა-აღსრულების შესახებ?

სასამართლოს განცხადების წარმოებაში მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებაზე.<sup>108</sup> სსსკ არ ადგენს ვადას, რომელიც სასამართლომ მეორე მხარეს უნდა განუსაზღვროს ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებზე მისათითებლად (შეპასუხების წარსადგენად). შესაბამისად, აღნიშნული ვადა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა განსაზღვროს. მთავარია, მხარეს მიეცეს პრაქტიკული შესაძლებლობა, დასაბუთებულად

<sup>106</sup> სსსკ, მუხლი 356<sup>17</sup>.2.

<sup>107</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 44.2.

<sup>108</sup> სსსკ, მუხლი 356<sup>17</sup>.4.

მოითხოვოს ცნობა-აღსრულებაზე უარი. მართალია, სასამართლოს მხოლოდ 10 დღე აქვს ამისათვის, მაგრამ ეს საკმარისია საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად, იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო არ ამოწმებს უზრუნველყოფის მიზანშეწონილობას და განიხილავს მხოლოდ კანონით პირდაპირ განსაზღვრული საფუძვლების არსებობა/არარსებობას.

სსსკ არ განსაზღვრავს სპეციალურ წესს, ასეთი განცხადება ზეპირი მოსმენით განიხილება თუ მის გარეშე. შესაბამისად, სასამართლო ზოგადი წესით ხელმძღვანელობს წარმოების ფორმასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხზე დეტალური მსჯელობა იხილეთ ამ გზამკვლევის .

### 2.2.5 საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები

ცნობა-აღსრულების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას, სასამართლო არსებითად არ განიხილავს არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მართებულობას.<sup>109</sup> იგი შეზღუდულია მხოლოდ<sup>110</sup> კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების განხილვით და არ შეუძლია ფაქტობრივი გარემოებების ან/და უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანშეწონილობის განხილვა და შეფასება.<sup>111</sup>

საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების (ისევე, როგორც არბიტრაჟის საბოლოო გადაწყვეტილების) ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები, მოდელური კანონის მსგავსად, ორ ნაწილად იყოფა: საფუძვლები, რომლებიც უნდა ამტკიცოს მოპასუხემ (ანუ მხარემ, ვის წინააღმდეგაც გამოტანილია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება) (2.2.4.1); და რომელთა განხილვაც სასამართლოს შეუძლია საკუთარი ინიციატივით (2.2.4.2).<sup>112</sup>

<sup>109</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 22.3.

<sup>110</sup> საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმა, მოდელური კანონის მსგავსად, მიუთითებს ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის ამომწურავ საფუძვლებზე სიტყვით „მხოლოდ“. შესაბამისად, არბიტრაჟის მიერ გამოცემული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ კანონში ჩამოთვლილი საფუძვლებით.

<sup>111</sup> Howard M. Holtzmann and Joseph E. Neuhaus, *A Guide to the 2006 amendments to the UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration: Legislative History and Commentary* (Kluwer Law International, 2015) გვ. 183.

<sup>112</sup> იქვე. გვ. 183.

### 2.2.5.1 საფუძვლები, რომელთა მტკიცების ტვირთიც ეკისრება მოპასუხეს

კანონის თანახმად, მხარის მიერ მითითებული საფუძვლების მტკიცების ტვირთი მხოლოდ ამ მხარეს ეკისრება და სასამართლოს მათი საკუთარი ინიციატივით შემოწმება არ შეუძლია. შესაბამისად, ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვისას სასამართლო ვალდებულია, რომ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, შეატყობინოს ამის შესახებ და მისცეს ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლების წარმოდგენის შესაძლებლობა.

მხარეს შეუძლია, მიუთითოს ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის შემდეგ საფუძვლებზე:

- ა. არსებობს კანონის 45.1 მუხლით გათვალისწინებული გარემოებები;
- ბ. არბიტრაჟის გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენის თაობაზე არ იქნა შესრულებული;
- გ. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეაჩერა ან გააუქმა არბიტრაჟმა, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, სადაც ტარდება საარბიტრაჟო განხილვა, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებები.

#### ა. კანონის 45.1 მუხლით გათვალისწინებული გარემოებები

მხარეს შეიძლება უარი ეთქვას საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებაზე, თუ მოპასუხე მიუთითებს კანონის 45.1 მუხლით დადგენილ საფუძვლებზე. ეს მუხლი ადგენს საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს. შესაბამისად, 45.1 მუხლის საფუძვლებზე გზამკვლევის ამ ნაწილში არ გამახვილდება ყურადღება. ისინი არსებითად განხილულია გზამკვლევის .

## ბ. არბიტრაჟის გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენის თაობაზე არ იქნა შესრულებული

თუ არბიტრაჟს, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების დაკმაყოფილებასთან ერთად, გამოტანილი აქვს გადაწყვეტილება უზრუნველყოფის გარანტიის შესახებ,<sup>113</sup> ეს გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს შეიძლება უარი ეთქვას მის სასარგებლოდ გამოტანილი უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებაზე.<sup>114</sup> თუ არბიტრაჟმა მიიღო გადაწყვეტილება როგორც სარჩელის უზრუნველყოფის, ისე უზრუნველყოფის გარანტიის შესახებ, სასამართლოს შეუძლია, გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვისას, მოსთხოვოს მხარეს, შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტიის შესრულების წარმოდგენა.<sup>115</sup> გარანტიის წარმოდგენის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე უარს მიიღებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულებაზე.

## გ. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეაჩერა ან გაუქმა არბიტრაჟმა, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, სადაც ტარდება საარბიტრაჟო განხილვა, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებები

საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეჩერების ან გაუქმების გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს თავად არბიტრაჟმა, ანდა იმ ქვეყნის სასამართლომ, სადაც ტარდება საარბიტრაჟო განხილვა, ან რომლის სამართლის შესაბამისადაც გამოყენებულია უზრუნველყოფის ღონისძიებები.<sup>116</sup>

<sup>113</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 18.3.

<sup>114</sup> იქვე. მუხლი 22.1.ა.(ა.ბ).

<sup>115</sup> სსსკ, მუხლი 356<sup>17</sup>.3.

<sup>116</sup> Howard M. Holtzmann and Joseph E. Neuhaus, *A Guide to the 2006 amendments to the UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration: Legislative History and Commentary* (Kluwer Law International, 2015), გვ. 187; ორივე შემთხვევაში იგულისხმება *Lex arbitri*-ს შესაბამისად გაუქმება.



უნდა აღინიშნოს, რომ შეჩერების ან გაუქმების ინფორმაციის მიწოდება ევალუბა მხარეს, რომლის სასარგებლოდაც გამოტანილია გადანყვეტილება უზრუნველყოფის შესახებ.<sup>117</sup> ამასთან, ამ ინფორმაციის სასამართლოსათვის მიწოდების ვალდებულება მხარეს ეკისრება როგორც უზრუნველყოფის აღსრულებაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილებამდე, ასევე მის შემდეგ.<sup>118</sup> მოდელური კანონის შესაბამისი ნორმის განმარტებისას მითითებულია, რომ მხარის მიერ სასამართლოს ინფორმირების ვალდებულების დარღვევის შედეგები და სანქციები შეიძლება იყოს შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობით.<sup>119</sup> თუმცა, საქართველოს კანონი არ ადგენს რაიმე სანქციას ასეთი ვალდებულების შეუსრულებლობისთვის. ამგვარად, მხარე უფლებამოსილია, რომ ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს ზოგადი წესების თანახმად.

თუმცა ის, რომ მხარემ სასამართლოსთვის შეტყობინების ვალდებულება არ შეასრულა, არ ცვლის ცნობა-აღსრულების ნაწილში მტკიცების ტვირთს. მხარე, რომელიც ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო გადანყვეტილების ცნობა-აღსრულებას, კვლავ ვალდებულია, დაამტკიცოს შესაბამისი საფუძვლის არსებობა, კერძოდ, ის, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეაჩერა ან გააუქმა არბიტრაჟმა, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, სადაც ტარდება საარბიტრაჟო განხილვა, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებები.

### 2.2.5.2 საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმა სასამართლოს ინიციატივით

სასამართლოს აქვს დისკრეცია, საკუთარი ინიციატივით, უარი უთხრას მხარეს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებაზე, კანონით დადგენილი შემდეგი საფუძვლებით:

<sup>117</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 21.2; მოდელური კანონი, მუხლი 17H(2).

<sup>118</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 21.2.

<sup>119</sup> Howard M. Holtzmann and Joseph E. Neuhaus, *A Guide to the 2006 amendments to the UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration: Legislative History and Commentary* (Kluwer Law International, 2015), გვ. 184.

- ა. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულება სცილდება სასამართლოს უფლებამოსილებას;
- ბ. სახეგა კანონის 45.1.ბ მუხლის საფუძვლები.

## ა. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულება სცილდება სასამართლოს უფლებამოსილებას

სასამართლოს აქვს დისკრეცია, უარი თქვას საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებაზე, თუკი მიიჩნევს, რომ ეს სცილდება თავის უფლებამოსილებას. ასეთ დროს, გამონაკლისის სახით, მას შეუძლია, არბიტრაჟის მიერ გამოცემულ უზრუნველყოფის ღონისძიების გადაწყვეტილებაში მისი არსებითად შეცვლის გარეშე, შეცვალოს ფორმულირება<sup>120</sup> ისე, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება აღსრულებადი გახდეს.<sup>121</sup> აღნიშნულმა გამონაკლისმა სასამართლოს მისცა უზრუნველყოფის ღონისძიების მოდიფიცირების საშუალება, თუმცა მხოლოდ ფორმულირების და არა შინაარსის ნაწილში. მაგალითად, თუ არბიტრაჟის მიერ გამოცემული უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც უძრავ ქონებას ეხება, არ შეიცავს საკმარის დეტალებს უძრავი ქონების იდენტიფიკაციისათვის (გამორჩენილია საკადასტრო კოდი), სასამართლო უფლებამოსილია, შეცვალოს უზრუნველყოფის ღონისძიების ფორმულირება – დაამატოს საკადასტრო კოდი განჩინებაში უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულების შესახებ.<sup>122</sup>

## ბ. სახეგა კანონის 45.1.ბ მუხლის საფუძვლები

ამ ორი საფუძვლის რეგულირებისას მოდელური კანონი მიუთითებს პუნქტებზე, რომლებითაც განსაზღვრულია არბიტრაჟის საბოლოო გადაწყვეტილების

<sup>120</sup> მართალია, საქართველოს კანონში მითითებულია, რომ სასამართლოს შეუძლია შეცვალოს უზრუნველყოფის ფორმა, მაგრამ თავად მოდელური კანონი და მისი მოსამზადებელი მასალები მიუთითებენ ფორმულირების და არა ფორმის შეცვლაზე.

<sup>121</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 22.1.ბ.(ბ.ა).

<sup>122</sup> Howard M. Holtzmann and Joseph E. Neuhaus, *A Guide to the 2006 amendments to the UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration: Legislative History and Commentary* (Kluwer Law International, 2015), გვ. 188.

ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები – არბიტრაჟუნარიანობა და საჯარო წესრიგი.<sup>123</sup> მოდელურ კანონზე მომუშავე ჯგუფმა საგანგებოდ მითითება გააკეთა და არ გადმოიტანა შესაბამისი მუხლი სიტყვა-სიტყვით, რათა უზრუნველყო არბიტრაჟუნარიანობისა და საჯარო წესრიგის განმარტების თანმიმდევრულობა ზოგადად, ნებისმიერი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების კონტექსტში.<sup>124</sup>

აღნიშნული საფუძვლები დეტალურად განხილულია ამ გზამკვლევის

## 2.2.6 რა შედეგი მოჰყვება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებას ან მასზე უარის თქმას?

სასამართლოს გადაწყვეტილება არბიტრაჟის მიერ გამოცემული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების შესახებ საბოლოოა და არ საჩივრდება.<sup>125</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები მოიცავს ისეთ შინაარსობრივ საკითხებსაც, როგორცაა არბიტრაჟის არაკომპეტენტურობა, სასამართლოს მიერ ამ საკითხის შეფასება უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების ეტაპზე ავტომატურად არ ახდენს გავლენას არბიტრაჟის კომპეტენციაზე.<sup>126</sup> კერძოდ, არბიტრაჟს კვლავაც შეუძლია, კანონის შესაბამისად, დაიდგინოს კომპეტენცია ძირითადი დავის განხილვის მიზნებისათვის და არსებითად გადაწყვიტოს დავა.<sup>127</sup>

<sup>123</sup> მოდელური კანონი, მუხლი 36(1)(B)(i)–(ii).

<sup>124</sup> Howard M. Holtzmann and Joseph E. Neuhaus, *A Guide to the 2006 amendments to the UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration: Legislative History and Commentary* (Kluwer Law International, 2015), გვ. 188; არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი იმეორებს მოდელური კანონის სტილს და უთითებს ამავე კანონის 45.1.ბ მუხლის ბ(ა) და ბ(ბ) ქვეპუნქტებზე, რომლებიც საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებად ითვალისწინებს მითითებას არბიტრაჟუნარიანობასა და საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობაზე.

<sup>125</sup> სსსკ, მუხლი 356<sup>17</sup>.5.

<sup>126</sup> Howard M. Holtzmann and Joseph E. Neuhaus, *A Guide to the 2006 amendments to the UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration: Legislative History and Commentary* (Kluwer Law International, 2015), გვ. 186.

<sup>127</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 22.2.

აღსანიშნავია, რომ მოდელური კანონის შემუშავებისას, როდესაც განისაზღვრა უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები და მითითება გაკეთდა კანონის 36(1)(a) მუხლზე (რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონის 45.1 მუხლს), გაჟღერდა მოსაზრება, რომ ასეთი მითითება სასამართლოს საშუალებას აძლევდა, არბიტრაჟის იურისდიქციის საკითხი გადაეწყვიტა ადრეულ ეტაპზე, როცა საარბიტრაჟო განხილვა ჯერ არ არის დასრულებული. თუმცა, მსჯელობის შედეგად გადაწყდა: ვინაიდან სასამართლო მაინც შეიზღუდებოდა ჩანაწერით, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილება ვრცელდება მხოლოდ და მხოლოდ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებაზე, მის ასეთ შეფასებას ვერ ექნებოდა გავლენა კომპეტენციის შემდგომ დადგენაზე არბიტრაჟის მიერ.<sup>128</sup>

სასამართლოს ასეთ შეფასებას ასევე არ აქვს გავლენა არბიტრაჟის საბოლოო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე, რადგან, კანონის თანახმად: „[22.1 მუხლის] საფუძვლით სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ვრცელდება **მხოლოდ** საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებაზე“. შესაბამისად, სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულებისას, საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის საკითხის გადაწყვეტას არ აქვს პრეიუდიციული ძალა, როგორც იურისდიქციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გასაჩივრებისას,<sup>129</sup> ისე იმავე საფუძვლების შეფასებისას საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების ეტაპზე.<sup>130</sup>

---

<sup>128</sup> Howard M. Holtzmann and Joseph E. Neuhaus, *A Guide to the 2006 amendments to the UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration: Legislative History and Commentary* (Kluwer Law International, 2015), გვ. 186.

<sup>129</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 16.5.

<sup>130</sup> Howard M. Holtzmann and Joseph E. Neuhaus, *A Guide to the 2006 amendments to the UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration: Legislative History and Commentary* (Kluwer Law International, 2015), გვ. 186.

## მხარე ითხოვს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფას

### განცხადების წარმოებაში მიღების ეტაპი<sup>1</sup>

1. არის თუ არა განცხადება შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს განსჯადი? [იხ. 2.1.1 ქვეთავი]

✘ არა (სასამართლო უარს ამბობს განცხადების წარმოებაში მიღებაზე) ✓ დიახ (სასამართლო აგრძელებს შეფასებას)

2. დაყენებულია, თუ არა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნა უფლებამოსილი პირის მიერ? [იხ. 2.1.2 ქვეთავი]

✘ არა (სასამართლო უარს ამბობს წარმოებაში მიღებაზე) ✓ დიახ (სასამართლო აგრძელებს შეფასებას)

3. ერთგის თუ არა განცხადებას კანონით გათვალისწინებული დოკუმენტები? [იხ. 2.1.4 ქვეთავი]

✘ არა (სასამართლო უარს ამბობს წარმოებაში მიღებაზე) ✓ დიახ (სასამართლო იღებს განცხადებას წარმოებაში)

### განცხადების განხილვა

4. ერთი შეხედვით, არსებობს თუ არა შხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმება? [იხ. 2.1.5.1 ქვეთავი]

✘ არა (სასამართლო უარს ამბობს განცხადების დაკმაყოფილებაზე) ✓ დიახ (სასამართლო აგრძელებს განხილვას)

5. არის თუ არა სახეზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოცემის წინაპირობები? [იხ. 2.1.5.2 ქვეთავი]

✘ არა (სასამართლო უარს ამბობს განცხადების დაკმაყოფილებაზე) ✓ დიახ (სასამართლო აკმაყოფილებს განცხადებას და გამოსცემს უზრუნველყოფის ღონისძიებას)

## მხარე ითხოვს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას

### განცხადების წარმოებაში მიღების ეტაპი<sup>2</sup>

1. არის თუ არა განცხადება შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს განსჯადი? [იხ. 2.2.2 ქვეთავი]

✘ არა (სასამართლო უარს ამბობს განცხადების წარმოებაში მიღებაზე) ✓ დიახ (სასამართლო აგრძელებს შეფასებას)

2. ერთგის თუ არა განცხადებას კანონით გათვალისწინებული დოკუმენტები? [იხ. 2.2.3 ქვეთავი]

✘ არა (სასამართლო უარს ამბობს წარმოებაში მიღებაზე) ✓ დიახ (სასამართლო იღებს განცხადებას წარმოებაში)


### განცხადების განხილვა

3. არსებობს, თუ არა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი [იხ. 2.2.5 ქვეთავი]

✓ დიახ (სასამართლო უარს ამბობს განცხადების დაკმაყოფილებაზე) ✘ არა (სასამართლო აკმაყოფილებს განცხადებას)

1 განცხადების წარმოებაში მიღების უზარმაზროს განსაზღვრული სპი საკითხი კუმულატიურია.

2 განცხადების წარმოებაში მიღების უზარმაზროს განსაზღვრული ორი საკითხი კუმულატიურია.



# 3.

საარბიტრაჟო  
გადაწყვეტილების  
გაუმჯობესების პროცესუალური  
ნაწილი





### 3. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალური ნაწილი

წინამდებარე თავში განხილულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგი პროცესუალური საკითხები:

- 3.1 რას გულისხმობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება?
- 3.2 რას გულისხმობს „საარბიტრაჟო გადაწყვეტილება“ გაუქმების მიზნებისათვის?
- 3.3 საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საჩივრის სასამართლოში განხილვის ეტაპები.

#### 3.1 რას გულისხმობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება?

საქართველოს კანონი, მოდელური კანონის მსგავსად, ითვალისწინებს მხოლოდ ერთ საპროცესო-სამართლებრივ საშუალებას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების წინააღმდეგ. კერძოდ, მხარეს, რომელსაც აქვს პრეტენზია არბიტრაჟის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, შეუძლია, მოითხოვოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება.<sup>131</sup> ამასთან, გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნა მხარეს შეუძლია მხოლოდ კანონით გათვალისწინებული ამომწურავი საფუძვლებით.<sup>132</sup>

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მხრივ, სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები გამომდინარეობს იმ ორი ფუნქციიდან,

<sup>131</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 42.1; მოდელური კანონი, მუხლი 34.1.

<sup>132</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 42.2 და 42.3



რომლებიც სასამართლოს აქვს საარბიტრაჟო წარმოებაში: დაეხმაროს სა-  
არბიტრაჟო წარმოებას და ზედამხედველობა გაუწიოს მას.<sup>133</sup> სწორედ სასა-  
მართლოს ზედამხედველობის ფუნქციიდან გამომდინარე, სასამართლო  
უფლებამოსილია, იმსჯელოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებაზე.<sup>134</sup>  
ამ მექანიზმის მიზანია, სასამართლომ შეამოწმოს, წარიმართა თუ არა  
არბიტრაჟი სამართლიანი პროცესის ძირითადი პრინციპების დაცვით და  
მიეცათ თუ არა მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა, წარმოედგინათ თავიანთი  
პოზიციები დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი საარბიტრაჟო ტრიბუნალის  
წინაშე, მათი საარბიტრაჟო შეთანხმების შესაბამისად და მის ფარგლებში.<sup>135</sup>

ზედამხედველობის ამ ფუნქციის განხორციელებისას, სასამართლო ვალდე-  
ბულია, პატივი სცეს მხარეთა არჩევანს, დავა გადაწყვიტონ არბიტრაჟის  
მეშვეობით, და არ ჩაერიოს არბიტრაჟის კომპეტენციაში დავის არსებით  
ნაწილზე მსჯელობით.<sup>136</sup> შესაბამისად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების  
გაუქმების ფარგლებში, სასამართლო არ ამოწმებს საარბიტრაჟო ტრი-  
ბუნალის გადაწყვეტილებას არსებით მატერიალურ-სამართლებრივ სა-  
კითხებზე.<sup>137</sup> სასამართლო ასევე არ აფასებს მხარეთა მიერ წარდგენილ  
მტკიცებულებებს.<sup>138</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში, რისკის ქვეშ დადგებოდა  
საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობა და მისი გაუქმების მექანიზმი  
გახდებოდა გადაწყვეტილების სასამართლოში აპელაცია, რაც პირდაპირ  
წინააღმდეგება არბიტრაჟის არსს და კანონმდებლისა და მხარეთა ნებას,  
დავა საბოლოოდ გადაწყვიტოს არბიტრაჟმა.

<sup>133</sup> Nigel Blackaby, Constantine Partasides, Alan Redfern, Martin Hunter, *Redfern and Hunter on International Arbitration*, 6th ed. (Oxford University Press, 2015), გვ. 415, § 7.01.

<sup>134</sup> Gary B. Born, *International Arbitration: Law and Practice* (2nd ed.), (Kluwer Law International, 2015), გვ. 77.

<sup>135</sup> Nigel Blackaby, Constantine Partasides, Alan Redfern, Martin Hunter, *Redfern and Hunter on International Arbitration*, 6th ed. (Oxford University Press, 2015), გვ. 570, § 10.4.

<sup>136</sup> Albert Jan van den Berg, "Should the Setting Aside of the Arbitral Award be Abolished?" *ICSID Review Foreign Investment Law Journal*, Vol. 29, Is. 2, (2014), გვ. 268; Nigel Blackaby, Constantine Partasides, Alan Redfern, Martin Hunter, *Redfern and Hunter on International Arbitration*, 6th ed. (Oxford University Press, 2015), გვ. 570, § 10.4.

<sup>137</sup> ჩინეთის სააპელაციო სასამართლოს 1996 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *Apex Tech Investment LTD v. Chuang's Development (China) LTD*, § 15; კენიის უმაღლესი სასამართლოს 2005 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Apa Insurance Co. Ltd. v. Chrysanthus Barnabas Okemo*.

<sup>138</sup> კენიის უმაღლესი სასამართლოს 2005 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Apa Insurance Co. Ltd. v. Chrysanthus Barnabas Okemo*.

გაუქმების არსი და ამ პროცესში სასამართლოს როლი შემდეგნაირად განიმართა საქართველოს და უცხო ქვეყნების საუკეთესო სასამართლო პრაქტიკაში: თბილისის სააპელაციო სასამართლო თავის ერთ-ერთ განჩინებაში მიუთითებს: „საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ წარდგენილი საჩივრის განხილვის ფარგლებში, სასამართლოს არ აქვს უფლებამოსილება, არსებითად გადასინჯვის საფუძველზე ახალი გადაწყვეტილება გამოიტანოს, თუნდაც საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ არასწორი გადაწყვეტილება იქნეს მიღებული ფაქტობრივი თუ სამართლებრივი კუთხით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი საჩივარი გადაიქცევა აპელაციის მექანიზმად.“<sup>139</sup> ასევე, კენიის უმაღლესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე მიუთითა, რომ გაუქმების ფარგლებში, აპელაციისგან განსხვავებით, არ ხდება მტკიცებულებების ხელახალი შეფასება.<sup>140</sup>

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისას სასამართლოს როლზე ასევე იმსჯელა კანადის უმაღლესმა სასამართლომ.<sup>141</sup> გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოდელურ კანონში არსებულ დანაწესზე, რომლის მიხედვითაც სასამართლო არ უნდა ჩაერიოს საარბიტრაჟო წარმოებაში, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.<sup>142</sup> სასამართლომ მიუთითა, რომ გაეროს კონვენციებისა და მათ საფუძველზე მიღებული კანონმდებლობის მიზანია მხარეთა არჩევანის პატივისცემა დავის განხილვის მექანიზმთან, ფორუმსა და წესებთან დაკავშირებით. სასამართლოს მოსაზრებით, მხარეთა არჩევანის ავტონომიისა და ტრიბუნალის გადაწყვეტილებათა აღსრულების განჭვრეტადობის ინტერესიდან გამომდინარე, სასამართლოებმა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა გააუქმონ მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში.

<sup>139</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინება საქმეზე №2ბ/3782-17.

<sup>140</sup> კენიის უმაღლესი სასამართლოს 2005 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Apa Insurance Co. Ltd. v. Chrysanthus Barnabas Okemo*.

<sup>141</sup> ონტარიოს უმაღლესი სასამართლოს 2008 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *Bayview Irrigation District #11 v. United Mexican States*, § 12-13.

<sup>142</sup> მოდელური კანონი, მუხლი 5; არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გაუქმება ერთადერთი მექანიზმია, რომლითაც მხარე შეიძლება შეენიანააღმდეგოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას. თუმცა, ეს არ გამოირიცხავს მხარის მიერ ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის მოთხოვნის დაყენებას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების ეტაპზე (რაც თავდაცვის საშუალებაა ცნობა-აღსრულების წინააღმდეგ, თუმცა, გაუქმებისგან განსხვავებით, არ არის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე შედავების პროაქტიული მექანიზმი),<sup>143</sup> ან მხარის უფლებას, მიმართოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესწორების, განმარტების, ან დამატებითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.<sup>144</sup>

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მექანიზმი შესაძლებლობას აძლევს მხარეს, არ დაელოდოს მეორე მხარის მიერ გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების მოთხოვნას და პროაქტიულად, თვითონ დაიცვას თავი გადაწყვეტილების შედეგებისგან. ამასთან, ვინაიდან ცნობა-აღსრულების გადაწყვეტილება შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა იურისდიქციაში, მხარეს შეიძლება ჰქონდეს ინტერესი, მოითხოვოს გადაწყვეტილების გაუქმება იმ ქვეყანაში, სადაც მიღებულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.<sup>145</sup>

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საკითხის განხილვისას სასამართლო ხელმძღვანელობს მხოლოდ კანონით დადგენილი ამომწურავი საფუძვლებით და ხელახლა არ აფასებს არბიტრაჟის გადაწყვეტილებას დავის არსებით ნაწილზე.

---

<sup>143</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 45.

<sup>144</sup> იქვე. მუხლი 41.

<sup>145</sup> Albert Jan van den Berg, "Should the Setting Aside of the Arbitral Award be Abolished?" ICSID Review Foreign Investment Law Journal, Vol. 29, Is. 2, (2014), გვ. 265-266.

### 3.2 რას გულისხმობს „საარბიტრაჟო გადაწყვეტილება“ გაუქმების მიზნებისათვის?

ტერმინი „საარბიტრაჟო გადაწყვეტილება“ არ არის განმარტებული კანონში, მოდელურ კანონსა თუ ნიუ იორკის კონვენციაში.<sup>146</sup> მოდელური კანონი, მსგავსად საქართველოს კანონისა, ითვალისწინებს მხოლოდ გარკვეულ მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.<sup>147</sup> მიუხედავად ამისა, საერთაშორისო პრაქტიკაში შეკრებული მიდგომაა, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალის ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც მოიცავს ტრიბუნალის საბოლოო გადაწყვეტილებას არსებით მატერიალურ-სამართლებრივ საკითხზე, ექვემდებარება გაუქმებას.<sup>148</sup> შესაბამისად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებად მიიჩნევა ისეთი გადაწყვეტილება, რომლითაც ტრიბუნალი საბოლოოდ წყვეტს მხარეთა შორის სადავო მატერიალურ-სამართლებრივ საკითხ(ებ)ს.<sup>149</sup>

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შინაარსობრივად შესაძლებელია სხვადასხვა საკითხს ეხებოდეს. მაგალითად, ტრიბუნალმა გადაწყვეტილება გამოიტანოს სადავო საკითხების მხოლოდ ნაწილზე (ე.წ. ნაწილობრივი გადაწყვეტილება), მიიღოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ან დაამტკიცოს მხარეთა მორიგება (ე.წ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მორიგებით).<sup>150</sup> საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების განსაზღვრებისას ასევე ვხვდებით ტერმინებს, როგორცაა საბოლოო, წინასწარი ან შუალედური საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.<sup>151</sup> ქვემოთ მოკლედ არის განმარტებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ძირითადი სახეები:

<sup>146</sup> Nigel Blackaby, Constantine Partasides, Alan Redfern, Martin Hunter, *Redfern and Hunter on International Arbitration*, 6th ed. (Oxford University Press, 2015), გვ. 501-502, § 9.05.

<sup>147</sup> მოდელური კანონი, მუხლი 31; არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 39.

<sup>148</sup> Howard M. Holtzmann and Joseph E. Neuhaus, *A Guide to the UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration: Legislative History and Commentary* (Kluwer Law International, 1989), გვ. 174.

<sup>149</sup> Nigel Blackaby, Constantine Partasides, Alan Redfern, Martin Hunter, *Redfern and Hunter on International Arbitration*, 6th ed. (Oxford University Press, 2015), გვ. 503-504, § 9.08.

<sup>150</sup> იქვე. გვ. 508; 512, § 9.19, 9.30. არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი (ზვიად კორძაძის გამომცემლობა, 2016) გვ. 19, №27 - „საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მორიგებით“.

<sup>151</sup> Emmanuel Gaillard and John Savage (eds.), *Fouchard Gaillard Goldman on International Commercial Arbitration* (Kluwer Law International, 1999), § 1348.

**საბოლოო გადაწყვეტილება:** საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მიიჩნევა საბოლოოდ, როცა მისი გამოტანით მთავრდება საარბიტრაჟო წარმოება და მიიღება გადაწყვეტილება მხარეთა შორის არსებულ ყველა სადავო საკითხზე. საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება იყოს ტრიბუნალის ერთადერთი გადაწყვეტილება. მისი მიღების შემდგომ ტრიბუნალს აღარ აქვს იურისდიქცია, გადაწყვიტოს იგივე დავა მხარეთა შორის.<sup>152</sup> ტრიბუნალს რჩება მხოლოდ ვიწრო კომპეტენცია, რომ შეასწოროს ან/და განმარტოს უკვე მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ან გამოიტანოს დამატებითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.<sup>153</sup>

**დამატებითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება:** მხარეებს შეუძლიათ, შეზღუდულ დროში ტრიბუნალს მოსთხოვონ დამატებითი გადაწყვეტილების მიღება, თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში არ არის განხილული რომელიმე სადავო საკითხი.<sup>154</sup> კანონის მიხედვით, თითოეულ მხარეს შეუძლია, გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის განმავლობაში მოითხოვოს ასეთი დამატებითი გადაწყვეტილება მეორე მხარისათვის შეტყობინების შემდეგ. თუ არბიტრაჟი მოთხოვნას მიიჩნევს დასაბუთებულად, იგი იღებს დამატებით გადაწყვეტილებას. როგორც წესი, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანამდე ძალაში რჩება უკვე მიღებული გადაწყვეტილება, თუკი მხარეები ან ტრიბუნალი სხვაგვარად არ დაადგენენ. დამატებითი გადაწყვეტილება ძირითადი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნაწილია. მხარეები უფლებამოსილნი არიან, შეთანხმებით გამოირიცხონ ტრიბუნალის უფლებამოსილება – მიიღოს დამატებითი გადაწყვეტილება.<sup>155</sup>

---

<sup>152</sup> იქვე.; Nigel Blackaby, Constantine Partasides, Alan Redfern, Martin Hunter, *Redfern and Hunter on International Arbitration*, 6th ed. (Oxford University Press, 2015), გვ. 507, § 9.18.

<sup>153</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 41.

<sup>154</sup> Nigel Blackaby, Constantine Partasides, Alan Redfern, Martin Hunter, *Redfern and Hunter on International Arbitration*, 6th ed. (Oxford University Press, 2015), გვ. 513, § 9.33.

<sup>155</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 41.

**ნაწილობრივი (საბოლოო) გადაწყვეტილება:** საარბიტრაჟო ტრიბუნალი ნაწილობრივი გადაწყვეტილებით საბოლოოდ წყვეტს მხარეთა შორის სადავო გარკვეულ საკითხებს (მაგრამ არა ყველას). საკითხები, რომლებსაც ეხება ნაწილობრივი გადაწყვეტილება, საბოლოოდ გადაწყვეტილად ითვლება და ტრიბუნალს აღარ აქვს მიღებული გადაწყვეტილების შეცვლის უფლებამოსილება. ნაწილობრივი გადაწყვეტილებები, როგორც წესი, მიიღება რთული დავების განხილვისას, სადაც შესაძლებელია საკითხების განცალკევება.<sup>156</sup>

**დაუსწრებელი გადაწყვეტილება:** საარბიტრაჟო წარმოების ფარგლებში შესაძლოა რომელიმე მხარემ (როგორც წესი, საარბიტრაჟო მოპასუხემ) უარი თქვას მონაწილეობაზე ან ვერ შეძლოს მონაწილეობა. ასეთი რამ შეიძლება მოხდეს წარმოების ნებისმიერი ეტაპზე. ამ შემთხვევაში, ტრიბუნალი მიიღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. ეს გადაწყვეტილება განსხვავდება სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებისგან. საარბიტრაჟო წარმოების კონტექსტში, ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი მხარე არ მონაწილეობს წარმოებაში, ავტომატურად არ ნიშნავს მეორე მონაწილე მხარის არგუმენტთა მართებულობას. შესაბამისად, მაშინაც კი, როცა ტრიბუნალი იღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, არ უნდა ჩათვალოს დამტკიცებულად მონაწილე მხარის მიერ გაცხადებული ფაქტები თუ არგუმენტები. იგი ვალდებულია, შეისწავლოს მის ხელთ არსებული საქმის მასალები და დაასაბუთოს გადაწყვეტილება.<sup>157</sup>

**საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მორიგებით:** თუ მხარეები მორიგდებიან საარბიტრაჟო წარმოებისას, მათ შეუძლიათ, მიმართონ ტრიბუნალს და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაამტკიცონ მორიგების პირობები. მოდულიური კანონი, ისევე როგორც საქართველოს კანონი, პირდაპირ მიუთითებს,

<sup>156</sup> Chartered Institute of Arbitrators, International Arbitration Practice Guideline: Drafting Arbitral Awards, Part 1 – General (2016), გვ. 9.

<sup>157</sup> იქვე, გვ. 11; უფრო დეტალურად ტრიბუნალის როლზე, როცა მხარე არ მონაწილეობს წარმოებაში, იხ. Chartered Institute of Arbitrators, International Arbitration Practice Guideline: Party Non-Participation (2016).

რომ მორიგების შესახებ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც დავის არსებითად განხილვის შედეგად გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.<sup>158</sup>

**გადაწყვეტილება შუალედური ღონისძიების გამოყენების შესახებ:** ასეთი გადაწყვეტილებები მიიღება საარბიტრაჟო წარმოების განმავლობაში და არ ემსახურება მხარეთა შორის არსებული სადავო საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას. მათი მიზანია, შეინარჩუნონ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც აუცილებელია სარჩელის უზრუნველსაყოფად. ასეთი გადაწყვეტილებები შუალედურია, ვინაიდან ისინი მიიღება დროებით და შეიძლება შეიცვალოს ტრიბუნალის შემდგომი ან საბოლოო გადაწყვეტილებით.<sup>159</sup>

როგორც ზემოთ არის მითითებული, გაუქმებას ექვემდებარება საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომლითაც ტრიბუნალი საბოლოოდ წყვეტს მხარეთა შორის სადავო ერთ ან ყველა მატერიალურ-სამართლებრივ საკითხს.<sup>160</sup> შესაბამისად, გაუქმებას, 42-ე მუხლის მიზნებისთვის, არ ექვემდებარება პროცედურული გადაწყვეტილებები (მაგ.: გადაწყვეტილებები/ბრძანებები მხარეებს შორის წერილობითი პოზიციების გაცვლის წესისა და ვადების, ან ზეპირი მოსმენის დანიშვნის შესახებ;<sup>161</sup> ასევე, გადაწყვეტილებები პროცესუალურ საკითხებზე – რომლებსაც ტრიბუნალი იყენებს პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის<sup>162</sup> – და შუალედური ღონისძიების გამოყენების შესახებ). ასეთი გადაწყვეტილებები შეიძლება შეფასდეს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების ფარგლებში (მაგ.: რათა სასამართლო დარწმუნდეს, რომ საარბიტრაჟო წარმოება სამართლიანი პროცესის პრინციპების შესაბამისად წარიმართა).

<sup>158</sup> მოდელური კანონი, მუხლი 30.2; არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 39.

<sup>159</sup> Chartered Institute of Arbitrators, International Arbitration Practice Guideline: Drafting Arbitral Awards, Part 1 – General (2016), გვ. 8.

<sup>160</sup> Nigel Blackaby, Constantine Partasides, Alan Redfern, Martin Hunter, *Redfern and Hunter on International Arbitration*, 6th ed. (Oxford University Press, 2015), გვ. 503-504, § 9.08.

<sup>161</sup> იქვე.

<sup>162</sup> იქვე.

როგორც ზემოთ არის მითითებული, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას მორიგებით აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც დავის არსებითად განხილვის შედეგად გამოტანილ ნებისმიერ სხვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას. შესაბამისად, მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს ასეთი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება. მიუხედავად ამისა, ასეთი გადაწყვეტილების გაუქმების განხილვა ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით. კერძოდ, მხარეთა მოთხოვნა – ტრიბუნალმა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაამტკიცოს მორიგება, შესაძლებელია მიჩნეულ იქნას, როგორც მხარეების უარი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის უფლებაზე კონკრეტულ საფუძვლებთან მიმართებით.<sup>163</sup> ეს გამომდინარეობს ზოგადი პრინციპიდან, რომლის მიხედვითაც, საარბიტრაჟო წარმოების მხარე არ უნდა ახორციელებდეს ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედებებს. მეტი ინფორმაცია ამ პრინციპის შესახებ იხილეთ ამ გზამკვლევის

შესაბამისად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საკითხის განხილვისას, მნიშვნელოვანია, სასამართლომ გაითვალისწინოს, რომ:

- გაუქმებას ექვემდებარება საარბიტრაჟო ტრიბუნალის ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც მოიცავს ტრიბუნალის საბოლოო გადაწყვეტილებას არსებით მატერიალურ-სამართლებრივ საკითხზე;
- გაუქმებას ექვემდებარება ტრიბუნალის გადაწყვეტილება, რომლითაც ტრიბუნალმა დაამტკიცა მხარეთა შორის მიღწეული მორიგება;
- გაუქმებას არ ექვემდებარება ტრიბუნალის გადაწყვეტილებები შუალედური ღონისძიებების გამოყენებაზე; და
- გაუქმებას არ ექვემდებარება საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებები პროცესუალურ საკითხებზე, რომლებსაც ტრიბუნალი იყენებს პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის.

<sup>163</sup> Yaroslau Kryvoi, Dmitry Davydenko, "Consent Awards in International Arbitration: From Settlement to Enforcement", (Brooklyn Journal of International Law, 2015), გვ. 853.



### 3.3 საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების პროცესი

ამ თავში განხილულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებაზე საჩივრის სასამართლოში განხილვის ეტაპები, მისი სასამართლოში შეტანიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე. კანონმდებლობით გათვალისწინებული საკითხებიდან ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტაც მოითხოვს არბიტრაჟისათვის დამახასიათებელი სპეციფიკის გათვალისწინებას.

#### 3.3.1 რა უნდა შეამოწმოს სასამართლომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივრის წარმოებაში მიღებისთვის?

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაუქმებლად, დაინტერესებულმა მხარემ სასამართლოს უნდა მიმართოს საჩივრით.<sup>164</sup> აღნიშნული საჩივარი უნდა აკმაყოფილებდეს სარჩელის (განცხადების) რეგისტრაციისა და წარმოებაში მიღებისათვის დადგენილ როგორც ფორმალურ, ისე შინაარსობრივ მოთხოვნებს.<sup>165</sup>

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებაზე საჩივრის წარმოებაში მიღებისათვის სასამართლომ უნდა შეამოწმოს:

3.3.1.1 არის თუ არა საჩივარი **სასამართლოს განსჯადი**?

3.3.1.2 აყენებს თუ არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნას **უფლებამოსილი პირი**?

3.3.1.3 წარდგენილია თუ არა საჩივარი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებაზე კანონით დადგენილ **ვადაში**?

3.3.1.4 ერთვის თუ არა საჩივარს კანონით გათვალისწინებული **დოკუმენტები**?

3.3.1.5 წარდგენილია თუ არა საჩივარი **იმავე საფუძვლებით**, რომლებსაც მხარე ეყრდნობოდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების განხილვისას?

<sup>164</sup> სსსკ, მუხლი 356<sup>24</sup>.1.

<sup>165</sup> სსსკ, მუხლები 183 და 186.

### 3.3.1.1 არის თუ არა საჩივარი სასამართლოს განსჯადი?

საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საკითხის განხილვის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ სააპელაციო სასამართლოებს.<sup>166</sup> განსჯადობის დასადგენად სასამართლომ უნდა შეამოწმოს:

- ითხოვს თუ არა მხარე საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას?
- წარდგენილია თუ არა საჩივარი სააპელაციო სასამართლოში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის შესაბამისად (ტერიტორიული განსჯადობა)?

ზოგადად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ იმ ქვეყნის სასამართლოში, სადაც გამოიტანეს აღნიშნული გადაწყვეტილება.<sup>167</sup> საქართველოს კანონის თანახმადაც, სასამართლო უფლებამოსილია, გააუქმოს მხოლოდ საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.<sup>168</sup> ეს საკითხი დეტალურად მიმოხილულია ამ გზამკვლევის შესავალში.

მას შემდეგ, რაც სასამართლო დარწმუნდება, რომ მხარე ითხოვს საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას, იგი ასევე ამოწმებს, სწორად არის თუ არა წარდგენილი საჩივარი ტერიტორიული განსჯადობის კუთხით. საქართველოში საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა გაუქმების საკითხს განიხილავენ სააპელაციო სასამართლოები.<sup>169</sup> კანონის შესაბამისად, ტრიბუნალი ვალდებულია, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში მიუთითოს მისი გამოტანის ადგილი.<sup>170</sup> შესაბამისად, სასამართლომ მხარის მიერ წარდგენილი საჩივრის საფუძველზე, რომელსაც თან ერთვის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მარტივად უნდა დაადგინოს სად არის

<sup>166</sup> სსსკ, მუხლი 356<sup>13</sup>.3.

<sup>167</sup> Emmanuel Gaillard and John Savage, *Fouchard Gaillard Goldman on International Commercial Arbitration* (Kluwer Law International, 1999), § 1559.

<sup>168</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 42.2.

<sup>169</sup> სსსკ, მუხლი 356<sup>13</sup>.3.

<sup>170</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 39.2.

გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საქართველოს მასშტაბით და განსაზღვროს, ექცევა თუ არა მის კომპეტენციაში გაუქმების საკითხის განხილვა ტერიტორიული განსჯადობის კუთხით.<sup>171</sup>

### 3.3.1.2 აყენებს თუ არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნას უფლებამოსილი პირი?

საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძველია სარჩელის შეტანა არაუფლებამოსილი პირის მიერ.<sup>172</sup>

საპროცესო კანონმდებლობა ცალსახად მიუთითებს, რომ არბიტრაჟთან დაკავშირებული საქმეების მიზნებისათვის, მხარედ მოიაზრება საარბიტრაჟო შეთანხმების მონაწილე პირი, მისი უფლებამონაცვლე, ან უფლებამოსილი წარმომადგენელი.<sup>173</sup> ამავდროულად, კანონის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, გააუქმოს საქართველოში მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, თუ მას საჩივრით მიმართავს მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია ეს გადაწყვეტილება.<sup>174</sup> ამდენად, სსკ-ისა და კანონის შესაბამისად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებაზე საჩივრის წარდგენის უფლება აქვს საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეს, რომელიც ამავდროულად იყო საარბიტრაჟო წარმოების მხარე და რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.<sup>175</sup>

---

<sup>171</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საჩივრის არასავალდებულო ფორმა. ფორმის ერთ-ერთ შენიშვნაში მითითებულია, რომ შუამდგომლობა უნდა შეიტანონ იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მიმდინარეობდა საარბიტრაჟო განხილვა. ასევე დაზუსტებულია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს იურისდიქცია მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს იურისდიქცია – დასავლეთ საქართველოს, ფორმა ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source1>

<sup>172</sup> სსკ, მუხლი 186.1.8.

<sup>173</sup> იქვე, მუხლი 356<sup>14</sup>.

<sup>174</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 42.2.ა.

<sup>175</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საჩივრის არასავალდებულო ფორმა, რომლის შენიშვნების შესაბამისადაც, მხარედ მოაზრებულია საარბიტრაჟო მოსარჩელე ან მოპასუხე, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source1>

ზოგიერთი ქვეყნის პრაქტიკა ითვალისწინებს უფლებას, საჩივარი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებაზე წარადგინოს საარბიტრაჟო წარმოებაში მონაწილე მესამე პირმა, რომელსაც აქვს სამართლებრივი ინტერესი და რომლის საარბიტრაჟო წარმოებაში ჩართვასაც დათანხმდნენ მხარეები და ტრიბუნალი. მაგალითად, მესამე პირს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის უფლება მისცა შტუტგარდის უმაღლესმა რეგიონულმა სასამართლომ, ვინაიდან ეს პირი ჩართული იყო საარბიტრაჟო წარმოებაში და საარბიტრაჟო განხილვა პირდაპირ ან ირიბად აისახებოდა მის სამართლებრივ მდგომარეობაზე.<sup>176</sup>

ამავე საკითხზე განსხვავებული პრაქტიკა აქვთ ახალი ზელანდიის სასამართლოებს. კერძოდ, ახალი ზელანდიის სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში დაადგინა, რომ საჩივარი გაუქმების შესახებ შესაძლოა წარადგინოს მხოლოდ საარბიტრაჟო შეთანხმების მხარემ. მესამე პირს, რომელიც დაინტერესებულია საარბიტრაჟო წარმოების შედეგით, თუნდაც მასზე პირდაპირი გავლენა ჰქონდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, არ აქვს უფლება, მოითხოვოს გადაწყვეტილების გაუქმება.<sup>177</sup>

ზოგ ქვეყანაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე შედავების უფლება შეიძლება ასევე ჰქონდეს იურიდიული ინტერესის მქონე მესამე პირს, რომელიც არ არის საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე ან/და საარბიტრაჟო წარმოების მონაწილე. ამ საკითხზე, ბრიუსელის პირველი ინსტანციის სასამართლოს თხოვნით, იმჯვლა ბელგიის საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელმაც შეაფასა, რამდენად დისკრიმინაციული იყო ბელგიის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ორი მუხლი: (ა) 1122-ე მუხლი, რომელიც უფლებას აძლევს მესამე პირებს, გაასაჩივრონ სასამართლო გადაწყვეტილება, თუმცა იმავე უფლებას არ ითვალისწინებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისთვის; და (ბ) 1717-ე მუხლი, რომელიც შეესაბამება მოდელური კანონის 34-ე მუხლს. სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია საპროცესო კოდექსის

<sup>176</sup> შტუტგარდის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2002 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №1 Sch 8/02

<sup>177</sup> ახალი ზელანდიის სააპელაციო სასამართლოს 2004 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Methanex Motunui Ltd. v. Spellman*, § 86-91.

1122-ე მუხლი და დაასკვნა, რომ მესამე პირების მიმართ უნდა არსებობდეს ერთნაირი მიდგომა, როგორც სასამართლოს, ისე არბიტრაჟის კონტექსტში, ვინაიდან სასამართლოსა და არბიტრაჟის გადაწყვეტილებას შესაძლოა ერთი და იგივე ეფექტი ჰქონდეს მესამე პირზე. არჩევანს არბიტრაჟის სასარგებლოდ აკეთებენ დავის მხარეები, ხოლო მესამე პირი ვერ ახდენს გავლენას ამ არჩევანზე. საპროცესო კოდექსის 1717-ე მუხლი მან კონსტიტუციურად მიიჩნია. სასამართლომ აღნიშნა, რომ მესამე პირს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება 1717-ე მუხლის საფუძველზე შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ დაამტკიცებს, რომ საარბიტრაჟო წარმოება წარიმართა მისი უფლებების დარღვევის მიზნით (თაღლითობის შემთხვევაში).<sup>178</sup>

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საერთო სასამართლოებს აქვთ პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც დასაშვებად მიიჩნევა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებაზე საჩივრის წარდგენა დაინტერესებული პირის მიერ, მიუხედავად იმისა, რომ ეს პირი არ არის საარბიტრაჟო შეთანხმების ან წარმოების მხარე. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი არბიტრაჟმა მიაკუთვნა ორი მოდავე კერძო პირიდან ერთ-ერთს. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებაზე: გადაწყვეტილების მიღებისას არბიტრაჟისათვის ცნობილი გახლდათ, რომ მიწა იყო სახელმწიფო საკუთრებაში.<sup>179</sup>

<sup>178</sup> ბელგიის საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №6362, § A.1.4, B.9.1, B.13, B.14.

<sup>179</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 21 ნოემბრის განჩინება საქმეზე №2ბ-772-12; ამ საკითხთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 18 იანვარს „საქართველოს იურიდიული ფორუმის ასოციაციამ“ პარლამენტში წარადგინა საკანონმდებლო ინიციატივა (№0.679/9). ეს ინიციატივა ითვალისწინებს ცვლილებებს სსსკ-ის XLIV<sup>3</sup> თავში არბიტრაჟთან დაკავშირებული საქმეების განხილვის თავისებურებებზეც. ამავე თავის 356<sup>14</sup>-ე მუხლის მოქმედი რედაქცია მიუთითებს, რომ ამ თავის მიზნებისათვის, მხარე არის საარბიტრაჟო შეთანხმების მონაწილე პირი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი. წარდგენილი ინიციატივით, გათვალისწინებულია ამ მუხლის განსხვავებული რედაქცია, რომლის მიხედვითაც, მხარედ ასევე მოიაზრება პირი, რომელსაც ეხება, ან რომლის მიმართაც გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. საკანონმდებლო ინიციატივაზე უფრო დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source2>

### 3.3.1.3 წარდგენილია თუ არა საჩივარი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებაზე კანონით დადგენილ ვადაში?

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებაზე განცხადების წარმობაში მიღებისათვის სასამართლომ ასევე უნდა შეამოწმოს, წარდგენილია თუ არა საჩივარი კანონით დადგენილ ვადაში. მხარემ საჩივარი უნდა წარმოადგინოს მისთვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 90 დღის განმავლობაში.<sup>180</sup>

აღსანიშნავია, რომ ვადის საკითხი არაერთხელ აქვთ განხილული საქართველოს საერთო სასამართლოებს.<sup>181</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ვადის საკითხზე მსჯელობისას მიუთითა, რომ კანონის შესაბამისად, მხარემ საჩივარი უნდა წარმოადგინოს დასაბუთებული გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარებიდან 90 დღის განმავლობაში, ხოლო ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

ვადა განსხვავებულად აითვლება, თუ რომელიმე მხარის მიერ მოთხოვნილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესწორება და განმარტება, ან/და დამატებითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა.<sup>182</sup> ასეთ შემთხვევაში, ვადის ათვლა იწყება აღნიშნულ მოთხოვნაზე არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების მხარეთათვის ჩაბარების მომენტიდან.

### 3.3.1.4 ერთვის თუ არა საჩივარს კანონით გათვალისწინებული დოკუმენტები?

კანონსა და სსსკ-ში არ გვხვდება ჩანაწერი იმ დოკუმენტებზე, რომლებიც მხარემ უნდა წარადგინოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საჩივართან ერთად. თუმცა კანონი, ისევე როგორც სსსკ, მიუთითებს, რა დოკუმენტები უნდა წარადგინოს მხარემ, რომელიც სასამართლოს მიმართავს საარბიტრაჟო

<sup>180</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 42.3.

<sup>181</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 11 აგვისტოს განჩინება საქმეზე №2ბ/4207-17; ასევე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 6 აპრილის განჩინება საქმეზე №2ბ-153, 2013 წლის 8 თებერვლის განჩინება საქმეზე №2/ბ-127 და 2013 წლის 1 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2/ბ-688-2013.

<sup>182</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 41.

გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების მოთხოვნით.<sup>183</sup> კერძოდ, მხარემ სასამართლოში უნდა წარადგინოს: (ა) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადოდ დამონშებული დედანი ან მისი სათანადოდ დამონშებული ასლი; (ბ) საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი ან მისი სათანადოდ დამონშებული ასლი.<sup>184</sup> ამავედროულად, თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ან შეთანხმება უცხო ენაზეა შესრულებული, მხარემ უნდა წარმოადგინოს მისი სათანადოდ დამონშებული თარგმანი.<sup>185</sup>

პრაქტიკაში ეს დოკუმენტები მოითხოვება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საჩივართან ერთადაც. აღნიშნული მიდგომა მიზანშეწონილია, ვინაიდან მხარეებზე განსხვავებული მტკიცების ტვირთისა და დოკუმენტების წარდგენის ვალდებულების დაკისრება ამ ორი პროცესის ფარგლებში არ იქნებოდა მოდელური კანონის პრინციპების შესაბამისი.

### 3.3.1.5 წარდგენილია თუ არა საჩივარი იმავე საფუძვლებით, რომლებსაც მხარე ეყრდნობოდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების განხილვისას?

სასამართლო უფლებამოსილია, უარი თქვას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საჩივრის წარმოებაში მიღებაზე, თუ მხარე გაუქმებას ითხოვს საფუძვლით, რომელიც (ა) უკვე განიხილა სასამართლომ ამავე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე მსჯელობისას; და რომელსაც (ბ) არ დაეთანხმა სასამართლო არსებითი განხილვის შემდეგ.<sup>186</sup>

აღნიშნულ დანაწესს კანონი 2015 წლიდან ითვალისწინებს. ვინაიდან, საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და ცნობა-აღსრულების უფლებამოსილებით აღჭურვილია ერთი და იგივე ორგანო

<sup>183</sup> იქვე. მუხლი 44.2; სსსკ, მუხლი 356<sup>21</sup>.1.

<sup>184</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 44.2; სსსკ, მუხლი 356<sup>21</sup>.1, საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმალურ მოთხოვნებზე დამატებით იხ. პირველი გზამკვლევი, 1.4.2 ქვეთავი.

<sup>185</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 44.2; სსსკ, მუხლი 356<sup>21</sup>.1.

<sup>186</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 42.5; სსსკ, მუხლი 356<sup>24</sup>.1<sup>1</sup>.

(სააპელაციო სასამართლო), ხოლო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებისათვის, ისევე როგორც გაუქმებისათვის, გათვალისწინებულია თითქმის იდენტური საფუძვლები, გამორიცხული უნდა ყოფილიყო როგორც ორმაგი სტანდარტის არსებობა, ასევე ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღება იდენტური საფუძვლების შემთხვევაში.<sup>187</sup>

შესაბამისად, თუ ასეთი გარემოების შესახებ სასამართლოსთვის უკვე ცნობილია საჩივრის წარმოებაში მიღების ეტაპზე, სასამართლომ უარი უნდა თქვას წარმოებაში მიღებაზე, ხოლო თუ უკვე მიღებული აქვს საჩივარი – შეწყვიტოს წარმოება.<sup>188</sup>

### 3.3.2 ჩაბარდა თუ არა მოპასუხე მხარეს საქმის მასალები სსსკ-ით დადგენილი წესით?

იმისთვის, რომ სასამართლომ განიხილოს საჩივარი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, მოპასუხე მხარეს სსსკ-ის შესაბამისი დებულებების დაცვით უნდა ჩაბარდეს შეტყობინება და საქმის მასალები. სსსკ განსაზღვრავს, რა შემთხვევებში ევალება მხარესა და სასამართლოს გზავნილის მოპასუხისთვის (მონინააღმდეგე მხარისათვის) ჩაბარება.<sup>189</sup>

თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია ან ვერ ხერხდება მისთვის გზავნილის ჩაბარება, მხარის ინფორმირება ხდება საჯარო შეტყობინების გზით.<sup>190</sup> თუმცა, ამ დროს მნიშვნელოვანია არბიტრაჟის სპეციფიკის, კერძოდ, კონფიდენციალობის გათვალისწინება. კანონის 32.5 მუხლის თანახმად, არბიტრაჟის წევრები და პროცესის ყველა მონაწილე მხარე ვალდებული არიან, დაიცვან საარბიტრაჟო განხილვისას მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა. ამდენად, სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო პროცესის დეტალების გამჟღავნება, მათ შორის, დავის საგანზე ინფორმაციის მითითება,

<sup>187</sup> განმარტებითი ბარათი „არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, საქართველოს კანონის პროექტზე, რეგისტრაციის ნომერი 07-2/280/8, თარიღი: 10.12.2015, გვ. 3-4.

<sup>188</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 42.5; სსსკ, მუხლი 356<sup>24</sup>, 1<sup>1</sup>.

<sup>189</sup> სსსკ, მუხლები 183, 184.

<sup>190</sup> იქვე. მუხლი 184.4.



შეიძლება შეენინააღმდეგოს მხარეთა კონფიდენციალობის ინტერესებს. საჯარო შეტყობინებისას, მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს გასაჯაროებული ინფორმაცია.

### 3.3.3 რა ფორმით უნდა განიხილოს სასამართლომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საკითხი?

კანონი, ისევე როგორც სსსკ, არ ითვალისწინებს კონკრეტულ ჩანაწერს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების განხილვის ფორმაზე. თუმცა, სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, გაუქმებაზე საჩივარი განიხილება როგორც ზეპირი მოსმენით, ისე მის გარეშე. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საკითხის განხილვისას, რამდენადაც შესაძლებელია, სასამართლო ხელმძღვანელობს ცნობა-აღსრულებისთვის დადგენილი წესით.

### 3.3.4 რა ვადაში უნდა განიხილოს სასამართლომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საკითხი?

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საკითხს სასამართლო განიხილავს საჩივრის წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში.<sup>191</sup> ამავდროულად, სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს მოტივირებული გადაწყვეტილების ფორმით.<sup>192</sup> სსსკ არ ადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც მეორე მხარეს უნდა ეცნობოს საჩივრის შესახებ. ასევე არ არის გათვალისწინებული ვადა მოწინააღმდეგე მხარის მიერ თავისი პოზიციის წარმოსადგენად. სამომავლოდ, მნიშვნელოვანია აღნიშნული ვადების განსაზღვრა ან ერთგვაროვანი პრაქტიკის განვითარება ამ მიმართულებით, განსაკუთრებით იმის გამო, რომ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის 30-დღიანი ვადა აითვლება საჩივრის წარმოებაში მიღებიდან.

---

<sup>191</sup> იქვე. მუხლი 356<sup>24</sup>.2.

<sup>192</sup> იქვე.

### 3.3.5 რა შემთხვევაში შეუძლია სასამართლოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება?

სასამართლო უფლებამოსილია, ნაწილობრივ გააუქმოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, თუ სასამართლოს მიერ დადგენილი გაუქმების საფუძველი ეხება გადაწყვეტილების მხოლოდ ერთ ნაწილს, რომლის გამოცალკევებაც შეიძლება გადაწყვეტილების სხვა ნაწილებს გან.<sup>193</sup>

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელსაც არ აუქმებს სასამართლო, რჩება ძალაში და მაშასადამე, ექვემდებარება ცნობა-აღსრულებას შესაბამისი მხარის მიერ.

ერთ-ერთ საქმეში მადრიდის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნაწილი, რომლითაც ტრიბუნალმა მხარეს დააკისრა პროცენტის გადახდა, მიუხედავად იმისა, რომ მეორე მხარეს არ დაუყენებია ასეთი მოთხოვნა. შესაბამისად, ამ საქმეში მადრიდის სააპელაციო სასამართლომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გააუქმა მხოლოდ პროცენტის დაკისრების ნაწილში, ხოლო ტრიბუნალის სხვა გადაწყვეტილებები დატოვა ძალაში.<sup>194</sup>

### 3.3.6 რა გავლენა აქვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საჩივრის განხილვას ამავე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე?

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საჩივრის განხილვა (განხილვის მიმდინარეობა) არ ახდენს გავლენას ამავე გადაწყვეტილების აღსრულებაზე.<sup>195</sup> ამავდროულად, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს უფლება აქვს, შეაჩეროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების

<sup>193</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებაზე საჩივრის არასავალდებულო ფორმა. მისი შენიშვნების შესაბამისად, მხარემ უნდა მიუთითოს, რომ ითხოვს გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებას; ასევე უნდა მიუთითოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შესაბამის ბუნქტებზე. ფორმა ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source1>

<sup>194</sup> მადრიდის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Jaral Decoración, S.L v. Peñasco Rodilla, SL*, ნანახია სასამართლო გადაწყვეტილებების UNCITRAL Digest 2012, გვ. 152, § 84.

<sup>195</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 42.4; სსსკ, მუხლი 356<sup>24</sup>.4.

აღსრულება, შესაბამისი უზრუნველყოფის წარმოდგენის შემთხვევაში. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების მაქსიმალური ვადა შეადგენს 30 დღეს.<sup>196</sup>

### 3.3.7 რა შედეგი მოჰყვება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას ან მასზე უარის თქმას?

სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სრულად ან ნაწილობრივ გაუქმება დაკავშირებულია რამდენიმე სამართლებრივ შედეგთან. პირველ რიგში, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მისი გამოტანის ადგილას გაუქმების შედეგად, სამართლებრივად აღარ არსებობს.<sup>197</sup> შესაბამისად, იმ ქვეყანაში, სადაც გაუქმდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ის ვერ აღსრულდება. თუმცა, ასე ცალსახა არ არის გაუქმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ბედი იმ ქვეყნის გარეთ, სადაც ის გაუქმდა. საერთაშორისო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ერთ ქვეყანაში გაუქმებული გადაწყვეტილება ცნეს და აღასრულეს სხვა ქვეყნის სასამართლოებმა. ეს შესაძლებლობა გამომდინარეობს ნიუ იორკის კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ჩანაწერიდან, რომლის მიხედვითაც, „საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას შეიძლება უარი ეთქვას“.<sup>198</sup>

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შემდგომ, მოვლენების განვითარება, როგორც წესი, დამოკიდებულია გაუქმების საფუძველზე. თუ გადაწყვეტილება გაუქმდა სამართლიანი სასამართლოს პრინციპების დარღვევის გამო (მაგ.: მოპასუხე არ იყო ინფორმირებული საარბიტრაჟო პროცესის შესახებ), მოსარჩელეს შეუძლია, ხელახლა დაიწყო საარბიტრაჟო წარმოება.<sup>199</sup> ისეთ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება გაუქმებულია საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობის გამო, მოსარჩელე ვეღარ მიმართავს

<sup>196</sup> სსსკ, მუხლი 356<sup>24</sup>.4.

<sup>197</sup> Albert Jan van den Berg, “Should the Setting Aside of the Arbitral Award be Abolished?” ICSID Review Investment Law Journal, Vol. 29, Is. 2, (2014), გვ. 4.

<sup>198</sup> ამ საკითხის დეტალური განხილვა სცილდება წინამდებარე გზამკვლევის მიზნებს, ვინაიდან იგი ეხება უზენაესი სასამართლოს განსჯადობას დაქვემდებარებულ უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულებას.

<sup>199</sup> Nigel Blackaby, Constantine Partasides, Alan Redfern, Martin Hunter, *Redfern and Hunter on International Arbitration*, 6th ed. (Oxford University Press, 2015), გვ. 601, § 10.91.

არბიტრაჟს იმავე შეთანხმების საფუძველზე.<sup>200</sup> უფლებების დაცვა მას შეუძლია სასამართლოში.

სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებაზე უარის თქმის შემთხვევაში, გადაწყვეტილება რჩება ძალაში. აღსანიშნავია, რომ მხარე იმავე საფუძველზე, რომელიც გაუქმების განცხადებაში ჰქონდა მითითებული, ცნობა-აღსრულებას ვეღარ შეენიშნა აღმდეგება. ამას პირდაპირ ითვალისწინებს კანონის 45.2 მუხლი. ეს გამომდინარეობს სამართლის ზოგადი პრინციპიდან, რომლის მიხედვითაც, მხარეთა სამართლებრივი უფლება ან ვალდებულება, ასევე ფაქტობრივი გარემოებები, დადგენილი კომპეტენტური სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ, არ ექვემდებარება ხელახალ განხილვას იმავე მხარეებს შორის.

### 3.3.8 შეიძლება თუ არა მხარეთა შეთანხმებით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების გამორიცხვა?

მოდელური კანონის წევრი ქვეყნების სასამართლოებს აქვთ სხვადასხვანაირი პრაქტიკა, თუ რამდენად შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შეზღუდვა ან სრულად გამორიცხვა.

კანადის სასამართლოს პრაქტიკით, მხარეებს შეუძლიათ, შეთანხმდნენ და უარი თქვან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის უფლებაზე. ასეთ უფლებას ითვალისწინებს მხოლოდ კანადის საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის აქტი, რომელიც მოდელურ კანონს ეფუძნება. არასაერთაშორისო, ეროვნული არბიტრაჟის მიზნებისათვის, მხარეებს არ აქვთ უფლება, უარი თქვან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნაზე.<sup>201</sup> ერთ-ერთ საქმეში ონტარიოს სასამართლომ შეაფასა მხარეთა შეთანხმება, რომლითაც გამოირიცხა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნა. კერძოდ, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ტრიბუნალის გადაწყვეტილება იქნებოდა საბოლოო და მბოჭავი; ასევე, არცერთი მათგანი

<sup>200</sup> იქვე. გვ. 601, § 10.90.

<sup>201</sup> კანადის საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის აქტი, მუხლი 34; ასევე, კანადის არბიტრაჟის აქტი, მუხლი 31(1)(iv), რომლის მიხედვითაც მხარეებს არ აქვთ უფლება, გაუქმების შექანიზმი გამორიცხონ შეთანხმებით.

არ მიმართავდა სასამართლოს რაიმე მოთხოვნით, გარდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებისა. სასამართლომ მიუთითა, რომ მოდელური კანონის მე-19 მუხლი ანიჭებდა მხარეებს უფლებას, შეთანხმებულიყვნენ საარბიტრაჟო პროცესზე. ამავდროულად, ორივე მხარე იყო სამენარმეო საქმიანობით დაკავებული, ჰყავდათ სამართლებრივი მრჩეველები და, შესაბამისად, სასამართლოს აზრით, სრულად ჰქონდათ გაცნობიერებული ასეთი შეთანხმების შედეგები. ამასთან, მხარეებს შეთანხმებით არჩეული ჰქონდათ საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის აქტი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებდა მათ ნებას, გამოერიცხათ გაუქმების მექანიზმი.<sup>202</sup>

ამავე საკითხზე იმსჯელა სასამართლომ ახალ ზელანდიაში და დაასკვნა, რომ დაუშვებელია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების გამორიცხვა მხარეთა შეთანხმებით.<sup>203</sup> სასამართლომ მიუთითა რომ მხარეების მიერ მოდელური კანონით გათვალისწინებული საფუძვლების ან მათი ნაწილის გამორიცხვა არ გამომდინარეობს მოდელური კანონის მომზადების მასალებიდან და 34-ე მუხლით დადგენილ საფუძვლებს ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს მოდელური კანონის მიერ დანერგილი პროცესის ფუნქციონირებისათვის.

მხარეების მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების უფლებაზე ასევე იმსჯელა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ. საქმეში *Tabbane* შვეიცარიის წინააღმდეგ<sup>204</sup> მხარეებს დადებული ჰქონდათ შეთანხმება, რომლითაც წინასწარ ამბობდნენ უარს უფლებაზე, მოეთხოვათ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება სასამართლოში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა, რამდენად შეესაბამებოდა ასეთი შეთანხმება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (სამართლიანი სასამართლო განიხილვის უფლება) და, საბოლოოდ, არ დაადგინა დარღვევა. სასამართლომ შეაფასა შვეიცარიის საერთაშორისო კერძო სამართლის აქტის 192(1) მუხლი, რომელიც საშუალებას აძლევს უცხოელ მხარეებს, უარი თქვან შვეიცარიაში მიღებული საარბიტრაჟო

<sup>202</sup> ონტარიოს სასამართლოს 1998 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Noble China Inc. v. Lei Kat Cheong*.

<sup>203</sup> ახალი ზელანდიის სააპელაციო სასამართლოს 2004 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Methanex Motunui Ltd. v. Spellman*, § 40; 109; 110.

<sup>204</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *Tabbane* შვეიცარიის წინააღმდეგ (განაცხადის №41069/12).

გადანყვეტილების გაუქმების მოთხოვნაზე.<sup>205</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული ჩანაწერი შეესაბამება კონვენციის მე-6 მუხლს, თუკი მხარეები თავისუფლად აკეთებენ არჩევანს არბიტრაჟის სასარგებლოდ და უფლებაზე უარი ცალსახაა. სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია ამ რეგულაციის მიღება შვეიცარიის მიერ. ეს გახლდათ საკანონმდებლო რეგულირების პოლიტიკის არჩევანი და, თავის მხრივ, ემსახურებოდა შვეიცარიის კანონმდებლის სურვილს, გაეზარდა ქვეყანაში საერთაშორისო არბიტრაჟის ეფექტიანობა და შვეიცარია ექცია უფრო მიმზიდველ საარბიტრაჟო განხილვის ადგილად.

საქართველოში დღეისათვის ამ საკითხზე კონკრეტული მიდგომა არ არსებობს. ზემოაღნიშნული ანალიზიდან გამომდინარე, მომავალში, კანონით გათვალისწინებული გაუქმების მექანიზმის მხარეთა შეთანხმებით გამორიცხვა შესაძლოა შეფასდეს როგორც სახელშეკრულებო თავისუფლების განხორციელება მხარეთა მიერ; ასევე შეიძლება მიიჩნიონ, რომ გაუქმებისათვის დადგენილი ყველა ან ზოგიერთი საფუძვლით გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიების მნიშვნელობიდან გამომდინარე, გაუმართლებელია მათი გამორიცხვა.

### 3.3.9 რა ნაბიჯების გადადგმა შეუძლია სასამართლოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თავიდან ასაცილებლად?

საქართველოს კანონი, მსგავსად მოდელური კანონისა, ითვალისწინებს სასამართლოს უფლებამოსილებას, შეაჩეროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საკითხის განხილვა მხარის შუამდგომლობის საფუძველზე.<sup>206</sup> შეჩერების მიზანია, არბიტრაჟს მიეცეს შესაძლებლობა, განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც აუცილებელია მისი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლის აღმოსაფხვრელად, მათ შორის, განაახლოს განხილვა.<sup>207</sup>

<sup>205</sup> მსგავსი ჩანაწერები ასევე არსებობს შვედეთის საარბიტრაჟო აქტის 51-ე მუხლში, ბელგიის საპროცესო კოდექსის 1718-ე მუხლში და საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1522-ე მუხლში.

<sup>206</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 43; სსსკ, მუხლი 356<sup>24</sup>.

<sup>207</sup> იქვე.

სასამართლოების უფლებამოსილება, დაუბრუნონ საქმე არბიტრაჟს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის მიზნით, განსხვავდება სხვადასხვა იურისდიქციაში. მოდელური კანონის ქვეყნებში ასეთი საშუალება არსებობს მხოლოდ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საკითხის განხილვისას. მოდელური კანონის 34.4 მუხლით სასამართლოსთვის მინიჭებული უფლებამოსილება – დაუბრუნოს გადაწყვეტილება ტრიბუნალს, შესაძლოა მხოლოდ ამავე მუხლით გაუქმებისათვის დადგენილ საფუძვლებში გათვალისწინებულ გარემოებათა აღმოფხვრის მიზნით.<sup>208</sup> ამის გარეშე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება დაექვემდებარებოდა გაუქმებას.

თუ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას შეჩერების შესახებ, იგი ვალდებულია, სასამართლო უწყებით შეატყობინოს არბიტრაჟს საქმის განხილვის შეჩერებიდან 3 დღის ვადაში.<sup>209</sup>

---

<sup>208</sup> Nigel Blackaby, Constantine Partasides, Alan Redfern, Martin Hunter, *Redfern and Hunter on International Arbitration*, 6th ed. (Oxford University Press, 2015), გვ. 576-577, § 10.23; კანადის ფედერალური სასამართლოს 1988 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *D. Frampton % Co. Ltd. V. Sylvio Thibeault and Navigation. Harvey & Freres Inc*

<sup>209</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 43; სსსკ, მუხლი 356<sup>24</sup>.

## მხარე ითხოვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გაუქმებას<sup>1</sup>

### საჩივრის წარმოებაში მიღების უბაძი<sup>2</sup>

1. არის თუ არა საჩივარი შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს განსჯადი? [იხ. 3.3.1.1 ქვეთავი]

✘ არა (სასამართლო უარს ამბობს საჩივრის წარმოებაში მიღებაზე) ✓ დიახ (სასამართლო აგრძელებს შეფასებას)

2. დაყენებულია, თუ არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნა უფლებამოსილი პირის შიერ? [იხ. 3.3.1.2 ქვეთავი]

✘ არა (სასამართლო უარს ამბობს საჩივრის წარმოებაში მიღებაზე) ✓ დიახ (სასამართლო აგრძელებს შეფასებას)

3. წარდგენილია თუ არა საჩივარი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ კანონით დადგენილ 90-დღიან ვადაში? [იხ. 3.3.1.3 ქვეთავი]

✘ არა (სასამართლო უარს ამბობს საჩივრის წარმოებაში მიღებაზე) ✓ დიახ (სასამართლო აგრძელებს შეფასებას)

4. ერთგის თუ არა საჩივარს კანონით გათვალისწინებული დოკუმენტები? [იხ. 3.3.1.4 ქვეთავი]

✘ არა (სასამართლო უარს ამბობს წარმოებაში მიღებაზე) ✓ დიახ (სასამართლო აგრძელებს შეფასებას)

5. წარდგენილია თუ არა საჩივარი მხოლოდ იმ საფუძველებით, რომლებსაც მხარე ეყრდნობოდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების განხილვისას?<sup>3</sup> [იხ. 3.3.1.5 ქვეთავი]

✓ დიახ (სასამართლო უარს ამბობს საჩივრის წარმოებაში მიღებაზე) ✘ არა<sup>4</sup> (სასამართლო იღებს საჩივარს წარმოებაში)

1 ნინამდებარე ცხროლუ განხილულ საკითხებში არ არის ამომწურავი საჩივრის-სამართლებრივი კუთხით. მიეშვლილა მხოლოდ ის საკითხები, რომელთა შემწმენისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს არბიტრაჟის თავისებურება.

2 საჩივრის წარმოებაში მიღების ეტაპისთვის განსაზვრული ხუთი საკითხი კუმულაური.

3 თუ ახვით გარემოების შესახებ სასამართლო შეიტყობს საჩივრის წარმოებაში მიღების უმდფ. სასამართლომ უნდა შეწყვიტოს წარმოება.

4 თუ საჩივარში მოითხოვლია სხვა საფუძველები, გარდა იმ საფუძველისა, რომლებსაც მხარე ეყრდნობოდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების განხილვისას, სასამართლო ახალი საფუძველების ნაწილში მიიღებს საჩივარს წარმოებაში.



## საჩივრის განხილვა

**6.** ჩაბარდა, თუ არა მონინაღმდევე მხარეს საქმის მსალები სსკ-ით დადგენილი წესით? [იხ. 3.3.2 ქვეთავი]

✗ არა (სასამართლო უარს ამბობს საჩივრის განხილვაზე) ✓ დიახ (სასამართლო განიხილავს საჩივარს)

**7.** არსებობს, თუ არა საჩივრის განხილვის შესრულების და საქმის ტრიბუნალისათვის დაბრუნების საფუძველი? [იხ. 3.3.9 ქვეთავი]

✓ დიახ (სასამართლო აჩერებს საქმის წარმოებას) ✗ არა (სასამართლო აგრძელებს განხილვას)

**8.** არსებობს თუ არა განსახილველი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შესრულების საფუძველი? [იხ. 3.3.6 ქვეთავი]

✓ დიახ (სასამართლო შეაჩერებს აღსრულებას) ✗ არა (სასამართლო უარს იტყვის აღსრულების შეჩერებაზე)

**9.** დაკარგა თუ არა მონინაღმდევე მხარემ გაუქმების რომელიმე ან ყველა საფუძველზე შედაგების უფლება? [იხ. 5.2 ქვეთავი]

✓ დიახ (სასამართლო აღარ განიხილავს შესაბამის საფუძველს) ✗ არა (სასამართლო განიხილავს საფუძველს)

**10.** არსებობს, თუ არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი? [იხ. 5 თავი]

✓ დიახ (სასამართლო გააუქმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას) ✗ არა (სასამართლო არ გააუქმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას)

**11.** შესაძლებელია თუ არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება? [იხ. 3.3.5 ქვეთავი]

✓ დიახ (სასამართლო ნაწილობრივ გააუქმებს გადაწყვეტილებას) ✗ არა (სასამართლო უარს ეტყვის მხარეს გადაწყვეტილების გაუქმებაზე)

## შედეგები [იხ. 3.3.7 ეპითაზი]

➤ სასამართლო სრულად ან ნაწილობრივ აუქმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას


➤ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ ძალადაკარგულია

➤ ვერ მოხდება გაუქმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ან მისი ნაწილის ცნობა-აღსრულება საქართველოში

## შედეგები [იხ. 3.3.7 ეპითაზი]

➤ სასამართლო სრულად ან ნაწილობრივ ინარჩუნებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას – უარს ამბობს გაუქმებაზე

➤ მხარე კარგავს უფლებას იმავე საფუძველებით შეენიხაღმდეგოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას



# 4.

საარბიტრაჟო  
გადაწყვეტილების  
ცნობა-აღსრულების  
პროცესუალური ნაწილი





## 4. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების პროცესუალური ნაწილი

წინამდებარე თავში განხილულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შემდეგი პროცესუალური საკითხები:

- 4.1 რას გულისხმობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება?
- 4.2 რას გულისხმობს „საარბიტრაჟო გადაწყვეტილება“ ცნობა-აღსრულების მიზნებისათვის?
- 4.3 საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესახებ განცხადების სასამართლოში განხილვის ეტაპები.

### 4.1 რას გულისხმობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება?

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება არის კერძო ავტონომიის შედეგად გამართული საარბიტრაჟო პროცესის შედეგის, „კერძო აქტის“ – საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საჯარო-სამართლებრივი აღიარება.<sup>210</sup> ეს საჭიროა სახელმწიფოს მიერ დაშვებული კერძო მართლმსაჯულების კანონიერების მინიმალური სტანდარტის უზრუნველსაყოფად. სწორედ ამიტომ, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას სახელმწიფო არ ცნობს მანამდე, სანამ არ შემონმდება, დაცული იყო თუ არა სამართლიანი სასამართლოს მინიმალური სტანდარტები საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანისას.<sup>211</sup> მსოფლიოს

<sup>210</sup> Julian D. M. Lew , Loukas A. Mistelis , et al., *Comparative International Commercial Arbitration*, (Kluwer Law International; 2003) გვ. 689, §26-6.

<sup>211</sup> Karl-Heinz Böckstiegel, Stefan Michael Kröll, et al. eds., *Arbitration in Germany: The Model Law in Practice*, 2nd ed. (Kluwer Law International, 2015), გვ. 423.

უმრავლესი ქვეყნის საარბიტრაჟო კანონმდებლობა მოიხზრებს გარკვეულ მექანიზმს, რომლითაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები ექვემდებარება სახელმწიფოს რომელიმე ორგანოს ზედამხედველობას; უმრავლეს შემთხვევაში ეს სასამართლოა. საქართველოს კანონიც ითვალისწინებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებზე ზედამხედველობის მექანიზმს ცნობა-აღსრულების სახით.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა, თავისი არსითა და სამართლებრივი შედეგით, განსხვავდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებისაგან. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა წინ უსწრებს მის აღსრულებას. ცნობა გულისხმობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისთვის სამართლებრივი ძალის მინიჭებას სასამართლოს მხრიდან, რაც შესაბამის ქვეყანაში (სადაც მოხდა ცნობა) საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ანიჭებს იურიდიულ ძალას. შესაბამისად, გადაწყვეტილების ცნობას გააჩნია ე.წ. *res judicata* ეფექტი, რაც გულისხმობს იმას, რომ მხარეებს იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებზე დაყრდნობით დავის წარმოება ეზღუდებათ.<sup>212</sup>

გადაწყვეტილების აღსრულება კი გულისხმობს უკვე ცნობილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისთვის აღსრულებადი ძალის მინიჭებას. ამდენად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა მისი აღსრულებაში მიქცევის წინაპირობაა.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების ერთმანეთისაგან განსასხვავებლად, შესაძლებელია ფარისა და მახვილის მაგალითის მოყვანა.<sup>213</sup> საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა ატარებს ფარისმაგვარ დამცავ ფუნქციას, რაც გამომდინარეობს სწორედ *res judicata* ეფექტიდან: იზღუდება საარბიტრაჟო პროცესში უკვე განხილული საკითხების ხელახლა განხილვის მცდელობა<sup>214</sup>; ხოლო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება მახვილივით მოქმედებს: სანქციების შედეგად, მხარეს აიძულებს მის შესრულებას.<sup>215</sup>

<sup>212</sup> სსკ-ის 272.ბ მუხლის მიხედვით, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ „არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.“ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების *res judicata* ეფექტი წარმოიშობა სწორედ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სასამართლოს მიერ ცნობისთანავე და მისი მოქმედება დამოკიდებული არ არის გადაწყვეტილების აღსრულებაზე.

<sup>213</sup> Nigel Blackaby, Constantine Partasides, Alan Redfern, Martin Hunter, *Redfern and Hunter on International Arbitration* 6th ed. (Oxford University Press, 2015) გვ. 612. § 11.23.

<sup>214</sup> იქვე.

<sup>215</sup> იქვე.

პრაქტიკაში ამ ორ მექანიზმს ხშირად ერთდროულად მიმართავენ და ერთადაც მოიხსენიება. ასეთ შემთხვევაში, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევა თავისთავად მოიცავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობას (ვინაიდან სასამართლო ვერ აღასრულებს გადაწყვეტილებას ამის გარეშე). თუმცა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობიდან გამომდინარე შედეგების დადგომა მის აღსრულებაზე არ არის დამოკიდებული.<sup>216</sup>

## **4.2 რას გულისხმობს „საარბიტრაჟო გადაწყვეტილება“ ცნობა-აღსრულების მიზნებისათვის?**

ცნობა-აღსრულების მიზნებისთვის, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებად მიიჩნევა ის გადაწყვეტილება, რომლითაც ტრიბუნალი საბოლოოდ წყვეტს მხარეთა შორის სადავო მატერიალურ-სამართლებრივ საკითხს.<sup>217</sup> ესენია: საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება; ნაწილობრივი და დაუსწრებელი გადაწყვეტილებები; საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მორიგებით; და დამატებითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. ცნობა-აღსრულებას არ ექვემდებარება შუალედური საარბიტრაჟო გადაწყვეტილება და პროცედურული ბრძანებები/გადაწყვეტილებები. უფრო ვრცლად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების განმარტებასა და სახეობებზე იხილეთ ამ გზამკვლევის .

## **4.3 საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების პროცესი**

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხი განიხილება სსსკ-ითა და კანონით დადგენილი წესით.<sup>218</sup> შესაბამისად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესახებ განცხადების (შუამდგომლობის) განხილვის მიმართ ვრცელდება ნებისმიერი სარჩელის, განცხადებისა თუ შუამდგომლობისათვის დადგენილი ზოგადი საპროცესო მოთხოვნები (მაგ: ბაჟის გადახდის ან წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი

<sup>216</sup> Karl-Heinz Böckstiegel, Stefan Michael Kröll, et al. eds., *Arbitration in Germany: The Model Law in Practice*, 2nd ed. (Kluwer Law International, 2015), გვ. 423.

<sup>217</sup> Nigel Blackaby, Constantine Partasides, Alan Redfern, Martin Hunter, *Redfern and Hunter on International Arbitration*, 6th ed. (Oxford University Press, 2015), გვ. 503-504, § 9.08.

<sup>218</sup> სსსკ, მუხლი 356<sup>12</sup>.

დოკუმენტების წარდგენა და ა.შ.). თუმცა, არბიტრაჟის თავისებურებების (მისი, როგორც ეფექტიანი, სწრაფი და კონფიდენციალური მექანიზმის უზრუნველყოფის) გათვალისწინებით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების გარკვეულ საკითხებს განსხვავებულად აწესრიგებს სსსკ. მაგალითად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხი, არბიტრაჟის სისწრაფის უზრუნველსაყოფად, შედარებით შემჭიდროვებულ ვადაში განიხილება.<sup>219</sup>

შესაბამისად, ცნობა-აღსრულებაზე განცხადების (შუამდგომლობის) განხილვისას სასამართლო ამონებს, ერთი მხრივ, სსსკ-ით დადგენილ ზოგადი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ხოლო მეორე მხრივ, არბიტრაჟის სპეციფიკიდან გამომდინარე, სპეციალურ ნორმებთან შესაბამისობას. კანონმდებლობით გათვალისწინებული ასპექტებიდან ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტაც მოითხოვს არბიტრაჟისათვის დამახასიათებელი სპეციფიკის გათვალისწინებას.

#### 4.3.1 რა უნდა შეამოწმოს სასამართლომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესახებ განცხადების (შუამდგომლობის) წარმოებაში მიღებისათვის?

სსსკ-ის მიხედვით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებით დაინტერესებული მხარის განცხადება (შუამდგომლობა), ისევე, როგორც ნებისმიერი განცხადება, უნდა აკმაყოფილებდეს მისი წარმოებაში მიღების საფუძვლებს.<sup>220</sup>

სასამართლომ, განცხადების (შუამდგომლობის) წარმოებაში მიღების გადასწყვეტად, ყურადღება უნდა გაამახვილოს შემდეგ საკითხებზე:

<sup>219</sup> სსსკ, მუხლები 356<sup>21</sup>.3 და 356<sup>21</sup>.4.

<sup>220</sup> იქვე. მუხლი 186.

4.3.1.1 არის თუ არა განცხადება **სასამართლოს განსჯადი**?

4.3.1.2 აყენებს თუ არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების მოთხოვნას **უფლებამოსილი პირი**?

4.3.1.3 ერთვის თუ არა განცხადებას კანონით გათვალისწინებული **დოკუმენტები**?

#### 4.3.1.1 არის თუ არა განცხადება სასამართლოს განსჯადი?

განსჯადობა შესაძლებელია გამოიხატოს როგორც ტერიტორიული, ისე საგნობრივი სახით. საგნობრივი განსჯადობის მიხედვით, სსსკ განასხვავებს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულებას.<sup>221</sup> ამ უკანასკნელის შემთხვევაში, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მიიჩნევა „საერთაშორისოდ“ და მის მიმართ მოქმედებს ნიუ იორკის კონვენციით დადგენილი რეჟიმი, ხოლო განსჯადი იქნება საქართველოს უზენაესი სასამართლო.<sup>222</sup> საქართველოში გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულებაზე კი გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოები იღებენ.<sup>223</sup>

რაც შეეხება ტერიტორიულ განსჯადობას, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში ფუნქციონირებს თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოები, განსჯადი სასამართლო დგინდება იმის მიხედვით, თუ რომელი სააპელაციო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე იქნა გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

ამასთანავე, თუ განცხადება (შუამდგომლობა) შეტანილია არაგანსჯად სასამართლოში, სასამართლომ განჩინებით უარი უნდა უთხრას განმცხადებელს განცხადების წარმოებაში მიღებაზე, თუმცა, ამავე განჩინებაში უნდა მიუთითოს, რომელი სასამართლოს განსჯადია განცხადება (შუამდგომლობა).<sup>224</sup>

<sup>221</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 44.1.

<sup>222</sup> იქვე.

<sup>223</sup> სსსკ, მუხლი 356<sup>13</sup>.2.

<sup>224</sup> იქვე. მუხლი 187.1.



### 4.3.1.2 აყენებს თუ არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების მოთხოვნას უფლებამოსილი პირი?

სსსკ-ის მიხედვით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე გადაწყვეტილება მიიღება „დაინტერესებული მხარის“ მიერ შესაბამისი განცხადების (შუამდგომლობის) აღძვრის შემდეგ.<sup>225</sup> დაინტერესებულ მხარეში მოიაზრება სუბიექტი, რომელიც საარბიტრაჟო პროცესში მონაწილეობდა მხარის სტატუსით და რომლის სასარგებლოდაც (სრულად ან ნაწილობრივ) გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. შესაბამისად, თუ განცხადება (შუამდგომლობა) არ არის შეტანილი დაინტერესებული პირის მიერ, სასამართლო წარმოებაში არ მიიღებს მას.<sup>226</sup>

### 4.3.1.3 ერთვის თუ არა განცხადებას კანონით გათვალისწინებული დოკუმენტები?

სსსკ ადგენს იმ დოკუმენტების ჩამონათვალს, რომლებიც უნდა ერთვოდეს ნებისმიერ განცხადებას,<sup>227</sup> მიუხედავად იმისა, თუ რა ქმედების განხორციელებას ითხოვს განმცხადებელი.<sup>228</sup> გარდა ზემოაღნიშნულისა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების მოთხოვნის შემთხვევაში, კანონისა და სსსკ-ს მიხედვით, მხარემ აღნიშნულ განცხადებას (შუამდგომლობას) ასევე უნდა დაურთოს:<sup>229</sup>

- საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადოდ დამონმებული დედანი ან მისი სათანადოდ დამონმებული ასლი;
- საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი ან მისი სათანადოდ დამონმებული ასლი;
- თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ან საარბიტრაჟო შეთანხმება არ არის შესრულებული ქართულ ენაზე, მხარემ უნდა წარმოადგინოს ამ საბუთების სათანადოდ დამონმებული თარგმანი ქართულ ენაზე.<sup>230</sup>

<sup>225</sup> იქვე. მუხლი 356<sup>20</sup>.

<sup>226</sup> იქვე. მუხლი 186.1.8.

<sup>227</sup> იქვე. მუხლები 178 და 186.

<sup>228</sup> იქვე. მუხლები 178.2., 178.2<sup>1</sup>, 39.ა<sup>2</sup>, 178.3<sup>1</sup>.

<sup>229</sup> იქვე. მუხლი 356<sup>21</sup>.1.

<sup>230</sup> იქვე.

გასათვალისწინებელია, რომ სსსკ ამ დოკუმენტთა ჩამონათვალს (საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, საარბიტრაჟო შეთანხმება) პირდაპირ განსაზღვრავს, რათა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას დამატებითი ბარიერი არ შეექმნას განუსაზღვრელი დოკუმენტების (საქმის მასალების) წარდგენის მოთხოვნით. დამატებითი მტკიცებულებებისა და დოკუმენტების წარმოდგენის საჭიროება განიხილეს ნიუ იორკის კონვენციის შექმნისას, თუმცა ის უარყოფილია და, საბოლოოდ, კონვენციის IV მუხლი მხოლოდ საარბიტრაჟო შეთანხმებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების წარდგენას ითვალისწინებს.<sup>231</sup>

### ა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დედანი ან მისი ასლი, ანდა თარგმანი სათანადო ფორმით

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დედნის ან მისი ასლის ნამდვილობის დამოწმების მიზანია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ტექსტის ავთენტურობის წარმოჩენა და დადასტურება, რომ გადაწყვეტილება ნამდვილად მხარეთა მიერ განსაზღვრული არბიტრების მიერ არის მიღებული.<sup>232</sup> სწორედ ამიტომ, სსსკ ადგენს იმ მინიმალურ ფორმალურ მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს წარმოდგენილი დოკუმენტები. ამასთანავე, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოების განსჯადობას მიეკუთვნება საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულება, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება და მისი თარგმანი ქართული კანონმდებლობის მიხედვით უნდა იყოს დამოწმებული.

მხარემ განცხადებას უნდა დაურთოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დამოწმებული დედანი ან მისი დამოწმებული ასლი. დამოწმებულ დედანში მოიაზრება არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსის, არამედ მასზე არბიტრთა ხელმოწერების დამოწმება; ხოლო, დამოწმებული ასლი გულისხმობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან მისი შესაბამისობის დამოწმებას.

<sup>231</sup> UNCITRAL Secretariat Guide on the Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards (2016) (შემდგომში “UNCITRAL Secretariat Guide”) გვ. 100, § 11.

<sup>232</sup> ICCA-ს სახელმძღვანელო, გვ. 98-99.

ამასთანავე, კერძო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე, კანონი მხარეებს ანიჭებს უფლებამოსილებას, თვითონ განსაზღვრონ საარბიტრაჟო წარმოების ენა, რომლის მიხედვითაც, შემდეგში ინერება საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.<sup>233</sup> შესაბამისად, შესაძლებელია, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შესრულებული იყოს უცხო ენაზე. ამ შემთხვევაში, განმცხადებელი ვალდებულია, წარადგინოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადოდ დამონმებული თარგმანიც. გასათვალისწინებელია, რომ როდესაც არბიტრაჟი შედგება რამდენიმე არბიტრისგან, შეიძლება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე არ იყოს ყველა მათგანის ხელმოწერა. კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც რომელიმე არბიტრი უარს აცხადებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ხელმოწერაზე. ასეთ დროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ხელმოწერილი უნდა იყოს არბიტრთა უმრავლესობის მხრიდან, ხოლო ნაკლები ხელმოწერის შესახებ კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.<sup>234</sup> ამდენად, განცხადების წარმოებაში მიღებისას სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, აწერს თუ არა ხელს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას არბიტრთა უმრავლესობა, ხოლო რომელიმე ხელმოწერის არარსებობისას ამონებს შესაბამის ჩანაწერს.

## **ბ. საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი ან მისი სათანადოდ დამონმებული ასლი**

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან ერთად, მხარემ განცხადებას უნდა დაურთოს საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი ან მისი სათანადოდ დამონმებული ასლი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა და ფორმის დაცვა მოწმდება განცხადების განხილვის არსებით ეტაპზე და არა მისი წარმოებაში მიღებისას. საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობა – მათ შორის, ფორმის დაუცველობის გამო<sup>235</sup> – საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის ერთ-ერთი საფუძველია, რომელიც

<sup>233</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 29.1.

<sup>234</sup> იქვე. მუხლი 39.2

<sup>235</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 59.1.

მონინააღმდეგე მხარემ უნდა ამტკიცოს.<sup>236</sup> შესაბამისად, განცხადების წარმოებაში მიღებისას სასამართლო მხოლოდ *prima facie* (ერთი შეხედვით) ამონიშნებს, წარმოდგენილია თუ არა რაიმე დოკუმენტი, რომელიც შესაძლებელია ჩაითვალოს საარბიტრაჟო შეთანხმებად.<sup>237</sup>

ამასთანავე, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ კანონი აფართოებს საარბიტრაჟო შეთანხმების „წერილობითი ფორმის“ დეფინიციას. ამდენად, საარბიტრაჟო შეთანხმება შესაძლებელია დაიდოს არამართო დოკუმენტის სახით, მასზე ხელმოწერით, არამედ სხვა ფორმებითაც, რაც ასევე წერილობით ფორმას უთანაბრდება.<sup>238</sup> საარბიტრაჟო შეთანხმებაზე მხარეთა ხელმოწერა კი საერთოდ არ არის წერილობითი ფორმის მოთხოვნა. შესაბამისად, შესაძლებელია იყოს შემთხვევები, როდესაც მხარე საარბიტრაჟო შეთანხმებას ფიზიკურად ვერ წარმოადგენს დოკუმენტის სახით. თუ საარბიტრაჟო შეთანხმება ელექტრონული კომუნიკაციის მეშვეობით არის დადებული, მხარემ შეიძლება წარმოადგინოს ამ კომუნიკაციის რეპროდუცირებული, ამობეჭდილი ვერსია; საარბიტრაჟო შეთანხმების სხვა დოკუმენტში ინკორპორაციისას – როგორც დოკუმენტი, რომელიც მიუთითებს საარბიტრაჟო შეთანხმებაზე, ისე ის დოკუმენტი, რომელშიც მითითება კეთდება და რომელიც მოიცავს საარბიტრაჟო შეთანხმებას; ხოლო საარბიტრაჟო სარჩელისა და შესაგებლის გაცვლის შედეგად შეთანხმების არსებობისას, საკმარისია, მხარემ წარმოადგინოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

აღსანიშნავია, რომ მოდელურ კანონში 2006 წელს შესული ცვლილებებით, მხარეს აღარ მოეთხოვება საარბიტრაჟო შეთანხმების წარმოდგენა,<sup>239</sup> საკმარისად მიიჩნევა სათანადოდ დამოწმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაც. აღნიშნული ცვლილება, გათვალისწინებულია სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაშიც,<sup>240</sup> თუმცა ჯერ არ არის ასახული საქართველოს

<sup>236</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 45.1.ა.

<sup>237</sup> სინგაპურის უმაღლესი სასამართლოს 2010 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Denmark Skibstekniske Konsulenter A/S I Likvidation (formerly known as Knud E Hansen A/S) v Ultrapolis 3000 Investments Ltd (formerly known as Ultrapolis 3000 Theme Park Investments Ltd)*, SGHC 108, § 22.

<sup>238</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 8.4-8.8.

<sup>239</sup> მოდელური კანონი, მუხლი 35.2.

<sup>240</sup> იხ. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 1064.1.

კანონში. ცვლილება მოდელურ კანონში განხორციელდა იმ მოსაზრებით, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების წარდგენის მოთხოვნა ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო შეთანხმების წერილობითი ფორმის ფართო განმარტებას. ამასთან, განცხადების წარმობაში მიღების ეტაპზე საარბიტრაჟო შეთანხმების წარმოდგენის მოთხოვნა „უბიძგებს“ სასამართლოს, შეამოწმოს საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმის დაცულობა ამავე ეტაპზე (რაც არასწორია), მაშინ, როდესაც მეორე მხარე შესაძლებელია არც დავობდეს საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობაზე.<sup>241</sup>

რაც შეეხება უცხო ენაზე შესრულებულ საარბიტრაჟო შეთანხმებას, სსსკ ადგენს, რომ ასეთ შემთხვევაში „*მხარემ უნდა წარმოადგინოს ასევე ქართულ ენაზე ამ საბუთის სათანადოდ დამოწმებული თარგმანი*“.<sup>242</sup> გასათვალისწინებელია, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება იყოს როგორც ხელშეკრულების ნაწილი, ისე ცალკე ფორმით წარმოდგენილი.<sup>243</sup> როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმება ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია საარბიტრაჟო დათქმის ფორმით, არ არის აუცილებელი, მხარემ მთლიანი ხელშეკრულების დამოწმებული თარგმანი წარადგინოს; საკმარისია საარბიტრაჟო დათქმის დამოწმებული თარგმანი.<sup>244</sup>

### 4.3.2 რა უნდა შეამოწმოს სასამართლომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადების (შუამდგომლობის) განხილვამდე?

მას შემდეგ, რაც სასამართლო წარმობაში მიიღებს განცხადებას (შუამდგომლობას) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესახებ, სასამართლო ამოწმებს, შემდეგ გარემოებებს:

<sup>241</sup> Howard M. Holtzmann, Joseph E. Neuhaus, et al., *A Guide to the 2006 Amendments to the UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration: Legislative History and Commentary*, (Kluwer Law International; 2015), გვ. 587-588.

<sup>242</sup> სსსკ, მუხლი 356<sup>21</sup>.1.

<sup>243</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.2.

<sup>244</sup> ციურისის სააპელაციო სასამართლოს 2003 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება, მოხსენიებული UNCITRAL Secretariat Guide, გვ. 119, § 86; ასევე იხ. Niuscha Bassiri and Maarten Draye (eds), *Arbitration in Belgium*, (Kluwer Law International, 2016) გვ. 507, § 18.

4.3.2.1 ჩაბარდა თუ არა მონინაალმდეგე მხარეს საქმის მასალები სსსკ-ით დადგენილი წესით?

4.3.2.2 წარადგინა თუ არა მონინაალმდეგე მხარემ განცხადება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ?

4.3.2.3 წარადგინა თუ არა მონინაალმდეგე მხარემ პრეტენზია მას შემდეგ, რაც მისი საჩივარი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების იმავე საფუძვლებით გაუქმების თაობაზე არ დააკმაყოფილა სასამართლომ?

4.3.2.4 წარადგინა თუ არა მონინაალმდეგე მხარემ პრეტენზია მას შემდეგ, რაც გავიდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებაზე საჩივრის შეტანის ვადა?

#### 4.3.2.1 ჩაბარდა თუ არა მონინაალმდეგე მხარეს საქმის მასალები სსსკ-ით დადგენილი წესით?

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესახებ განცხადების (შუამდგომლობის) წარდგენის შემთხვევაში, სსსკ ადგენს, რომ „შუამდგომლობა ეგზავნება იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია აღნიშნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.“<sup>245</sup> ეს მნიშვნელოვანია, რადგან მონინაალმდეგე მხარე უფლებამოსილია, ასეთი გზავნილის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წარმოადგინოს თავისი პოზიცია და იღავოს იმ საფუძვლების არსებობაზე, რომლებიც შეიძლება გახდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი.<sup>246</sup>

თავის მხრივ, სსსკ განსაზღვრავს, რა შემთხვევებში ევალება მხარეს და სასამართლოს გზავნილის მოპასუხისთვის (მონინაალმდეგე მხარისათვის) ჩაბარება.<sup>247</sup>

<sup>245</sup> სსსკ, მუხლი 356<sup>21</sup>.2<sup>1</sup>.

<sup>246</sup> იქვე.

<sup>247</sup> იქვე. მუხლები 183 და 184.

ამასთანავე, შესაძლებელია, უცნობი იყოს მოპასუხის ადგილსამყოფელი, ან ვერ ხერხდებოდეს მისთვის გზავნილის ჩაბარება. ასეთ დროს დასაშვებია გზავნილის საჯარო შეტყობინების სახით ჩაბარება.<sup>248</sup> ამ დროს გასათვალისწინებელია არბიტრაჟის კონფიდენციალური ბუნება. კანონის 32.5 მუხლის თანახმად, არბიტრაჟის წევრები და პროცესის ყველა მონაწილე მხარე ვალდებული არიან, დაიცვან საარბიტრაჟო განხილვისას მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა. ამდენად, სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო პროცესის დეტალების განმუდგავნება – მათ შორის, დავის საგნის შესახებ ინფორმაციის მითითება – შეიძლება შეეწინააღმდეგოს მხარეთა კონფიდენციალობის ინტერესებს. საჯარო შეტყობინებისას მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს გასაჯაროებული ინფორმაცია.

#### 4.3.2.2 წარადგინა თუ არა მოწინააღმდეგე მხარემ განცხადება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ?

კანონის მიხედვით, მტკიცების ტვირთი, რომ არსებობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები, ეკისრება მხარეს, რომელიც ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას.<sup>249</sup> შესაბამისად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, თავისი ინიციატივით შეამოწმოს 45.1.ა მუხლით გათვალისწინებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები. ამასთანავე, პროცესის ეფექტიანობისა და არბიტრაჟის, როგორც დავის სწრაფი გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის უზრუნველსაყოფად, პრეტენზიის დაყენების უფლება შეზღუდულია 7-დღიანი ვადით.<sup>250</sup> თუ მხარეს სათანადო წესით ჩაბარდა გზავნილი და მან 7 დღის ვადაში არ წარადგინა პრეტენზია, იგი კარგავს უფლებას, იდავოს 45.1.ა მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობაზე და სასამართლომ ისინი საკუთარი ინიციატივით არ უნდა შეამოწმოს.

<sup>248</sup> იქვე. მუხლი 184.4.

<sup>249</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 45.1.ა.

<sup>250</sup> სსსკ, მუხლი 356<sup>21</sup>.<sup>21</sup>.

#### 4.3.2.3 წარადგინა თუ არა მოწინააღმდეგე მხარემ პრეტენზია მას შემდეგ, რაც მისი საჩივარი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების იმავე საფუძვლებით გაუქმების თაობაზე არ დააკმაყოფილა სასამართლომ?

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე საჩივრის შეტანა და განხილვა შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებამდე. იქიდან გამომდინარე, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები იდენტურია, თუკი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივრის განხილვისას სასამართლო შეამოწმებს გაუქმების საფუძველს, მისი ეს შეფასება მხოლოდ ჩაითვლება ცნობა-აღსრულების ეტაპზე. მაგალითად, თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ განცხადების განხილვისას სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ არ დარღვეულა მხარეთა მიერ შეთანხმებული საარბიტრაჟო წარმოების წესები (ან ასეთი დარღვევა იყო უმნიშვნელო), მაშინ მოწინააღმდეგე მხარეს ერთმევა ამ საფუძვლით დავის უფლება ცნობა-აღსრულების კონტექსტში. თუკი ასეთი განცხადება მაინც იქნა წარდგენილი, სასამართლო მას წარმოებაში არ მიიღებს.<sup>251</sup>

#### 4.3.2.4 წარადგინა თუ არა მოწინააღმდეგე მხარემ პრეტენზია მას შემდეგ, რაც გავიდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებაზე საჩივრის შეტანის ვადა?

კანონის მიხედვით, „მხარემ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივარი სასამართლოში შეიძლება წარადგინოს ამ გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარებიდან 90 დღის განმავლობაში.“<sup>252</sup> ხოლო საჩივრის წარდგენის ვადა აითვლება არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების მხარეთათვის ჩაბარების მომენტიდან.<sup>253</sup> თუ მხარემ არ გაასაჩივრა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება განსაზღვრულ ვადაში, მიიჩნევა, რომ იგი ეთანხმება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას და მას ერთმევა უფლება, ცნობა-აღსრულების ეტაპზე მიუთითოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების

<sup>251</sup> იქვე.

<sup>252</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 42.3.

<sup>253</sup> იქვე.



აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები.<sup>254</sup> თუ მხარე მაინც წარადგენს განცხადებას და მიუთითებს ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს მას შემდეგ, რაც ამოიწურება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის 90-დღიანი ვადა, ასეთ განცხადებას წარმოებაში მიღებაზე უარი უნდა ეთქვას.<sup>255</sup> თუმცა, სასამართლო, თავისი ინიციატივით მაინც ამოწმებს ორ ასპექტს: ხომ არ ეწინააღმდეგება გადაწყვეტილება საქართველოს საჯარო წესრიგს და არის თუ არა დავა არბიტრაჟუნარიანი.<sup>256</sup>

### 4.3.3 რა ფორმით უნდა განიხილოს სასამართლომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების განცხადება (შუამდგომლობა)?

სსსკ-ის მიხედვით, სასამართლო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხს განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას.“<sup>257</sup> შესაბამისად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების პროცესი, როგორც წესი, ზეპირი მოსმენის გარეშე წარიმართება, რაც ხელს უწყობს ამ პროცესის დაჩქარებულ წარმართვას. თუმცა, სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა შეაფასოს, არის თუ არა აუცილებელი მხარის მიერ დამატებითი განმარტების მიღება ფაქტობრივ გარემოებებზე, თუ მხოლოდ სამართლებრივი საკითხებია შესაფასებელი, რადგან ამ ორ შემთხვევაში სხვადასხვა სტანდარტი მოქმედებს.<sup>258</sup>

<sup>254</sup> სსსკ, მუხლი 356<sup>21</sup>.2<sup>1</sup>.

<sup>255</sup> იქვე.

<sup>256</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 45.1.ბ.

<sup>257</sup> სსსკ, მუხლი 356<sup>21</sup>.2.

<sup>258</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №2/2/558 „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, § II-42. „ზეპირი განხილვის უფლების დაცვის სტანდარტი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამართალწარმოების შინაარსზე. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის განხილვა უკავშირდება ფორმალურ-სამართლებრივი საკითხების დადგენას, ნაკლებია ზეპირი მოსმენის გამართვის ინტერესი. ამ შემთხვევაში მოქმედებს პრინციპი „jura novit curia“ („სასამართლო იცის კანონი“) და მხარეების მიერ სამართლებრივ გარემოებებზე მითითებას მხოლოდ დამხმარე ფუნქცია აქვს. განსხვავებულია მიდგომა იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო წყვეტს როგორც ფორმალურ-სამართლებრივ საკითხებს, ასევე, აფასებს ფაქტობრივ გარემოებებს. ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შემთხვევაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზეპირი მოსმენის ჩატარებასა და პირისთვის მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობის მინიჭებას“.

ზეპირი მოსმენით პროცესის ჩატარების საჭიროება შეიძლება არ არსებობდეს, როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე განცხადების შეტანის შემდგომ, მოწინააღმდეგე მხარე არ წარადგენს პრეტენზიას და არ მიუთითებს უარის თქმის საფუძველს;<sup>259</sup> ამ შემთხვევაში მხარე კარგავს კანონის 45.1.ა. მუხლით გათვალისწინებულ საფუძველებზე მითითების უფლებას და საგრძნობლად მცირდება სასამართლოს მიერ შესამოწმებელი საფუძველების რიცხვი.<sup>260</sup> თუმცა, ფაქტობრივი გარემოებების შეფასება შესაძლოა საჭირო გახდეს მაშინაც, როდესაც სასამართლო თავისი ინიციატივით ამოწმებს არბიტრაჟუნარიანობისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საჯარო წესრიგთან შესაბამისობის საკითხს.<sup>261</sup> ამ შემთხვევაში ის უფლებამოსილია, დანიშნოს ზეპირი მოსმენა.

#### 4.3.4 რა შემთხვევაში შეუძლია სასამართლოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნაწილობრივ ცნობა-აღსრულება?

კანონის 45.1.ა.(ა.გ) მუხლის მიხედვით, მაშინ, როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს, იგი „შესაძლებელია ცნობილი და აღსრულებული იქნეს ნაწილობრივ, მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში მოქცეულ საკითხებზე გადაწყვეტილებას შეიცავს“.<sup>262</sup> სხვა შემთხვევა კანონით პირდაპირ არ არის დარეგულირებული. თუმცა მიჩნეულია, რომ ზოგადი პრინციპის მიხედვით, შესაძლებელია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ნაწილობრივ, თუკი მის ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველები საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მხოლოდ ნაწილს ეხება, რომლის გამიჯვნაც შესაძლებელია.<sup>263</sup> ეს მიდგომა ეხმიანება „არბიტრაჟის მომხრე განწყობას“ და მისი ეფექტიანობის დასაცავად უზრუნველყოფს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნაწილობრივ ცნობა-აღსრულებას.

<sup>259</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 28 თებერვლის განჩინება საქმეზე №2ბ/4963-12; ასევე, ფრანკ-ფურტის უმაღლესი რევიონული სასამართლოს 2009 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №26 SchH 01/09.

<sup>260</sup> ფრანკფურტის უმაღლესი რევიონული სასამართლოს 2009 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №26 SchH 01/09.

<sup>261</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 45.1.ბ.

<sup>262</sup> იქვე. მუხლი 45.1.ა.(ა.გ).

<sup>263</sup> Karl-Heinz Böckstiegel, Stefan Michael Kröll, et al. eds., *Arbitration in Germany: The Model Law in Practice*, 2nd ed (Kluwer Law International, 2015), გვ. 457, § 46.

### 4.3.5 რა ვადაში უნდა განიხილოს სასამართლომ განცხადება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე და ამ ვადის დარღვევის შედეგები

არბიტრაჟის, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმის არჩევის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი, ხშირად მხარეების სურვილია, რომ მათ შორის დავა სწრაფად გადაწყდეს. ამისათვის საჭიროა არამართო საარბიტრაჟო პროცესი იყოს ეფექტიანი, არამედ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების პროცესიც შემჭიდროვებულ ვადაში წარიმართოს.<sup>264</sup>

სსსკ ადგენს, რომ განჩინება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე სასამართლომ უნდა გამოიტანოს მონინააღმდეგე მხარის განცხადების წარდგენიდან ან მის წარსადგენად განსაზღვრული 7-დღიანი ვადის გასვლიდან (რომელიც უფრო ადრე იყო) არაუგვიანეს 30 დღისა.<sup>265</sup> ამ განჩინებასთან ერთად მხარეს ეძლევა სააღსრულებო ფურცელი.<sup>266</sup>

იმისათვის, რომ ბარიერები არ შეექმნას არბიტრაჟის ეფექტიანობას, სსსკ დამატებით ადგენს, რომ „განჩინება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების თაობაზე გამოტანილად ითვლება, როდესაც დარღვეულია [...] დადგენილი ვადა.“<sup>267</sup> შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხი დადგენილ ვადაში განიხილოს, ხოლო ვადის გასვლის შემთხვევაში ჩაითვლება, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ცნობილი და აღსრულებულია, რის საფუძველზეც უნდა გაიცეს სააღსრულებო ფურცელი.

### 4.3.6 რა შემთხვევაში შეიძლება შეჩერდეს ცნობა-აღსრულების პროცესი?

სსსკ-ის მიხედვით, შესაძლებელია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების პროცესი ისე დაინწყოს, რომ არ იყოს გასული საარბიტრაჟო

<sup>264</sup> განმარტებითი ბარათი „არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს კანონის პროექტზე, რეგისტრაციის ნომერი 07 2/280/8, თარიღი 10.12.2015 წ. გვ. 1.

<sup>265</sup> სსსკ, მუხლი 356<sup>21</sup>.2.

<sup>266</sup> იქვე. მუხლი 356<sup>21</sup>.4.

<sup>267</sup> იქვე. მუხლი 356<sup>21</sup>.5.

გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის 90-დღიანი ვადა. თუ მონინააღმდეგე მხარე ამ ვადაში მოითხოვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას და, ამავე დროს, მიმდინარეობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების პროცესი, იგი უფლებამოსილია, შუამდგომლობით მოითხოვოს აღსრულების პროცესის შეჩერება; სასამართლო დააკმაყოფილებს შუამდგომლობას და შეაჩერებს აღსრულებას საჩივრის წარმობაში მიღებიდან არაუმეტეს 30 დღით, „თუ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი უზრუნველყოფა“.<sup>268</sup> რა შეიძლება ჩაითვალოს შესაბამის უზრუნველყოფად, უნდა შეფასდეს საქმის გარემოებათა ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით.

#### 4.3.7 რა შედეგი მოჰყვება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას ან მასზე უარის თქმას?

მას შემდეგ, რაც სასამართლო ცნობს და აღსასრულებლად მიაქცევს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, მხარე უფლებამოსილია, გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, სააღსრულებო წარმობათა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოითხოვოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.<sup>269</sup>

ამასთანავე, ვინაიდან განჩინება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე საბოლოოა და არ გასაჩივრდება,<sup>270</sup> მხარეებს ეკრძალებათ, იდავონ იმავე საკითხებზე (პრეიუდიციული ძალა). ეს ეფექტი გამყარებულია სსსკ-ში, რომლის მიხედვითაც საქმის წარმობა შეწყდება, თუკი „არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.“<sup>271</sup> აღნიშნული აკრძალვა ეხება დავას ნებისმიერ „ფორუმში“, იქნება ეს არბიტრაჟი თუ სასამართლო.

<sup>268</sup> იქვე. მუხლი 356<sup>24</sup>.4.

<sup>269</sup> სააღსრულებო წარმობათა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 2.ლ.

<sup>270</sup> სსსკ, მუხლი 356<sup>24</sup>.6.

<sup>271</sup> იქვე. მუხლი 272.ბ.

## მხარე ითხოვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას

### შუამდგომლობის წარმოებაში მიღების ეტაპი<sup>1</sup>

არის თუ არა შუამდგომლობა შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს განსჯადი? [იხ. 4.3.1.1 ქვეთავი]

**1.** **✗ არა** (სასამართლო უარს ამბობს შუამდგომლობის წარმოებაში მიღებაზე) **✓ დიახ** (სასამართლო აგრძელებს შეფასებას)

დაყენებულია, თუ არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების მოთხოვნა უფლებამოსილი პირის მიერ? [იხ. 4.3.1.2 ქვეთავი]

**2.** **✗ არა** (სასამართლო უარს ამბობს შუამდგომლობის წარმოებაში მიღებაზე) **✓ დიახ** (სასამართლო აგრძელებს შეფასებას)

ერთვის თუ არა შუამდგომლობას კანონით გათვალისწინებული დოკუმენტები? [იხ. 4.3.1.3 ქვეთავი]

**3.** **✗ არა** (სასამართლო უარს ამბობს შუამდგომლობის წარმოებაში მიღებაზე) **✓ დიახ** (სასამართლო წარმოებაში იღებს შუამდგომლობას)

### შუამდგომლობის განხილვის ეტაპი

ჩაბარდა, თუ არა მოწინააღმდეგე მხარეს საქმის მასალები სსკ-ით დადგენილი წესით? [იხ. 4.3.2.1 ქვეთავი]

**4.** **✗ არა** (სასამართლო უარს ამბობს შუამდგომლობის განხილვაზე) **✓ დიახ** (სასამართლო განიხილავს შუამდგომლობის)

არსებობს, თუ არა შუამდგომლობის განხილვის შერჩევის საფუძველი? [იხ. 4.3.6 ქვეთავი]

**5.** **✓ დიახ** (ჩერდება საქმის წარმოება) **✗ არა** (გრძელდება განხილვა)

დაკარგა თუ არა მოწინააღმდეგე მხარემ ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველების არსებობაზე შეფასების უფლება [იხ. 5.2 ქვეთავი]

**6.** **✗ არა** (სასამართლო აღარ განიხილავს მითითებულ საფუძველს) **✓ დიახ** (სასამართლო განიხილავს მითითებულ საფუძველს)

არსებობს, თუ არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველები? [იხ. 5 თავი]

**7.** **✓ დიახ** (სასამართლო უარს ამბობს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე) **✗ არა** (სასამართლო ცნობს და აღასრულებს გადაწყვეტილებას)

შესაძლებელია თუ არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნაწილობრივ ცნობა-აღსრულება? [იხ. 4.3.4 ქვეთავი]

**8.** **✗ არა** (სასამართლო სრულად უარს ეტყვის მხარეს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე) **✓ დიახ** (სასამართლო ნაწილობრივ ცნობს და აღასრულებს გადაწყვეტილებას)

### შედეგები [იხ. 4.3.7 ვებთაბი]

- > სასამართლო უარს ეუბნება მხარეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე
- > საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას საქართველოში არ აქვს საშარლტებრივი ძალა

### შედეგები [იხ. 4.3.7 ვებთაბი]

- > სასამართლო ცნობს, აღასრულებლად მიიქცევს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას და გასცემს საასრულებო ფურცელს
- > საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ენიჭება პრეიუდიციული ეფექტი

1. შუამდგომლობის წარმოებაში მიღების ეტაპისთვის განსაზღვრული სამივე საკითხი ემუქვება.



# 5.

საარბიტრაჟო  
გადაწყვეტილების  
გაუქმებისა და მის ცნობა-  
აღსრულებაზე უარის  
თქმის საფუძვლები





## 5. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და მის ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები

წინამდებარე თავი განიხილავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების, ასევე მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს. ამ საფუძვლების შეფასებისას, მნიშვნელოვანია სასამართლომ გაითვალისწინოს შესაბამისი პროცესის (გაუქმება თუ ცნობა-აღსრულება) თავისებურება და ზოგადი პრინციპები, რომელთაც უნდა დაეყრდნოს იგი. ამდენად, გზამკვლევის ეს თავი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- 5.1.1 რა პრინციპით არის განსაზღვრული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და მის ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები?
- 5.1.2 რა ზოგადი პრინციპები უნდა გაითვალისწინოს სასამართლომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და ცნობა-აღსრულების საკითხის გადაწყვეტისას?
- 5.1.3 ვის აკისრია მტკიცების ტვირთი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა ან მის ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საკითხის განხილვისას?
- 5.1.4 საფუძვლები, რომელთა მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს;
- 5.1.5 საფუძვლები, რომლებიც სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს საკუთარი ინიციატივით.



## 5.1 რა პრინციპით არის განსაზღვრული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და მის ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები?

მოდელური კანონის მსგავსად,<sup>272</sup> საქართველოს კანონიც, მცირე გამო-  
ნაკლისის გარდა,<sup>273</sup> ადგენს იდენტურ საფუძვლებს საარბიტრაჟო გადაწყვე-  
ტილების გაუქმებისა და ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმისათვის.<sup>274</sup> ეს  
საფუძვლები გამომდინარეობს ნიუ იორკის კონვენციის V მუხლიდან. კონ-  
ვენცია განსაზღვრავს უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა  
და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს. მოდელური კანონი, მცირე,  
არაარსებითი ცვლილებებით, იმეორებს იმავე საფუძვლებს გაუქმებისა თუ  
ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმისათვის.<sup>275</sup>

ზემოაღნიშნულ საფუძვლებზე მსჯელობა UNCITRAL-ის სამდივნოში პირვე-  
ლად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების კონტექსტში წარიმართა.  
სამდივნომ თავიდანვე დაუჭირა მხარი კონვენციით გათვალისწინებული  
საფუძვლების გადმოტანას მოდელურ კანონში. ასეთი მიდგომა გამართლე-  
ბული იყო, ვინაიდან კონვენცია ითვალისწინებს გადაწყვეტილების შე-  
მონშების საერთაშორისოდ აღიარებულ საფუძვლებს, ხოლო მოდელურ  
კანონში მათი გადმოტანით, უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ  
დაექვემდებარებოდა ეროვნული სამართლით შემონშების განსხვავებულ  
სტანდარტს.<sup>276</sup> სამუშაო ჯგუფმა დაასკვნა, რომ გადაწყვეტილების გაუქმების  
ნაწილში კონვენციით გათვალისწინებული საფუძვლების მოდელურ კანონში  
გამეორება ხელს შეუწყობდა საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის  
განვითარებას. აღნიშნული ასევე გაზრდიდა განჭვრეტადობის ხარისხს,  
სხვადასხვა ქვეყნის საარბიტრაჟო კანონმდებლობაში ერთგვაროვანი  
საფუძვლების არსებობის პირობებში.<sup>277</sup>

<sup>272</sup> მოდელური კანონი, მუხლები 34 და 36.

<sup>273</sup> ეს გამონაკლისი გახლავთ კანონის 45.1.ა.(ა.ე) მუხლი, რომლის ანალოგი არ არის 42.2.ა მუხლი. აღნიშნულის შესახებ მეტი მსჯელობა იხ. წინამდებარე გზამკვლევის .

<sup>274</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 42.2. და 45.1.

<sup>275</sup> Nigel Blackaby, Constantine Partasides, Alan Redfern, Martin Hunter, *Redfern and Hunter on International Arbitration*, 6th ed. (Oxford University Press, 2015), გვ. 582, § 10.38.

<sup>276</sup> Howard M. Holtzmann and Joseph E. Neuhaus, *A Guide to the UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration: Legislative History and Commentary* (Kluwer Law International, 1989), გვ. 851.

<sup>277</sup> იქვე. გვ. 912.

სწორედ ზემოთ მითითებული მიზეზების გამო, მოდელური კანონი და, შესაბამისად, საქართველოს კანონი, როგორც გაუქმების, ასევე ცნობისა და აღსრულების მიზნებისათვის, ეყრდნობა ნიუ იორკის კონვენციაში მოცემულ საფუძვლებს.

## **5.2 რა ზოგადი პრინციპები უნდა გაითვალისწინოს სასამართლომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და ცნობა-აღსრულების საკითხის გადაწყვეტისას?**

ქვემოთ მოყვანილია ძირითადი პრინციპები, რაც სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვისას. ეს პრინციპები გამომდინარეობს როგორც კონვენციის შექმნის ისტორიიდან, ისე მოდელური კანონის მოსამზადებელი მასალებიდან. ორივე მათგანი რელევანტურია ქართული სასამართლო პრაქტიკისათვის, რამდენადაც საქართველოს კანონი, არსითაც და ფორმულირებითაც, ამ ორ დოკუმენტს ეფუძნება.

**საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არის საბოლოო:** საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოო და მბოჭავი ხასიათი, არბიტრაჟის – როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების – ერთ-ერთი უპირატესობაა. არბიტრაჟის არჩევისას მხარეები მოელიან, რომ დავის არსებით საკითხზე გადაწყვეტილებას სწორედ მათ მიერ დანიშნული/არჩეული არბიტრები მიიღებენ. ამდენად, გაუქმებისა და ცნობა-აღსრულების კონტექსტშიც კი, მნიშვნელოვანია სასამართლომ გაითვალისწინოს, რომ არსებით საკითხებში შესვლა ეწინააღმდეგება მხარეთა მიზანს, დავა არბიტრაჟს დაუქვემდებარონ. ამავე დროს, ვინაიდან არბიტრაჟის გადაწყვეტილებას მოსდევს მნიშვნელოვანი შედეგები მხარეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების კუთხით, ბუნებრივად საჭირო ხდება ამ პროცესის სამართლიანობის ძირეულ სტანდარტთა უზრუნველყოფა.<sup>278</sup> საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა საბოლოობასა და მის

<sup>278</sup> Hossein Abedian, “Judicial Review of Arbitral Awards in International Arbitration – A Case for an Efficient System of Judicial Review”, *Journal of International Arbitration*, Vol. 28, Is. 6 (2011), გვ. 553.

საბაზისო სამართლიანობას შორის ჭიდილი უნდა გახდეს ამოსავალი წერტილი სასამართლოს მიერ ცნობა-აღსრულებისა თუ გაუქმების პროცესში.<sup>279</sup>

ამ პრინციპზე დაყრდნობით, ნიუ იორკის კონვენციისა და მოდელური კანონის ავტორებმა, ერთი მხრივ, დაადგინეს, ხოლო მეორე მხრივ, შემლუდეს გარემოებები, რომელთა საფუძველზეც სასამართლოს შეუძლია გააუქმოს ან უარი თქვას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე.<sup>280</sup>

ბრიტანეთის კოლუმბიის სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში იმსჯელა არბიტრაჟის გადაწყვეტილებაში სასამართლოს ჩარევის სტანდარტზე. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოდელური კანონი მკაცრად ადგენს გარემოებებს, როცა სასამართლოს ჩარევა დაშვებულია; ამდენად, გაუქმების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლომ უნდა გამოიყენოს სტანდარტი, რომლის მიზანიც იქნება მხარეთა მიერ არბიტრაჟის სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანის და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობის შენარჩუნება და მინიმუმამდე დაიყვანოს სასამართლოს ჩარევის ფარგლები.<sup>281</sup>

**საფუძვლები არის ამომწურავი:** ეს პრინციპი კავშირშია სასამართლოს შემლუდული ჩარევის ფარგლებთან. კანონის 6.2 მუხლის თანახმად, დაუშვებელია სასამართლოს რაიმე სახით ჩარევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით.<sup>282</sup> კანონი პირდაპირ ითვალისწინებს სასამართლოს უფლებამოსილებას, გააუქმოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ან უარი თქვას მის ცნობა-აღსრულებაზე. თუმცა, ამავე დროს, მოდელური კანონის მსგავსად, აზუსტებს, რომ სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება „მხოლოდ“ ჩამოთვლილ შემთხვევებში. კანონი ასევე ამომწურავი სახით

<sup>279</sup> საერთაშორისო სამართლის ასოციაციის საბოლოო ანგარიში „საჯარო წესრიგის, როგორც საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების დაბრკოლება“ (ნიუ-დელის კონფერენცია, 2002) გამოქვეყნებულია Arbitration International, Vol. 19, Is. 2, (2003), § 5; სინგაპურის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *CRW Joint Operation v PT Perusahaan Gas Negara (Persero)*, § 25-27.

<sup>280</sup> კენის უმაღლესი სასამართლოს 2005 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Apa Insurance Co. Ltd. v. Chrysanthus Barnabas Okemo*, გვ. 6; UNCITRAL Digest 2012, გვ. 134, § 4.

<sup>281</sup> ბრიტანეთის კოლუმბიის სააპელაციო სასამართლოს 1991 წლის 24 თქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Quintette Coal Ltd. v. Nippon Steel Corporation*, § 16, 32.

<sup>282</sup> მოდელური კანონი, მუხლი 5; არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2.

მიუთითებს ცნობისა და აღსრულების უარის თქმის საფუძვლებზე. ჩარევის შეზღუდული სტანდარტი და საფუძვლების ამომწურავი ჩამონათვალი ასევე ეხმარება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპს.

**გაუქმება, ისევე როგორც ცნობა-აღსრულებაზე უარი, სასამართლოს დისკრეცია:** კანონის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია გააუქმოს ან უარი თქვას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. მითითება *უფლებამოსილებაზე* („უფლებამოსილია გააუქმოს“, „შეიძლება უარი ეთქვას“) საშუალებას აძლევს სასამართლოს, ძალაში დატოვოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მაშინაც კი, თუ არსებობს მისი გაუქმების კანონით დადგენილი საფუძველი.<sup>283</sup> თუმცა, ეს გამონაკლისია და არ უნდა აღიქმებოდეს სასამართლოს თვითნებობის საშუალებად. საერთაშორისო პრაქტიკაში ჩამოყალიბდა ის პრინციპები და შემთხვევები, როდესაც შესაბამისი საფუძვლის არსებობის მიუხედავად გამართლებულია დისკრეციის გამოყენება გადაწყვეტილების ძალაში დატოვებისა ან მისი ცნობა-აღსრულებისთვის. ასეთ პრინციპთა შორისაა, მაგალითად, მინიმალური/არაარსებითი დარღვევის (*de minimis*) პრინციპი,<sup>284</sup> რომლის შესახებ სასამართლო პრაქტიკა მოყვანილია ქვემოთ, გამკვლევის სხვადასხვა ნაწილში.

ონტარიოს სააპელაციო სასამართლომ განიხილა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საკითხი და ასევე იმსჯელა დისკრეციის ფარგლებზე. მხარეთა შეთანხმება პირდაპირ მიუთითებდა, რომ მათ ჰქონდათ ტრიბუნალის მიერ ჩანიშნულ ყველა ზეპირ სხდომაზე დასწრების უფლება. მიუხედავად ამისა, ტრიბუნალმა მხარეებს არ შეატყობინა და მათ დაუსწრებლად შეხვდა პირს, რომელიც მხარეებმა დანიშნეს არბიტრად ამავე დავის არბიტრაჟის საშუალებით მოგვარების წინა მცდელობისას. მხარე ითხოვდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას იმ არგუმენტით, რომ აღნიშნული შეხვედრის

<sup>283</sup> Albert Jan van den Berg, “Should the Setting Aside of the Arbitral Award be Abolished?” ICSID Review Foreign Investment Law Journal, Vol. 29, Is. 2, (2014), გვ. 6.

<sup>284</sup> მინიმალური/არაარსებითი დარღვევის (*de minimis*) პრინციპის შესაბამისად, სასამართლო მინიმალურ დარღვევას, მისი არაარსებითი ხასიათიდან გამომდინარე, არ მიიჩნევს საკმარისად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისათვის, ან მის ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმისათვის. მინიმალური/არაარსებითი თუ არა დარღვევა ფასდება იმის მიხედვით, თუ რა გავლენა მოახდინა ამ დარღვევამ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსზე.

გამო, საარბიტრაჟო წარმოება წარიმართა მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების პირობების უგულვებელყოფით. სააპელაციო სასამართლომ, თავისი დისკრეციის ფარგლებში, უარი თქვა გადაწყვეტილების გაუქმებაზე, მიუხედავად იმისა, რომ დაადგინა კანონით გათვალისწინებული პროცესუალური დარღვევა. სასამართლომ განმარტა, რომ მოდელური კანონის მიზანი იყო სამართლიანი პროცესის არსებითი დარღვევების პრევენცია და არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება მცირე პროცედურული გადაცდომების გამო. სასამართლომ მიუთითა, რომ მოდელური კანონის 34.2 მუხლის შეფასებისას, არსებითია კითხვა, თუ რა გავლენა მოახდინა პროცესუალურმა შეცდომამ შედეგის სანდოობასა და სამართლიანობაზე; მოცემულ შემთხვევაში კი სასამართლომ ასეთი ზეგავლენა არაარსებითად შეაფასა. სასამართლომ დაადგინა, რომ დისკრეციის გამოყენებისას უნდა შემოწმდეს: (ა) დარღვევის მნიშვნელობა; (ბ) დარღვევის სავარაუდო გავლენა საარბიტრაჟო წარმოების შედეგსა და მის სამართლიანად წარმართვაზე; (გ) სავარაუდო ზიანი, რაც შეიძლება წარმოიშვას საარბიტრაჟო წარმოების ხელახლა ჩატარებით, თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გაუქმდა; და (დ) გარკვეულ შემთხვევებში, მხარეთა ქმედებები, მას შემდეგ, რაც მათ შეიტყვეს პროცესუალური დარღვევის შესახებ.<sup>285</sup> დისკრეცია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ გამოიყენა ჰონგ-კონგის სასამართლომ. ამ საქმეში მხარე, რომელიც ითხოვდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას, სხვა საკითხებთან ერთად, დავობდა, რომ მას არ მიეცა თავისი პოზიციის წარმოდგენის საშუალება. საარბიტრაჟო განხილვისას, ორივე მხარე შუამდგომლობდა ზიანის ანაზღაურების საკითხის ილინოისის შტატის კანონმდებლობის შესაბამისად გადაწყვეტაზე. ტრიბუნალმა გაავრცელა ჩინეთის კანონმდებლობა ისე, რომ მხარეებს არ მიეცათ შესაძლებლობა, გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება ამ საკითხზე. სასამართლომ გაუქმების საკითხის განხილვისას იმსჯელა, თუ რამდენად შეცვლიდა საბოლოო შედეგს ტრიბუნალის მიერ ილინოისის სამართლის გამოყენება და, შესაბამისად, რამდენად აისახა ტრიბუნალის საბოლოო გადაწყვეტილებაზე მხარის

<sup>285</sup> ონტარიოს სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე *Joseph Popack, United Burlington Retail Portfolio Inc. and United Northeastern Retail Portfolio Inc. v. Moshe Lipszyc and Sara Lipszyc*.

მიერ პოზიციის გამოხატვის საშუალების არქონა. სასამართლომ დაასკვნა, რომ ჩინეთის სამართლის გამოყენებით, არსებითად შეიცვალა საქმის განხილვის შედეგი. შესაბამისად, მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში დისკრეცია უნდა ყოფილიყო გამოყენებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების სასარგებლოდ.<sup>286</sup>

**შედავების უფლება შეიძლება გაქარწყლდეს:** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელსაც საქართველოს კანონის 31-ე მუხლი განამტკიცებს არის ის, რომ მხარემ ნებისმიერი პრეტენზია უნდა დააყენოს დროულად: დაუყოვნებლივ ან შედავებისთვის განსაზღვრულ ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს შეპასუხების უფლებას. ეს პრინციპი გამომდინარეობს უფრო ფართო, კეთილსინდისიერების პრინციპიდან. მხარეს არ უნდა ჰქონდეს საშუალება, ბოროტად გამოიყენოს შედავების უფლება. ვთქვათ, მხარე მიიჩნევს, რომ რომელიმე არბიტრის კვალიფიკაცია არ შეესაბამება მხარეთა მიერ საარბიტრაჟო შეთანხმებით განსაზღვრულ წინაპირობებს და, მიუხედავად ამისა, თავის მოსაზრებას არ განაცხადებს ტრიბუნალის ფორმირების პროცესში, ჩაითვლება, რომ მან უარი თქვა საარბიტრაჟო შეთანხმებით განსაზღვრულ კრიტერიუმებზე და დაეთანხმა არბიტრის არსებულ კვალიფიკაციას. ასე რომ არ იყოს, მხარეს ექნებოდა შესაძლებლობა, შედავების საფუძველი ბოლოსთვის მოეტოვებინა და მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოეყენებინა, თუ არბიტრაჟი მის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას გამოიტანდა.<sup>287</sup> ეს, ერთი მხრივ, არასამართლიანი იქნებოდა მეორე მხარის მიმართ, რადგან არაპროგნოზირებადს გახდიდა საარბიტრაჟო პროცესს. მეორე მხრივ კი, იქნებოდა უფლების ბოროტად გამოყენება. აღსანიშნავია, რომ ეს პრინციპი მოქმედებს მხარის ნებისმიერი შედავების უფლების მიმართ და პროცესის ნებისმიერ ეტაპზე.

<sup>286</sup> პონგ-კონგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Brunswick Bowling & Billiards Corporation v. Shanghai Zhonglu Industrial Co. Ltd. and Another*, § 69.

<sup>287</sup> დრეგდენის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2001 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმეზე №11 SchH 02/00.

შტუტგარტის უმაღლესმა რეგიონულმა სასამართლომ განიხილა მხარის განცხადება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებასთან დაკავშირებით.<sup>288</sup> მოპასუხე მხარე დავობდა, რომ მხარეებმა არ დადეს საარბიტრაჟო შეთანხმება და ტრიბუნალს არ ჰქონდა საქმის განხილვის კომპეტენცია. სასამართლომ, სხვა საკითხებთან ერთად, იმსჯელა მოპასუხის ვალდებულებაზე, დროულად წარედგინა კომპეტენციასთან დაკავშირებული პრეტენზია. სასამართლომ განმარტა, რომ მოპასუხემ დაკარგა სასამართლოში პრეტენზიის ცნობა-აღსრულების ეტაპზე წამოყენების უფლება, რადგან პრეტენზია იურისდიქციასთან დაკავშირებით მან არ წარადგინა საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინაშე. სასამართლომ მიუთითა, რომ მხარე, რომელმაც პრეტენზია არ დააყენა საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინაშე და მონაწილეობა მიიღო საარბიტრაჟო წარმოებაში, კონკლუდენტურად დათანხმდა ტრიბუნალის იურისდიქციას. იგი კარგავს ამ საფუძვლით პრეტენზიის შემდგომ დაყენების შესაძლებლობას, მით უფრო, თუ კომპეტენციის არქონის საფუძვლად საარბიტრაჟო დათქმის არარსებობაზეა აპელირება.

### **5.3 ვის აკისრია მტკიცების ტვირთი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა ან მის ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის წარმოების დროს?**

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების, ისევე როგორც მის ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები იყოფა ორ კატეგორიად. პირველ კატეგორიას მიეკუთვნება საფუძვლები, რომლებიც განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათზე მიუთითებს თავად მხარე.<sup>289</sup> სწორედ ამიტომ, ამ გარემოებების არსებობის მტკიცების ტვირთი ეკისრება მხარეს, რომელიც მათზე დაყრდნობით ითხოვს გადაწყვეტილების გაუქმებას ან ცნობა-აღსრულებაზე უარს. კანონი ასევე ითვალისწინებს საფუძვლების მეორე კატეგორიას, რომელთა განხილვისა და შემოწმების ვალდებულება

<sup>288</sup> შტუტგარტის უმაღლესი საოლქო სასამართლოს 2001 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1 Sch 16/01 (1).

<sup>289</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 42.2.ა და 45.1.ა; მოდელური კანონი, მუხლები 34.2.ა და 36.1.ა.

სასამართლოს ეკისრება მიუხედავად იმისა, აპელირებს თუ არა მათზე მხარე.<sup>290</sup> აღნიშნული არ გამოორიცხავს მხარის უფლებას, დააყენოს ეს საფუძვლები და მათზე მითითებით თავად მოითხოვოს გადაწყვეტილების გაუქმება ან ცნობა-აღსრულებაზე უარი.

აღსანიშნავია, რომ როგორც გაუქმების, ისე ცნობა-აღსრულების კონტექსტში მოქმედებს პრეზუმფცია, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აღსრულებადია; ამ პრეზუმფციის უარყოფის ტვირთი აკისრია მხარეს (ხოლო გამონაკლის ორ შემთხვევაში – სასამართლოს), რომელმაც უნდა ამტკიცოს, რომ სახეგვა კანონით გათვალისწინებული გაუქმების ან ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის რომელიმე საფუძველი.<sup>291</sup>

#### **5.4 გაუქმებისა და უარის თქმის საფუძვლები, რომელთა მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს**

ზემოთ აღნიშნა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმისთვის კანონი პრინციპულად აწესებს იდენტურ საფუძვლებს. ერთადერთი გამონაკლისი ისაა, რომ ცნობა-აღსრულების კონტექსტში, მხარეს შეუძლია გაუქმებისთვის გათვალისწინებული ოთხი საფუძვლის გარდა, დამატებით მიუთითოს კიდევ ერთ საფუძველზე. საქმე ეხება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარს მაშინ, როცა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება „არ შესულა კანონიერ ძალაში ანდა იგი გააუქმა ან შეაჩერა იმ ქვეყნის სასამართლომ, სადაც ეს გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი.“<sup>292</sup> თავისი არსიდან გამომდინარე, ეს საფუძველი არარელევანტურია გაუქმებისას. ამდენად, წინამდებარე ქვეთავში განხილულია ორივე – გაუქმებისა და ცნობა-აღსრულების – რეჟიმისთვის საერთო ოთხი საფუძველიც და, ასევე, ის ერთიც, რომელიც რელევანტურია მხოლოდ ცნობა-აღსრულების კონტექსტისათვის. ჯამში, განხილულია შემდეგი საფუძვლები:

<sup>290</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 42.2.ბ და 45.1.ბ; მოდელური კანონი, მუხლები 34.2.ბ და 36.1.ა.

<sup>291</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 45.1.ბ და 42.2.ბ.

<sup>292</sup> იქვე. მუხლი 45.1.ა.(ა.ე).



- 5.4.1 საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების დროს მხარე იყო არაუფლებამოსილი პირი ან მხარდაჭერის მიმღები, ან საარბიტრაჟო შეთანხმება არის ბათილი ანდა ძალადაკარგული;
- 5.4.2 დარღვეულია სამართლიანი პროცესის პრინციპები, სამართლიანი მოსმენის უფლება ან შეტყობინების წესი;
- 5.4.3 საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც მხარეებმა არბიტრაჟში არ წარადგინეს ან ის შეიცავს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება;
- 5.4.4 საარბიტრაჟო ტრიბუნალის შემადგენლობის განსაზღვრისას ან საარბიტრაჟო პროცესისას არსებული დარღვევები;
- 5.4.5 საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შესულა კანონიერ ძალაში, ანდა იგი გააუქმა ან შეაჩერა იმ ქვეყნის სასამართლომ, სადაც ეს გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი.

**5.4.1 საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების დროს მხარე იყო არაუფლებამოსილი პირი ან მხარდაჭერის მიმღები, ან საარბიტრაჟო შეთანხმება არის ბათილი ანდა ძალადაკარგული**

საქართველოს კანონის 42.2.ა და 45.1.ა.(ა.ა) მუხლები შინაარსობრივად ორ საფუძველს ითვალისწინებს, რომელთა მიხედვითაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შესაძლებელია გაუქმდეს ან მის ცნობა-აღსრულებას უარი ეთქვას. პირველი საფუძველი ეხება შემთხვევას, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმებისას მხარე იყო არაუფლებამოსილი პირი ან მხარდაჭერის მიმღები (ა), ხოლო მეორე შემთხვევა სახეზეა, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმება არის ბათილი ანდა ძალადაკარგული, გამოსაყენებელი სამართლის მიხედვით (ბ). თითოეულ მათგანი ცალ-ცალკე იქნება განხილული.

#### 5.4.1.1 საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების დროს მხარე იყო არაუფლებამოსილი პირი ან მხარდაჭერის მიმღები

ნებისმიერი გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა, რომ მისი მხარეები გარიგების დადების მომენტისთვის იყვნენ უფლებამოსილი, ქმედუნარიანი პირები. იმის დასადგენად, იყო თუ არა მხარე უფლებამოსილი/ქმედუნარიანი საარბიტრაჟო შეთანხმების დადებისათვის, მნიშვნელოვანია, სწორად დადგინდეს საარბიტრაჟო შეთანხმების დადების დრო, რადგან მხარეთა უფლებამოსილება/ქმედუნარიანობა ფასდება იმ მომენტისთვის, როცა საარბიტრაჟო შეთანხმება დაიდო. შესაბამისად, მხარეთა უფლებამოსილების შემდგომი ცვლილება, მხარდაჭერის მიმღებად აღიარება, ან ქმედუნარიანობის შეზღუდვა, უკუქცევით გავლენას ვერ ახდენს საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობაზე.

იმისათვის, რომ სასამართლომ სრულფასოვნად განიხილოს ზემოაღნიშნული საფუძვლის არსებობა/არარსებობა, ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ გარემოებებზე:

- ა. რომელი სამართლით დგინდება მხარეთა უფლებამოსილება და ქმედუნარიანობა?
- ბ. დათმო თუ არა მხარემ ამ საფუძვლით შედავების უფლება?
- გ. საარბიტრაჟო შეთანხმების დადებისას იყო თუ არა მხარე მხარდაჭერის მიმღები (ქმედუნარიანი)?
- დ. იყო თუ არა მხარე უფლებამოსილი, დაედო საარბიტრაჟო შეთანხმება?

ამასთან, ზემოხსენებული საფუძვლების შეფასებისას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს საარბიტრაჟო შეთანხმების გამოყოფადობის/დამოუკიდებლობის პრინციპი, რაც გულისხმობს საარბიტრაჟო და ძირითადი ხელშეკრულების – რომელშიც შეიძლება მოცემული იყოს საარბიტრაჟო

შეთანხმება – ერთმანეთისაგან სამართლებრივ დამოუკიდებლობას.<sup>293</sup> შესაბამისად, თუ მხარე მიუთითებს, რომ მეორე მხარე საერთოდ არ იყო უფლებამოსილი, დაედო მთლიანი ხელშეკრულება, სასამართლოს შემონმების ფარგლები შეზღუდულია მხოლოდ საარბიტრაჟო შეთანხმების, და არა მთლიანი ხელშეკრულების, დადების უფლებამოსილების შემონმებით. მაგალითად, ჩერნიჰოვსკას რეგიონის სააპელაციო სასამართლომ განიხილა საქმე, სადაც მხარე მიუთითებდა, რომ დირექტორმა უფლებამოსილებას გადაამეტა.<sup>294</sup> კერძოდ, მხარე ამტკიცებდა, რომ წესდების მიხედვით, 1,000,000 უკრაინულ გრივნაზე მეტი ღირებულების ხელშეკრულება წინასწარ უნდა მოეწონებინა კომპანიის საერთო კრებას, რაც მოცემულ საქმეში არ მომხდარა. სასამართლომ აღნიშნა, რომ იგი არ ამონმებს, ჰქონდა თუ არა მხარეს უფლებამოსილება, დაედო ძირითადი, კომერციული ხელშეკრულება, არამედ განიხილავს, რამდენად ჰქონდა მას საარბიტრაჟო შეთანხმების დადების უფლებამოსილება. ამასთან, საარბიტრაჟო განხილვისას არბიტრაჟმა უკვე შეაფასა ძირითადი ხელშეკრულების დადების უფლებამოსილება და ჩათვალა, რომ დირექტორი უფლებამოსილი იყო, დაედო ძირითადი ხელშეკრულება. შესაბამისად, სასამართლომ შეაფასა მხოლოდ მხარის უფლებამოსილება საარბიტრაჟო შეთანხმების დადებისას, არ დაადგინა მითითებული საფუძვლის არსებობა, რის შემდეგაც ცნო და აღასრულა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

### ა. რომელი სამართლით დგინდება მხარეთა უფლებამოსილება და ქმედუნარიანობა?

საქართველოში საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება წარიმართოს არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებსა და საქართველოში ადგილსამყოფლის მქონე იურიდიულ პირებს შორის, არამედ უცხოეთის მოქალაქეებსა და უცხოეთში

<sup>293</sup> აღნიშნული პრინციპი, მოდელური კანონის მსგავსად, დადგენილია საქართველოს კანონის 16.1. მუხლით: „[...] საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც ხელშეკრულების ნაწილია, განიხილება საარბიტრაჟო შეთანხმებად, რომელიც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების სხვა პირობებზე. ხელშეკრულების ბათილად ცნობა არ გამოიწვევს საარბიტრაჟო დათქმის ბათილობას.“ იხ. ამ გზამკვლევის

<sup>294</sup> ჩერნიჰოვსკას რეგიონის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *Nibulon SA v. Nasinnia-Agrokhim LLC*.

ადგილსამყოფლის მქონე იურიდიულ პირებს შორისაც. ასეთ შემთხვევებში დგება მათი უფლებამოსილების, თუ მხარდაჭერის მიღების შესაფასებლად გამოსაყენებელი სამართლის დადგენის საკითხი.

კანონი არ განსაზღვრავს, თუ რომელი სამართლის მიხედვით უნდა შემოწმდეს მხარეთა ქმედუნარიანობა ან უფლებამოსილების ქონა. ვინაიდან კოლიზური სამართლის საკითხები წესრიგდება საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის მიხედვით, პირების უფლებაუნარიანობა-ქმედუნარიანობის შესაფასებლად გამოსაყენებელი სამართლის არჩევისას, სასამართლო უნდა დაეყრდნოს სწორედ ამ კანონს.<sup>295</sup> ფიზიკური პირების შემთხვევაში, აღნიშნული კანონი ადგენს, რომ „ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება“.<sup>296</sup> პირის ქვეყნისადმი „სამართლებრივი კუთვნილება“ განისაზღვრება მისი მოქალაქეობით, ამდენად, ქმედუნარიანობა უნდა დადგინდეს იმ ქვეყნის სამართლით, რომლის მოქალაქეც არის იგი.<sup>297</sup> მაგალითად, საფრანგეთის მოქალაქის ქმედუნარიანობა დადგინდება საფრანგეთის სამართლის მიხედვით.

იურიდიული პირის შემთხვევაში, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, „იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც იურიდიული პირის ადმინისტრაციას აქვს ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. ეს წესი გამოიყენება იურიდიული პირის ფილიალის მიმართაც“.<sup>298</sup> შესაბამისად, იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის დასადგენად გამოსაყენებელი

<sup>295</sup> ICCA-ს სახელმძღვანელო, გვ. 118; ანალოგიურად დგინდება მხარეთა უფლებამოსილება, ქმედუნარიანობა გერმანიაში; იხ. Karl-Heinz Böckstiegel, Stefan Michael Kröll, et al. eds., *Arbitration in Germany: The Model Law in Practice*, 2nd ed. (Kluwer Law International, 2015), გვ. 402, § 56; აღნიშნული შესაბამისობაში მოდის მოდელური კანონის მიზნებთანაც, იხ. Howard M. Holtzmann and Joseph E. Neuhaus, *A Guide to the UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration: Legislative History and Commentary*, (Kluwer Law International, 1989), გვ. 916.

<sup>296</sup> საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 23.1.

<sup>297</sup> ესპანეთის უზენაესი სასამართლოს 1998 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Unión de Cooperativas Agrícolas Epis-Centre v. La Palentina S.A.*, №ATS 1451/1998.

<sup>298</sup> საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 24.

სამართლის იდენტიფიცირებისთვის განმსაზღვრელია იურიდიული პირის ადმინისტრაციის არა რეგისტრირებული, არამედ ფაქტობრივი ადგილ-სამყოფელი.

## ბ. დათმო თუ არა მხარემ ამ საფუძვლით შედავების უფლება?

კანონის 31-ე მუხლის თანახმად, თუ მხარემ, რომელმაც იცის მხარის უფლებამოსილების ან ქმედუნარიანობის ნაკლის შესახებ, დაუყოვნებლივ ან კანონით დადგენილ დროში და ფორმით, სადავო არ გახადა საარბიტრაჟო შეთანხმების დადების უფლებამოსილება ან დადებისას ხელმომწერი პირის ქმედუნარიანობა, მაშინ იგი კარგავს უფლებას, იდავოს აღნიშნულ გარემოებაზე. შედავების უფლების მნიშვნელობა და არსი უფრო დეტალურად განხილულია გზამკვლევის .

## გ. საარბიტრაჟო შეთანხმების დადებისას იყო თუ არა მხარე მხარდაჭერის მიმღები (ქმედუნარიანი)?

საარბიტრაჟო შეთანხმების დადებისას მხარის ქმედუნარიანობა იშვიათად შეიძლება გახდეს დავის საგანი.<sup>299</sup> თუმცა, შესაძლებელია საარბიტრაჟო შეთანხმების დადების შემდგომ მხარემ ამ საფუძვლით სადავოდ გახადოს საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქმედუნაროდ ითვლება მხოლოდ მცირეწლოვანი, 7 წლამდე ასაკის პირი;<sup>300</sup> 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანი,<sup>301</sup> ასევე მზრუნველობადანესებული პირი<sup>302</sup> შებლუდული ქმედუნარიანობის მქონედ ითვლებიან. ასეთ შემთხვევებში საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, „გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შებლუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი გარიგებით იღებს სარგებელს“.<sup>303</sup>

<sup>299</sup> Karl-Heinz Böckstiegel, Stefan Michael Kröll, et al. eds., *Arbitration in Germany: The Model Law in Practice*, 2nd ed. (Kluwer Law International, 2015), გვ. 402, § 56.

<sup>300</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 12.6.

<sup>301</sup> იქვე. მუხლი 14.1.

<sup>302</sup> იქვე. მუხლი 14.2.

<sup>303</sup> იქვე.

საარბიტრაჟო შეთანხმების შემთხვევაში, არბიტრაჟის მრავალი უპირატესობის მიუხედავად, ვერ ჩაითვლება ცალსახად, რომ ამ გარიგებით (საარბიტრაჟო შეთანხმებით), მხარე იღებს სარგებელს, ვინაიდან საარბიტრაჟო შეთანხმებით იგი თმობს გარკვეულ, მნიშვნელოვან საპროცესო უფლებებს.<sup>304</sup> ამდენად, თუ საარბიტრაჟო შეთანხმებას დებს შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი, საჭირო იქნება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. იგივე შეიძლება ითქვას მხარდაჭერის მიმღების მიერ საარბიტრაჟო შეთანხმების დადების შემთხვევაშიც.<sup>305</sup>

### დ. იყო თუ არა მხარე უფლებამოსილი, დაედო საარბიტრაჟო შეთანხმება?

საარბიტრაჟო შეთანხმების დადებისას, პირის უფლებამოსილების ნაკლი შესაძლებელია სადავო გახდეს, მაგალითად, როდესაც საწარმოს დირექტორი ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი დებს საარბიტრაჟო შეთანხმებას ასეთი უფლებამოსილების, ან მისი ფარგლების შეზღუდვის პირობებში (მაგალითად, საარბიტრაჟო შეთანხმების დადება სპეციალური უფლებამოსილების გარეშე, როდესაც ასეთი უფლებამოსილება მოითხოვებოდა). თუმცა ამ კონტექსტში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემდგომი „მოწონების“ თუ „ავტორიზაციის“, ისევე როგორც 31-ე მუხლით გათვალისწინებული შეპასუხებაზე უარის თქმის პრინციპები.

#### 5.4.1.2 საარბიტრაჟო შეთანხმება არის ბათილი ან ძალადაკარგული

კანონის მიხედვით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს ან უარი ეთქვას მის ცნობა-აღსრულებას, თუ მხარე დაამტკიცებს, რომ „*იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებაში მიუთითეს, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას*

<sup>304</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Suda ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ*, (განაცხადის №1643/06), § 48-49.

<sup>305</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 58<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, „თუ მხარდაჭერის მიმღები დებს გარიგებას სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მხარდაჭერის მიღების გარეშე, გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომ მხარდაჭერი მოიწონებს თუ არა მას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარდაჭერის მიმღები ამ გარიგებით სარგებელს იღებს“.

- საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია ან ძალადაკარგულია“.<sup>306</sup>

ასეთ შემთხვევაში სასამართლო ამონშებს შემდეგ საკითხებს:

- ა. რომელი სამართლის მიხედვით ფასდება საარბიტრაჟო შეთანხმება?
- ბ. დათმო თუ არა მხარემ ამ საფუძვლით შედავების უფლება?
- გ. არსებობს თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილად ცნობის საფუძვლები?
- დ. არის თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმება ძალადაკარგული?

### ა. რომელი სამართლის მიხედვით ფასდება საარბიტრაჟო შეთანხმება?

კერძო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე, კანონი ადგენს, რომ თავდაპირველად უნდა განისაზღვროს, შეთანხმდნენ თუ არა მხარეები საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობისა და ძალადაკარგულობის მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ.<sup>307</sup> იმ შემთხვევაში, თუ მხარეები არ შეთანხმებულან, სასამართლო საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობისა და ძალადაკარგულობის შესაფასებლად ეყრდნობა საქართველოს კანონმდებლობას. საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ გამოსაყენებელი სამართალი უფრო დეტალურად განხილულია პირველი გზამკვლევის 1.3 ქვეთავში.

სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია, რომ ამ ეტაპზე არბიტრაჟს უკვე დადგენილი აქვს საკუთარი კომპეტენცია, რაც თავისთავად მოიცავს საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის განხილვას შესაბამისი სამართლის მიხედვით. ამდენად, ამ ეტაპზე საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ გამოსაყენებელი სამართალი ნაკლებ სავარაუდოა, სადავო გახდეს, ხოლო სადავობის შემთხვევაში, სასამართლომ შეიძლება გაითვალისწინოს

<sup>306</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 45.1.ა.(ა.ა) და 42.2.ა.(ა.ა).

<sup>307</sup> იქვე.

მხარეთა არგუმენტები შედავების უფლების შესაძლო დაკარგვასთან დაკავშირებით, ისევე როგორც საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ მოქმედი სამართლის განსაზღვრის ზოგადი წესები.

### ბ. დათმო თუ არა მხარემ ამ საფუძვლით შედავების უფლება?

კვლავ, ეს კითხვა ჩნდება კანონის 31-ე მუხლით გამყარებული შედავების უფლებაზე უარის თქმის პრინციპიდან გამომდინარე. შედავების უფლების მნიშვნელობა და არსი უფრო დეტალურად განხილულია გზამკვლევის

მაგალითისთვის, ფრანკფურტის უმაღლესმა რეგიონულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში დაადგინა, რომ ვინაიდან მხარეს თავის დროზე სადავოდ არ გაუხდია საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა, მან დაკარგა ამ საფუძვლით შედავების უფლება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების ეტაპზე.<sup>308</sup>

### გ. არსებობს თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილად ცნობის საფუძვლები?

საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობა მოიცავს, მათ შორის, საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმალურად დადგენის, მხარის ნების ნაკლის (მოტყუება, იძულება, შეცდომა) და კანონით გათვალისწინებულ გარემოების ბათილობის სხვა შემთხვევებს.<sup>309</sup> ბათილობის საფუძვლები დეტალურად განხილულია პირველ გზამკვლევაში, 1.4.2, 1.4.5 და 1.4.6 ქვეთავებში. ეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე შედავების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საფუძველია.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ უარი უთხრა მხარეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე, რადგან ერთ-ერთი მხარე ფიზიკურ პირს წარმოადგენდა, ხოლო საარბიტრაჟო შეთანხმება ელექტრონულად იყო

<sup>308</sup> ფრანკფურტის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2008 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №26 Sch 19/08.

<sup>309</sup> ICCA-ს სახელმძღვანელო, გვ. 117-118.



დადებული.<sup>310</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ ვინაიდან საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე ფიზიკური პირი იყო, საარბიტრაჟო შეთანხმების ელექტრონულად გაცნობა და დადასტურება არ აკმაყოფილებდა კანონით დადგენილ წერილობითი ფორმის მოთხოვნას.<sup>311</sup> კანონის თანახმად, ფიზიკური პირის, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს შემთხვევაში, საარბიტრაჟო შეთანხმება არ შეიძლება დაიდოს ელექტრონულად და, ამასთან, საარბიტრაჟო შეთანხმება ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეების მიერ.

#### დ. არის თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმება ძალადაკარგული?

ძალადაკარგულია საარბიტრაჟო შეთანხმება, რომელიც გარკვეული დროის პერიოდში იყო ნამდვილი, მაგრამ შემდგომ დაკარგა სამართლებრივი ძალა.<sup>312</sup> „მაგალითად, საარბიტრაჟო შეთანხმება შესაძლებელია მღუდღავდეს არბიტრაჟისადმი მიმართვის, ან საარბიტრაჟო ტრიბუნალის შექმნის ვადას. ასეთ დროს, მხარეების მიერ შეთანხმებული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ მიიჩნევა, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ძალადაკარგულად იქცა.“<sup>313</sup>

#### 5.4.2 დარღვეულია სამართლიანი პროცესის პრინციპები, სამართლიანი მოსმენის უფლება ან შეტყობინების წესი

საქართველოს კანონის, ასევე მოდელური კანონის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ასევე უარი თქვას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე, თუ მხარე, რომელიც ითხოვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას, არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვაგვარად არ მიეცა შესაძლებლობა, წარმოედგინა საკუთარი პოზიცია ან დაეცვა თავისი ინტერესები.<sup>314</sup>

<sup>310</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 მარტის განჩინება, საქმეზე №2ბ/3594-15 30.

<sup>311</sup> იქვე.

<sup>312</sup> ICCA-ს სახელმძღვანელო, გვ. 70.

<sup>313</sup> იხ. პირველი გზამკვლევი, გვ. 55.

<sup>314</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 42.2.ა და 45.1.ა.(ა.ბ).

ამ საფუძვლით გათვალისწინებული გარემოებები ხშირად განიხილება ასევე პროცესუალური საჯარო წესრიგის ფარგლებში.<sup>315</sup> ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ პროცესუალური თანასწორობის დარღვევა ამ საფუძვლით მხოლოდ მხარემ შეიძლება დააყენოს, მაშინ როდესაც საჯარო წესრიგის ფარგლებში იგივე უფლების დარღვევა სასამართლოს შეუძლია საკუთარი ინიციატივითაც შეამოწმოს. ერთი მხრივ, დოქტრინაში მიჩნეულია, რომ ვინაიდან პროცესუალური თანასწორობის დარღვევა ცალკე (მხარის მიერ დასაყენებელ) საფუძვლებში არის გათვალისწინებული, საკანონმდებლო განმარტების პრინციპიდან გამომდინარე, იგივე გარემოებები არ უნდა გახდეს სხვა საფუძვლის (მაგალითად, საჯარო წესრიგის) მოქმედების საგანი. თუმცა, პრაქტიკა მოწმობს, რომ სასამართლოები ხშირად განიხილავენ სამართლიანი პროცესის პრინციპებისა თუ შეტყობინების წესის დარღვევის საკითხებს როგორც ამ, ასევე პროცესუალური საჯარო წესრიგის ფარგლებში და პროცესუალური თანასწორობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აღნიშნულს საკუთარი ინიციატივითაც ამოწმებენ, მიუხედავად იმისა, გამოიყენა თუ არა მხარემ ეს შესაძლებლობა.<sup>316</sup>

საკულისხმოა, რომ სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, *de minimis* პრინციპიდან გამომდინარე, სამართლიანი პროცესის პრინციპების დარღვევის დადგენა ყოველთვის არ იწვევს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას ან ცნობა-აღსრულებაზე უარს. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება ან ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმა მხოლოდ მაშინაა გამართლებული, როცა სამართლიანი პროცესის უფლების დარღვევა აისახა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე და აღნიშნული უფლების განხორციელების შემთხვევაში, სხვა შედეგი დადგებოდა.<sup>317</sup> მაგალითად, ოლდენბურგის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში, მხარე დავობდა, რომ სამართლიანი პროცესის უფლება დაირღვა, ვინაიდან, მხარეს უარი ეთქვა ერთ-ერთი მოწმის დაკითხვაზე. სასამართლომ

<sup>315</sup> ონტარიოს უმაღლესი სასამართლოს 1999 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Re Corporación Transnacional de Inversiones, S.A. de C.V. et al. v. STET Internacional, S.p.A. et al.*; ბავარიის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 1999 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №4 Z Sch 23/99.

<sup>316</sup> იქვე.

<sup>317</sup> ჰამბურგის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2001 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №11 Sch 01/01.

სთხოვა მხარეს დაესაბუთებინა, თუ რა შინაარსის შეიძლება იყოს ყოფილიყო მონმის ჩვენება და როგორ აისახებოდა აღნიშნული საქმის გადანაცვების შედეგზე.<sup>318</sup> მხარემ ვერ დაასაბუთა, რა ინფორმაციის შემცველი იყო/იქნებოდა კონკრეტული მონმის ჩვენება და როგორი ზეგავლენა ექნებოდა ამას საბოლოო საარბიტრაჟო გადანაცვებებზე. შესაბამისად, სასამართლომ უარი თქვა ამ საფუძვლით გადანაცვებების გაუქმებაზე. ქვემოთ მიმოხილულია სხვადასხვა გარემოება, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც, მხარეებმა შესაძლოა იდავონ სამართლიანი პროცესის დარღვევაზე და მიმართონ სასამართლოს საარბიტრაჟო გადანაცვებების გაუქმების ან ცნობა-აღსრულებაზე უარის მოთხოვნით.

#### 5.4.2.1 მხარის არაჯეროვანი ინფორმირება საარბიტრაჟო წარმოების შესახებ და დოკუმენტების არაჯეროვანი ჩაბარება

საარბიტრაჟო წარმოების შესახებ მხარისათვის არაჯეროვანი ინფორმაციის მიწოდება გულისხმობს, მაგალითად, საარბიტრაჟო განხილვის დროისა და ადგილის, მხარეების მიერ წარდგენილი წერილობითი მოსაზრებებისა და მტკიცებულებების მხარისათვის მიუწოდებლობას, ან არასწორ მისამართზე მიწოდებას. ჯეროვანი მიწოდების ან დოკუმენტების მართებულად ჩაბარების სტანდარტი დადგენილია ადგილობრივი კანონმდებლობით.

ამ საკითხზე არაერთ გადანაცვებებში იმსჯელა როგორც თბილისის, ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ. თბილისის სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში გააუქმა საარბიტრაჟო გადანაცვებები ვინაიდან მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორი არ იყო სათანადოდ ინფორმირებული საარბიტრაჟო განხილვის შესახებ. ტრიბუნალმა მხარეს საკრედიტო ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე ორჯერ გაუგზავნა შეტყობინება, თუმცა მისამართი არ იყო საკმარისად ზუსტი და ჩაბარება ვერ მოხერხდა. ამის შემდგომ არბიტრაჟმა პირდაპირ გამოსცა საჯარო შეტყობინება. სასამართლომ მიიჩნია, რომ არბიტრაჟმა არ ამოწურა მისთვის ხელმისაწვდომი საშუალებები, პირდაპირ დაკავშირებოდა მხარეს. მასალებში არსებულ საკრედიტო ხელშეკრულებაში

<sup>318</sup> ოლდენბურგის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2006 წლის 30 მაისის გადანაცვებების საქმეზე №9 SchH 03/05.

ფიქსირდებოდა რამდენიმე ტელეფონის ნომერი. შეიძლებოდა არბიტრს ამ ნომრებზე ეცადა მოპასუხესთან დაკავშირება. სასამართლომ მიუთითა, რომ:

*„[...] არბიტრაჟი ვალდებულია, აცნობოს მხარეს საარბიტრაჟო განხილვის შესახებ, ჯეროვნად მიანოდოს მას ინფორმაცია საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებით, რაც კონკრეტულ შემთხვევაში დარღვეულ იქნა საქმის განხილველი არბიტრაჟის მიერ. [...] საჯარო გამოქვეყნების გზით შეტყობინების ჩაბარება ატარებს უკიდურეს ფორმას და არბიტრაჟს ყველა საპროცესო საშუალების ამონურვის შემთხვევაში უნდა მიეღო გადაწყვეტილება პუბლიკაციით გზავნილის ჩაბარების შესახებ.“<sup>319</sup>*

სასამართლომ მიიჩნია, რომ არბიტრაჟმა არ გამოიყენა მხარის შეტყობინების მის ხელთ არსებული საშუალებები, ხოლო საჯარო შეტყობინების გამოცემა იყო ნაადრევი და, ამდენად, ვერ ჩაითვლებოდა მხარის სათანადო შეტყობინებად; შესაბამისად, საქართველოს კანონის 42.2.ა.(ა.ბ) მუხლის საფუძველზე გააუქმა გადაწყვეტილება.

#### 5.4.2.2 საარბიტრაჟო პროცესის შესახებ მხარის ინფორმირება არაგონივრულ ვადაში ან მოსაზრებების წარმოსადგენად არაგონივრული დროის განსაზღვრა

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარი თქვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხეებისათვის ორი დღით ადრე სხდომის თარიღის შესახებ ინფორმაციის მიწოდება არ იყო ჯეროვანი ინფორმირება საარბიტრაჟო განხილვის შესახებ, ვინაიდან განსაზღვრული ვადა არ იყო გონივრული იმისათვის, რომ მხარე მომზადებულიყო საქმის განხილვისათვის.<sup>320</sup>

დრეზდენის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს, რომ გონივრულობის შეფასებისას გასათვალისწინებელია კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებები.<sup>321</sup> კერძოდ, აღნიშნულ საქმეში მხარე

<sup>319</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 5 სექტემბრის განჩინება საქმეზე №2ბ/1814-16.

<sup>320</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის განჩინება საქმეზე №2/ბ-321-13.

<sup>321</sup> დრეზდენის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2000 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №11 Sch 02/00.

დავობდა, რომ ტრიბუნალმა არაგონივრული ვადა განუსაზღვრა მას მეორე მხარის განცხადებაზე საპასუხოდ – რამდენიმე დღე არ იქნებოდა საკმარისი განცხადებით მოთხოვნილი მორიგების დასამტკიცებლად. სასამართლომ დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში, როდესაც მორიგების პირობებზე მხარეები არ დავობდნენ, მათ განსაზღვრული ჰქონდათ მორიგების ხელშეკრულებიდან გასვლის/შედავების კონკრეტული ვადა. ამ ვადაში ხელშეკრულება არ გამოიხმეს და მხარეს ჰქონდა საკმარისი დრო, კონსულტაცია გაეწვლო თავის იურისტებთან სანამ მორიგებაზე დათანხმდებოდა. ამდენად, არბიტრაჟის განსაზღვრული მოკლე ვადა იყო გონივრული.<sup>322</sup>

#### 5.4.2.3 ტრიბუნალის მიერ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა

შესაძლოა, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უარი თქვას საქმის ზეპირ სხდომაზე განხილვაზე, რითაც დაირღვევა სამართლიანი პროცესის პრინციპი. გარკვეულ შემთხვევებში, აღნიშნული ფაქტიც შეიძლება გახდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების ან მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი.

ავსტრიის უზენაესმა სასამართლომ განიხილა საქმე, სადაც მხარემ მოითხოვა ზეპირი მოსმენის ჩატარება, თუმცა, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უარი თქვა ამაზე. სასამართლომ დაადგინა, რომ ამით დაირღვა სამართლიანი პროცესის პრინციპი. სასამართლომ მიუთითა მოდელური კანონის 24(1) მუხლზე,<sup>323</sup> რომლის მიხედვითაც, არბიტრი ვალდებულია გამართოს ზეპირი მოსმენა, თუ ამას მოითხოვს მხარე და აღნიშნული არ არის გამორიცხული მხარეების მიერ. ვინაიდან მხარეებს არ ჰქონიათ შეთანხმება, რომელიც გამორიცხავდა ზეპირი სხდომის ჩატარებას, ხოლო ერთ-ერთი მხარე ითხოვდა ზეპირ მოსმენას, ტრიბუნალმა გააუქმა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.<sup>324</sup>

<sup>322</sup> იქვე.

<sup>323</sup> მოდელური კანონის 24(1) მუხლი შეესაბამება ავსტრიის საარბიტრაჟო აქტის 598-ე მუხლს და ასევე საქართველოს კანონის 32(1) მუხლის ბოლო წინადადებას, რომელიც მიუთითებს, რომ: „ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით არბიტრაჟი ვალდებულია ჩაატაროს ზეპირი განხილვა საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეებმა უარი განაცხადეს ზეპირ მოსმენაზე.“

<sup>324</sup> ავსტრიის უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №7 Ob 111/10i.

ზეპირი მოსმენის საჭიროებაზე იმსჯელა სინგაპურის უმაღლესმა სასამართლომ საქმეში, სადაც არცერთ მხარეს არ მოუთხოვია ზეპირი განხილვა. სასამართლომ დაადგინა, რომ ზეპირი მოსმენა, ზოგადად, არ არის სავალდებულო და ზეპირი სხდომის არჩატარება ყველა შემთხვევაში არ არღვევს მხარის უფლებას, წარმოადგინოს თავისი პოზიცია.<sup>325</sup>

#### 5.4.2.4 მხარისათვის მტკიცებულების წარდგენის შესაძლებლობის შემზღვევა და არსებულ მტკიცებულებათა შეფასების შესაძლებლობის არქონა

მხარის უფლება, წარმოადგინოს თავისი საქმე, ასევე მოიცავს მის უფლებას, წარუდგინოს ტრიბუნალს მტკიცებულებები.<sup>326</sup> იმ შემთხვევაში, როდესაც მტკიცებულებების მიღებაზე უარი დასაბუთებული იყო პროცედურული ან არსებითი არგუმენტებით, სასამართლოებმა ასეთი უარი არ მიიჩნიეს სამართლიანი პროცესის პრინციპების დარღვევად.<sup>327</sup>

მხარის მიერ მტკიცებულებების წარდგენის უფლება ასევე უკავშირდება მის შესაძლებლობას, წარმოადგინოს პოზიცია მეორე მხარის მიერ წარდგენილ ან ტრიბუნალის მიერ გამოთხოვილ მტკიცებულებებზე.<sup>328</sup> ერთ-ერთ საქმეში ჰონგ-კონგის უმაღლესმა სასამართლომ უარი თქვა ჩინეთში მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე, ვინაიდან მხარეს არ მიეცა შესაძლებლობა, გაეკეთებინა კომენტარი ტრიბუნალის მიერ დანიშნული ექსპერტის მიერ წარდგენილ დასკვნებზე. ამ საქმეში ტრიბუნალი დაეყრდნო ექსპერტთა დასკვნებს მაშინ, როდესაც მხარეებს არ მიეცათ შესაძლებლობა გამოეთქვათ თავიანთი პოზიცია ამ დასკვნებზე, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიმართეს ტრიბუნალს ასეთი მოთხოვნით. მხარე, რომლის სასარგებლოდაც გადაწყდა საარბიტრაჟო საქმე, დავობდა, რომ მხარეთა

<sup>325</sup> სინგაპურის უმაღლესი სასამართლოს 2006 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Government of the Republic of the Philippines v Philippine International Air Terminals Co, Inc*, § 33.

<sup>326</sup> ბრემენის უმაღლესი სასამართლოს 1999 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №(2) Sch 04/99.

<sup>327</sup> ფრანკფურტის უმაღლესი სასამართლოს 2003 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №26 Sch 01/03.

<sup>328</sup> ახალი ზელანდიის, უელინგტონის სააპელაციო სასამართლოს 2004 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Methanex Motunui Ltd. v. Spellman*.

თანასწორუფლებიანობა არ დარღვეულა, ვინაიდან ექსპერტის დასკვნაზე კომენტარის გაკეთების საშუალება არ მისცემია არცერთ მხარეს. სასამართლო არ დაეთანხმა ამ არგუმენტს და მიუთითა, რომ მოსარჩელის კმაყოფილება განაპირობა მის სასარგებლოდ გამოტანილმა გადაწყვეტილებამ, თუნდაც იმ ტეკცივებულების საფუძველზე, რაზეც მას პოზიცია არ გამოუხატავს. სასამართლომ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია მხარეთათვის არა მხოლოდ თანაბარი, არამედ სამართლიანი შესაძლებლობების უზრუნველყოფა.<sup>329</sup> ამ შემთხვევაში დაირღვა მხარის მოსმენის უფლება, რამდენადაც ერთი მხარის მიმართ დაირღვა სამართლიანი მოსმენის პრინციპი.

#### 5.4.2.5 პრინციპი „სასამართლომ იცის კანონი“ (*Jura novit curiae*)

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა თუ ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება გახდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ახალი სამართლებრივი დასაბუთების გათვალისწინება, რომელიც არ იყო მხარეებთან განხილული. აღნიშნული გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როცა ტრიბუნალი ეყრდნობა სამართლებრივ შეფასებას ან ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებზეც მხარეებს არ უსაუბრიათ თავისი ნებით და არც ტრიბუნალს უთხოვია მათთვის ამ საკითხზე მოსაზრების გამოთქმა.

ამ საკითხზე იმსჯელა ინგლისის სასამართლომ<sup>330</sup> და მიუთითა, რომ საბოლოო ჯამში, საუბარია უბრალოდ სამართლიანობაზე. არ არის სამართლიანი მხარის საწინააღმდეგოდ დავის გადაწყვეტა ისეთ არგუმენტზე დაყრდნობით, რაზე მოსაზრების გამოთქმის საშუალებაც მას არ მისცემია.<sup>331</sup> თუ ტრიბუნალი აუცილებლად მიიჩნევს საკითხის განხილვას, რომელზეც მხარეებს თავისი ინიციატივით არ უმსჯელიათ, ან ისეთი წყაროს გამოყენებას, რომელიც არ მიუთითებიათ, ის ვალდებულია აცნობოს მხარეებს ამის შესახებ და მისცეს

<sup>329</sup> ჰონგ-კონგის უმაღლესი სასამართლოს 1993 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე *Paklito Investment Ltd v Klöckner East Asia Ltd.*, § 58 და 60.

<sup>330</sup> იქვე.

<sup>331</sup> ინგლისის სააპელაციო სასამართლოს 1984 წლის გადაწყვეტილება საქმეზე *Interbulk LTD. v. Aiden Shipping CO. LTD. I.C.C.O. International Corn CO. N.V. v. Interbulk LTD.*, ნაწილი *Liber amicorum Bernardo Cremades* edited by M.A. Fernández Ballesteros and D. Arias, 2010, გვ. 507.

მათ თავიანთი მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია ტრიბუნალს გაითვალისწინოს ეს საკითხი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში.<sup>332</sup>

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუნხენის უმაღლესმა რეგიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მხარეს უნდა ჰქონდეს საშუალება, წარმოდგინოს თავისი პოზიცია დავის საგანთან დაკავშირებით, ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ საფუძვლებზე. ასევე მიიღოს ინფორმაცია მეორე მხარის პოზიციასთან დაკავშირებით. ამასთან, ტრიბუნალი ვალდებულია თავის გადაწყვეტილებაში დაეყრდნოს მხოლოდ იმ მტკიცებულებებსა და მასალებს, რომლებიც ცნობილია მხარეებისათვის.<sup>333</sup>

#### 5.4.2.6 არბიტრაჟის მიერ მტკიცებულებების სრულფასოვნად შეფასება

ბავარიის სასამართლომ განმარტა, რომ საარბიტრაჟო წარმოებისას სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფისათვის, ტრიბუნალი ვალდებულია მხარეებს მისცეს საშუალება, წარმოადგინონ ყველა არგუმენტი, რაც მათ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ. ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული არგუმენტები, თუმცა, იგი არ არის ვალდებული, შეაფასოს ყველა მათგანი. შესაბამისად, არსებობს პრეზუმფცია, რომ ტრიბუნალმა შეასრულა თავისი ვალდებულება, მხედველობაში მიიღო და გაითვალისწინა მხარეთა მიერ წარდგენილი არგუმენტები თუ მტკიცებულებები. ამ ვალდებულების დარღვევა შესაძლოა მხოლოდ მაშინ დადგინდეს, როცა საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან აშკარად იკვეთება მისი შეუსრულებლობა.<sup>334</sup>

<sup>332</sup> საერთაშორისო სამართლის ასოციაციის საბოლოო ანგარიში „გამოსაყენებელი მატერიალური სამართლის შინაარსის განსაზღვრა საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში,“ რეზოლუცია №6/2008 (რიო დეჟანეიროს კონფერენცია, 2008).

<sup>333</sup> მიუნხენის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2009 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №34 Sch 12/09.

<sup>334</sup> ბავარიის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 1999 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №4 Z Sch 23/99.



### 5.4.3 საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც მხარეებმა არბიტრაჟში არ წარადგინეს ან ის შეიცავს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება

აღნიშნული საფუძველი ითვალისწინებს ორ შემთხვევას, რომელთა არსებობისას შესაძლებელია გაუქმდეს ან უარი ეთქვას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას. პირველ შემთხვევაში, არბიტრაჟის მიერ გამოტანილია გადაწყვეტილება ისეთ საკითხზე, რაც არც საარბიტრაჟო შეთანხმებით, არც პროცედურული დადგენილებით/ბრძანებით ან მსგავსი დოკუმენტებით გათვალისწინებული არ არის (5.4.3.1); ხოლო მეორე შემთხვევა ეხება ისეთ საფუძველს, როდესაც არბიტრაჟს ჰქონდა უფლებამოსილება, გადაეწყვიტა საკითხი, თუმცა, იგი გასცდა მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს (5.4.3.2).

#### 5.4.3.1 გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც მხარეებმა არბიტრაჟში არ წარადგინეს

2015 წლის ცვლილებებამდე, არბიტრაჟის შესახებ კანონი ითვალისწინებდა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის ან/და გაუქმების ერთ-ერთი საფუძველი შეიძლება გახდეს გადაწყვეტილება იმ დავის შესახებ, რომელსაც საარბიტრაჟო შეთანხმება არ ითვალისწინებდა.<sup>335</sup> 2015 წლის ცვლილებებით, კანონის მოდელურ კანონთან შესაბამისობაში მოსაყვანად,<sup>336</sup> დაზუსტდა,<sup>337</sup> რომ ასეთი საფუძველი შეიძლება იყოს შემთხვევა, როდესაც „გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც მხარეებმა არბიტრაჟში არ წარადგინეს“. თუმცა, აღნიშნული ცვლილება არ იყო არსებითი ხასიათის, მას ტერმინოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა. 2015 წლის ცვლილებების შემდეგ, ეს საფუძველი მოიცავს არა მხოლოდ საარბიტრაჟო შეთანხმებით გათვალისწინებულ ფარგლებს, არამედ სხვა შემთხვევებსაც:

<sup>335</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 45.1.ა.(ა.დ), 2015 წლამდე არსებული რედაქცია.

<sup>336</sup> სწორედ ამ მიზნით განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილება, იხ. საკანონმდებლო ცვლილების განმარტებითი ბარათი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source3>

<sup>337</sup> თავის მხრივ, აღსანიშნავია, რომ მოდელური კანონის შემოაღნიშნული მუხლი სრულად ეფუძნება ნიუ იორკის კონვენციის V.1.(c) მუხლს.

როდესაც საარბიტრაჟო პროცესის დაწყების ან მიმდინარეობისას იცვლება არბიტრაჟს დაქვემდებარებული დავის ფარგლები.<sup>338</sup> კერძოდ, არბიტრაჟში არსებითი განხილვის დაწყებამდე არბიტრები მხარეთა მონაწილეობით იღებენ პროცედურულ, საარბიტრაჟო განხილვის შესახებ დადგენილებას,<sup>339</sup> რომელიც განსაზღვრავს იმ საკითხებსა და მოთხოვნებს, რასაც მხარეები უქვემდებარებენ არბიტრაჟს. ამიტომ, შესაძლებელია, საარბიტრაჟო შეთანხმების თავდაპირველი ფარგლები შეიცვალოს საარბიტრაჟო განხილვის შესახებ დადგენილებით, ან მხარეთა მოქმედებებით.

შესაბამისად, დავა, რომელიც „მხარეებმა არბიტრაჟში არ წარადგინეს“, გულისხმობს შემთხვევებს, როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეხება ისეთ საკითხებს, რაც არ ჯდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებში, არც საარბიტრაჟო განხილვის შესახებ დადგენილებაშია გათვალისწინებული და მათი არბიტრაჟში წარდგენა მხარეთა შემდგომი ქმედებებითაც არ დგინდება.<sup>340</sup>

ამ კონტექსტში ასევე მნიშვნელოვანია საარბიტრაჟო წესებით დაშვებული ტრიბუნალის უფლებამოსილების გაფართოების შესაძლებლობა და მისი გამოყენების კრიტერიუმები. ჰონგ-კონგის სააპელაციო სასამართლომ განიხილა საქმე *Tronic International Pte Ltd v Topco Scientific Co Ltd and Others*,<sup>341</sup> სადაც მხარე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას სადავოდ ხდიდა იმ საფუძვლით, რომ მხარეებს არ ჰქონდათ გათვალისწინებული ზიანის მოცულობის/ოდენობის განსაზღვრის შესაძლებლობა ჰონგ-კონგის ნასყიდობის აქტით. საარბიტრაჟო განხილვის გარკვეულ ეტაპზე აღნიშნული საკითხი დააყენა თავად არბიტრაჟმა, რაზეც მხარეებმა წარადგინეს თავიანთი მოსაზრებები; მხარე მიუთითებდა, რომ არბიტრაჟის მიერ ამ საკითხის თავისი ინიცია-იტივით დასმა და შემდგომში ჰონგ-კონგის ნასყიდობის

<sup>338</sup> UNCITRAL Secretariat Guide, გვ. 175, § 7.

<sup>339</sup> მაგ.: იხ. საქართველოს საერთაშორისო არბიტრაჟის ცენტრის წესების 26-ე მუხლი.

<sup>340</sup> Howard M. Holtzmann and Joseph E. Neuhaus, *A Guide to the UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration: Legislative History and Commentary*, (Kluwer Law International, 1989), გვ. 1059.

<sup>341</sup> ჰონგ-კონგის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 15 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე *Tronic International Pte Ltd v Topco Scientific Co Ltd and Others*, №CACV 235/2013.

აქტის სააფუძველზე ზიანის ანაზღაურების საკითხის შეფასება, სცდებოდა მხარეთა მიერ არბიტრაჟში წარდგენილ საკითხთა ფარგლებს.<sup>342</sup> კონგ-კონგის სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) საარბიტრაჟო წესები, რაზეც მხარეები შეთანხმებულები იყვნენ, აძლევდა არბიტრაჟს ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას მხარეთა მოსაზრებების მოსმენის შემდგომ, რაც არბიტრაჟის მიერ განხილულ საკითხს არბიტრაჟის განხილვის ფარგლებში აქცევდა.

#### 5.4.3.2 გადაწყვეტილება შეეხება ისეთ საკითხს, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცდება

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შესაძლებელია გაუქმდეს, ან მას ცნობა-აღსრულებაზე უარი ეთქვას, თუ იგი სცილდება მხარის მოთხოვნის ფარგლებს (*ultra petita*). მაგალითად, როცა არბიტრაჟი ანიჭებს მხარეს იმაზე მეტ ოდენობას, ვიდრე მხარის მიერ იყო მოთხოვნილი, ან მხარეს მისი მოთხოვნისაგან განსხვავებული უფლება/უპირატესობა ენიჭება.<sup>343</sup>

ზემოაღნიშნული საფუძვლის შემონმებისას, გასათვალისწინებელია სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსობრივი შემონმების (*révision au fond*) აკრძალვის პრინციპი.<sup>344</sup> საარბიტრაჟო წარმოების პროცესში მხარეთა ქმედებების ან გამოსაყენებელი სამართლის საფუძველზე, შესაძლებელია მხარეებმა დააზუსტონ თავიანთი მოთხოვნები ან/და შეცვალონ ზიანის დაანგარიშების ოდენობა ან წესი. ამდენად, სასამართლოს მიერ ამ საფუძვლით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადახედვამ შესაძლოა გამოიწვიოს *révision au fond* პრინციპის დარღვევა.<sup>345</sup> აქედან გამომდინარე, სასამართლოები ზემოაღნიშნული საფუძვლის შეფასებას იწყებენ პრეზუმციით, რომ არბიტრაჟის შეფასება, მიღებული გადაწყვეტილება, არ სცილდება მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს, თუ მხარე

<sup>342</sup> იქვე, § 8.

<sup>343</sup> Karl-Heinz Böckstiegel, Stefan Michael Kröll, et al. eds., *Arbitration in Germany: The Model Law in Practice*, 2nd ed. (Kluwer Law International, 2015), გვ. 407, § 67.

<sup>344</sup> ეს პრინციპი ასევე ეხმიანება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპს.

<sup>345</sup> J. Ole Jensen, "Setting Aside Arbitral Awards in Model Law Jurisdictions: The Singapore Approach from a German Perspective," *European International Arbitration Review*, Vol. 4., Is. 1, გვ. 75.

საწინააღმდეგოს არ წარმოაჩენს.<sup>346</sup> სწორედ ამის გამო, ზემოაღნიშნული საფუძვლით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების/ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის მოთხოვნა იშვიათად არის წარმატებული.

სვეას სააპელაციო სასამართლოს განხილულ საქმეში გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მოწინააღმდეგე მხარე უთითებდა იმაზე, რომ არბიტრაჟმა გადაწყვიტა დავა იმ პროდუქტის შესახებ, რომელიც არ წარმოადგენდა მხარეთა შეთანხმების ობიექტს. მხარის მოსაზრებით, პროდუქტი ვერ იქნებოდა ხელშეკრულებაში გათვალისწინებული, რადგან იგი არ არსებობდა მისი გაფორმებისას. სვეას სააპელაციო სასამართლომ მიუთითა მის შეზღუდულ უფლებამოსილებაზე, გადაეხედა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისთვის. სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელშეკრულების განმარტების გარეშე, ვერ დაადგენდა, იყო თუ არა პროდუქტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული. ამისათვის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადამოწმება იქნებოდა საჭირო, რისი უფლებამოსილებაც სასამართლოს კანონმდებლობით არ აქვს. აქედან გამომდინარე, სასამართლომ უარი თქვა აღნიშნულის შეფასებაზე და ცნო და აღასრულა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.<sup>347</sup>

#### 5.4.3.3 გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში მოქცეულ საკითხებს

ნიუ იორკის კონვენციაც და საქართველოს კანონიც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას ემხრობა. სწორედ აღნიშნულ მიზანს ემსახურება კანონით დადგენილი პრინციპი, რომლის მიხედვითაც, „*თუ გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში ექცევა, შეიძლება გამოცალკევებულ იქნეს იმ საკითხებისგან, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება, საარბიტრაჟო*

<sup>346</sup> Abdullah Mubarak Aldelmany Alenezi, “Enforcement Of Foreign Arbitral Awards In The GCC States”, სადოქტორო ნაშრომი წარდგენილი სტირლინგის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორის ხარისხის (PhD) მისაღებად (2010), გვ. 246.

<sup>347</sup> სვეას სააპელაციო სასამართლოს 2001 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *American Pacific Corp. v. Sydsvensk Produktutveckling AB*, №Ö 4859-00.

გადანყვეტილება შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც შეიცავს გადანყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება“.<sup>348</sup>

იტალიის ერთ-ერთი რეგიონის, ტრენტოს სააპელაციო სასამართლომ უარი თქვა საარბიტრაჟო გადანყვეტილების ნაწილის ცნობა-აღსრულებაზე იმ მოტივით, რომ საარბიტრაჟო გადანყვეტილება ცდებოდა მხარეთა მიერ შეთანხმებულ ფარგლებს.<sup>349</sup> კერძოდ, საარბიტრაჟო შეთანხმებით „ტექნიკურ საკითხებთან“ დაკავშირებულ დავას იხილავდა ადგილობრივი არბიტრაჟი, ხოლო „არატექნიკურ საკითხებთან“ დაკავშირებულ დავას – საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) წესების საფუძველზე შექმნილი არბიტრაჟი.<sup>350</sup> სასამართლომ ჩათვალა, რომ ერთ-ერთი ინსტიტუტის მიერ გამოტანილი საარბიტრაჟო გადანყვეტილება, რომელიც ორივე საკითხს მოიცავდა, სცდებოდა მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ ფარგლებს. ამდენად, აღასრულა მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მის დაქვემდებარებაში იყო.

#### 5.4.4 საარბიტრაჟო ტრიბუნალის შემადგენლობის განსაზღვრისას ან საარბიტრაჟო პროცესისას არსებული დარღვევები

მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს საარბიტრაჟო გადანყვეტილების გაუქმება, ან მის ცნობა-აღსრულებაზე უარი, თუ არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამება მხარეთა შეთანხმებას, ან კანონით დადგენილ მოთხოვნებს. მაგალითისთვის ქვემოთ განხილულია რამდენიმე შემთხვევა, როდესაც საარბიტრაჟო გადანყვეტილება შესაძლოა სადავო გახდეს ამ საფუძველზე.

<sup>348</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები, 42.1.ა.(ა.გ) და 45.1.ა.(ა.გ).

<sup>349</sup> ტრენტოს სააპელაციო სასამართლოს 1981 წლის 14 იანვრის გადანყვეტილება საქმეზე *General Organization of Commerce and Industrialization of Cereals of the Arab Republic of Syria v. S.p.a. SIMER (Società delle Industrie Meccaniche di Rovereto)*, განხილულია: UNCITRAL Secretariat Guide-ში, გვ. 178, § 18.

<sup>350</sup> იქვე.

#### 5.4.4.1 ტრიბუნალის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

სამართლიანი პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტია ტრიბუნალის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა. შესაბამისად, აღნიშნული საკითხის განხილვა შეიძლება როგორც ამ საფუძვლით, ისე პროცესუალური საჯარო წესრიგის კუთხით.<sup>351</sup>

არბიტრაჟის, როგორც დავის გადაწყვეტის მექანიზმის ლეგიტიმურობისთვის, არსებითია, რომ არბიტრი იყოს და დარჩეს მხარეებისაგან და მათ შორის არსებული დავისგან დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი. დამოუკიდებლობის საკითხი, ზოგადად, შეეხება არბიტრსა და ერთ-ერთ მხარეს შორის არსებულ ურთიერთობას, იქნება ეს ფინანსური, პროფესიული, პირადი თუ სხვაგვარი ურთიერთობა. შესაბამისად, დამოუკიდებლობის შეფასებისას, არბიტრის განწყობა მხარის ან დავის მიმართ არ არის მნიშვნელოვანი, არამედ ყურადღება ექცევა ფაქტობრივ მოცემულობას. განსხვავებით დამოუკიდებლობისგან, მიუკერძოებულობა უკავშირდება არბიტრის განწყობას ერთ-ერთი მხარის ან დავის კონკრეტული საკითხის მიმართ. შესაბამისად, მიუკერძოებულობა სუბიექტური და უფრო აბსტრაქტული ცნებაა, ვიდრე დამოუკიდებლობა.<sup>352</sup>

არბიტრთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საკითხს აწესრიგებს ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობა, ისე სხვადასხვა საარბიტრაჟო ინსტიტუტის წესები.<sup>353</sup> კანონის შესაბამისად, მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს არბიტრის აცილება, თუ მას აქვს დასაბუთებული ეჭვი არბიტრის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. ამასთან, კანონი ავალდებულებს პირს, რომელიც უნდა დაინიშნოს არბიტრად, ასევე უკვე დანიშნულ არბიტრს, დაუყოვნებლივ აცნობოს მხარეებს და არბიტრაჟს იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც საეჭვოს ხდის მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას. აღნიშნული ვალდებულება უკვე დანიშნულ არბიტრს

<sup>351</sup> იხ. პირველი გამკველვეი, 3.4.2 ქვეთავი.

<sup>352</sup> Nigel Blackaby, Constantine Partasides, Alan Redfern, Martin Hunter, *Redfern and Hunter on International Arbitration*, 6th ed. (Oxford University Press, 2015), გვ. 255-256, § 4.79-4.82.

<sup>353</sup> იხ. საერთაშორისო კომერციული პალატის (ICC) საარბიტრაჟო წესები, მუხლი 11; სტოკჰოლმის კომერციული პალატის (SCC) საარბიტრაჟო წესები, მუხლი 18.

აქვს მთელი საარბიტრაჟო განხილვის განმავლობაში.<sup>354</sup> აღსანიშნავია, რომ გარკვეული გარემოებების გამჟღავნება, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს არბიტრსა და მხარეს შორის რაიმე კავშირზე, ავტომატურად არ ნიშნავს, რომ არბიტრი მიკერძოებულია. მეტიც, გამჟღავნების შემთხვევაში იგულისხმება, რომ არბიტრი არ მიიჩნევს თავს მიკერძოებულად. გამჟღავნება სავალდებულოა იმის გამო, რომ არსებობს ობიექტური გარემოებები, რომელთაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს არბიტრის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა მესამე პირების თვალში. გამჟღავნება შესაძლებლობას აძლევს მხარეებს, შეაფასონ გამჟღავნებული გარემოების ხარისხი/სიმძაფრე და მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება, სურთ თუ არა, მათი დავა ამ არბიტრმა გადაწყვიტოს. მეტი ინფორმაცია დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ იხილეთ პირველი გზამკვლევის 3.4.2 ქვეთავში.

არბიტრის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებულობის საკითხზე იმსჯელა მადრიდის უმაღლესმა სასამართლომ. ამ საქმეში არბიტრს ჰქონდა პირადი, ახლო ურთიერთობა ერთ-ერთი მხარის წარმომადგენელ იურიდიულ კომპანიასთან. სასამართლომ დააკმაყოფილა მხარის მოთხოვნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ და მიუთითა, რომ არბიტრის ურთიერთობა მხარის წარმომადგენელთან სცილდებოდა დროებით, შემთხვევით ურთიერთობას. ამ დასკვნამდე სასამართლო მივიდა სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით, მათ შორის: არბიტრის ნათესავის და მეგობრების დასაქმების ფაქტი იურიდიულ კომპანიაში, სადაც მხარის წარმომადგენელი მუშაობდა, არბიტრის საპატიო პოზიცია ამ იურიდიული კომპანიის მრჩეველთა საბჭოში; ასევე ის ფაქტი, რომ არბიტრმა პუბლიკაცია მიუძღვნა პირს, რომლის სახელიც ერქვა ამ იურიდიულ კომპანიას. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ასევე იმ გარემოებაზე, რომ არბიტრს არ გაუჟღავნებია ზოგიერთი ზემოაღნიშნული ფაქტი. ერთობლიობაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს გარემოებები ადასტურებდნენ კეთილგანწყობას არბიტრსა და იურიდიულ კომპანიას შორის.<sup>355</sup>

<sup>354</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 12.

<sup>355</sup> მადრიდის უმაღლესი სასამართლოს 2011 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №SAP M 11690/2011 - ECLI:ES:APM:2011:11690.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მხარემ დროულად განაცხადოს აცილების საფუძვლის არსებობის შესახებ. დანიის უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში დაადგინა, რომ მხარე, რომელმაც იცოდა, რომ არბიტრი დაკავშირებულ საქმეზე წარმომადგენლად მონაწილეობდა და არ გააპროტესტა მისი დამოუკიდებლობის საკითხი საარბიტრაჟო წარმოების განმავლობაში, ვერ მოითხოვდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას ამ საფუძვლით, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად დასაბუთებული იქნებოდა მისი მოთხოვნა (შედავების უფლების გაქარწყლების პრინციპი).<sup>356</sup>

#### 5.4.4.2 ტრიბუნალის დანიშვნის/არჩევის წესი ეწინააღმდეგება მხარეთა შეთანხმებას

ფლორენციის სააპელაციო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში<sup>357</sup> საარბიტრაჟო დათქმა ითვალისწინებდა სამი არბიტრისგან შემდგარ საარბიტრაჟო ტრიბუნალს. თუმცა მხარეთა მიერ დანიშნულმა არბიტრებმა მესამე არბიტრი აღარ დანიშნეს და დავა ამ ორმა განიხილა. იმ დროისთვის მოქმედი საარბიტრაჟო ადგილის სამართალი, ინგლისის 1950 წლის საარბიტრაჟო აქტი, უშვებდა დავის ორი არბიტრის მიერ განხილვის შესაძლებლობას (მესამე არბიტრის დანიშვნას კი მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში). სასამართლომ უარი თქვა გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე და დაადგინა: მიუხედავად იმისა, რომ საარბიტრაჟო პროცესის მიმდინარეობის ადგილის სამართლის ნორმები არ დარღვეულა, ორი არბიტრისაგან შემდგარმა საარბიტრაჟო ტრიბუნალმა დაარღვია მხარეთა შეთანხმების პირობა, რომელიც დავის სამი არბიტრის მიერ განხილვას ითვალისწინებდა.

#### 5.4.4.3 საარბიტრაჟო პროცედურა ეწინააღმდეგება მხარეთა შეთანხმებას

ამ საფუძვლით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მიზეზი შესაძლოა გახდეს შემთხვევა, როდესაც ტრიბუნალმა საქმე წარმართა არა მხარეთა

<sup>356</sup> დანიის უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *JKM Transport ApS v. Danish Crown*, UNCITRAL Digest 2012, გვ. 102, 155.

<sup>357</sup> ფლორენციის სააპელაციო სასამართლოს 1978 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Rederi Aktiebolaget Sally v. srl Termarea*, განხილულია Peter Aeberli, "Jurisdictional Disputes under the Arbitration Act 1996: A Procedural Route Map", *Arbitration International*, Vol. 21, Is. 3.



მიერ შეთანხმებული, არამედ სხვა ინსტიტუტის წესების შესაბამისად,<sup>358</sup> ასევე, როდესაც ტრიბუნალმა სხვაგვარად დაარღვია საარბიტრაჟო შეთანხმებით გათვალისწინებული წესები.

ბაზელის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ არბიტრაჟმა გადაწყვეტილება გამოიტანა ორ ნაწილად: ჯერ იმსჯელა მინოდებული პროდუქტის ხარისხზე, ხოლო შემდგომ, ნაწილობრივი გადაწყვეტილებით გადაწყვიტა ზიანის ოდენობის საკითხი. პროცესის ამგვარ დაყოფაზე (ბიფურკაციაზე)<sup>359</sup> შუამდგომლობდა ერთი მხარე (მყიდველი), თუმცა ამის წინააღმდეგი იმთავითვე იყო მეორე მხარე (გამყიდველი), რომელსაც სურდა ყველა საკითხის ერთეულოვანი საარბიტრაჟო პროცესში განხილვა. ამასთან, მხარეთა მიერ შეთანხმებული საარბიტრაჟო წესები არ ითვალისწინებდა პროცესის ამგვარი დაყოფის შესაძლებლობას. სასამართლომ განმარტა: მიუხედავად იმისა, რომ ჰამბურგში საარბიტრაჟო პროცესის ბიფურკაციის პრაქტიკამ იმ დროს დაიწყო დამკვიდრება, ამას არ ითვალისწინებდა მხარეთა მიერ შეთანხმებული წესები. შესაბამისად, გამყიდველს ჰქონდა ლეგიტიმური მოლოდინი, რომ პროცესი, შეთანხმებული წესების შესაბამისად, ერთ ეტაპად წარიმართებოდა.<sup>360</sup>

#### 5.4.4.4 საარბიტრაჟო გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია

კანონი ადგენს, რომ გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს, იმ მოტივების მითითებით, რომელთა საფუძველზეც მიღებულია გადაწყვეტილება.<sup>361</sup> გამონაკლისია შემთხვევა, როცა: (ა) მხარეებმა შეთანხმებით გაათავისუფლეს ტრიბუნალი გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებისგან;<sup>362</sup> ან (ბ) საარბიტრაჟო წარმოება შეწყდა მხარეთა მორიგების შედეგად და ასეთი მორიგება დამტკიცდა არბიტრაჟის მიერ.<sup>363</sup>

<sup>358</sup> კენის უმაღლესი სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Signon Maritime Ltd. v. Gitutho Associates and Others*.

<sup>359</sup> არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი (შვიად კორძაძის გამომცემლობა, 2016) გვ. 19, №29 – „ბიფურკაცია“.

<sup>360</sup> ბაზელის სააპელაციო სასამართლოს 1968 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Firm in Hamburg (buyer) v. Corporation (A.G.) in Basel (seller)*; Emmanuel Gaillard and George A. Bermann (eds.), *The UNCITRAL Secretariat Guide on the Guide on the Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards* (Brill Nijhoff, 2017).

<sup>361</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 39.3.

<sup>362</sup> იქვე.

<sup>363</sup> იქვე. მუხლი 38.

სასამართლოები, როგორც წესი, მიიჩნევენ, რომ დასაბუთება გულისხმობს ტრიბუნალის მიერ ფაქტების მითითებას, შეფასებას და ახსნას, როგორ მივიდა ამ გადაწყვეტილებამდე.<sup>364</sup> საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დასაბუთება უნდა ემსახურებოდეს ორ მიზანს: (1) დაარწმუნოს მხარეები, რომ გადაწყვეტილება სამართლიანი და მართებულია, და (2) შესაძლებელი გახადოს გადაწყვეტილების აღსრულება.<sup>365</sup>

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დასაბუთების საკითხზე იმსჯელა ახალი ზელანდიის სააპელაციო სასამართლომ. ამ საქმეში მხარე მოითხოვდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას დაუსაბუთებლობის გამო. საარბიტრაჟო წარმოება წარიმართა ახალი ზელანდიის არბიტრაჟის შესახებ კანონის შესაბამისად (1996), რომელიც, მოდელური კანონის მსგავსად, ითვალისწინებდა ტრიბუნალის ვალდებულებას, დაესაბუთებინა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. გარდა ამისა, საარბიტრაჟო შეთანხმება პირდაპირ მიუთითებდა, რომ გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო დასაბუთებული. საარბიტრაჟო წარმოების ფარგლებში 13 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ზეპირი განხილვა. თითოეული მხარე წარმოდგენილი იყო იურისტების მიერ. მხარეებმა გაცვალეს წერილობითი მტკიცებულებები, ამასთანავე, საქმეში იყო ექსპერტთა დასკვნები. საბოლოოდ, ტრიბუნალმა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დასაბუთება 5 აბზაცად ჩამოაყალიბა. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ არ შეაფასა დასაბუთების მართებულობა თუ ხარისხი; მან ყურადღება გაამახვილა დასაბუთების მიზანსა და მნიშვნელობაზე მხარეთათვის. სასამართლომ აღნიშნა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა იძლეოდეს საშუალებას, მხარეები მიხვდნენ, რატომ და როგორ მივიდა ტრიბუნალი შესაბამის დასკვნამდე. განსახილველ შემთხვევაში, მხარეების მიერ დახარჯული დროისა და რესურსების ფონზე, ასევე საქმის მასალების რაოდენობის გათვალისწინებით, აშკარა იყო რომ 5-აბზაციანი დასაბუთება

<sup>364</sup> ნიუ კუს უელსის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Gordian Runoff Limited v. Westport Insurance Corporation*.

<sup>365</sup> მადრიდის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *Uniprex S.A. v. Grupo Radio Blanca*.

ვერ უზრუნველყოფდა მხარეთათვის პროცედურული სამართლიანობის განცდას.<sup>366</sup>

#### 5.4.5 საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შესულა კანონიერ ძალაში, ანდა იგი გააუქმა ან შეაჩერა იმ ქვეყნის სასამართლომ, სადაც ან რომლის სამართლის შესაბამისადაც გამოტანილია ეს გადაწყვეტილება

აღნიშნული საფუძველი ეფუძნება ნიუ იორკის კონვენციას.<sup>367</sup> ის, ძირითადად, ისეთი შემთხვევებისთვისაა გათვალისწინებული, როდესაც მხარე ცდილობს ისეთი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას სხვა ქვეყანაში, რომელიც შეჩერებული ან გაუქმებულ იქნა იმ ქვეყანაში სადაც გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საფუძველი აქტუალურია მხოლოდ უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების კონტექსტში. სწორედ ამიტომ, საქართველოს კანონი უთითებს არა პირდაპირ „საქართველოს სასამართლოზე“, არამედ სასამართლოზე, სადაც „ეს გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი [...]“<sup>368</sup> უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულებაზე კი კომპეტენტურია საქართველოს უზენაესი სასამართლო.<sup>369</sup> ამდენად, ამ საკითხის დეტალური განხილვა სცილდება წინამდებარე გზამკვლევის ფარგლებს. ეს საფუძველი არ არის აქტუალური საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა აღსრულების კონტექსტში, ვინაიდან, თუკი საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას გააუქმებს სააპელაციო სასამართლო, მის ცნობა-აღსრულებას მხარე ვერ შეენიანაღმდეგება იმავე საფუძველით, რაც გაუქმების განცხადებაში ჰქონდა მითითებული.<sup>370</sup> საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების ზეგავლენა ამ გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე განხილულია ამ გზამკვლევის

<sup>366</sup> ახალი ზელანდიის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Ngāti Hurungaterangi, Ngāti Taeotu me Ngāti te Kahu o Ngāti Whakaue v. Ngāti Wahiao*; აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა ახალი ზელანდიის უზენაესმა სასამართლომ 2017 წლის 21 დეკემბერს.

<sup>367</sup> ნიუ იორკის კონვენცია, მუხლი V.1.(e).

<sup>368</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 45.1.ა.(ა.ე).

<sup>369</sup> იქვე. მუხლი 44.1.

<sup>370</sup> იქვე. მუხლი 45.2.

## 5.5 გაუქმებისა და უარის თქმის საფუძვლები, რომლებსაც სასამართლო საკუთარი ინიციატივით ამოწმებს

კონვენციისა და მოდელური კანონის მსგავსად, საქართველოს კანონი ითვალისწინებს ორ საფუძველს, რომლებიც, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, იმის მიუხედავად, დავობს თუ არა მხარე მათზე. ესენია:

5.5.1 შეიძლება იყოს, თუ არა დავა არბიტრაჟის განხილვის საგანი (არბიტრაჟუნარიანი)?<sup>371</sup>

5.5.2 ეწინააღმდეგება, თუ არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საჯარო წესრიგს?

### 5.5.1 შეიძლება იყოს, თუ არა დავა არბიტრაჟის განხილვის საგანი (არბიტრაჟუნარიანი)?

მხარეთა არჩევანი, დავა არბიტრაჟმა განიხილოს, მხარეთა ავტონომიის პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა. თუმცა, ისევე, როგორც კერძო ავტონომიის ფარგლები, არბიტრაჟის მიერ განხილვადი (არბიტრაჟუნარიანი) საკითხების წრე არ არის შეუზღუდავი. იგი განსაზღვრულია, ერთი მხრივ, თვით არბიტრაჟის ბუნებით, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვებით.<sup>372</sup> მეტი ინფორმაცია არბიტრაჟუნარიანობის შესახებ იხილეთ პირველ გზამკვლევის 1.4.1 ქვეთავში.

არბიტრაჟუნარიანობის შეზღუდვის ფარგლები შესაძლებელია განსხვავდებოდეს სხვადასხვა ქვეყანაში, რადგან სახელმწიფოები, ეროვნული არბიტრაჟის შემთხვევაში, თვითონ განსაზღვრავენ, რა საკითხები უნდა იყოს არბიტრაჟუნარიანი სახელმწიფოს პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე.<sup>373</sup> სწორედ ამიტომ, საქართველოს

<sup>371</sup> არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი (ზვიად კორძაძის გამომცემლობა, 2016) გვ. 16, №17 - „არბიტრაჟუნარიანობა“.

<sup>372</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 10.2.

<sup>373</sup> ICCA-ს სახელმძღვანელო, გვ. 85.

კანონის მიხედვით, სააპელაციო სასამართლო ამონშებს, ექვემდებარება თუ არა დავა არბიტრაჟის მიერ განხილვას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.<sup>374</sup>

ამდენად, სასამართლომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების ან ცნობა-აღსრულების პროცესის მიმდინარეობისას თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს:

- ✓ ხომ არ მიეკუთვნება არბიტრაჟის მიერ განხილული საკითხი ექსკლუზიურად რომელიმე ორგანოს უწყებრივ განსჯადობას (კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული არბიტრაჟუნარო საკითხები);
- ✓ ექცევა თუ არა განხილული საკითხი არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ არბიტრაჟუნარიანობის ფარგლებში.

### 5.5.1.1 კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული არბიტრაჟუნარო საკითხები

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა პირდაპირ ადგენს იმ საკითხთა ჩამონათვალს, რომელთა არბიტრაჟის წესით განხილვაც აკრძალულია. მაგალითად, ლიტვის კომერციული არბიტრაჟის კანონის მიხედვით, არბიტრაჟუნაროა დავა, რომელიც ეხება სასაქონლო ნიშნისა და პატენტის რეგისტრაციას.<sup>375</sup> ბულგარეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით კი, არბიტრაჟის განხილვის საგანი ვერ იქნება სამომხმარებლო დავები.<sup>376</sup>

საარბიტრაჟო აქტების ნაწილი, მათ შორის, საქართველოს კანონი, არ ჩამოთვლის იმ საკითხებს, რომლებიც ვერ გახდება არბიტრაჟის განხილვის საგანი. თუმცა, არბიტრაჟუნარიანობის არაპირდაპირი აკრძალვები გათვალისწინებულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტით.<sup>377</sup> მაგალითად,

<sup>374</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 42.2.ბ(ა) და 45.1.ბ(ბ).

<sup>375</sup> ლიტვის კანონი კომერციული არბიტრაჟის შესახებ, მუხლი 12.2.

<sup>376</sup> ბულგარეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 19.

<sup>377</sup> პირველი გზამკვლევი, 1.4.1.ა. ქვეთავი.

საგადასახადო კოდექსში<sup>378</sup> და მენარმეთა შესახებ კანონში,<sup>379</sup> სადაც კონკრეტულ შემთხვევებში გათვალისწინებულია სასამართლოსა და სხვა საჯარო ორგანოთა მიერ დავის გადანაცვების ექსკლუზიური უფლებამოსილება, რომელიც გამორიცხავს შესაბამისი საკითხის განხილვას არბიტრაჟის მიერ.

თუმცა, კანონის მითითება დავის სასამართლოს ან საჯარო ორგანოს მიერ განხილვის შესაძლებლობაზე ყოველთვის არ გულისხმობს, რომ საკითხი შეიძლება მხოლოდ ამ ორგანოებმა განიხილონ. რიგ შემთხვევებში, სასამართლოს ან საჯარო ორგანოთა მიერ დავის განხილვის შესაძლებლობაზე მითითება *„უფრო ფართო მართლმსაჯულებისადმი წვდომის (საჯარო თუ კერძო) ზოგად უფლებას გულისხმობს; ე.ი. მოიცავს დავის არბიტრაჟის მიერ განხილვის შესაძლებლობასაც.“*<sup>380</sup>

### 5.5.1.2 არბიტრაჟუნარიანობის კანონით განსაზღვრული ფარგლები

არბიტრაჟუნარიანობის განსაზღვრისათვის გადამწყვეტია საამისოდ კანონით დადგენილი ფარგლები.<sup>381</sup>

კანონის თანახმად, არბიტრაჟს განსახილველად შეიძლება გადაეცეს *„პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის, მხარეთა შეთანხმებით.“*<sup>382</sup>

მეტი ინფორმაცია, თუ რა იგულისხმება კერძო ხასიათის ქონებრივ დავაში, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის, იხილეთ პირველი გზამკვლევის 1.4.1 ქვეთავში, აქ მხოლოდ ხაზგასმულია, რომ თავად კანონის დეფინიცია (*„რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის“*), ისევე, როგორც არბიტრაჟუნარიანობის არსი, დიდწილად ეფუძნება არბიტრაჟის მთავარ მახასიათებელს, კერძოდ იმას, რომ არბიტრაჟის

<sup>378</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსის 296-ე მუხლის თანახმად, *„საგადასახადო დავა შესაძლებელია განხილული იქნეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემასა და სასამართლოში.“*

<sup>379</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 534.2. მუხლის მიხედვით, სასამართლო იღებს გადანაცვებებს აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ.

<sup>380</sup> პირველი გზამკვლევი, გვ. 23.

<sup>381</sup> იქვე, გვ. 24.

<sup>382</sup> სსსკ, მუხლი 12.

უფლებამოსილება გამომდინარეობს მხარეთა შეთანხმებიდან. შესაბამისად, არბიტრაჟის გადაწყვეტილება მხოლოდ საარბიტრაჟო პროცესის მონაწილე მხარეებზე შეიძლება გავრცელდეს. სწორედ არბიტრაჟის ამ ბუნებრივი შეზღუდვიდან გამომდინარეობს არბიტრაჟუნარიანობის ფარგლებიც. მაგალითად, ის ფაქტი, რომ სანარმოს გაკოტრების პროცესს, გარდა მოდავე მხარეებისა, როგორც წესი, ზეგავლენა აქვს მესამე პირებზე – კრედიტორებზე, განაპირობებს ასეთი დავების შეზღუდულ არბიტრაჟუნარიანობას. იგივე შეიძლება ითქვას კოპანიის შიდა კორპორაციულ დავებზე, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმებისა (და პროცესის) მხარე შეიძლება იყოს კომპანია და მისი ერთი რომელიმე დამფუძნებელი, თუმცა მხარეთა შორის დავას შეიძლება ზეგავლენა ჰქონდეს სხვა დამფუძნებლების ინტერესებზეც. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყნებს განსხვავებული მიმდგომა აქვთ ასეთი დავების არბიტრაჟუნარიანობის სრული ან ნაწილობრივი შეზღუდვის შესახებ.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ გარკვეული სამოქალაქო უფლებები და ვალდებულებები სახელმწიფო ორგანოს მიერ რეგისტრირდება. თუმცა მათი რეგისტრაციას დაქვემდებარება არ აქცევს წარმოშობილ მათ შესახებ დავას არბიტრაჟუნაროს. ამ დროს, მართალია, უშუალოდ რეგისტრაციის უფლებამოსილება და პროცედურა კონკრეტული სახელმწიფო ორგანოს კომპეტენციაშია და არ შეიძლება არბიტრაჟის განხილვის საგანი გახდეს, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, რეგისტრაციას დაქვემდებარებული უფლების რეალიზება სრულად არბიტრაჟუნარიანია (სხვა შეზღუდვების არარსებობის პირობებში). მაგალითად, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული დავები, რა თქმა უნდა, არბიტრაჟუნარიანია, მაგრამ მათი კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციის უფლებამოსილება აქვს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. იგივე ვრცელდება ავტომობილის შექმნასთან/სარგებლობასთან დაკავშირებულ დავებსა (რომლებიც არბიტრაჟუნარიანია) და ავტომობილის სახელმწიფო ორგანოში რეგისტრაციის ვალდებულებაზე. ბუნებრივია, მხარეები ვერ შეცვლიან და ვერ აირიდებენ კანონით დადგენილ რეგისტრაციის ვალდებულებას, რაც შესაბამის სახელმწიფო ორგანოში უნდა მოხდეს. თუმცა, მათ თავისუფლად შეუძლიათ, მოაწესრიგონ ერთმანეთს შორის დავები, რომლებიც გამომდინარეობს ასეთ საგანზე მათი უფლების რეალიზებიდან.

### 5.5.1.3 არბიტრაჟუნარიანობისა და არბიტრაჟუნარობის კონკრეტული შემთხვევები

მაგალითისთვის, განხილულია რამდენიმე შემთხვევა, სადაც შეიძლება წამოიჭრას არბიტრაჟუნარიანობის საკითხი.

#### ა. გადახდისუნარობის სამართლის გარკვეული საკითხები

მიჩნეულია, რომ გადახდისუნარობის სამართლიდან მომდინარე საკითხების ნაწილი არბიტრაჟუნაროა, რადგან ისინი ეხება არა ზოგადად დავათა მოგვარებას მხარეთა შორის, არამედ პროცედურას, რომლის მეშვეობითაც უნდა წარიმართოს მოვალის მიმართ უფლებათა კოლექტიური აღსრულება ან რეაბილიტაცია.<sup>383</sup> ამავე დროს, გადახდისუნარობის პროცესში მოვალის უფლებრივი მდგომარეობის ცვლილებამ შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს მესამე პირებზე – კრედიტორებზე – რომლებიც არ არიან საარბიტრაჟო შეთანხმების, და შესაბამისად საარბიტრაჟო პროცესის მონაწილენი. ქვეყნებში, სადაც გადახდისუნარობასთან დაკავშირებული დავების არბიტრაჟუნარიანობა შეზღუდულია, ამის მიზეზი სწორედ ის მიდგომაა, რომ ამგვარი დავების კოლექტიურად განხილვა, ერთ ფორუმში, სადაც ყველა მოდავე/ჩართულ პირს ექნება შესაძლებლობა დაიცვას საკუთარი ინტერესები, უფრო ეფექტიანია.<sup>384</sup> თუმცა, რიგ ქვეყნებში ასეთი დავები, თუკი ისინი ეხება მხოლოდ მოვალის ქონებას და არ აქვს ზეგავლენა უფლებათა კოლექტიურ აღსრულებაზე, არბიტრაჟუნარიანად არის მიჩნეული. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, კანონმდებლობა ასხვავებს შემთხვევებს, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმება დადებულია მოვალის ქონებასთან დაკავშირებულ დავაზე გადახდისუნარობის საქმის წარმოების დაწყებამდე, და როდესაც ასეთი შეთანხმება დადებულია საქმის წარმოების დაწყების შემდგომ. მაგალითად, ავსტრიის კანონმდებლობა, მეორე შემთხვევაში, საარბიტრაჟო შეთანხმებას ბათილად მიიჩნევს.<sup>385</sup>

<sup>383</sup> Julian D. M. Lew , Loukas A. Mistelis , et al., *Comparative International Commercial Arbitration*, (Kluwer Law International; 2003), გვ. 206, §9-55.

<sup>384</sup> ეს შეზღუდვა არსებობს, მაგ.: ავსტრიის გაკოტრების კოდექსი, მუხლები 43.5 და 111.1; საფრანგეთის კომერციული კოდექსი, მუხლი 662-3, განხილული Loukas A. Mistelis and Stavros L. Brekoulakis (eds), *Arbitrability: International and Comparative Perspectives* (Kluwer Law International, 2009) გვ. 33, § 2-44 და 2-45.

<sup>385</sup> იქვე. გვ. 168, § 9-14.



გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი ადგენს, რომ ამ კანონით გათვალისწინებული საქმეებისათვის დგინდება სპეციალური განსჯადობა<sup>386</sup> ხოლო, „გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების ელექტრონულ სისტემაში გამოქვეყნებიდან 20 დღის განმავლობაში მოვალის ქონებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, გარდა სააპელაციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში მიმდინარე დავებისა განსახილველად გადაეცემა თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.<sup>387</sup> იმავე წესი მოქმედებს რეაბილიტაციის პროცესის შემთხვევაშიც.

ამასთან, ქართული სასამართლო პრაქტიკიდანაც იკვეთება, რომ ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელობა აქვს თუ როდის დაიდო საარბიტრაჟო შეთანხმება და როდის დაიწყო გადახდისუუნარობის პროცესი. მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2014 წლის 10 თებერვლის განჩინებით<sup>388</sup> განიხილა საქმე, სადაც მხარეებმა ხელშეკრულება, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმებას მოიცავდა, მოვალის ქონების თაობაზე დადეს მას შემდეგ, რაც დაიწყო რეაბილიტაციის პროცესი. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ *„განსახილველი დავა დაკავშირებულია მოვალის ქონებასთან და შესაბამისად, იგი ექვემდებარება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულ განსაკუთრებული განსჯადობის წესს და ის გარემოება, რომ რეაბილიტაციის პროცესის დაწყების შემდგომ მოვალის ქონების განკარგვის შესახებ გარიგებით ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის არბიტრაჟისათვის გადაცემის საკითხზე, მოცემულ დავას ვერ აქცევს არბიტრაჟის განსჯად საქმედ.“*

ამავე დროს, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 2 აგვისტოსა<sup>389</sup> და 2010 წლის 15 აგვისტოს<sup>390</sup> საქმეებზე, სადაც მხარეებს შორის საარბიტრაჟო შეთანხმება დადებული იყო გადახდისუუნარობის საქმის

<sup>386</sup> საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 4.1.

<sup>387</sup> იქვე, მუხლი 4.5.

<sup>388</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 10 თებერვლის განჩინება საქმეზე №2/47-14.

<sup>389</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 2 აგვისტოს განჩინება საქმეზე №2/6546-10.

<sup>390</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 15 აგვისტოს განჩინება საქმეზე №2/1413-10.

წარმოების დაწყებამდე, სასამართლომ მიიჩნია, რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება ვერ იქონიებდა ზეგავლენას არბიტრაჟის უფლებამოსილებაზე განეხილა დავა. სასამართლომ აღნიშნა, რომ „კრედიტორს შეუძლია არბიტრაჟის გადაწყვეტილება წარუდგინოს გადახდისუუნარობის საქმის განმხილველ სასამართლოს, რომელიც იმსჯელებს მისი მოთხოვნათა რეესტრში შეყვანაზე.“

## ბ. ინტელექტუალური საკუთრების სამართლის გარკვეული საკითხები

ინტელექტუალური საკუთრების შემთხვევაში, უფლებათა ნაწილის დაცვის-უნარიანობა წარმოიშობა სახელმწიფო ორგანოში მათი რეგისტრაციის მომენტიდან და ვრცელდება განუსაზღვრელი პირების მიმართ.<sup>391</sup> შესაბამისად, ერთი მხრივ, სახელმწიფო ორგანოს მიერ ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა რეგისტრაციის, შეცვლისა და გაუქმების უფლებამოსილება და, მეორე მხრივ, მათი შეცვლის, გაუქმებისა და წარმოშობის მესამე პირებზე ზეგავლენის შესაძლებლობა, ამ უფლებათა ნაწილთან დაკავშირებულ დავებს არბიტრაჟუუნაროდ აქცევს.<sup>392</sup> მაგალითად, საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ ადგენს, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის უფლებამოსილება აქვს საქპატენტს,<sup>393</sup> ხოლო გარკვეულ შემთხვევებში, მესამე პირის მოთხოვნით – სასამართლოს.<sup>394</sup>

თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, უნდა განსხვავდეს დავები, რომელიც ეხება ამ უფლებათა რეალიზაციას.<sup>395</sup> მაგალითად, როდესაც დავა ეხება სალიცენზიო ხელშეკრულებათა შესრულებას, ნამდვილობას, როიალტისა და პატენტის პირობების დარღვევას (ე.ი. უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებული დავა) – ის, როგორც წესი, მიიჩნევა არბიტრაჟუუნარიანად.<sup>396</sup>

<sup>391</sup> Julian D. M. Lew, Loukas A. Mistelis, et al., *Comparative International Commercial Arbitration*, (Kluwer Law International, 2003), გვ. 209, § 9-64.

<sup>392</sup> იქვე.

<sup>393</sup> სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 27.1.

<sup>394</sup> იქვე. მუხლი 27.2.

<sup>395</sup> Julian D. M. Lew, Loukas A. Mistelis, et al., *Comparative International Commercial Arbitration*, (Kluwer Law International, 2003), გვ. 209, § 9-65.

<sup>396</sup> იქვე. გვ. 209-210. , § 9-66.

## გ. კორპორაციული სამართლის გარკვეული საკითხები

კორპორაციული დავები, ზოგადად, რა თქმა უნდა, მიეკუთვნება არბიტრაჟუნარიან საკითხთა წრეს.<sup>397</sup> კორპორაციული სამართლის სუბიექტები უფლებამოსილნი არიან, დადონ საარბიტრაჟო შეთანხმება და მათ შორის წარმოშობილი დავა დაუქვემდებარონ არბიტრაჟის განსჯადობას. თუმცა, კორპორაციული სამართლის სუბიექტთა წრე საკმაოდ დიდია. ამიტომ შესაძლებელია წარმოიშვას ისეთი კორპორაციული დავა, რომლის ფარგლებში გამოტანილი გადანწყვეტილებაც გავლენას იქონიებს იმ სუბიექტთა უფლება-ვალდებულებებზე, რომლებიც არ ყოფილან საარბიტრაჟო შეთანხმების მონაწილენი ან/და არ მიუღიათ დავაში მონაწილეობა (მესამე პირები). ასეთი დავების არბიტრაჟის წესით განხილვა პრობლემური ხდება.<sup>398</sup>

2009 წელს გერმანიის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ შეაფასა, რამდენად უშვებდა გერმანული კანონმდებლობა კომპანიის წესდებაში არსებული საარბიტრაჟო დათქმის საფუძველზე, პარტნიორებს შორის დავის არბიტრაჟუნარიანობას პარტნიორთა კრების ბათილობაზე.<sup>399</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი დავა არბიტრაჟუნარიანი იყო შემდეგი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში:

- „საარბიტრაჟო შეთანხმებაზე ყველა პარტნიორს უნდა ჰქონდეს თანხმობა განცხადებული;
- ყოველ პარტნიორს უნდა შეატყობინონ საარბიტრაჟო პროცესის დაწყებისა და წარმოების მიმდინარეობის შესახებ;
- ყოველ პარტნიორს უნდა შეეძლოს საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმირებაში მონაწილეობა (რომელიმე მხარის არბიტრის დანიშვნის შესახებ

<sup>397</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 2.1.ა.: „პირთა თანახმობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის.“

<sup>398</sup> Harmen De Mol Van Otterloo, "Arbitration and Company Law in the Netherlands", European Company Law Vol. 12, Is. 3 (2015), გვ. 161.

<sup>399</sup> გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის გადანწყვეტილება საქმეზე NeII ZR 255/08, SchiedsVZ 2009, 233, განხილულია პირველ გზამკვლევაში, გვ. 27.

გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს ამ მხარეს მონაწილე პირთა უმრავლესობამაც), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არბიტრებს ნეიტრალური, მესამე პირი/ორგანიზაცია ნიშნავს (დამნიშვნელი ორგანო);

- პარტნიორთა კრების ერთი გადაწყვეტილებიდან გამომდინარე დავას ერთი და იმავე არბიტრაჟი განიხილავს.<sup>400</sup>

შესაბამისად, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ზოგადად, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ნამდვილობასთან დაკავშირებული დავა არბიტრაჟუნარიანია, თუმცა დაცული უნდა იყოს ზემოხსენებული კრიტერიუმები. ამ გადაწყვეტილების შემდეგ, გერმანიაში შეიცვალა არამართო სასამართლო პრაქტიკა,<sup>401</sup> არამედ საარბიტრაჟო პრაქტიკაც. გერმანიის უმსხვილესმა საარბიტრაჟო ინსტიტუტმა – გერმანიის საარბიტრაჟო ინსტიტუტი (DIS) მიიღო სპეციალური წესები, რომელთა მიხედვითაც განიხილება კორპორაციული დავები.<sup>402</sup>

#### დ. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული დავები

ქვეყნების უმეტესობის<sup>403</sup> კანონმდებლობა, მათ შორის საქართველოსიც, არ ზღუდავს უძრავი ქონების თაობაზე დავების არბიტრაჟით გადაწყვეტას. ამასთან, საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ადგენს, რომ საქართველოს სასამართლოებს განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ იმ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, რაც საქართველოში მდებარეობს.<sup>404</sup> თუმცა, ეს ჩანაწერი ეხება მხოლოდ საქართველოს სასამართლოების კომპეტენციას სხვა (უცხო ქვეყნის)

<sup>400</sup> იქვე.

<sup>401</sup> ფრანკფურტის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2010 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № SchiedsVZ 2010, 334.

<sup>402</sup> გერმანიის საარბიტრაჟო ინსტიტუტის (DIS) კორპორაციული დავების საარბიტრაჟო წესების დამატება, ძალაში შევიდა 2009 წლის 15 სექტემბრიდან, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source4>

<sup>403</sup> მაგ.: შვეიცარია, რუსეთი, აშშ და სხვა. გამონაკლისია რამდენიმე ქვეყანა, რომელზეც უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ დავებს არბიტრაჟუნაროდ მიიჩნევენ, მაგალითად: თურქეთი (თურქეთის არბიტრაჟის შესახებ კანონი, მუხლი 1) და ინდოეთი (ინდოეთის უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Himangni Enterprises v Kamaljeet Singh Ahulwalia* №10 SCC 706).

<sup>404</sup> საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 10.ა.

სასამართლოებთან მიმართებით და, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის პირობებში, არ გულისხმობს არბიტრაჟის კომპეტენციის შეზღუდვას.

საქართველოს მსგავსად, რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის მიხედვითაც, რუსეთის ფედერაციაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული დავა ამ ქვეყნის სასამართლოთა ექსკლუზიურ განსჯადობას მიეკუთვნება. 2010 წელს რუსეთის უმაღლესმა კომერციულმა სასამართლომ ეს საკითხი გადასცა რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს, მასთან დაკავშირებული გაურკვევლობის აღმოსაფხვრელად. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული დავები არბიტრაჟუნარიანია.<sup>405</sup> სასამართლომ განმარტა, რომ არბიტრაჟუნარიანობას განსაზღვრავს სამართლებრივი ურთიერთობის ბუნება და არა ქონების სახე (მოძრავია თუ უძრავი), მასთან დაკავშირებული პროცედურები, როგორცაა სახელმწიფო რეგისტრაცია. შესაბამისად, სასამართლომ გაითვალისწინა მესამე პირთა ინტერესებიც და დაადგინა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შესაძლებელია იყოს საკუთრების უფლების წარმოშობა/რეგისტრაციის საფუძველი, ხოლო თუ დაირღვევა იმ პირის უფლება, რომელიც არ მონაწილეობდა საარბიტრაჟო წარმოებაში, იგი უფლებამოსილი იქნება, სადავო გახადოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

გასათვალისწინებელია, რომ ქვეყნების ნაწილი უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ დავებს, სპეციფიკური კანონმდებლობიდან გამომდინარე, ანიჭებს შეზღუდულ არბიტრაჟუნარიანობას. მაგალითად, ლატვიის არბიტრაჟის შესახებ კანონის მიხედვით,<sup>406</sup> დავა უძრავი ქონების თაობაზე არბიტრაჟუნაროა მხოლოდ მაშინ, თუ უძრავი ქონების შეძენა პირს შეზღუდული აქვს კანონით.

## ე. აქცესორული სამართლებრივი ურთიერთობები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, „*აქცესორულია უფლება, რომელიც ისეა დაკავშირებული სხვა უფლებასთან, რომ მის გარეშე არც შეიძლება არსებობდეს.*“<sup>407</sup> აქედან გამომდინარე, აქცესორული უფლების

<sup>405</sup> რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 26 მაისის გადაწყვეტილება №10-0.

<sup>406</sup> ლატვიის კანონი არბიტრაჟის შესახებ, მუხლი 5(1).5.

<sup>407</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 153.1.

არსებობა, წარმოშობა, შეწყვეტა და ცვლილება დამოკიდებულია ძირითად უფლებებზე.<sup>408</sup> როდესაც მხარეები ძირითადი მოთხოვნიდან წარმოშობილი დავის გადაწყვეტას ერთი ორგანოს იურისდიქციას მიაკუთვნებენ, ხოლო აქცესორულისას – მეორეს, წარმოიშობა კითხვა, შესაძლებელია თუ არა ამ საკითხთა განცალკევება და სხვადასხვა ორგანოს მიერ განხილვა?

სავსებით შესაძლებელია, ძირითად და აქცესორულ უფლებებზე დავა სხვადასხვა ორგანომ განიხილოს. თუმცა, ასევე გასათვალისწინებელია ისეთი შემთხვევაც, როდესაც ძირითადი უფლების შეწყვეტაზე დავა უკვე მიმდინარეობს/დასრულდა ერთ ორგანოში, ხოლო აქცესორული უფლებებიდან გამომდინარე მოთხოვნები (მაგ.: იპოთეკის საგნის რეალიზაცია) – მეორეში მიმდინარეობს/სრულდება (ე.წ. პარალელური პროცესები).<sup>409</sup> ასეთ შემთხვევაში, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი/საწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღების ალბათობა; მაგალითად, ძირითადი უფლების შეწყვეტის მიუხედავად, შესაძლებელია, არანამდვილი აქცესორული უფლების საფუძველზე დაეკისროს მხარეს ვალდებულების შესრულება, რაც მის უსაფუძვლო გამდიდრებას გამოიწვევს. ამ დროს არსებობს მოლოდინი, რომ მხარე, დავის გადაწყვეტის შესაბამის ფორუმში (იქნება ეს არბიტრაჟი თუ სასამართლო), სადაც განიხილება აქცესორული უფლების საფუძველზე წარმოშობილი დავა, დააყენებს საკითხს, რომ ძირითად უფლებასთან დაკავშირებით მიღებულია გადაწყვეტილება სხვა ფორუმში. ამდენად, იგი დაიცავს თავს ისეთი შედეგისგან, რომელიც შეიძლება მისთვის არასასურველი ან სულაც უკანონო აღმოჩნდეს. თუ, ამ მცდელობის მიუხედავად, არანამდვილი აქცესორული უფლების საფუძველზე არბიტრაჟი მაინც დააკისრებს ვალდებულებას, მხარეს, სავარაუდოდ, ექნება შესაძლებლობა, თავი დაიცვას საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის საფუძვლით – ეს უკვე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების ეტაპზე. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ნაკლებად არბიტრაჟუნარიანობის, და მეტად საჯარო წესრიგის საკითხია.

<sup>408</sup> ლევან თოთლაძე, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი (2016), ხელმისაწვდომია: [www.gccc.ge](http://www.gccc.ge), მუხლი 153, § 2.

<sup>409</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 4 ნოემბრის განჩინება საქმეზე №2ბ/3537-11.

## 5.5.2 ეწინააღმდეგება თუ არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საჯარო წესრიგს?

საქართველოს კანონის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, გააუქმოს ან უარი თქვას საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, თუკი დაადგენს, რომ ის ეწინააღმდეგება საქართველოში არსებულ საჯარო წესრიგს.<sup>410</sup>

საჯარო წესრიგი არ არის განმარტებული ნიუ იორკის კონვენციასა და მოდელურ კანონში, თუმცა დღეს უკვე დამკვიდრებულია რამდენიმე პრინციპი, რომლებიც გარკვეულ ჩარჩოში აქცევს მისი განხილვის მასშტაბს. ეს პრინციპები ამოსავალი წერტილია, როდესაც სასამართლოები აფასებენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებასა თუ ცნობა-აღსრულებაზე უარს საჯარო წესრიგის საფუძველით. ეს ძირითადი პრინციპები/მიდგომები მოკლედ არის მიმოხილული ქვემოთ.

**საჯარო წესრიგის ცნება უნდა განიმარტოს ვინროდ:** გადაწყვეტილებათა უმრავლესობა, რომლებიც შეეხება საჯარო წესრიგის ცნებას, ადასტურებს, რომ აღნიშნული საფუძველი უნდა განიმარტოს ვინროდ და გამოყენებულ იქნას მხოლოდ განსაკუთრებით ძძიმე პროცესუალური ან შინაარსობრივი დარღვევების შემთხვევაში.<sup>411</sup>

სინგაპურის უმაღლესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში მიუთითა, რომ საჯარო წესრიგის საფუძველი გამოიყენება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაშინ როცა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება შოკისმომგვრელია, აშკარად აზიანებს საჯარო ინტერესებს, აბსოლუტურად შეურაცხმყოფელია საზოგადოების ჩვეულებრივი გონიერი და სრულად ინფორმირებული წევრისათვის და არღვევს განხილვის ადგილის მორალისა და სამართლიანობის საბაზისო პრინციპებს.<sup>412</sup>

<sup>410</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 42.2.ბ.(ბ.ბ) და 45.1.ბ.(ბ.ბ).

<sup>411</sup> UNCITRAL Digest 2012, გვ. 159, § 129, სინგაპურის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *PT Asuransi Jasa Indonesia (Persero) v Dexia Bank SA*.

<sup>412</sup> სინგაპურის უმაღლესი სასამართლოს 2011 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Rockeby biomed Ltd v Alpha Advisory Pte Ltd*, § 16.

კანადის უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში იმსჯელა სასამართლოს როლზე საჯარო წესრიგის შეფასებისას. მან დაადგინა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მართებულობის შემოწმება საფრთხეს უქმნის საარბიტრაჟო წარმოების ავტონომიას, რომელიც არ გულისხმობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სასამართლოს მიერ გადახედვას აპელაციის მსგავსი მექანიზმით.<sup>413</sup>

**საჯარო წესრიგი უფრო მეტია, ვიდრე იმპერატიული ნორმები:** საჯარო წესრიგის ამგვარი განმარტება მომდინარეობს ნიუ იორკის კონვენციისა და მოდელური კანონის ისტორიიდან. წინამორბედი ჟენევის კონვენციისაგან (1927) განსხვავებით,<sup>414</sup> ნიუ იორკის კონვენციაში ცნობა-აღსრულებაზე უარის საფუძველთაგან შეგნებულად ამოღებულია მითითება „სამართლის პრინციპებთან წინააღმდეგობაზე“; დარჩა მითითება მხოლოდ საჯარო წესრიგზე. კონვენციის ავტორების ეს გადაწყვეტილება მიიჩნევა საჯარო წესრიგის ცნების შეზღუდვად (და მისი დასაბუთების თამასის კიდევ უფრო აწევად) არსებით, ფუნდამენტურ საკითხებზე, რათა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მხოლოდ ადგილობრივ კანონმდებლობასთან წინააღ-მდეგობამ თავისთავად არ გამოიწვიოს საჯარო წესრიგის დარღვევა.<sup>415</sup>

გერმანიის სასამართლომ დაადგინა, რომ ამ საფუძვლით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისათვის, იგი უნდა არღვევდეს ნორმას, რომელიც უკავშირდება საჯარო ან ეკონომიკური ცხოვრების ფუნდამენტურ საკითხებს, ან სასტიკად ეწინააღმდეგებოდეს სამართლიანობის ცნებას გერმანიაში. საარბიტრაჟო ტრიბუნალის ყველა გადაწყვეტილება, რომლებიც ეწინააღმდეგება იმპერატიულ ნორმებს, ვერ განიხილება საჯარო წესრიგის დარღვევად, აქ მოიაზრება მხოლოდ ისეთი ნორმის დარღვევა, რომლისგან გადახვევაც მხარეებს არ შეუძლიათ და რომლითაც კანონმდებელმა დაადგინა ძირითადი და ფუნდამენტური პრინციპი. ამ საქმეში მხარე დავობდა, რომ ტრიბუნალის მიერ დარღვეულ იქნა გერმანიის

<sup>413</sup> კანადის უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *Desputeaux v. Éditions Chouette*, § 69.

<sup>414</sup> 1929 წლის ჟენევის კონვენცია „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ“ (ხელმოწერილია 1927 წლის 26 სექტემბერს, ძალაში შევიდა 1929 წლის 25 ივლისს).

<sup>415</sup> სოფიო ტყემალაძე, „საჯარო წესრიგი“ როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თუ მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა), „ქართული ბიზნესის სამართლის მიმოხილვა, (2013), II გამოცემა, გვ. 18.



გადახდისუუნარობის შესახებ კანონის მუხლები: 103 (რომელიც ეხება გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის არჩევანის უფლებას შეასრულოს ორმხრივი ხელშეკრულება მოვალის ნაცვლად), 104 (რომელიც აწესრიგებს ფიქსირებული ხანგრძლივობის ტრანზაქციებს და ფინანსურ მომსახურებას) და 119 (რომლითაც დაუშვებლად იყო მიჩნეული კანონის 103 - 118 მუხლების გამორიცხვა). სასამართლომ შეაფასა გერმანიის კანონმდებლობას გადახდისუუნარობის საკითხებზე და დაადგინა: მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის ეს დარგი გაჯერებულია იმპერატიული ნორმებით, ამ კუთხით გათვალისწინებული ყველა რეგულაცია ვერ განიხილება საჯარო წესრიგის დარღვევად. სასამართლომ ჩათვალა, რომ მხარეს ამ შემთხვევაში არ გაუკეთებია მითითება ისეთი ნორმების დარღვევაზე, რაც საჯარო წესრიგს გაუთანაბრებოდა. შესაბამისად, სასამართლომ უარი თქვა გადაწყვეტილების გაუქმებაზე.<sup>416</sup>

**ეროვნული და საერთაშორისო საჯარო წესრიგი:** განასხვავებენ ეროვნულ და საერთაშორისო საჯარო წესრიგს, სადაც ეს უკანასკნელი უფრო ვიწრო ცნებად განიხილება.<sup>417</sup> კერძოდ, გავრცელებული მიდგომით, საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ უნდა გაუქმდეს მხოლოდ იმით, რომ არ შეესაბამება შიდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნას.<sup>418</sup>

გასათვალისწინებელია, რომ არსებობს უფრო ლიბერალური მიდგომაც, რომლის მიხედვითაც, ადგილობრივი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების ან ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვისას – საჯარო წესრიგთან შესაბამისობის კუთხით – სასამართლო უნდა იყოს ისეთივე შეზღუდული ეროვნული სამართლის ნორმების გამოყენების მხრივ, როგორც საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შეფასებისას. მაგალითად, სინგაპურის სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში დაადგინა, რომ საჯარო წესრიგის ცნება იდენტურია ეროვნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მიზნებისათვის და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების

<sup>416</sup> ჰამბურგის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Neill ZB 17/08.

<sup>417</sup> UNCITRAL Digest 2012, გვ. 159, § 130.

<sup>418</sup> Nigel Blackaby, Constantine Partasides, Alan Redfern, Martin Hunter, *Redfern and Hunter on International Arbitration*, 6th ed. (Oxford University Press, 2015), გვ. 599, § 10.85.

აღსრულების კონტექსტში. კერძოდ, მან დაასკვნა, რომ არ არსებობდა ამ ორ რეჟიმს შორის განსხვავების დადგენის საჭიროება, ვინაიდან ნებისმიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, გარკვეულწილად, საერთაშორისო ფოკუსი აქვს.<sup>419</sup>

დოქტრინასა და პრაქტიკაში აღიარებულია, რომ ტერმინი „საჯარო წესრიგი“ მოიცავს მითითებას სამართლისა და სამართლიანობის ფუნდამენტურ პრინციპებზე, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისევე პროცესუალურ-სამართლებრივი კუთხით.<sup>420</sup>

ქვემოთ განხილულია ის პროცესუალური და მატერიალური საკითხები, რომლებიც სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, როდესაც აფასებს ადგილობრივი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების შესაბამისობას საჯარო წესრიგთან.

### 5.5.2.1 პროცესუალურ-სამართლებრივი საკითხები

პროცესუალური კანონმდებლობა საჯარო წესრიგის ნაწილად განიხილება მხოლოდ ძირითადი პრინციპების კუთხით. შვეიცარიის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ პროცესუალური საჯარო წესრიგი მხარეებისათვის უზრუნველყოფს დამოუკიდებელი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის უფლებას, რომელიც მიღებულია ტრიბუნალის წინაშე პროცესუალური სამართლის დაცვით წარდგენილ მოთხოვნებსა და ფაქტებთან დაკავშირებით; პროცესუალური საჯარო წესრიგი ირღვევა, როცა არ არის დაცული ფუნდამენტური და ზოგადად აღიარებული პრინციპები, რამაც წარმოშვა წინააღმდეგობა სამართლიანობასთან და გადაწყვეტილება არ შეესაბამება სამართლის უზენაესობის ფასეულობებს.<sup>421</sup>

„ვინრო განმარტებიდან“ და *de minimis*<sup>422</sup> პრინციპებიდან გამომდინარე, მიჩნეულია, რომ მხარის უფლების დარღვევა, წარმოაჩინოს საკუთარი

<sup>419</sup> სინგაპურის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე *Chan Sek Keong CJ, Andrew Phang Boon Leong JA and V K Rajah JA*.

<sup>420</sup> Howard M. Holtzmann and Joseph E. Neuhaus, *A Guide to the UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration: Legislative History and Commentary* (Kluwer Law International, 1989), გვ. 914.

<sup>421</sup> შვეიცარიის უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 8 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *X. S.p.A. v. Y. S.r.l.*, § 2.2.1.

<sup>422</sup> იხ. გზამკვლევი,

ინტერესები (პროცესუალური საჯარო წესრიგი), მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს საჯარო წესრიგის დარღვევად (და, შესაბამისად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების ან ცნობა-აღსრულებაზე უარის საფუძვლად), როცა არსებობს მიზეზობრივი კავშირი ასეთ დარღვევასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსს შორის,<sup>423</sup> ანუ მხარის პროცესუალური უფლების დარღვევა ზეგავლენას მოახდენს წაგებული მხარის ინტერესზე.<sup>424</sup> უმნიშვნელო პროცესუალური დარღვევები არ შეიძლება იქცეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების ან ცნობა-აღსრულებაზე უარის საფუძვლად.

საჯარო წესრიგის ცნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია, ამომწურავად განვიხილოთ შემთხვევები, რომლებიც შეიძლება დადგეს ამ საფუძვლით. ქვემოთ განხილულია რიგი პროცესუალურ-სამართლებრივი საკითხებისა, მნიშვნელოვანი როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

### ა. სამართლიანი პროცესის უფლება

სამართლიანი პროცესის უფლება ხშირად განიხილება საჯარო წესრიგის კონტექსტში. სწორედ ამ უფლებაზე იმსჯელა კვებეკის უმაღლესმა სასამართლომ და დაადგინა, რომ არსებით საკითხებთან დაკავშირებით ტრიბუნალის მიერ კონკრეტული სამართლებრივი პრინციპის გამოყენება ისე, რომ მხარეებს არ ჰქონდეთ თავიანთი შეხედულების გამოთქმის შესაძლებლობა, არღვევს მხარეთა მიერ საკუთარი პოზიციის წარმოდგენის უფლებას. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ასეთი დარღვევა შეიძლება გახდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მიზეზი – კერძოდ, საჯარო წესრიგის საფუძვლით – მიუხედავად იმისა, რომ ეს საფუძველი ცალკეც გათვალისწინებულია მოდელური კანონით.<sup>425</sup>

<sup>423</sup> UNCITRAL Digest 2012, გვ. 161, § 133.

<sup>424</sup> Jean Paul Beraudo, “Egregious Error of Law as Grounds for Setting Aside an Arbitral Award”, *Journal of International Arbitration*, 2006, Vol. 23, Is. 4, გვ. 353.

<sup>425</sup> კვებეკის უმაღლესი სასამართლოს 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Louis Dreyfus S.A.S. v. Holding Tusculum B.V.*, § 104-105.

მოდელური კანონის 34(2)(ა)(ii) და 34(2)(ბ)(ii) მუხლებზე იმსჯელა ონტარიოს უმაღლესმა სასამართლომ და დაადგინა, რომ 34(2)(ა)(ii) მუხლის შესაბამისად, სამართლიანი პროცესის უფლება მოიცავს როგორც პროცესუალურ, ასევე არსებით სამართლიანობას, და ეს იკვეთება საჯარო წესრიგის საფუძველთან 34(2)(ბ)(ii) მუხლის მიხედვით. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარი უნდა განიმარტოს ვინც და საჯარო წესრიგი, როგორც აღსრულებაზე უარის საფუძველი, უნდა გამოიყენონ მხოლოდ მაშინ, როცა აღსრულება დაარღვევს მორალისა და სამართლიანობის ძირითად პრინციპებს (მაგ.: კორუფციის, ქრთამის ან თაღლითობის შემთხვევაში).<sup>426</sup>

ამ საკითხზე ნამსჯელი აქვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს, რომელსაც მხარემ მიმართა არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 42.2.ა.(ა.ბ) და 42.2.ბ.(ბ.ბ) მუხლების საფუძველზე და მოითხოვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება. იგი აცხადებდა, რომ ტრიბუნალმა უარი უთხრა პროკურატურიდან პირის ჩვენების გამოთხოვაზე, რის გამოც მას არ მიეცა პოზიციის დასაბუთების შესაძლებლობა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესაბამისად, მხარემ ვერ დაამტკიცა გამოსათხოვი ჩვენების კავშირი განსახილველ საქმესთან. გარდა ამისა, ტრიბუნალმა საარბიტრაჟო წარმოებისას მხარეებს შესთავაზა იმავე ინფორმაციის დადასტურება ამ პირის წერილობითი ჩვენებით ან ზეპირი დაკითხვის საშუალებით, თუმცა მხარემ ეს საშუალება არ გამოიყენა. სასამართლომ უარი თქვა გადაწყვეტილების გაუქმებაზე, ხოლო საჯარო წესრიგის ნაწილში კი განმარტა, რომ არ შეიძლება საჯარო წესრიგის დარღვევად ჩათვალოს ნებისმიერი პროცედურული გადაწყვეტილება, სახელშეკრულებო დებულებების განმარტება, ფაქტების დადგენა, ან სამართლებრივი შეფასება, რომელსაც არ ეთანხმება ერთ-ერთი მხარე. სასამართლომ მიუთითა: „*იმისთვის, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საჯარო წესრიგის წინააღმდეგობის საფუძველით იქნეს გაუქმებული, იგი წინააღმდეგობაში უნდა მოდიოდეს მალაღ ღირებულებებთან, სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან [...]*“<sup>427</sup>

<sup>426</sup> ონტარიოს უმაღლესი სასამართლოს 1999 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Re Corporación Transnacional de Inversiones, S.A. de C.V. et al. v. STET Internacional, S.p.A. et al.*

<sup>427</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინება საქმეზე №2ბ/3782-17.

## ბ. მხარის მიერ საკუთარი პოზიციის წარმოდგენის უფლება

მხარის უფლების დარღვევა, წარმოადგინოს საკუთარი პოზიცია, ეწინააღმდეგება პროცესუალურ საჯარო წესრიგს. თუმცა, საჯარო წესრიგის დარღვევის დასადგენად, მნიშვნელოვანია დამტკიცდეს, რომ არსებობს კავშირი ამ უფლების დარღვევასა და გადაწყვეტილების შინაარსს შორის.<sup>428</sup> შესაბამისად, შესაძლოა, სასამართლომ დაადგინოს მხარის პროცესუალური უფლების – საკუთარი პოზიციის წარმოდგენის უფლების – დარღვევა, მაგრამ ამავდროულად მივიდეს დასკვნამდე, რომ ასეთი უფლების განხორციელების შემთხვევაშიც, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შეიცვლებოდა. ასეთი გარემოებებისას, სასამართლომ არ უნდა დაადგინოს საჯარო წესრიგის დარღვევა.

კიოლნის უმაღლესმა რეგიონულმა სასამართლომ იმსჯელა მხარის უფლებაზე, წარმოედგინა საკუთარი პოზიცია საჯარო წესრიგის საფუძვლით. ამ საქმეში, საარბიტრაჟო წარმოებისას მხარეები მორიგდნენ. მოსარჩელემ მოითხოვა განხილვის შეწყვეტა და საარბიტრაჟო ხარჯების მოპასუხისთვის დაკისრება. მოპასუხე თავიდან დაეთანხმა მოსარჩელეს, ხოლო შემდეგ მოითხოვა ხარჯების მოსარჩელისთვის დაკისრება. ტრიბუნალმა შეწყვიტა წარმოება და ხარჯების გადახდა დააკისრა მოსარჩელეს, ისე, რომ არ მისცა მას უფლება, გამოეხატა თავისი პოზიცია მოპასუხის არგუმენტზე ხარჯების განაწილებასთან დაკავშირებით. სასამართლომ დაადგინა საჯარო წესრიგის დარღვევა და გააუქმა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. სასამართლომ, პირველ რიგში, მიუთითა, რომ გადაწყვეტილება ხარჯებთან დაკავშირებით იყო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. შესაბამისად, ის ექვემდებარებოდა გაუქმებას. გადაწყვეტილების გაუქმების ძირითადი მიზეზი კი გახლდათ ტრიბუნალის მიერ მხარის უფლების დარღვევა, წარმოედგინა თავისი პოზიცია.<sup>429</sup>

ავსტრიის უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში უარი თქვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებაზე და ძალაში დატოვა ის. ამ საქმეში მხარე ითხოვდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას, ვინაიდან მეორე

<sup>428</sup> ბავარიის უმაღლესი სასამართლო 1999 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №4 Z Sch 23/99.

<sup>429</sup> კიოლნის უმაღლესი რეგიონული სასამართლო 2002 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №9 Sch 20/02.

მხარის არგუმენტები წარმოდგენილი იქნა მას შემდეგ, რაც გავიდა არსებით საკითხებზე დამატებითი არგუმენტების წარმოდგენის ვადა. ტრიბუნალმა გაითვალისწინა აღნიშნული ფაქტები, ისე რომ არ მისცა მეორე მხარეს მათზე კომენტარის გაკეთების შესაძლებლობა. სასამართლომ დაასკვნა, რომ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები არ იყო გადამწყვეტი და ტრიბუნალი სხვა ფაქტებიდან გამომდინარე მაინც იმავე დასკვნამდე მივიდოდა. მან მიუთითა, რომ ავსტრიის სამართლის შესაბამისად, პოზიციის წარმოდგენის უფლების ან პროცედურული საჯარო წესრიგის დარღვევა ავტომატურად იწვევს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას, თუმცა, გადაწყვეტილება არ უნდა გაუქმდეს, თუ მასში მოცემული მსჯელობით დგინდება, რომ დარღვევამ არ მოახდინა გავლენა გადაწყვეტილებით დამდგარ შედეგზე.<sup>430</sup>

### გ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დასაბუთება

პროცესუალური საჯარო წესრიგის ნაწილში სასამართლომ ასევე შეიძლება შეაფასოს, რამდენად დასაბუთებულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

როგორც ზემოთ არის მითითებული, საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ ადგენს, რომ გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს, იმ მოტივების მითითებით, რომელთა საფუძველზეც მიღებულია გადაწყვეტილება, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა.<sup>431</sup>

კვებეკის სააპელაციო სასამართლომ უარი თქვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე საპროცესო კოდექსის შესაბამისად და დაადგინა, რომ ამ გადაწყვეტილებაში დასაბუთების არარსებობა არღვევდა საჯარო წესრიგს, მაშინ, როცა ტრიბუნალი ვალდებული იყო, დაესაბუთებინა ის გამოსაყენებელი საარბიტრაჟო წესების შესაბამისად. ასეთი დასაბუთების გარეშე, შეუძლებელი გახლდათ დადგენა, გასცდა თუ არა ტრიბუნალი თავის უფლებამოსილებებს.<sup>432</sup>

<sup>430</sup> ავსტრიის უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, ნანახია The Baker McKenzie International Arbitration Yearbook, 11th ed. გვ. 39.

<sup>431</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 31.2, 38, 39.3.

<sup>432</sup> კვებეკის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება, საქმეზე *Smart Systems Technology Inc. v. Domotique Secant Inc.*

### 5.5.2.2 მატერიალურ-სამართლებრივი საკითხები

პროცედურული საჯარო წესრიგისაგან განსხვავებით, მატერიალური საჯარო წესრიგი მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც უკავშირდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების არსს.<sup>433</sup> საჯარო წესრიგს მიკუთვნებული საკითხების ამომწურავი ჩამონათვალის შედგენა რთულია, თუმცა შესაძლებელია განისაზღვროს საკითხები, რომლებიც, ცალკე აღებული, არ შეიძლება მიიჩნეოდეს მატერიალური საჯარო წესრიგის დარღვევად. მომდევნო ნაწილებში განხილულია რამდენიმე შემთხვევა, როდის ჩაითვალოს საჯარო წესრიგი დარღვეულად და როდის არა.

#### ა. რა არ ჩაითვლება მატერიალური საჯარო წესრიგის დარღვევად?

არ კმარა მითითება ხელშეკრულების არასწორად განმარტებასა და სამართლის ნორმების არასწორ ინტერპრეტაციაზე,<sup>434</sup> არასწორი სამართლის გამოყენებაზე,<sup>435</sup> ანდა დავის ფაქტობრივი გარემოებების არასწორ შეფასებაზე.<sup>436</sup> ზემოაღნიშნული საფუძვლების საჯარო წესრიგის დარღვევად მიჩნევა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების პროცესს გადააქცევდა საარბიტრაჟო პროცესის აპელაციად, რაც ეწინააღმდეგება მოდელური კანონისა და მასზე დაფუძნებულ საქართველოს კანონის მიზნებს.<sup>437</sup>

ნაირობის უმაღლესმა სასამართლომ საქმეში *Mahican Investment Ltd. & 3 others v. Giovanni Gaida & 80 others*<sup>438</sup> განიხილა მხარის განცხადება ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ, იმ საფუძვლით, რომ არბიტრებმა იჯარის

<sup>433</sup> სოფიო ტყემალაძე, „საჯარო წესრიგი“ როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თუ მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა), „ქართული ბიზნესის სამართლის მიმოხილვა“, (2013), II გამოცემა, გვ. 16.

<sup>434</sup> Karl-Heinz Böckstiegel, Stefan Michael Kröll, et al. eds., *Arbitration in Germany: The Model Law in Practice*, 2nd ed. (Kluwer Law International, 2015), გვ. 412, § 85ii.

<sup>435</sup> სინგაპურის უმაღლესი სასამართლოს 2014 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეში *Triulzi Cesare SRL v Xinyi Group (Glass) Co Ltd*, SGHC 220.

<sup>436</sup> შვეიცარიის უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 3 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №4A\_304/20131.

<sup>437</sup> სოფიო ტყემალაძე, „საჯარო წესრიგი“ როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თუ მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა), „ქართული ბიზნესის სამართლის მიმოხილვა“ (2013), II გამოცემა, გვ. 17.

<sup>438</sup> ნაირობის უმაღლესი სასამართლოს 2005 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეში *Mahican Investment Ltd. & 3 others v. Giovanni Gaida & 80 others*; განხილულია: სოფიო ტყემალაძე, „საჯარო წესრიგი“ როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თუ მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა), „ქართული ბიზნესის სამართლის მიმოხილვა“ (2013), II გამოცემა, გვ. 18

ხელშეკრულება არასწორად განმარტეს. მხარის აზრით, ეს ეწინააღმდეგებოდა კენიის საჯარო წესრიგს.<sup>439</sup> სასამართლომ დაადგინა:

*„სასამართლო არ ჩაერევა არბიტრაჟის გადაწყვეტილებაში, მაშინაც კი, თუ მასში აშკარად არასწორად არის განმარტებული ხელშეკრულება, ვინაიდან ეს არბიტრაჟის ფუნქციაა. ამგვარი ჩარევის გამო წინამდებარე სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ადგილას აღმოჩნდებოდა, რისი თავიდან აცილებაც კანონის პირდაპირი მიზანია. კანონის ამოცანაა მხარეთა შორის წარმოშობილი დავის საბოლოოდ გადაწყვეტა.“<sup>440</sup>*

ამ საკითხზე მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა კიოლნის უმაღლესმა რეგიონულმა სასამართლომ.<sup>441</sup> საქმის მიხედვით, დავა წარმოიშვა ექიმებს შორის, რომელთაც დადეს ჯგუფური პრაქტიკის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების მიხედვით, პრაქტიკიდან გასვლის შემთხვევაში, გასულ პარტნიორს ეკუთვნოდა ანაზღაურება და მას ეკრძალებოდა პრაქტიკაში დაბრუნება გარკვეული ვადისა და რადიუსის ფარგლებში; დავა სწორედ გასვლის შემდეგ წარმოიშვა. კიოლნის სასამართლომ მხარის მითითებაზე, რომ არბიტრაჟის მიერ ხელშეკრულების განმარტების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა საჯარო წესრიგს, აღნიშნა:

*„რაც შეეხება მხარის მტკიცებას, რომ ხელშეკრულების იმ მუხლის არასწორი განმარტება, რომელიც შეეხება დაბრუნების აკრძალვას, ეწინააღმდეგება გერმანიის საპროცესო კოდექსის 1059 (2) მუხლით გათვალისწინებულ საჯარო წესრიგს, უსაფუძვლოა. სახელშეკრულებო მუხლის განმარტება არ მოიცავს ამ სასამართლოს კონტროლს დაქვემდებარებულ საკითხებს. იგი უკავშირდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსობრივ კონტროლს, რაც ფუნდამენტურად ეკრძალება სასამართლოს, მაშინაც კი, როცა არბიტრაჟს არასწორად აქვს განმარტებული ხელშეკრულება.“*

<sup>439</sup> აღსანიშნავია, რომ კენიის საარბიტრაჟო კანონმდებლობა ასევე ეფუძნება მოდელურ კანონს.

<sup>440</sup> სოფიო ტყემალაძე, „საჯარო წესრიგი“ როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თუ მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა),“ ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა (2013), II გამოცემა, გვ. 18.

<sup>441</sup> კიოლნის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2008 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №19 Sch 12/08.



გემოაღნიშნულ პრინციპებს იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 25 მარტის განჩინებაც.<sup>442</sup> ამ საქმეში მხარე მიუთითებდა არბიტრაჟის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების წინააღმდეგობრიობაზე და მხარის მიერ მტკიცებულების გაყალბებაზე, თუმცა ამის მტკიცებულებები მას არ წარმოუდგენია. სასამართლომ შეაფასა მხარის მითითება და განმარტა, რომ:

*„[საჯარო წესრიგთან] შესაბამისობის შემოწმება არ გულისხმობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსის გადასინჯვას და ამ თვალსაზრისით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დასაბუთების მართებულობის შეფასებას სასამართლოს მხრიდან; მოცემული საკითხისადმი ამ პოზიციის შეუსაბამო მიდგომა, პირდაპირ წინააღმდეგობაში მოვიდოდა გემოაღნიშნული კანონის მიზანთან; ამ მსჯელობიდან გამომდინარე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებისას საჯარო წესრიგზე მითითებით არ შეიძლება გადასინჯოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ასახული სახელშეკრულებო დებულებების განმარტება, მტკიცებულებათა შეფასება, სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაცია, რადგან საჯარო წესრიგი მოიცავს არა ნებისმიერი სახის დარღვევას, არამედ სამართლის ფუნდამენტური პრინციპების უგულვებელყოფას; ე.ი. სხვაგვარად რომ ითქვას, იმისათვის, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის საფუძვლით იქნას გაუქმებული, იგი წინააღმდეგობაში უნდა მოდიოდეს უფრო მაღალ ღირებულებებთან; წინააღმდეგ შემთხვევაში, საჯარო წესრიგი გადაიქცევა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აპელაციის მექანიზმად. ასეთი მიდგომა კი წინააღმდეგობაშია „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანთან – უზრუნველყოფილი იქნას საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების საბოლოობა.“*

<sup>442</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 25 მარტის განჩინება საქმეზე №2ბ/5858-13.

შესაბამისად, მატერიალურ საჯარო წესრიგთან შესაბამისობის შესამოწმებლად, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ მისი უფლებამოსილება შეზღუდულია მხოლოდ ფუნდამენტური გარემოებების შეფასებით, „როდესაც „ცნობიერებისათვის შოკისმომგვრელ“ გადაწყვეტილებას აქვს ადგილი ან სასწორზეა სახლემწიფოებრიობისა და სამართლიანობის ძირეული პრინციპები.<sup>443</sup> ამასთანავე, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ საჯარო წესრიგის შეფასებისას, იმის დასადგენად, „შოკისმომგვრელია“ შესაფასებელი გარემოება თუ არა, ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ამ გარემოების ობიექტური, ნებისმიერი მესამე პირის თვალთახედვა და არა ინდივიდუალური დამოკიდებულება ამა თუ იმ გარემოებისადმი.

## ბ. რა შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს საჯარო წესრიგის დარღვევად?

საერთაშორისო პრაქტიკაში მატერიალური საჯარო წესრიგის დარღვევად მიჩნეულია ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა სამართლებრივი სისტემის ფუნდამენტურ პრინციპებს, ზნეობის ნორმებს.<sup>444</sup> მაგალითისთვის, განხილულ იქნება რამდენიმე შემთხვევა, სადაც საჯარო წესრიგი დარღვეულად ჩაითვალა.

- **დაირღვა პროპორციულობის პრინციპი**

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც არბიტრაჟის მიერ დაკისრებული პირგასამტეხლოს ან საპროცენტო განაკვეთის ოდენობა იმდენად დიდია, რომ შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს პროპორციულობის პრინციპის დარღვევა მისი დაკისრებით.

<sup>443</sup> სოფოი ტყემალაძე, „საჯარო წესრიგი“ როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თუ მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა),“ ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა (2013), II გამოცემა, გვ. 27.

<sup>444</sup> შევიცარიის უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 3 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №4A\_304/20131; ასევე, Johannes Koepf and Agnieszka Ason, “An AntiEnforcement Bias? The Application of the Substantive Public Policy Exception in Polish Annulment Proceedings,” *Journal of International Arbitration*, (2018), Vol. 35 Is. 2, გვ. 162.

მაგალითად, ავსტრიის უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით, განხილულია საკითხი, რამდენად ეწინააღმდეგებოდა დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა ავსტრიის საჯარო წესრიგს.<sup>445</sup> ამ საქმეში ტრიბუნალმა მხარეს დააკისრა შეთანხმებული პირგასამტეხლო მთლიანი თანხის (DM 41,125.47) 0.2%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. სასამართლომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხის შეფასებისას დაადგინა, რომ შეთანხმებული პროცენტის საფუძველზე, წლიური პირგასამტეხლოს ოდენობა 73%-ს უტოლდებოდა, ხოლო ეფექტური – 107.35%-ს. სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი ოდენობის პირგასამტეხლოს ხელშეკრულებით განსაზღვრა გახლდათ კერძო ავტონომიის პრინციპის ბოროტად გამოყენება. ამასთან, სასამართლოს აზრით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არამართო ეწინააღმდეგებოდა ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის 879(1) მუხლს, რომელიც ამორალურ გარიგებას ბათილად ცნობს, არამედ, თავისი მასშტაბიდან გამომდინარე (როდესაც დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა აჭარბებს ძირ თანხას), ეწინააღმდეგებოდა ავსტრიის საჯარო წესრიგს.

საქართველოში, სამოქალაქო კოდექსში ახალი ცვლილებების განხორციელებამდე,<sup>446</sup> რომლებიც აწესებს სესხის ხელშეკრულების ზღვრული საპროცენტო განაკვეთისა და ვადის გადაცილებისათვის ყოველდღიური პირგასამტეხლოს მაქსიმალურ ოდენობებს,<sup>447</sup> საქართველოში შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს დაკისრება ხშირად ყოფილა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი.<sup>448</sup> თუმცა, სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შემდგომ – რომელთა მიზანია, აიკრძალოს გამსესხებლის მიერ უფლების ბოროტად გამოყენება და მსესხებლის მიმართ არაპროპორციული ვალდებულებების დაკისრება სასესხო ვალდებულებებში შესვლისას – შეიქმნა ახალი რეალობა,

<sup>445</sup> ავსტრიის უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №3 Ob 221/04b.

<sup>446</sup> საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1864; საქართველოს 2017 წლის 35 დეკემბრის კანონი №1901; საქართველოს 2018 წლის 21 ივლისის კანონი №3315.

<sup>447</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლები 625.2 და 625.5.

<sup>448</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/2747-11; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/2220-11.

რომელიც შესაძლებელია განხილულ იქნას საჯარო წესრიგის შემადგენელ ნაწილად. შესაბამისად, სასამართლოსთვის დაზუსტდა და დადგინდა ფარგლები, რომელთა დარღვევაც შესაძლებელია ჩაითვალოს საჯარო წესრიგის დარღვევად.

ერთმანეთისგან განსასხვავებელია შემთხვევები, როდესაც ტრიბუნალი პირგასამტეხლოს პირდაპირ აკისრებს მხარეს და როდესაც ის ეყრდნობა სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლს (ან მსგავს ეკვივალენტს გამოსაყენებელი სამართლის საფუძველზე) და თვითონ, საკუთარი შეფასების საფუძველზე, ამცირებს პირგასამტეხლოს ოდენობას. ამ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ შემოწმების ფარგლები კიდევ უფრო ვიწროა, რადგან ტრიბუნალი აფასებს დაკისრებულ პირგასამტეხლოს და თავისი დისკრეციის საფუძველზე, მოცემული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე ამცირებს პირგასამტეხლოს ოდენობას; ასეთ შემთხვევაში, ტრიბუნალის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მის საფუძველზე შემცირებული პირგასამტეხლოს პროპორციულობის გადახედვა გამოიწვევს ტრიბუნალის კომპეტენციაში ჩარევასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსობრივ გადახედვას.

ნებისმიერ შემთხვევაში, პროპორციულობის პრინციპის დარღვევისას (იქნება ეს კანონით დადგენილი საპროცენტო განაკვეთის ზღვრული ოდენობის გადაჭარბება თუ სხვა შემთხვევა) მნიშვნელოვანია, სასამართლომ დაასაბუთოს, რა გარემოებები და სახელმწიფოს რა პოლიტიკა განაპირობებს ამ დარღვევის საჯარო წესრიგის ტოლფას ღირებულებამდე აყვანას.<sup>449</sup>

---

<sup>449</sup> სოფიო ტყემალაძე, „საჯარო წესრიგი“ როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თუ მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა), „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა (2013), II გამოცემა, გვ. 27-28.

- დაირღვა ზიანის ანაზღაურების რესტიტუციური ბუნება

კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში მიჩნეულია, რომ „სადამსჯელო ზიანის“ (punitive damages) დაკისრება ეწინააღმდეგება ზიანის ანაზღაურების „რესტიტუციურ ბუნებას“, რომლის მიხედვითაც, უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან ასაცილებლად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მიადგა მხარეს.<sup>450</sup> სადამსჯელო ზიანის ინსტიტუტი კი არაკეთილსინდისიერ მხარეს, მისი ქმედებების ხარისხიდან გამომდინარე, დამდგარი ზიანის მოცულობისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, აკისრებს იმაზე მეტი ოდენობის ზიანის ანაზღაურებას, ვიდრე რეალურად მიადგა მეორე მხარეს. ამ ზომის მიზანია მსგავსი დარღვევების აღკვეთა სამომავლოდ.<sup>451</sup>

სადამსჯელო ზიანის საჯარო წესრიგთან შესაბამისობის საკითხი კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში ისმება არა ეროვნული, არამედ უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებისას, როდესაც, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით, მხარეს ეკისრება სადამსჯელო ზიანის ანაზღაურება. თუმცა, ეს საკითხი შესაძლებელია რელევანტური გახდეს უცხოური სამართლის საფუძველზე გამოტანილი ეროვნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების კონტექსტშიც.

იტალიის უზენაესმა სასამართლომ განიხილა საქმე, რომელიც ეხებოდა ტრიბუნალის მიერ დაკისრებული „სადამსჯელო“ (punitive) ზიანის შესაბამისობას იტალიის საჯარო წესრიგთან.<sup>452</sup> აშშ-ში იტალიური კომპანიის შვილობილ კომპანიას, დასაქმებულისთვის მიყენებული სამუშაო ტრავმიდან გამომდინარე, დააკისრეს 8 მილიონი აშშ დოლარის გადახდა, თუმცა გადაწყვეტილებაში არ იყო მითითებული ზიანის ანაზღაურების გამოთვლის კრიტერიუმები. იტალიის უზენაესმა სასამართლომ ზიანის ეს ოდენობა

---

<sup>450</sup> Markus A. Petsche, “Punitive Damages in International Commercial Arbitration: Much Ado about Nothing?” *Arbitration International*, (2013) Vol. 29, No. 1, გვ. 98.

<sup>451</sup> იქვე, გვ. 98.

<sup>452</sup> იტალიის უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Soc Ruffinatti v. Oyola-Rosado* №1781/2012.

„სადამსჯელოდ“ მიიჩნია და განმარტა, რომ იტალიის სამართლის სისტემა აღიარებს „კომპენსაციურ“ (რესტიტუციურ) და არა სადამსჯელო ზიანის ინსტიტუტს. ამის საფუძველზე მან უარი უთხრა მხარეს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე.

როგორც აღინიშნა, ზემოაღნიშნული შემთხვევები არ წარმოადგენს საჯარო წესრიგის წინააღმდეგობაში მყოფი საკითხების ამომწურავ ჩამონათვალს. საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დამოუკიდებელი გამოკვლევის საფუძველზე უნდა დადგინდეს. ამ პროცესში მნიშვნელოვანია, სწორი ბალანსი იქნას დაჭერილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების საბოლოობასა და მის ფუნდამენტურ სამართლიანობას შორის. ამისათვის, იმ იშვიათი შემთხვევების არსებობისას, როდესაც უარყოფილ იქნება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულება ან გაუქმდება გადაწყვეტილება საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის საფუძველით, მიზეზები სათანადოდ უნდა იქნეს დასაბუთებული, რათა ნათელი იყოს შესაბამისი საფუძვლის აყვანა საჯარო წესრიგის მაღალ სტანდარტამდე.<sup>453</sup> საერთაშორისო სამართლის ასოციაციის (ILA) რეკომენდაციით, თუკი სასამართლო უარს ამბობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ კანონის შესაბამის მუხლზე ან, თუნდაც სასამართლო პრაქტიკაზე მითითებით. სასამართლოს მსჯელობის მეთოდოლოგიის და ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლების დეტალური გამოვლენა ხელს შეუწყობს უფრო თანმიმდევრული პრაქტიკის განვითარებას და კონსენსუსის ჩამოყალიბებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა პრინციპები და წესები შეიძლება ეკუთვნოდეს [...] საჯარო წესრიგს.<sup>454</sup>

<sup>453</sup> სოფიო ტყემალაძე, „საჯარო წესრიგი“ როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თუ მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა),“ ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა (2013), II გამოცემა, გვ. 29

<sup>454</sup> ILA, Resolution 2/2002, Recommendations on the Application of Public Policy as a Ground for Refusing Recognition or Enforcement of International Arbitral Awards, რეკომენდაცია 1 (g).

## საკანონმდებლო აქტები

- საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ.
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
- საქართველოს შრომის კოდექსი.
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი.
- საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ.
- საქართველოს კანონი საალსრულებო წარმოებათა შესახებ.
- საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ.
- საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ.
- საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ.
- საქართველოს კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ.
- ავსტრიის საარბიტრაჟო აქტი.
- ავსტრიის გაკოტრების კოდექსი.
- ბელგიის საპროცესო კოდექსი.
- გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.
- კანადის საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის აქტი.
- კანადის არბიტრაჟის აქტი.
- ლატვიის კანონი არბიტრაჟის შესახებ.
- ლიტვის კანონი კომერციული არბიტრაჟის შესახებ.
- საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.
- საფრანგეთის კომერციული კოდექსი.
- თურქეთის არბიტრაჟის შესახებ კანონი.
- შვედეთის საარბიტრაჟო აქტი.

## კონვენციები

- 1929 წლის ჟენევის კონვენცია უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ.
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1958 წლის ნიუ იორკის კონვენცია უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ.

<sup>455</sup> ბიბლიოგრაფიაში მითითებული ყოველი ელექტრონული წყარო ბოლოს ნანახია 20.09.2018 წ.

## მოდელური კანონი და მოსამზადებელი მასალები

UNCITRAL-ის 1985 წლის მოდელური კანონის საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ, 2006 წელს შესული ცვლილებებით.

გენერალური ასამბლეის ოფიციალური ჩანაწერები, მე-40 სესია, დანამატი No. 17 (A/40/17), დანართი I.

მოდელური კანონის სამუშაო ტექსტის ანალიტიკური კომენტარი, დოკუმენტის ნომერი A/CN.9/264, მე-16 მუხლი.

UNCITRAL-ის მეორე სამუშაო ჯგუფის (არბიტრაჟი) 43-ე სესიის ჩანაწერები, 2005, A/CN.9/WG.II/WP.138, 2.

## განმარტებითი ბარათები

განმარტებითი ბარათი „არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე, რეგისტრაციის ნომერი 07-2/280/8, თარიღი: 10.12.2015

განმარტებითი ბარათი „არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე, ხელმისაწვდომია:

<http://bit.ly/guide2-source3>

## საარბიტრაჟო წესები

საქართველოს საერთაშორისო არბიტრაჟის ცენტრის (GIAC) საარბიტრაჟო წესები.

დავის განმხილველი ცენტრის (DRC) საარბიტრაჟო წარმოების წესები.

საერთაშორისო კომერციული პალატის (ICC) საარბიტრაჟო წესები.

დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრის (ICDR) საარბიტრაჟო წესები.

სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის (SIAC) საარბიტრაჟო წესები.

ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (LCIA) საარბიტრაჟო წესები.

სტოკჰოლმის კომერციული პალატის (SCC) საარბიტრაჟო წესები.

გერმანიის საარბიტრაჟო ინსტიტუტის (DIS) კორპორაციული დავების საარბიტრაჟო წესების დამატება.

## ნიგნები

**Bassiri**, Niuscha and Maarten Draye (eds.). *Arbitration in Belgium* (Kluwer Law International, 2016).

**Blackaby**, Nigel, Constantine Partasides, Alan Redfern, Martin Hunter. *Redfern and Hunter on International Arbitration* (6th ed.) (Oxford University Press, 2015).

**Böckstiegel**, Karl-Heinz, Stefan Michael Kröll, et al. (eds.). *Arbitration in Germany: The Model Law in Practice* (2nd ed.). (Kluwer Law International, 2015).



**Born**, Gary B. *International Arbitration: Law and Practice* (2nd ed.). (Kluwer Law International, 2015).

**Born**, Gary B. *International Commercial Arbitration: Commentary and Materials*, (2nd ed.). (Kluwer Law International, 2001).

**Gaillard**, Emmanuel and George A. Bermann (eds.). *The UNCITRAL Secretariat Guide on the Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards*. (Brill Nijhoff, 2017).

**Gaillard**, Emmanuel and John Savage. *Fouchard Gaillard Goldman on International Commercial Arbitration*. (Kluwer Law International, 1999).

**Holtzmann**, Howard M., Joseph E. Neuhaus, et al.. *A Guide to the UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration: Legislative History and Commentary*. (Kluwer Law International. Kluwer Law International, 1989).

**Holtzmann**, Howard M., Joseph E. Neuhaus, et al.. *A Guide to the 2006 Amendments to the UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration: Legislative History and Commentary*. (Kluwer Law International, 2015).

**Lew**, Julian D. M., Loukas A. Mistelis, et al.. *Comparative International Commercial Arbitration* (Kluwer Law International, 2003).

**Mistelis**, Loukas A. and Stavros L. Brekoulakis (eds). *Arbitrability: International and Comparative Perspectives* (Kluwer Law International 2009).

**Yesilirmak**, Ali. *Provisional Measures in International Commercial Arbitration* (Kluwer Law International, 2005).

**თოთლაძე**, ლევან. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი (2016).  
ხელმისაწვდომია: [www.gccc.ge](http://www.gccc.ge)

## აკადემიური ნაშრომები

**Abdullah** Mubarak Aldelmany Alenezi. "Enforcement Of Foreign Arbitral Awards In The GCC States." სადოქტორო ნაშრომი წარდგენილი სტირლინგის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორის ხარისხის (PhD) მისაღებად (2010)  
ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source5>

**Abedian**, Hossein. "Judicial Review of Arbitral Awards in International Arbitration – A Case for an Efficient System of Judicial Review." *Journal of International Arbitration* (2011), Vol. 28, Is. 6 გვ. 589-626.

**Aeberli**, Peter. "Jurisdictional Disputes under the Arbitration Act 1996: A Procedural Route Map." *Arbitration International* (2005), Vol. 21, Is. 3, გვ. 253-300.  
ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source6>

- Beraudo**, Jean Paul. "Egregious Error of law as Grounds for Setting Aside an Arbitral Award." *Journal of International Arbitration* (2006), Vol. 23, Is. 4, გვ. 351-361.
- Giovannini**, Teresa "International Arbitration and Jura Novit Curia – Towards Harmonization" in *Liber Amicorum Bernardo Cremades* (Miguel Ángel Fernández-Ballesteros and David Arias (eds)), (2010), გვ.495.
- Jensen**, J. Ole. "Setting Aside Arbitral Awards in Model Law Jurisdictions: The Singapore Approach from a German Perspective." *European International Arbitration Review*, Vol. 4.1., გვ. 55-81.
- Koeppe**, Johannes and Agnieszka Ason. "An AntiEnforcement Bias? The Application of the Substantive Public Policy Exception in Polish Annulment Proceeding." *Journal of International Arbitration* (2018), Vol. 35 Is. 2. გვ. 157–172.
- Kryvoi**, Yaraslau and Dmitry Davydenko. "Consent Awards in International Arbitration: From Settlement to Enforcement." *Brooklyn Journal of International Law* (2015), Vol. 40, Is. 3, გვ. 828-868, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source7>
- Tucker**, Lee Anna. "Interim Measures under Revised UNCITRAL Arbitration Rules: Comparison to Model Law Reflects both Greater Flexibility and Remaining Uncertainty." *International Commercial Arbitration Brief* (2011), Vol. 1, Is. 2, გვ. 15-23. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source8>
- Petsche**, Markus A.. "Punitive Damages in International Commercial Arbitration: Much Ado about Nothing?" *Arbitration International* (2013), Vol. 29, No. 1, გვ. 89-104 ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source9>
- Uzelac**, Alan. "Jurisdiction Of The Arbitral Tribunal: Current Jurisprudence And Problem Areas Under The Uncitral Model Law", *International Arbitration Law Review* (2005), გვ. 153-163. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source10>
- Valasek**, Martin and Anne de Jong, "Enforceability of Interim Measures and Emergency Arbitrator Decisions." *International Arbitration Report* (2018), Is. 10, გვ.17-19. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source11>
- van den Berg**, Albert Jan. "Should the Setting Aside of the Arbitral Award be Abolished?" *ICSID Review Foreign Investment Law Journal* (2014), Vol. 29, Is. 2, გვ. 263–288.
- Van Otterloo**, Harmen De Mol. "Arbitration and Company Law in the Netherlands." *European Company Law* (2015), Vol. 12, Is. 3, გვ. 160-165.

**ტყემალაძე**, სოფიო. „საჯარო წესრიგი“ როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თუ მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა), ქართული ბიზნესის სამართლის მიმოხილვა, (2013), II გამოცემა. გვ. 14-29. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source12>

## **კვლევები, ანგარიშები, სახელმძღვანელოები**

გამკვლევე არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის. (2017). ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/arbitration-guide1>

არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი. (ზვიად კორძაძის გამომცემლობა 2016). ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source13>

არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭოს (ICCA) სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე: ცნობარი მოსამართლეებისათვის (2011). ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source14>

CRRC საქართველოს კვლევა „არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში“ (2018) ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source15>

ახალგაზრდა იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის 2015 წლის კონგრესის, საერთაშორისო არბიტრაჟისა და სასამართლოში საქმის წარმოების კომისიები, მე-9 სამუშაო ჯგუფის საერთო ანგარიში „ეროვნული სასამართლოს მონაწილეობა არბიტრაჟში – დახმარება თუ ხელის შეშლა?“ (2015) ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source16>

საერთაშორისო სამართლის ასოციაციის საბოლოო ანგარიში „გამოსაყენებელი მატერიალური სამართლის შინაარსის განსაზღვრა საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში,“ რეზოლუცია № 6/2008 (რიო დეჟანეიროს კონფერენცია, 2008) ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source17>

საერთაშორისო სამართლის ასოციაციის საბოლოო ანგარიში „საჯარო წესრიგის, როგორც საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების დაბრკოლება“ (ნიუ-დელის კონფერენცია, 2002) გამოქვეყნებულია Arbitration International, (2003), Vol. 19, Is. 2, გვ. 249-263.

UNCITRAL-ის სამდივნოს გამკვლევე ნიუ იორკის კონვენციაში უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ (2016). ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source18>

სასამართლო გადაწყვეტილებების UNCITRAL-ის 2012 წლის დაიჯესტი. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source19>

Chartered Institute of Arbitrators. International Arbitration Practice Guideline: Drafting Arbitral Awards, Part 1 – General (2016).

ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source20>

Chartered Institute of Arbitrators, International Arbitration Practice Guideline: Applications for Interim Measures (2016).

ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source21>

Chartered Institute of Arbitrators, International Arbitration Practice Guideline: Party Non-Participation (2106). ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source22>

## **სასამართლო გადაწყვეტილებები**

### **საქართველო**

#### **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო**

2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

#### **თბილისის სააპელაციო სასამართლო**

2017 წლის 14 სექტემბრის განჩინება, საქმე №2ბ/3782.

2017 წლის 11 აგვისტოს განჩინება, საქმე №2ბ/4207-17.

2017 წლის 20 ივლისის განჩინება საქმეზე №2/4032-17.

2017 წლის 10 აპრილის განჩინება საქმეზე №2ბ/79-16.

2017 წლის 7 მარტის განჩინება საქმეზე №2ბ/1382-17.

2016 წლის 5 სექტემბრის განჩინება, საქმე №2ბ/1814-16.

2016 წლის 30 მარტის განჩინება, საქმე №2ბ/3594-15.

2014 წლის 25 მარტის განჩინება, საქმე №2ბ/5858-13.

2014 წლის 10 თებერვლის განჩინება საქმეზე №2ბ/47-14.

2013 წლის 28 თებერვლის განჩინება, საქმე №2ბ/4963-12.

2012 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/2747-11.

2011 წლის 4 ნოემბრის განჩინება საქმეზე №2ბ/3537-11.

2011 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/2220-11.

### **ქუთაისის სააპელაციო სასამართლო**

- 2017 წლის 5 ივლისის განჩინება საქმეზე №2/ბ-275.  
2013 წლის 1 ოქტომბრის განჩინება, საქმე №2/ბ-688-2013.  
2013 წლის 11 ივნისის განჩინება, საქმე №2/ბ-321-13.  
2013 წლის 8 თებერვლის განჩინება, საქმე №2/ბ-127.  
2012 წლის 21 ნოემბრის განჩინება, საქმე №2ბ-772-12.  
2011 წლის 17 ნოემბრის განჩინება საქმეზე №2/ბ-1277-14.  
2011 წლის 6 აპრილის განჩინება, საქმე №2ბ-153.

### **თბილისის საქალაქო სასამართლო**

- 2014 წლის 6 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2/16444-14.  
2012 წლის 3 სექტემბრის განჩინება (სასამართლოს მიერ მოწოდებული განჩინებიდან არ იკითხება საქმის ნომერი).  
2010 წლის 15 აგვისტოს განჩინება საქმეზე №2/1413-10.  
2010 წლის 2 აგვისტოს განჩინება საქმეზე №2/6546-10.

### **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *Tabbane* შვეიცარიის წინააღმდეგ (განაცხადის №41069/12). ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source23>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Suda* ჩეხეთის წინააღმდეგ (განაცხადის ნომერი №1643/06). ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source24>

### **ავსტრია**

ავსტრიის უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება, ნანახია *The Baker McKenzie International Arbitration Yearbook, 11th Edition*. გვ.39.

ავსტრიის უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №7 Ob 111/10i. საქმის მოკლე მიმოხილვა ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source25>

ავსტრიის უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №3 Ob 221/04b.

## ავსტრალია

ნიუ საუს უელსის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Gordian Runoff Limited v. Westport Insurance Corporation*.  
ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source26>

ნიუ საუს უელსის სააპელაციო სასამართლოს 1994 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე *Ferris v Plaister and Stap v Plaister*.

## აშშ

აშშ-ის უზენაესი სასამართლოს 1967 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Prima Paint Corporation v. Flood & Conklin Manufacturing Co.*, 388 U.S. 395 (1967).  
ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source27>

## ახალი ზელანდია

ახალი ზელანდიის უზენაესმა სასამართლო 2017 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Ngāti Wahiao v. Ngāti Hurungaterangi, Ngāti Taeotu me Ngāti te Kahu o Ngāti Whakauae*, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source28>

ახალი ზელანდიის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Ngāti Hurungaterangi, Ngāti Taeotu me Ngāti te Kahu o Ngāti Whakauae v. Ngāti Wahiao*, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source29>

ახალი ზელანდიის სააპელაციო სასამართლოს 2004 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Methanex Motunui Ltd. v. Spellman*.  
ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source30>

## ბელგია

ბელგიის საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №6362. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source31>

## ბაერთიანებული სამეფო

ინგლისისა და უელსის უმაღლესი სასამართლოს 2018 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Exportadora de Sal S.A. de C.V. v Corretaje Maritimo Sud-Americano Inc* [2018] EWHC 224 (Comm), [2018] All ER (D) 93.

ინგლისის სააპელაციო სასამართლოს 1984 წლის გადაწყვეტილება საქმეზე *Interbulk LTD. v. Aiden Shipping CO. LTD. I.C.C.O. International Corn CO. N.V. v. Interbulk LTD.* [1984] 2 Lloyd's Rep. 66.

## გერმანია

გერმანიის ფედერალური სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №II ZR 255/08, SchiedsVZ 2009, 233.

გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №III ZB 83/02. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source32>

ბავარიის უმაღლესი სასამართლოს 1999 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №4 Z Sch 23/99; ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source33>

ბრემენის უმაღლესი სასამართლოს 1999 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № (2) Sch 04/99. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source34>

დრეზდენის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2001 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №11 SchH 02/00. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source35>

დრეზდენის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2000 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №11 Sch 02/00. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source36>

დუსელდორფის უმაღლესი რეგიონალური სასამართლოს 2000 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №6 Sch 02/99. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source37>

კიოლნის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2008 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე №19 Sch 12/08.

კიოლნის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2002 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე №9 Sch 20/02. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source38>

მიუნხენის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2009 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №34 Sch 12/09.

ოლდენბურგის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2006 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №9 SchH 03/05, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source39>

სელის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2003 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე 8 Sch, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source40>

ფრანკფურტის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2010 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № SchiedsVZ 2010, 334.

ფრანკფურტის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2009 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №26 SchH 01/09.

ფრანკფურტის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2008 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №26 Sch 19/08.

ფრანკფურტის უმაღლესი სასამართლოს 2003 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №26 Sch 01/03. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source41>

ფრანკფურტის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2001 წლის 6 სექტემბერის გადაწყვეტილება საქმეზე №3 Sch 02/00.

შტუტგარტის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2002 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №1 Sch 8/02. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source42>

შტუტგარტის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2001 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1 Sch 16/01(1). ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source43>

ჰამბურგის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №III ZB 17/08. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source44>

ჰამბურგის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2001 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №11 Sch 01/01, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source45>

## **დანია**

დანიის უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *JKM Transport ApS v. Danish Crown*.

## **ესპანეთი**

ესპანეთის უზენაესი სასამართლოს 1998 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Unión de Cooperativas Agrícolas Epis-Centre v. La Palentina S.A.*, №ATS 1451/1998.

მადრიდის უმაღლესი სასამართლოს 2011 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №SAP M 11690/2011 – ECLI:ES:APM:2011:11690, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source46>

მადრიდის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *Uniprex S.A. v. Grupo Radio Blanca*.

მადრიდის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Jaral Decoración, S.L v. Peñasco Rodilla, SL*.

## **ინდოეთი**

ინდოეთის უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Himangni Enterprises v Kamaljeet Singh Ahulwalia* №10 SCC 706. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source47>



## იხილეთ

იტალიის უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Soc Ruffinatti v. Oyola-Rosado* № 1781/2012.

ტრენტოს სააპელაციო სასამართლოს 1981 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე *General Organization of Commerce and Industrialization of Cereals of the Arab Republic of Syria v. S.p.a. SIMER (Società delle Industrie Meccaniche di Rovereto)*.

ფლორენციის სააპელაციო სასამართლოს 1978 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Rederi Aktiebolaget Sally v. srl Termarea*.

## კანადა

კანადის უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *Desputeaux v. Éditions Chouette*. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source48>

კანადის ფედერალური სასამართლოს 1988 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *D. Frampton % Co. Ltd. V. Sylvio Thibeault and Navigation Harvey & Freres Inc.* საქმის შეჯამება ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source49>

ონტარიოს უმაღლესი სასამართლოს 2008 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *Bayview Irrigation District #11 v. United Mexican States*. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source50>

ონტარიოს უმაღლესი სასამართლოს 1999 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Re Corporación Transnacional de Inversiones, S.A. de C.V. et al. v. STET International, S.p.A. et al.* ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source51>

ონტარიოს სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე *Joseph Popack, United Burlington Retail Portfolio Inc. and United Northeastern Retail Portfolio Inc. v. Moshe Lipszyc and Sara Lipszyc*. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source52>

ონტარიოს სასამართლოს 1998 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Noble China Inc. v. Lei Kat Cheong*, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source53>

კვებეკის უმაღლესი სასამართლოს 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Louis Dreyfus S.A.S. v. Holding Tusculum B.V.*, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source54>

კვებეკის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება, საქმეზე *Smart Systems Technology Inc. v. Domotique Secant Inc.*, საქმის მოკლე აღწერა ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source55>

ალბერტას დედოფლის კარის სასამართლოს 2005 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Ace Bermuda Insurance Ltd. v. Allianz Insurance Company of Canada* ხელმისაწვდომია: on the Internet at <http://bit.ly/guide2-source56>

ბრიტანეთის კოლუმბიის სააპელაციო სასამართლოს 1991 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Quintette Coal Ltd. v. Nippon Steel Corporation*, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source57>

## **კენია**

კენიის უმაღლესი სასამართლოს 2005 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Apa Insurance Co. Ltd. v. Chrysanthus Barnabas Okemo*. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source58>

კენიის უმაღლესი სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Siginon Maritime Ltd. v. Gitutho Associates and Others*, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source59>

ნაირობის უმაღლესი სასამართლოს 2005 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Mahican Investment Ltd. & 3 others v. Giovanni Gaida & 80 others*.

## **რუსეთი**

რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 26 მაისის გადაწყვეტილება No. 10-P.

მოსკოვის საქალაქო სასამართლოს 1995 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source60>

## **სინგაპური**

სინგაპურის უმაღლესი სასამართლოს 2014 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Triulzi Cesare SRL v Xinyi Group (Glass) Co Ltd, SGHC 220*.

სინგაპურის უმაღლესი სასამართლოს 2014 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *FirstLink Investments Corp Ltd. v GT Payment Pte Ltd. and others*, SGHCR 12. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source61>

სინგაპურის უმაღლესი სასამართლოს 2011 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Rockeby biomed Ltd v Alpha Advisory Pte Ltd*. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source62>

სინგაპურის უმაღლესი სასამართლოს 2010 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Denmark Skibstekniske Konsulenter A/S I Likvidation (formerly known as Knud E Hansen A/S) v Ultrapolis 3000 Investments Ltd (formerly known as Ultrapolis 3000 Theme Park Investments Ltd)*, SGHC 108.

სინგაპურის უმაღლესი სასამართლოს 2006 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Government of the Republic of the Philippines v Philippine International Air Terminals Co, Inc.* ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source63>

სინგაპურის უმაღლესი სასამართლოს 2003 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *PT Tugu Pratama Indonesia v. Magma Nusantara Ltd.* ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source64>

სინგაპურის უმაღლესი სასამართლოს 2003 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *ABC Co v XYZ Co Ltd.* ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source65>

სინგაპურის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *International Research Corp PLC v Lufthansa Systems Asia Pacific Pte Ltd and another.* ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source66>

სინგაპურის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე *Chan Sek Keong CJ, Andrew Phang Boon Leong JA and V K Rajah JA.*

სინგაპურის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *CRW Joint Operation v PT Perusahaan Gas Negara (Persero).*

სინგაპურის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *PT Asuransi Jasa Indonesia (Persero) v Dexia Bank SA.* ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source67>

სინგაპურის სააპელაციო სასამართლოს 2002 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *P.T. Garuda Indonesia v Birgen Air.* ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source68>

## **უკრაინა**

ჩერნიჰივსკას რეგიონის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე განიხილა საქმე *Nibulon SA v. Nasinnia-Agrokhim LLC* ; ამონარიდი ხელმისაწვდომია: Albert Jan van den Berg (ed), Yearbook Commercial Arbitration, Vol. 38 (Kluwer Law International, 2013), გვ. 476 – 478.

## **ჰვედეთი**

სვეას სააპელაციო სასამართლოს 2001 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება, საქმეზე *American Pacific Corp. v. Sydsvensk Produktutveckling AB*, საქმეზე №Ö 4859-00.

## შვეიცარია

შვეიცარიის უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 8 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე X. S.p.A. v. Y. S.r.l. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source69>

შვეიცარიის უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №4A\_370/2007.

შვეიცარიის უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 3 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №4A\_304/20131.

ციურხის სააპელაციო სასამართლოს 2003 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება.

ბაზელის სააპელაციო სასამართლოს 1968 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Firm in Hamburg (buyer) v. Corporation (A.G.) in Basel (seller)*.

## ჩინეთი

ჩინეთის სააპელაციო სასამართლოს 1996 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *Apex Tech Investment LTD v. Chuang's Development (China) LTD*. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source70>

ჰონგ-კონგის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 15 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე *Tronic International Pte Ltd v Topco Scientific Co Ltd and Others*, საქმის №CACV 235/2013.

ჰონგ-კონგის სააპელაციო სასამართლოს 2005 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *The Incorporated Owners of Tak Tai Building v. Leung Yau Building Ltd*. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source71>

ჰონგ-კონგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Brunswick Bowling & Billiards Corporation v. Shanghai Zhonglu Industrial Co. Ltd. and Another*. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source72>

ჰონგ-კონგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 1993 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე *Paklito Investments Ltd. v. Klockner East Asia Ltd*. საქმის მოკლე მიმოხილვა ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/guide2-source73>

ავტორთა ჯგუფის ძალისხმევით მიუხედავად, გამკვლევეში იქნება ხარვეზები, ან საკითხები, რომლებზეც არ არის პასუხი გაცემული. ხარვეზების აღმოჩენის, ისევე როგორც კითხვებისა და წინადადებების შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ელექტრონული ფოსტის საშუალებით [arbitrationguide@gmail.com](mailto:arbitrationguide@gmail.com). თქვენი გამოხმაურება დაგვეხმარება დავხვეწოთ გამკვლევის ელექტრონული ვერსია და შესაძლო შემდგომი გამოცემები.

